# Usubka

1975

4

1975

4

(7)

ივლისი
აგვისტო

# მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

1975

№ 4030

## შინაარსი

**შანდორ პეტეფი.** ლექსები.
თარგმნა იორამ ქემერტელიძემ 118
**ჟაკ პრევერი.** ლექსები.
ფრანგულიდან თარგმნა ნანა თარგამაძემ 209
**რობერტ როჟდესტვენსკი.** ლექსები.
რუსულიდან თარგმნა ავთანდილ გურგენიძემ 211

**კრიტიკა, პუბლიცისტიკა**

**ნოდარ კაკაბაძე.** თომას მანი 121

**ჩვენი პუბლიკაციები**

**ორი წერილი** 225
1. თამარ მეფის წერილი სალაჰ ედ-დინისადმი 226
2. ხაყანი შირვანელის წერილი ალსართან პირველისადმი 228

**სხვადასხვა ამბები** 232
**ერთხელ...** 235
**ჩვენი ავტორები** 237
**სერგეი ესენინი.** ლექსი. 239

როკუელ კენტი. „ადამიანი ანძასთან“.

# ჯონ სტაინბეკი

## ტორტილა ფლეტი

რომანი

ინგლისურიდან თარგმნა **ვახტანგ ჯელიძემ**

— ერთი საწყალი კაპრალი ვარ, — მიუგო ბიჭმა, — რა უნდა მექნა, ავდექი და გავეცალე, — კაპრალს სირცხვილის ცრემლები წამოცვივდა, — კაპიტანი თუ გადაგეკიდა, კაპრალი რას გახდები. დავტაცე ხელი ამ ჩემს პატარა მანუელს და გამოვიქეცი. ფრენსოში იმ ბრძენ ადამიანს შევხვდი და სწორედ იმან მასწავლა, შენს მანუელს რადაც გინდა გამოიყვანო. დღეში ოცჯერ მაინც ვეტყვი ხოლმე: გენერალი გახდები, ეპოლეტებს დაიკერებ, ოქროს ხმალს დაიკიდებ!

ამ გულსაკლავ ამბავთან კორნელია რუიზის თავგადასავალი სავსებით უინტერესო და ფუჭი გამოჩნდა. ამისთანა საქმე მეგობრების ჩარევას მოითხოვს, მაგრამ იმსიშორეს მოხდა ეს ამბავი, ხელი ვერ მიუწვდებოდათ. ალტაცებით შეჰყურებდნენ კაპრალს: ასეთი ახალგაზრდა იყო და უკვე ამდენი რამ გადახდომოდა თავს!

— ნეტა ახლა ტორეონში ვიყოთ, — გაბოროტებით თქვა დენიმ, — პილონი რამეს მოიგონებდა. ვაი, რომ იქ წასვლა არ შეგვიძლია.

ისეთი საინტერესო გამოდგა კაპრალის ამბავი, რომ დიდ ჯო პორტუგალიელს ერთხელაც არ ჩასთვლემია. ყუთთან მივიდა და ჩახედა.

— გენერალი გახდები!.. — უთხრა და უცებ იყვირა: — აქ უყურეთ, ბავშვი რაღაც უცნაურად იგრიხება.

მეგობრები ყუთს შემოერტყნენ. ბავშვს კრუნჩხვა დაეწყო. ხან მაღლა აიწევდა პაწია ფეხები, ხან დაბლა დაეშვებოდა. ხელებს უმწეოდ ასხმარტალებდა. მერე მთელი სხეული დაეგრიხა და დაეწმახნა.

— ექიმი! —შესძახა დენიმ, — ექიმი მოვიყვანოთ.

მაგრამ თვითონაც კარგად გრძნობდა და სხვებიც ხედავდნენ, რომ ყველაფერი ამაო იყო. მოახლოებული სიკვდილი იმისთანა მოსასხამშია გახვეული, ყველა ცნობს. მანამ ესენი თვალმოუშორებლად მიშტერებოდნენ, ბალღი გაშეშდა და ბრძოლა შესწყვიტა. პირი დააღო და გათავდა. დენიმ ყუთს თავისი საბანი წააფარა. ერთ ადგილზე გაქვავებულ კაპრალს თვალები გაუშტერდა, აღარც ფიქრის თავი ჰქონდა თავზარდაცემულს და აღარც ლაპარაკისა.

ხესუს მარიამ მხარზე დაადო ხელი და სკამთან მიიყვანა.

— ჯერ ყმაწვილი ხარ, — უთხრა მან, — შვილებს კიდევ ბევრს მოესწრები...

* დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 2, 3.

კაპრალმა ამოიგმინა.

— მოკვდა. ველარ გახდება გენერალი, ვერც ყაწიმს ელირსება, ვერც ხმალს...

მეგობრებს თვალებში ცრემლი მოადგათ. კუთხეში ძაღლებმა საცოდავი წკავწკავი მორთეს. მეკობრემ თავისი დიდი თავი სენიორ ალეკ თომპსონის ბეწვში ჩამალა.

პილონმა წყნარად დაიწყო, თითქოს ლოცვას წარმოთქვამსო:

— ახლა შენ თვითონ უნდა მოკლა ის კაპიტანი. შურისძიების კარგი გეგმა გქონდა, კეთილშობილური... ყველას მოგვეწონა. მაგრამ ხომ ხედავ, არ გაგიმართლა, და ახლა შენ თვითონ უნდა იძიო შური. ჩვენც დაგეხმარებით, თუკი რამე შეგვეძლება.

კაპრალმა გამოლენჩებული თვალები მიაშტერა.

— შური ვიძიო?! — იკითხა მან, — კაპიტანი მოვკლა? რას მეუბნები?

— შენი გეგმა მარტივი იყო, რა დიდი გამოცნობა სჭირდებოდა, — მიუგო პილონმა, — ბალღი გაიზრდებოდა, გენერალი გახდებოდა. მერე კაპიტანს მოძებნიდა და ნელ-ნელა წამებით მოკლავდა. კარგი გეგმა იყო. დიდი ხნის ლოდინი, და მერე უცებ დარტყმა! შენი მეგობრები ვართ და პატივსა გცემთ ამ გეგმისათვის.

კაპრალი გაოგნებული შეჰყურებდა პილონს.

— ნეტა რას ამბობ? — ჰკითხა მან, — კაპიტანთან რა მესაქმება? ის ხომ კაპიტანია!

ბიჭები წამოიმართნენ.

პილონმა შეჰყვირა:

— მაშ, რაღად გინდოდა ბავშვის გენერლობა? რაში გჭირდებოდა?

კაპრალი, ცოტა არ იყოს, დაიბნა.

— მამის ვალი ხომ ის არის, შვილი კარგ გზაზე დააყენოს?! მინდოდა მანუელს ჩემზე კარგად ეცხოვრა.

— სულ ეს იყო? — შესძახა პილონმა.

— რა ვქნა, აბა, — თქვა კაპრალმა, — ჩემი ცოლი ლამაზი ქალი იყო. გარყვნილი სულაც არ ყოფილა. კარგი ქალი იყო, მაგრამ კაპიტანმა წამართვა. კაპიტანს პატარა ეპოლეტები ჰქონდა, წვრილი ყაწიმი და ხმალიც — უბრალო, ვერცხლისფერი. ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, — განაგრძო კაპრალმა და ხელები გაშალა, — პატარა ეპოლეტებიანმა და წვრილყაწიმიანმა კაპიტანმა თუ მოახერხა ცოლის წართმევა, ფართოყაწიმიანი და ოქროსხმლიანი გენერალი რაღას იზამს!

სიჩუმე ჩამოწვა, დიდხანს აღარავის გაუღია ხმა. დენი, პილონი, პაბლო, ხესუს მარია, მეკობრე და დიდი ჯო პორტუგალიელი ცდილობდნენ ნათქვამის აზრს ჩასწვდომოდნენ. და როცა ჩასწვდნენ, დენის დაეცადეს.

— სამწუხაროა, — დაიწყო ბოლოს დენიმ, — იშვიათად შეხვდები შვილის კეთილდღეობაზე მზრუნველ მშობელს. მით უფრო მოგვიკლა გული ამ ბალღის სიკვდილმა. ამისთანა მამის ხელში მართლაც რომ ბედნიერ ცხოვრებას მოაკლდა.

მეგობრებმა მწუხარედ დაუკანტურეს თავი.

— ახლა რას აპირებ? — ჰკითხა ხესუს მარიამ.

— მექსიკაში გავბრუნდები, — მიუგო კაპრალმა, — მე სულით და გულით ჯარისკაცი ვარ. მუდამ კარგად გაზეთილი თუ მექნა თოფი, ვინ იცის, იქნებ ოფიცრობასაც მივაღწიო.

ექვსივე მეგობარი აღტაცებით შეჰყურებდა. ეამაყებოდათ, რომ ასეთი კაცი გაიცნეს.

11

**როგორ არახელსაყრელ პირობებში ეწვია სიყვარული დიდ ჯო პორტუგალიელს**

დიდი ჯო პორტუგალიელისათვის სიყვარული მოქმედებას ნიშნავდა. და აქ სწორედ ერთი მისი სამიჯნურო თავგადასავალია მოთხრობილი.

მონტერეიში წვიმდა. წოწოლა ნაძვის ხეებს მთელი დღე წყალი ჩამოწურწურებდა. ტორტილაფლეტელ პაისანოებს შინიდან ფეხი არ გამოუდგამთ. საკვამურებიდან კვამლის ლურჯი სვეტები ამოდიოდა, ჰაერი კვარის სუფთა და საამო სუნით იყო გაჟღენთილი.

ნაშუადღევის ხუთი საათისათვის წვიმამ რამდენიმე წუთით გადაიღო და დიდმა ჯო პორტუგალიელმა — მან თითქმის მთელი დღე ნავის ქვეშ შეყუჟულმა გაატარა, ზღვის ნაპირზე — დრო იხელთა, გამოძვრა და დენის სახლისკენ გაემართა. შეციებული და მოშიებული იყო.

ის იყო ტორტილა ფლეტის საზღვარს მიაღწია, რომ ცამ კვლავ მოიხსნა პირი და მაგარი წვიმა დაუშვა. დიდი ჯო იმავე წუთში თავით ფეხებამდე გაიწუწა. გადასაყუდრებლად უახლოეს სახლს მიაშურა და ეს სახლი ტია იგნასიასი აღმოჩნდა.

ორმოცდახუთი წლის ქალი იქნებოდა ტია იგნასია, ადრევე დაქვრივებულიყო, მაგრამ თავისი ლაზათი მაინც ჰქონდა. პირქუში ქალი გახლდათ, სიტყვაძვირი, რადგან მის ძარღვებში იმაზე უფრო მეტი ინდური სისხლი ჩქეფდა, ვიდრე ეს საკადრისად იყო მიჩნეული ტორტილა ფლეტში.

დიდი ჯო რომ შევიდა, ქალს ის იყო წითელი ღვინით სავსე გალონიანი ბოთლი გაეხსნა და ჭიქაში ისხამდა, რათა საკუთარი ღვიძლი გაეთბო. სცადა ბოთლი სკამქვეშ შეემალა, მაგრამ არ გამოუვიდა: დიდი ჯო უკვე კარის ზღურბლზე იდგა, წყალი წურწურით ჩამოდიოდა და იატაკზე გუბეს აყენებდა.

— შემოდი, ტანსაცმელი გაიშრე.

დიდი ჯო შევიდა, მაგრამ ბოთლს ვერ მოაცილა თვალი, როგორც ტერიერი დააშტერდება ხოლმე ხოჭოს. სახლის სახურავზე წვიმას გაჰქონდა ბრაგაბრუგი. ტია იგნასიამ ღუმელში ცეცხლს შეუჩუჩხურა და ააბრიალა.

— ერთ ჭიქა ღვინოს არ დალევ?

— როგორ არა, — მიუგო დიდმა ჯომ. მანამ პირველ ჭიქასა სვამდა, ბოთლს ვერ მოწყვიტა თვალი. სამი ჭიქა ზედიზედ გადახუხა, სანამ სიტყვის თქმას მოახერხებდა და თვალებში მგლური სიხარბე გაუქრებოდა.

ტია იგნასიამ უკვე განწირულად ჩათვალა თავისი ახალგახსნილი ბოთლი. თვითონაც დააცხრა ღვინოს — რაკი ასეა, ბარემ მეც მერგოსო. მეოთხე ჭიქა რომ შეივსო, მაშინღა მოისვენა დიდმა ჯომ და შვებით ამოისუნთქა.

— ტორელის ღვინო არ უნდა იყოს ესა, — თქვა მან.

— არა. ერთი მეგობარი იტალიელი ქალისაგან მომაქვს ხოლმე.

კიდევ გაუვსო ჭიქა.

მოსალამოვდა. ტია იგნასიამ ნავთის ლამპა აანთო, ცეცხლს შეუკეთა. რაკი გამოსაცლელია, ბარემ გამოიცალოს ეს ღვინო, გაიფიქრა მან. ხარბად შეათვალიერა დიდი ჯო პორტუგალიელის ვეება სხეული. გულში სითბო ჩაეღვარა.

— საწყალი ბიჭი! წვიმაში იმუშავე? — მიმართა მან, — გაიხადე ეგ ქურთუკი, გაშრეს.

დიდი ჯო იშვიათად თუ იცრუებდა. მძიმედ მუშაობდა მისი გონება.

— ნავის ქვეშ მეძინა, ზღვის ნაპირზე.

— სულ გაწუწულხარ, შე საწყალო.

თვალი თვალში გაუყარა, ამ სიკეთის ნაცვლად საპასუხო გრძნობას მივიღებო, ელოდა, მაგრამ დიდი ჯოს სახე სხვას არაფერს გამოხატავდა, გარდა კმაყოფილებისა, რომ წვიმას თავი დააღწია და აგერ ღვინოსა სვამდა. კიდევ გაუწოდა ცარიელი ჭიქა შესავსებად. მთელი დღე ლუკმა არ ჩაედო პირში და ღვინო ჩქარა მოერია.

ტია იგნასიამ ერთხელ კიდევ მოსინჯა ნიადაგი.

— სველი ქურთუკით ჯდომა სად გაგონილა, გაცივდები. მოდი, გაგხდი.

დიდი ჯო უფრო ღრმად ჩაჯდა სავარძელში.

— ასეც კარგადა ვარ, — ჯიუტად უპასუხა მან.

ტია იგნასიამ კიდევ დაისხა ღვინო. ღუმელში ცეცხლი ატკაცუნდა და ამ დამამშვიდებელმა ხმამ სახურავზე წვიმის ბრაგუნი დაახშო.

დიდი ჯო სულ არ იჩენდა არც მეგობრულ გრძნობას და არც თავაზიანობას; ის კი არადა, თითქოს ვერც ამჩნევდა მასპინძელს. ღვინოს დიდ-დიდი ყლუპებითა სვამდა, სულელურად უღიმოდა ბუხარს და სკამზე ოდნავ ირწეოდა.

ტია იგნასია გაგულისდა, ბრაზი მოერია.

„ამ ღორს ვერ უყურებ! — გაიფიქრა მან, — ამ ღორსა და უწმინდურ პირუტყვს! არ ჯობდა, ძროხა შემომეყვანა სახლში. სხვა ვინც არ უნდა ყოფილიყო, ტკბილ სიტყვას მაინც მეტყოდა.“

დიდმა ჯომ კიდევ გაუწოდა ჭიქა შესავსებად.

ტია იგნასიამ დიდი გმირობა გამოიჩინა, საკუთარ თავს რომ მორეოდა.

— ამისთანა ღამეს პატარა, თბილ სახლში ყოფნა დიდი ბედნიერებაა, — თქვა მან, — გარეთ წვიმა ტლაშუნობს, სახლში ბუხარი გუგუნებს... მეგობრული სიყვარულისთვის არის ასეთი დრო მოგონილი. რას იტყვი?

— აბა რა! — დაუმოწმა დიდმა ჯომ.

— სინათლე ალბათ თვალსა გჭრის, — კეკლუცად უთხრა ქალმა, — გინდა ჩავაქრობ?

— სულაც არ მიშლის, — უპასუხა დიდმა ჯომ, — ნავთი თუ გენანება, მიდი.

ტია იგნასიამ ლამპა ჩააქრო. ოთახში წყვდიადი ჩამოწვა. მერე თავისივე სკამზე დაჯდა ქალი და დაელოდა, როდის გაელვიძებოდა დიდ ჯოს თავაზიანობის გრძნობა. მისი სკამის ნელი რწევის ხმა ესმოდა. ღუმელიდან გამოჭრილი სუსტი ათინათი ავეჯზე ათამაშდა. ოთახს თითქოს სითბო ანათებდა. სკამის რწევის ხმა მიწყდა, ტია იგნასია კაცისთვის ხელის საკვრელად მოემზადა, მაგრამ არაფერიც არ მომხდარა.

— წარმოგიდგენია, — დაიწყო ქალმა, — ამ საშინელ ქარიშხალში რომ გარეთ იყო და სიცივით კანკალებდე, ან ნავის ქვეშ იწვე გაყინულ სილაზე!.. ზიხარ აგერ არხეინად სავარძელში, ღვინოს შეექცევი და მეგობარი ქალი გვერდით გიზის!

დიდ ჯოს ხმა არ გაუღია. ქალი ვერც ხედავდა მას და არც არაფერი ესმოდა. ჭიქაში რაც ღვინო ჰქონდა, სულ გამოსცალა. თავაზიანობა ქარს გაატანა.

— ჩემს მეგობარ კორნელია რუიზს უამბნია, წვიმაში და სიცივეში რამდენი კაცი შემიფარებია, გამითბია და მომივლია, მერე ჩემი საუკეთესო მეგობრები გახდნენო.

იმ ადგილიდან, საცა დიდი ჯო იჯდა, სუსტი ტკაცანის ხმა გამოიჭრა. ქალი მიხვდა, რომ ჯოს ჭიქა გაუვარდა ხელიდან, მაგრამ ტკაცანს არავითარი მოძრაობა არ მოჰყოლია.

„ვაითუ ავად გახდა, — გაიფიქრა ქალმა, — იქნებ გული შეუღონდა“.

წამოხტა, ასანთს გაჰკრა და ლამპის პატრუქთან მიიტანა. მერე სტუმრისკენ მიბრუნდა.

დიდი ჯო მთასავით იჯდა და ეძინა. ფეხები წინ გაეშვირა, თავი უკან გადაეგდო, პირი ფართოდ გაეღო. მანამ გაკვირვებული და გულზე გამსკდარი ქალი ასე შეჰყურებდა, იმან გამაყრუებელი ხვრინვა ამოუშვა. ასე იცოდა ხოლმე — თბილად და რბილად თუ მოიკალათებდა, არ შეიძლებოდა არ ჩასძინებოდა.

ერთი წუთი არც კი გასულა, სანამ ტია იგნასია გულში მოზღვავებულ გრძნობებს კარს გაუღებდა. მის ძარღვებში უმთავრესად ინდური სისხლი სჩქეფდა. ყვირილი არ აუტეხია. არა, მიუხედავად იმისა, რომ ბრაზით კანკალებდა. შეშის კალათთან მივიდა, ერთი ნაპობი შეარჩია, ხელში შეათამაშა, მერე უკანვე ჩააგდო და სხვა ნაპობი აიღო. ახლოლა მიბრუნდა დიდი ჯო პორტუგალიელისაკენ და ნელა მიუახლოვდა. პირველი დარტყმა ბეჭებზე მოხვდა ჯოს და სკამიდან ჩამოაგდო.

— ღორი! — შეჰკივლა ტია იგნასიამ, — ნაგვის ზვინი!

ჯო იატაკზე გადაგორდა. მეორე დარტყმა დუნდულებზე მოხვდა და შარვალს ჭუჭყიანი ზოლი დააჩნია. ახლა კი გაიღვიძა დიდმა ჯომ.

— რა იყო? — გაუკვირდა მას, — რა მოგელანდა? რასა სჩადი?

— მე შენ გაჩვენებ, — კიოდა ქალი. კარს მივარდა, გამოაღო და კვლავ ჯოსთან მიირბინა. ჯო ძლივს წამოდგა ფეხზე — ქალი ურტყამდა და ურტყამდა. შეშის ნაპობს ბაგაბუგი გაჰქონდა მის ზურგზე, ბეჭებსა და თავზე. თავზე ხელები დაიფარა და კარში გავარდა.

— კარგი რა! — ეხვეწებოდა ჯო, — გეყოფა. რა მოგელანდა?

გააფთრებული ქალი ბზიკივით გაედევნა. ეზო გაირბინეს და ტალახიან ქუჩაში გავარდნენ. სულ ცოფებსა ჰყრიდა ტია იგნასია. მისდევდა ქუჩაში და უბათქუნებდა.

— ეი! — შეჰყვირა ჯომ, — გეყოფა რა! — ჩაბღუჯა და ხელები დაუჭირა, თუმცა ქალი გამწარებით სხმარტალებდა, ცდილობდა ხელები გაეთავისუფლებინა და ისევ და ისევ ებათქუნებინა.

— აი, შე ღორო! — კიოდა იგი, — ძროხა!

ხელი რომ გაეშვა, ქალი ისევ ცემას დაუწყებდა, ამიტომ სულ უფრო და უფრო მაგრად ბღუჯავდა. ამასობაში ასე ფეხზე მდგომარე დიდ ჯო პორტუგალიელს სიყვარული ეწვია. ჯერ თავში დაჰკრა, მერე კი ნიაღვარივით მოსკდა და მოედო მთელ სხეულს; ისე შეარხია, როგორც ტროპიკული გრიგალი შეარხევს ხოლმე პალმის ტყეს. მაგრად ჰყავდა ჩაბღუჯული, სანამ ქალს ბრაზმა არ გაუარა და ძალა არ წაერთვა.

ღამღამობით მონტერეიში პოლიციის ყარაული მოტოციკლით ჩამოუვლის ხოლმე ქუჩებს, ამოწმებს: კარგი კაცი არაფერ ცუდს არ გადაეყაროსო. იმ ღამეს ჯეიკ ლეიკი უვლიდა ქუჩებს. მისი მაკინტოში მკრთალად ელავდა, ბაზალტივით. ძაღლის გუნებაზე იყო, ავდარში წანწალით გაწამებული. მოკირწყლულ ქუჩებში სიარულს კიდევ არა უშავდა, მაგრამ ერთი ნაწილი მისი გზისა ტორტილა ფლეტის ტალახიან შუკებშიაც გადიოდა. აზელილი თიხა საძაგლად ჭყლაპუნობდა. მოტოციკლის პატარა ფარი ირგვლივ სინათლეს აფრქვევდა. ძრავა გამწარებით ახველებდა.

უცებ გაკვირვებულმა ჯეიკ ლეიკმა შეჰკივლა და მოტოციკლი გააჩერა.

— ეს რა ჯანდაბაა?! რა ღმერთი გიწყრებათ!

დიდმა ჯომ კისერი მოღრიცა.

— ოჰ, შენა ხარ, ჯეიკ? სულ ერთია, მაინც ციხეში წაგვასხამ. ბარემ ერთი წუთი მადროვე.

პოლიციელმა მოტოციკლი შეაბრუნა.

— გვერდზე მიდექით, — გამოსძახა მან, — ამ შუა ქუჩაში მანქანამ არ გაგიტანოთ.

მოტოციკლი ტალახში აქოთქოთდა და პატარა ფარის ციმციმა სინათლე მოსახვევში გაუჩინარდა. ტორტილა ფლეტის ხეებში წვიმა ნაზად ჩხრიალებდა.



## 12

### როგორ დაეხმარნენ დენის ამხანაგები მეკობრეს აღთქმის შესრულებაში და სიკეთის წილ როგორ გამოეცხადა მეკობრის ძაღლებს წმიდა ფრანცისი

მეკობრე თავის ურიკას ყოველდღიურად ააგორებდა ხოლმე გორაკზე და დენის ეზოში შეიტანდა. მიაყუდებდა ღობეზე და ზედ ჯვალოს ტომარას მიაფარებდა. ცულს მიწაში ჩაფლავდა, რადგან ვინ არ იცის, რომ ჩა-

მარხულ ლითონს სიმაგრე ემატება. მერე შინ შევიდოდა, კისერზე ზონრით ჩამოკიდებულ ქისაში ხელს ჩაჰყოფდა, თავის დღიურ შემოსავალს — ოცდახუთცენტიანს ამოიღებდა და დენის გადაცემდა. დენი კიდე მეკობრესა და იმ ჭაბუკთან ერთად, ვინც იმ დროს შინ აღმოჩნდებოდა, დიდი ამბით საწოლ ოთახში გავიდოდა, იატაკზე მიმოფენილ ლეიბებს ფეხს გადაალაჯებდა, სასთუმალთან მივიდოდა, ბალიშს ასწევდა, ტილოს ჩანთას გამოიღებდა და ახალ მონეტას ჩაუმატებდა. პაისანოები იქვე იდგნენ და შეჰყურებდნენ. ასე გრძელდებოდა კარგა დიდხანს.

ეს ჩანთა მეგობრობის სიმბოლური დულაბი შეიქნა, ურთიერთნდობის ღერძი. ამ ღერძის ირგვლივ ბრუნავდა მათი ძმობა. ეამაყებოდათ ეს ფული, ეამაყებოდათ იმიტომ, რომ ერთხელაც არ წასცდენიათ მისკენ ხელი. მეკობრის ფული ის საძირკველი გახდა, რაზედაც საკუთარი ღირსების შეგრძნების შენობა წამოიმართა. დიდებული საქმეა, როცა კაცს ნდობას უცხადებენ. ამ ცენტებმა მეგობრების შეგნებაში დიდი ხანია დაჰკარგა ნამდვილი ფულის მნიშვნელობა. რაც მართალია მართალია, პირველ ხანებში ხშირად ოცნებობდნენ, რამდენი ღვინის ყიდვა შეიძლებოდა ამ თანხით, მაგრამ მერე გადაეჩვივნენ და ფულად აღარც მიაჩნდათ. ახლა მთელი ეს განძი ოქროს შანდლისთვის ჰქონდათ გამიზნული. იგი წმიდა ფრანცის ასიზელის საკუთრება უნდა გამხდარიყო. წმინდანის გადაკიდება გაცილებით უფრო საშიში საქმეა, ვიდრე კანონებთან გათამაშება.

ერთ საღამოს სწრაფმა და სარწმუნო ტელეგრაფმა, — მისი ასავალ-დასავალი არავინ იცის, — ცნობა მოიტანა, კარმელის მახლობლად სასაზღვრო კატარღა მეჩეჩს შეენარცხაო. დიდი ჯო პორტუგალიელი საკუთარ საქმეზე იყო წასული. სამაგიეროდ დენი, პაბლო, პილონი, ხესუს მარია, მეკობრე და მისი ძაღლები გახარებულები გაემართნენ, რადგან არაფერი ისე არ უყვარდათ, როგორც ზღვის ნაპირზე გამორიყული სასარგებლო და საჭირო ნივთების აკრეფა. ეს ყველაზე სახალისო საქმედ მიაჩნდათ. მართალია, ცოტა კი დაიგვიანეს, მაგრამ მაინც აინაზღაურეს ყველაფერი. მთელი ღამე დათარეშობდნენ ზღვის ნაპირზე და კარგა ბლომად ნივთები დაახვავეს: ხუთგირვანქიანი კარაქის ქილა, კონსერვები, წყლით გაჟღენთილი ასტრონომიული კალენდარი, მეზღვაურის ორი ქურთუკი, პატარა კასრით სასმელი წყალი, მეშველი ნავიდან რომ გადმოვარდნილიყო, და ერთი ტყვიამფრქვევი. გათენებისას უკვე კარგა ბლომად დახვავებულ ნადავლს უდგნენ და ყარაულობდნენ.

ამ სიმძიმე ნივთებს ზურგზე ხომ არ მოიკიდებდნენ და მთელი ექვსი მილის მანძილზე მთა-მთა ხომ არ ათრევდნენ ტორტილა ფლეტამდე?! ადგნენ და მთელი ეს დოვლათი ხუთ დოლარად მიჰყიდეს იქვე მოყიალე დალალს.

რაკიღა მეკობრემ შეშის დამზადება და გაყიდვა ვერ მოასწრო, დენიმ უწილადა ოცდახუთცენტიანი, და მანაც მაშინვე ქისაში უკრა თავი. ამის შემდეგ მონტერეის გზას დაადგნენ, დაქანცულები მძიმედ მიყიალობდნენ ძთა-მთა გაკვალულ ბილიკზე, მაგრამ გულში მაინც ნეტარი მოლოდინის სითბო ჩაჰღვროდათ.

ნაშუადღევი იქნებოდა, როცა დენის სახლს მიაღწიეს. მეკობრემ სა-

ზეიმო ცერემონიალით გახსნა ქისა და ფული დენის გადასცა. ყველანი ჯგროდ შელაგდნენ საწოლ ოთახში. დენიმ ბალიშქვეშ შეაცურა ხელი და... უკანვე გამოიღო, არაფერი გამოჰყვა. ბალიში გადმოისროლა, ნაალიც გადმოაგდო და მძიმედ შემოტრიალდა მეგობრებისაკენ. თვალები ვეფხვივით გაალმასებოდა. სათითაოდ ჩააშტერდა ყველას, და ყველას თვალებში შიში და გულისწყრომა ამოიკითხა. არ შეიძლებოდა ეს თვალთმაქცობა ყოფილიყო.

— ასე ხომ! — შესძახა მან, — ასე!

მეკობრეს ტირილი წასკდა. დენიმ ბეჭებზე მოხვია ხელი.

— ნუ იტირებ, ძმობილო, — უთხრა მან, — ახლავე მიიღებ შენს ფულს.

უხმოდ გამოვიდნენ ოთახიდან. დენი ეზოში გავარდა და ნაძვის მძიმე ნაპობი გამონახა, სამი ფუტის სიგრძისა. ჰაერში გააზუზუნა, გამოსცადა, პაბლო სამზარეულოში შევიდა და ძველისძველი, კონსერვის გასახსნელი ჩაჟანგული დანა გამოიტანა; ხესუს მარიამ სახლის ქვეშ წერაქვის ტარი მოძებნა და გამოიღო. მეკობრე გაოგნებული შესცქეროდა მეგობრებს. ბოლოს ყველანი სახლში შებრუნდნენ და ხმის ამოუღებლად ჩამოსხდნენ.

მეკობრემ ცერი მონტერეისკენ გაიშვირა და იკითხა:

— ისა?

დენიმ მძიმედ დაუქნია თავი. თვალებში ცეცხლი ჩაჰქრობოდა, თითქოს ლიბრი გადაეკრაო. ნიკაპი წინ გამობზეკოდა. იჯდა. რაღაცნაირად დაგრეხილიყო, როგორც დასაგესლად შემართული ჩხრიალა გველი.

მეკობრე ეზოში გავიდა და ცული მიწაში ჩაფლა.

დიდხანს ისხდნენ ასე ოთახში. ხმა არავის გაულია, მაგრამ ცივი გაგულისების ტალღა განუწყვეტლივ მოძრაობდა და აქეთ-იქით აწყდებოდა. ისეთი განწყობილება სუფევდა, თითქოს მთელი სახლი ასაფეთქებელ კლდედ ქცეულიყო და ბიკფორდის ზონარს მოდებული ცეცხლი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა დინამიტს.

მოსაღამოვდა, მზე გორაკს მოეფარა. მთელი ტორტილა ფლეტი თითქოს მოლოდინში გაიტრუნა.

ქუჩიდანვე მოესმათ მისი ფეხის ხმა და ხელში ჯოხები მოიმარჯვეს. ჯო პორტუგალიელი ნირწამხდარი კაცის ნაბიჯით ავიდა პარმაღზე და ოთახში წინა კარიდან შევიდა. ხელში ღვინის ბოთლი ეჭირა. დამფრთხალი თვალები ოთახში მოატარა, სახეები შეათვალიერა, მაგრამ ბიჭები ჩუმად ისხდნენ და მას არც შეჰყურებდნენ.

— გამარჯობათ! — ამოთქვა დიდმა ჯომ.

— გაგიმარჯოს, — მიუგო დენიმ. წამოდგა და ზანტად გაიზმორა. თვალებში არ შეუხედავს, არც ნაბიჯი გადაუდგამს მისკენ. კუთხისკენ გაემართა, თითქოს გვერდი უნდა აუქციოსო. რომ გაუპირდაპირდა, შემართული გველის სისწრაფით თხლიშა. ჯოხი ზედ კინკრიხოში მოხვდა. დიდი ჯო გულწასული დავარდა. დენიმ ჯიბიდან ტყავის თასმები ამოიღო და დიდი ჯოს ხელის ცერები ერთმანეთს გადააბა.

— ახლა წყალი დაასხით, — ბრძანა მან.

პაბლომ ვედროთი შეასხა წყალი სახეში. დიდმა ჯომ თავი მოაბრუნა და კისერი წიწილასავით წაიგრძელა, მერე თვალი გაახილა და, გამოლენჩებული, მეგობრებს მიაშტერდა. ბიჭებს არც ახლა გაულიათ ხმა. დენიმ

ფრთხილად მოზომა მანძილი, გოლფის მოთამაშე რომ დაუმიზნებს ხოლმე ბურთს. ახლა უკვე ბეჭებზე მოხვდა ჯოხი დიდ ჯოს. მეგობრები გულგრილად და დინჯად შეუდგნენ საქმეს. ხესუს მარიამ ფეხები დაისაკუთრა, დენის მკერდი და ბეჭები ერგო. დიდი ჯო ბღაოდა და იატაკზე სხმარტალებდა. დაუშინეს და დაუშინეს, კისრიდან მოკიდებული ქუსლებამდე ერთი ბეწო ადგილი აღარ დაუტოვეს, რამდენს მოიქნევდნენ, სულ ახალ და ახალ ადგილზე ხვდებოდა. გამაყრუებელი ღრიალი იდგა. მეკობრე შორიდან საწყლად შესცქეროდა. ხელში ცული მოემარჯვებინა.

ბოლოს, როცა მთელი სხეული დაულილავეს, შედგნენ. პაბლომ დიდი ჯოს თავთან ჩაიჩოქა და ხელში კონსერვის დანა მოიმარჯვა, პილონმა ფეხსაცმელები წააძრო პორტუგალიელს და ჯოხი აიღო.

შეშინებულმა დიდმა ჯომ იწივლა:

— ჭიშკართან არის ჩამარხული... იწამეთ ღმერთი, ნულარ მომკლავთ!

დენი და პილონი მაშინვე გავარდნენ სახლიდან და რამდენიმე წუთში ტილოს ჩანთა შემოიტანეს.

— რამდენი მოაკელი? — ჰკითხა დენიმ. მისი ხმა არავითარ გრძნობას არ გამოხატავდა.

— ოთხი მხოლოდ, ღვთის მადლმა... ოთხის მეტი არ ამომიღია. სადმე სამუშაოს ვიშოვნი და უკანვე დავაბრუნებ.

დენი დაიხარა, მხრებში ჩასჭიდა ხელი და გადააბრუნა, პირქვე ჩაამხო. მეგობრები მიცვივდნენ და ახლა ზურგზე ჩაუტარეს ისეთივე პროცედურა. ყვირილი თანდათან მიწყდა, ხმა სულ უფრო და უფრო უსუსტდებოდა ჯოს, მაგრამ მანამ სულ არ დაკარგა გონი, მეგობრებს მუშაობა არ შეუწყვეტიათ. პილონმა ლურჯი პერანგი შემოაფხრიწა და ერთიანად დასიებული ზურგი გამოუჩინა, მერე დანა ამოიღო და ჯვარედინად გადაუსერა კანი, სისხლი გამოუშვა. პაბლომ მარილი მოურბენინა და მიეშველა კიდეც, რათა განასერში კარგად შეეზილათ. ბოლოს დენიმ გონდაკარგულ ჯოს საბანი წააფარა.

— მე მგონი, მეტად აღარ ჩაიდენს უპატიოსნობას, — თქვა მან.

— უნდა დავთვალოთ ფული, — შენიშნა პილონმა, — რამდენი ხანია, აღარ დაგვითვლია.

დიდი ჯოს მოტანილი გალონი გახსნეს და მურაბის ქილები შეივსეს — მუშაობას ყველა საშინლად დაექანცა, სულიერადაც გამოფიტულიყვნენ. მერე ათ-ათი მონეტა გადათვალეს და სვეტებად ჩამოაწყვეს. შემდეგ ხელახლა დიდი გაფაციცებით დათვალეს.

— მეკობრე! — შესძახა დენიმ, — შვიდით მეტია. ათასს გადაგვიცილებია! მორჩა! უკვე შეგიძლია წმიდა ფრანცისს შეპირებული შანდალი უყიდო.

იმდენი რამე გადახდა თავს იმ დღეს, რომ მეკობრემ ვეღარ გაუძლო, კუთხეში მიეგდო ძაღლებთან, თავი ღინღლას ბეწვში ჩარგო და ისტერიკული ქვითინი აუტყდა. ძაღლები წრიალს მოჰყვნენ, ყურებს ულოკავდნენ, თავზე დრუნჩსა ჰკრავდნენ. მხოლოდ ღინღლას შეეგრძნო დიდი პატივი, სწორედ ის რომ ამოირჩიეს. გაუნძრევლად იწვა და დრუნჩითღა ეხებოდა მეკობრეს კისერში ჩამოზრდილ გაბურძგნულ თმაზე.

დენიმ მთელი ფული ჩანთაში ჩააბრუნა და ისევ ბალიშის ქვეშ ამოდო.

ამასობაში დიდი ჯო გონს მოეგო და აკნავლდა; მარილს უკვე დაეწყო მოქმედება. პაისანოები ყურადღებასაც არ აქცევდნენ, სანამ ბოლოს ხესუს მარიამ, ამ კაცთმოყვარეობის მსხვერპლმა, ცერები არ გაუხსნა დიდ ჯოს და ქილით ღვინო არ დაალევინა.

— მტრებმაც კი ჩვენს მაცხოვარს მცირე ნუგეში აღირსეს, — მოიბოდიშა მან.

ამით დამთავრდა სასჯელი. მეგობრები ალერსიანად შემოეხვივნენ დიდ ჯოს, დენის ლოგინზე დააწვინეს და ჭრილობიდან მარილი მობანეს. თავზე ცივ ტილოს ადებდნენ და ქილაში ღვინოს უსხამდნენ. რამდენჯერაც ხელს შეახებდნენ, იმდენჯერ ამოიკვნესებდა დიდი ჯო. მისი ზნეობრივი პრინციპები ალბათ უცვლელი დარჩა, მაგრამ იმის თქმა კი წინასწარვე გადაჭრით შეიძლებოდა, რომ დენის სახლში მობინადრე პაისანოებს თავის დღეში აღარაფერს მოჰპარავდა.

მეკობრეს ისტერიკამ გადაუარა. თავისი წილი ღვინო დალია და, სახეგაბადრულმა, დენის მიაპყრო ყური. იგი არიგებდა — ასე და ასე უნდა მოიქცეო.

— პირდაპირ ასე რომ გავაქანოთ ქალაქის ბანკში, ლატარიის ავტომატიდან მოუპარავთო, იფიქრებენ. ისევ მამა რამონს მივუტანოთ ფული და ყველაფერი ავუხსნათ. თვითონვე იყიდის ოქროს შანდალს. აკურთხებს კიდეც. მეკობრე კი პირდაპირ ეკლესიაში შევა. ვინ იცის, მამა რამონმა იქნებ ქადაგებაშიც მოიხსენიოს კვირას. მეკობრეც იქ უნდა იყოს, თავისი ყურით მოისმინოს.

პილონი ათვალწუნებით შეჰყურებდა მეკობრის ჭუჭყიან, ჩამობრანძულ ტანსაცმელს.

— ხვალ, — უთხრა მან მკაცრად, — იმ ზედმეტ შვიდ მონეტას წაიღებ და ცოტა რიგიან ტანსაცმელს იყიდი. საყოველდღეოდ იქნებ არაფერი უჭირდეს, მაგრამ ასეთ დროს ეკლესიაში მათხოვარივით ვერ შეხვალ. მეგობრებსაც შეარცხვენ.

მეკობრემ ახლა მას მიანათა გაბრწყინებული თვალები.

— ხვალვე ვიყიდი, — აღუთქვა მან.

მეორე დილით მართლაც ჩავიდა მონტერეიში დაპირების შესასრულებლად. ისე ფრთხილად ირჯებოდა და ისე ეშმაკურად ვაჭრობდა, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ამ ორ წელიწადში საერთოდ არაფერი ეყიდნა. დიდი ზეიმით დაბრუნდა დენის სახლში. წითელ-მწვანე ზოლებიანი უჯრულა აბრეშუმის ყელსახვევი და ფერადი შუშის თვლებით გაწყობილი ბრტყელი ქამარი მოიტანა. მეგობრებმა ძალიან მოუწონეს ნავაჭრი.

— კი მაგრამ, რა უნდა ჩაიცვა? — ჰკითხა შეწუხებულმა დენიმ, — თითები წალებიდან გარეთ გამოგიყრია. აბა რა გეგონა, ძალათი რომ გამოჭერი, კოჭრები არ მატკინოსო! ტანზე ჩასაცმელიც არაფერი გაბადია, დაგლეჯილი კომბინეზონის მეტი. არც ქუდი გაქვს.

— ტანსაცმელი ჩვენ ვათხოვოთ, — თქვა ხესუს მარიამ, — ქურთუკსა და ქილეტს მე მივცემ, პილონს მამისეული ქუდი აქვს. შენ პერანგი ათხოვე, დენი. დიდი ჯო კიდე თავის მშვენიერ ლურჯ შარვალს გაიმეტებს.

— მაშინ ჩვენ ვეღარ წავალთ, — შეესიტყვა პილონი.

— ჩვენი შანდალი ხომ არ არის, — მიუგო ხესუს მარიამ, — არა მგონია, მამა რამონმა კარგი რამე თქვას ჩვენზე.

იმავე დღეს, საღამო ხანს, განძი მღვდელს მიუტანეს შინ. მღვდელმა მოისმინა სნეული ძაღლის ამბავი და გული მოულბა.

— ...ასე რომ, მამაო, — განაგრძობდა მეკობრე, — სულ გამოუშრა ცხვირი საბრალო ძაღლს, თვალები ზღვიდან გამორიყული ბოთლის ნატეხისფერი გაუხდა. ეგდო და წკავწკავებდა, შიგნეული ეწვოდა. მაშინ, მამაო, წმინდა ფრანცისს ოქროს შანდალი აღვუთქვი, ათას დღეში შემოგწირავ-მეთქი. წმინდა ფრანცისი ხომ ჩემი მფარველია, მამაო. და მართლა სასწაული არ მოხდა! სამჯერ გააქიცინა ძაღლმა კუდი და მოიხედა. განა წმინდა ფრანცისის სასწაული არ იყო ეს, მამაო?

მღვდელმა დინჯად დაუქნია თავი.

— რა თქმა უნდა, — დაუდასტურა მან, — ჩვენს კეთილ წმინდა ფრანცისს სასწაული მოუვლენია. მე გიყიდი შენ იმ ოქროს შანდალს.

მეკობრე სიხარულით ცას ეწია — ხუმრობა საქმე ხომ არ არის, კაცს ლოცვაზე ხელად მოუვლინო სასწაული! ეს რომ გახმაურდეს, მეკობრეს ტორტილა ფლეტში უფრო დიდი მოწიწებით მოექცევიან. მეგობრები უკვე მეტ პატივისცემას გრძნობდნენ მისდამი. ჭკუა არც ახლა მომატებია მათ თვალში, სამაგიეროდ მიხვდნენ, რომ ამ პატარა ჭკუას ციური ძალები და წმინდანები ჰყავდა შემწედ.

უკანვე მოდიოდნენ, შინისკენ, ძაღლებიც მათ მოსდევდნენ. მეკობრეს ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, თითქოს ნეტარების ოქროს ნაკადში განბანილიყოს. ტანში სიამის ჟრუანტელი უვლიდა. პაისანოები კმაყოფილები იყვნენ საკუთარი თავისა, რომ ფული დაზოგეს და შეინახეს, და ამით ოდნავ მათაც წაეცხოთ სიწმინდის მადლი. პილონი გულში შვებასა გრძნობდა, რომ მაშინ ფული არ მოიპარა. ვინ იცის, რა საშინელება დატრიალდებოდა, წმინდანების წილი ფული რომ მას მიეთვისებინა! ისე ჩაჩუმებულიყვნენ მეგობრები, თითქოს ეკლესიაში დგანანო.

იმ გამორიყულ ნივთებში აღებული ხუთი დოლარი დენის თითქოს ჯიბესა სწვავდა. მაგრამ ახლა უკვე იცოდა, რა უნდა ექნა ამ ფულისათვის. პილონთან ერთად ბაზარში შეირბინა და ხუთი გირვანქა შნიცელი, ერთი პარკი ხახვი, პური და მთელი პარკი ტკბილეული იყიდა. პაბლო და ხესუს მარია ტორელისკენ გაემართნენ, ორი გალონი ღვინო გამოართვეს, მაგრამ არც ერთსა და არც მეორეს წვეთიც არ მოუსვამთ, ისე მიიტანეს შინ.

იმ საღამოს, როცა ცეცხლი გააჩაღეს და მაგიდაზე ორი სანთელი შემოდგეს, მეგობრები სუფრას მიუსხდნენ და ქეიფი გამართეს. ეს იყო მეკობრის პატივსაცემი სუფრა, და მასაც ძალიან ღირსეულად ეჭირა თავი, თუმცა ერთთავად იღიმოდა და იღიმოდა, მაშინაც კი, როცა დინჯად უნდა ყოფილიყო. ღიმილს ვერაფერი მოუხერხა.

ჯერ საჭმელს მიდგნენ და, როცა მაგრად დანაყრდნენ, ღვინოზე გადავიდნენ, მურაბის ქილებიდან დაუწყეს წრუპვა. „ჩვენი პატარა მეგობარიო“, მეკობრეს ეძახდნენ.

ხესუს მარიამ ასეთი რამ ჰკითხა:

— რასა გრძნობდი, შანდალი რომ აღუთქვი და ძაღლმა მომჯობინება იწყო? მოჩვენება არ გინახავს? რომელიმე წმინდანი არ გამოგეცხადა?

მეკობრე დაფიქრდა, გახსენება სცადა.

— არა მგონია. იქნებ მოჩვენებასავით რამე ვნახე. იქნებ სან ფრანციზს მოვკარი თვალი ჰაერში, მზესავით რომ ანათებდა...

— მერე ეს არ გახსოვს? — ჩაეკითხა პილონი.

— კი... მგონი, მახსოვს... გადმომხედა კიდეც სან ფრანციზმა... გამიღიმა... ისეთი კეთილი წმინდანია! მაშინ მივხვდი, რომ სასწაული ხდებოდა. ასე გადმომძახა: „შენ, ეი, ტურტლიანო კაცო, ცუგები არ მიწყენინო!“

— ასე გადმოგძახა?

— აბა რა ექნა! მართლა ტურტლიანი ვიყავი და წმინდანი ტყუილს ხომ არ მეტყოდა.

— არა მგონია, შენ რამე დაგხსომებოდეს, — უთხრა პაბლომ.

— ეგეც შეიძლება. თუმცა, მგონი, მახსოვს, — ამდენი პატივისცემისა და ყურადღების გამო მეკობრე ბედნიერებით დამთვრალიყო.

— ერთხელ დიდედაჩემს გამოცხადებია წმინდა ღვთისმშობელი, — თქვა ხესუს მარიამ. — ლოგინად იყო ჩავარდნილი, კვდებოდა, და მე თვითონ გავიგონე, როგორ იყვირა: „ოჰოო! ღვთისმშობელი გამომეცხადა! ოჰოო! ჩემი მწყალობელი მარიამ ღვთისმშობელი გამომეცხადა!“

— ზოგს თავიდანვე აქვს მიმადლებული ეს ნიჭი, — შენიშნა დენიმ, — მამაჩემი მაინცდამაინც კარგი კაცი არა ყოფილა, მაგრამ ზოგჯერ წმინდანები გამოეცხადებოდა... თუმცა ზოგჯერ საძაგელ რამეებსაც ხედავდა... იმისდა კვალობაზე, თვითონ როგორი იყო იმ წუთას — ცუდი თუ კარგი. სხვა არაფერი მოჩვენება გინახავს, მეკობრევ?

— არა, — მიუგო მეკობრემ, — შემეშინდება კიდეც, რომ ვნახო.

დიდხანს ეჭირათ მეგობრებს თავი ღირსეულად. იცინოდნენ, უხაროდათ, რომ ამაღამ მარტონი არ იყვნენ: კედლებზე, ფანჯრებში, ჭერზე — ყველგან წმინდანების თვალებსა გრძნობდნენ, მათზე მიპყრობილს.

— კვირას იქ იქნება უკვე შენი შანდალი, — უთხრა პილონმა, — მაგრამ ჩვენ ვერ წამოვალთ, ჩვენი ტანსაცმელი შენ გეცმება. არა მგონია, სახელით მოგიხსენიოს მამა რამონმა, მაგრამ შანდალზე იქნებ თქვას რამე. დაიმახსოვრე როგორმე, რას იტყვის და მერე ჩვენ გვითხარი.

პილონი თანდათან გაცხარდა:

— დღეს, ჩემო მეგობარო, მამა რამონის სახლი ძაღლებით აივსო. სადღეისოდ არა უშავდა, მაგრამ კვირას ეკლესიაში ძაღლების წაყვანა არასდიდებით არ შეიძლება. ვინ გაიგონა ძაღლები ეკლესიაში! შინ დატოვე.

მეკობრეს საქციელი წაუხდა.

— მაგათაც უნდათ წამოსვლა, — შესძახა მან, — როგორ დავტოვო? სად დავტოვო?

პაბლომ ელდანაცემივით იყვირა:

— აქამდე კარგად გეჭირა თავი, პატარა მეკობრევ. ახლა რა მოგივიდა — მკრეხელობა დაიწყე?!

— რა ბრძანებაა! — მორჩილად უპასუხა მეკობრემ.

— მაშ, შინ დატოვე ძაღლები, ჩვენ მივხედავთ. მაგათი ეკლესიაში წაყვანა ნამდვილი მკრეხელობა იქნება.

გასაკვირი იყო — რამდენს სვამდნენ და მაინც ფხიზლად იყვნენ იმ ღამეს. სამი საათი გავიდა და მეოელა წამოიწყეს უწმაწური სიმღერა. მსუბუქი ყოფაქცევის ქალებიც როდის-როდის გაახსენდათ! ხოლო ჩხუბი რომ მოინდომეს, უკვე აღარაფრის თავი არა ჰქონდათ, ძილი ეკიდებოდათ. ეს ღამე განსაკუთრებული იყო მათ ცხოვრებაში.

კვირა დილას დიდი სამზადისი ჰქონდათ. მეკობრე დაბანეს, ყურები და ცხვირის ნესტოები გაუსინჯეს. საბანში გახვეული დიდი ჯო მუშტრის თვალით აკვირდებოდა თავის ლურჯ, სარჟის შარვალში გამოწყობილ მეკობრეს. პილონმა მამისეული ქუდი გამოიტანა. ბიჭებმა დაარწმუნეს მეკობრე, შუშის „მარგალიტებით“ გაწყობილი ქამარი გარედან არ შემოერტყა; იქვე აჩვენეს, ქურთუკი თუ გახსნილი ექნებოდა, „მარგალიტები“ მაინც გამოჩნდებოდა და გაიელვებდა. ყველაზე თავსატეხი წაღები გამოდგა. მარტო დიდი ჯოს ფეხსაცმელები მოერგო და ისიც მეკობრისაზე უარესი აღმოჩნდა. მთელი უბედურება ის იყო, რომ კოჭრების გამო გამოჭრილ ფეხსაცმელიდან თითები გარეთ გამოსჩროდა. ბოლოს ამისი ხერხიც გამოძებნა პილონმა — ღუმელიდან ჭვარტლი გამოფხიკა და ისე კარგად შეზილა კანში, კოჭრები თითქმის სულ დაუფარა.

როგორც იქნა გამოაწყეს მეკობრე. თავზე პილონის მამის ქუდი ეკოსა კოხტად, ეცვა დიდი ჯოს შარვალი; კისერზე ვეება ყელსახვევი ეხვია, გახსნილი ქურთუკიდან კი ქამარში დამაგრებული ძვირფასი „თვალ-მარგალიტი“ ბრწყინავდა!..

მეგობრების წინ აიარ-ჩაიარა, და მათაც მუშტრის თვალით შეამოწმეს.

— ფეხი მაღლა ასწი!

— ქუსლს ნუ მიათრევ!

— ყელსახვევს ნუ აწვალებ.

— ხალხი იფიქრებს, კარგი ტანსაცმელი ჯერ არა სცმიაო.

ბოლოს მეკობრე ამხანაგებს მიუბრუნდა.

— ძაღლების წაყვანაც რომ შეიძლებოდეს, — თავი მოისაწყლა მან, — მე თვითონ გავაფრთხილებდი და ეკლესიაში აღარ შემოვიდოდნენ.

მაგრამ პაისანოები მაგრად იდგნენ თავიანთ სიტყვაზე.

— არა, — უთხრა დენიმ, — მაინც შეძვრებიან, ვერ დააკავებ. ძაღლებს ჩვენ თვითონ მივხედავთ აქ.

— იწყენენ, მარტოკა მოსწყინდებათ კიდეც, — საწყლად თქვა მეკობრემ და ძაღლებისკენ მიბრუნდა, კუთხეში რომ მიყუჟულიყვნენ. — თქვენ აქ დარჩებით, ეკლესიაში თქვენი წამოსვლა არ ივარგებს. ჩემს მეგობრებთან დარჩით აგერ, მანამ დავბრუნდებოდე.

ესა თქვა და ხელად გავარდა, კარი გაიხურა. სახლში მაშინვე საშინელი გნიასი ატყდა. მეგობრების სამართლიანობის რწმენა რომ არა ჰქონოდა, მეკობრე უსათუოდ მოლბებოდა და დაბრუნდებოდა.



ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ
საბელმწიფო რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა

მიდიოდა ქუჩაში და თან ასე ეგონა, ძაღლები რომ არ ახლდა, თითქოს ტიტველი და ბედის ანაბარად მიგდებული ყოფილიყოს, თითქოს ადამიანის ხუთ გრძნობათაგან ერთ-ერთი დაჰკარგოდეს. შეეშინდა კიდეც მარტოკას, ვინმე არ დამესხასო. მაგრამ მაინც მამაცურად განაგრძო გზა, ქალაქი გაიარა და წმინდა კარლოსის ეკლესიას მიადგა.

წირვის დაწყებამდე ეკლესიის კარი გააღეს. მეკობრემ ემბაზში ხელი ჩაჰყო და ნაკურთხი წყლით დაისველა, მერე პირჯვარი გადაიწერა, ღვთისმშობლის წინაშე მუხლი მოიყარა, ეკლესიაში შევიდა, საკურთხევლის წინაშე თავი დახარა და დაჯდა. წაგრძელებული ეკლესია სანახევროდ ჩაბნელებული იყო, მაგრამ საკურთხეველი სანთლებს გაეჩირაღდნებინა. კედლებზე ჩამწკრივებული ხატებისათვის აღთქმული სანთლები დაენთოთ. ეკლესიაში ძველი საკმეველის საამური სურნელი იდგა.

მეკობრე ერთხანს იჯდა და საკურთხეველს შესცქეროდა, მაგრამ მეტისმეტად შორს იყო ეს საკურთხეველი, მეტისმეტად წმინდა და ღარიბი კაცისთვის მიუწვდომელი ჩანდა, ამიტომ დიდხანს მასზე ფიქრი ვერც შესძლო. მისი თვალები ახლა ისეთ რასმე დაეძებდა, რაც არ დააფრთხობდა. უცებ წმინდა ფრანცისის გამოსახულების წინ თვალი მოჰკრა ლამაზ ოქროს შანდალს, შიგ მაღალი სანთელი ენთო.

მეკობრემ მღელვარებისაგან ამოიხვნეშა. ეკლესია უკვე ხალხით გავსო, კარი დაიკეტა, წირვა დაიწყო, მაგრამ მეკობრეს ვერადა ვერ მოეწყვიტა თვალი თავისი წმინდანისა და თავისი შანდლისათვის. მართლაც რომ ლამაზი შანდალი იყო. აღარც კი ეჯერებოდა, რომ ეს მან, მეკობრემ, შესწირა. სახეზე დააკვირდა წმინდანს, აბა თუ მოსწონს შანდალიო. დარწმუნებით შეეძლო თქმა, რომ წმინდა ფრანცისი ზოგჯერ გაიღიმებდა ხოლმე ისეთი ღიმილით, როცა კაცი სასიამოვნო რამეზე ფიქრობს და უნებურად ეღიმება.

ბოლოს ქადაგებაც დაიწყო.

— ჩვენს ეკლესიას ახალი სამკაული შეემატა, — განაცხადა მამა რამონმა, — ეკლესიის ერთ-ერთმა შვილმა წმინდა ფრანცისის სადიდებლად ოქროს შანდალი შემოსწირა. — იგი მოჰყვა ძაღლის ამბავს. მოჰყვა მშრალად და თან მრევლს ათვალიერებდა, ვიდრე ზოგიერთს ღიმილი არ შეამჩნია სახეზე.

— სასაცილო არაფერია, — თქვა მან, — წმიდა ფრანცისს ისე უყვარდა ცხოველები, რომ უქადაგებდა კიდეც მათ.

ამის შემდეგ მამა რამონმა ილაპარაკა გუბითელ ავ მგელზე, გვრიტებსა და ტოროლებზე. მეკობრე გაკვირვებული შეჰყურებდა.

უცებ კარებს რაღაც მოეხეთქა. გამწარებული ყეფა და ფხაკუნის ხმა გაისმა. კარი შემოიფეთა და ღინღლა, რუდოლფი, ენრიკე, პახარიტო და სენიორ ალეკ თომპსონი შემოჯირგილდნენ. ცხვირი მაღლა აებზიკათ, ჰაერს იყნოსავდნენ და უცებ ასევე ჯგროდ, ძიძგილ-ძიძგილით მეკობრისკენ გაქანდნენ. წკავწკავითა და კნავილით შეახტნენ, გუნდად შემოერტყნენ.

მღვდელმა ქადაგება შეწყვიტა, რა ალიაქოთიაო, გამოიხედა. გამწარებული მეკობრე უმწეოდ იყურებოდა უკან. ყველაფერი წყალში ჩაუცვივდა, საბოლოოდ მაინც ღვთისმკრეხელობა გამოუვიდა.

მამა რამონს გაეცინა და მთელმა მრევლმაც გაიცინა.

— ძაღლები გაიყვანე, — უთხრა მოძღვარმა, — გარეთ დაიცადონ, მანამ მოვრჩებოდეთ.

დაბნეულმა და დარცხვენილმა მეკობრემ ძაღლები გარეთ გაიყვანა.

— ასე არ შეიძლება, — უთხრა მან ძაღლებს, — მე თქვენზე გაბრაზებული ვარ. როგორ შემარცხვინეთ.

ძაღლები მიწას გაეკრნენ და საცოდავად აწკავწკავდნენ.

— ვიცი, რაც გააკეთეთ, — განაგრძო მეკობრემ, — მეგობრები დამიკბინეთ, ფანჯარა გასტეხეთ და გამოვარდით. ახლა აქ დამიცადეთ, თქვე ცოდვისშვილებო და მკრეხელებო!

განადგურებული და სინანულით გაქელილი ძაღლები იქვე დატოვა და ეკლესიაში შებრუნდა. ხალხი კვლავ იცინოდა. გახედეს, თვალი გააყოლეს. მეკობრე თავის ადგილზე მივიდა და მოიკუნტა, რომ არავის დაენახა.

— ნუ გრცხვენია, — მიმართა მამა რამონმა, — ცოდვა სულაც არ არის, ძაღლებს რომ უყვარხარ. არც ის არის ცოდვა, შენ რომ გიყვარს ძაღლები. აბა, ყური დამიგდე, წმინდა ფრანცისს როგორ უყვარდა ცხოველები.

და მღვდელი კეთილი წმინდანის თავგადასავალს მოჰყვა.

მეკობრეს უკვე აღარ რცხვენოდა, ტუჩები აუცმაცუნდა.

„ეჰ, — გაიფიქრა მან, — ნეტა ჩემი ძაღლებიც ისმენდნენ ამას. როგორ გაეხარდებოდათ!“

ქადაგება დამთავრდა, მაგრამ მეკობრეს კვლავ ჩაესმოდა ახლახან მოსმენილი ამბები. ანგარიშმიუცემლად იწერდა პირჯვარს, ყოველგვარ რიტუალს ასრულებდა, მაგრამ წირვას უკვე აღარ ისმენდა. გამოვიდა თუ არა წირვა, პირველი გავარდა კარში. დარცხვენილი და დაღონებული ძაღლები მიუახლოვდნენ და შემოერტყნენ.

— წამოდით, — შესძახა მან, — რაღაც უნდა გიამბოთ.

ძუნძულით შეუყვა აღმართს ნაძვნარისაკენ და ძაღლებიც ხტუნვა-ხტუნვით მიჰყვნენ. როგორც იქნა, მიაღწია ტყეს, მაგრამ არ შეჩერებულა, მაინც განაგრძობდა გზას, ვინემ მოგრძო ქაშანს არ მიადგა; ნაძვები აქ ორ მწკრივად იყო ჩარიგებული და ტოტებით ერთმანეთს ეხებოდნენ, თაღსა ქმნიდნენ. მეკობრე შედგა და საწყლად მიიხედ-მოიხედა.

— მინდა ყველაფერი ისევე იყოს, როგორც იქ, — თქვა მან, — ნეტა თქვენც ყოფილიყავით და თქვენი ყურით მოგესმინათ მღვდლის სიტყვები, — ერთი დიდი ქვა გამოძებნა და მეორეს დაადო, — აჰა, ეს იყოს წმინდა ფრანცისი, — უთხრა მან ძაღლებს. ჩხირი მოტეხა და წინ ჩაუსო, — ეს კიდე შანდალი იქნება. სანთელიც ვითომ შიგ არის.

ტყეში მკრთალი ბინდი იდგა, ჰაერი ძინთის სასიამოვნო სუნით იყო გაჟღენთილი. ხეები ნიავს ეჩურჩულებოდნენ. მეკობრემ მტკიცედ უბრძანა თავის ძაღლებს:

— შენ აქ დაჯდები, ენრიკე. რუდოლფ, შენ აქა. ღინღლა ყველაზე პატარაა და ჩემთან იყოს. პახარიტო, ამოდენა რომ აყუდებულხარ და ჭკუა კი არ გაქვს, შენ აქ დაჯექი და წესიერად მოიქეცი. სენიორ ალეკ თომპსონ, დაწოლა არ შეიძლება.

ორ მწკრივად მოაწყო თავისი ძაღლები: ორი — წინა რიგში და სამიც — უკან.

— ახლა ყველაფერი დაწვრილებით უნდა გიამბოთ. ეკლესიაში ყეფა მოგიტევეს. მამა რამონმა თქვა, ამჯერად ეს მკრეხელობად არ ჩაითვლებაო. მაშ ყური დამიგდეთ, რა გიამბოთ.

ძაღლები თავთავიანთ ადგილას ჩაცუცქულიყვნენ და დინჯად შესცქეროდნენ. სენიორ ალეკ თომპსონმა კუდი გააქიცინა, მანამ მეკობრე მისკენ მიბრუნდებოდა.

— ამისთანა რამეები ახლა არ შეიძლება, — უთხრა მეკობრემ, — წმინდა ფრანცისი არ იწყენს, მაგრამ მე თვითონ არ მომწონს. გელაპარაკები და შენ ამ დროს კუდს აქიცინებ. წმინდა ფრანცისის ამბებს უნდა მოგიყვეთ.

იმ დღეს მის მეხსიერებას შთაგონება ეწვია. მზემ აქა-იქ ნაძვის ტოტებში გაატანა და წიწვების ხალიჩაზე სამი მარგალიტი მოხატა. ძაღლები მოთმინებით ისხდნენ, თვალები მეკობრის ტუჩებისთვის მიეშტერებინათ. ყველაფერი უამბო მან, რაც კი მღვდელმა თქვა და იქადაგა, ერთი სიტყვაც არ გამოუტოვებია.

როცა დაამთავრა, ზეიმით გადახედა ძაღლებს.

— სულ წმინდა ფრანცისმა ქნა ეს, რაც გიამბეთ.

ნაძვებმა ჩურჩული შეწყვიტეს. ტყე მონუსხულივით დადუმებულიყო.

უცებ მეკობრის ზურგს უკან სუსტი ხმა გაისმა. ძაღლებმა ყურები ცქვიტეს და წამოიმართნენ. მეკობრეს შეეშინდა თავის მიბრუნება. გაიარა ამ გრძელმა წამმა.

და მორჩა. ძაღლებმა თავი დახარეს, ნაძვის კენწეროებს კვლავ სიცოცხლე დაუბრუნდა. წიწვების ხალიჩაზე ისევ ამოძრავდა მზის სხივების მარგალიტი.

მეკობრე ისეთი ბედნიერი იყო, რომ სიხარულმა გული ატკინა.

— დაინახეთ? — შესძახა მან, — წმინდა ფრანცისი იყო? ო, რა კარგი ძაღლები ხართ, წმინდანი გამოგეცხადათ.

ისეთი კილოთი იყო ეს თქმული, რომ ძაღლები წამოხტნენ, პირი დააღეს და კუდი აპრიხეს.

13

## როგორ თავგამოდებით დაეხმარნენ დენის მეგობრები გაჭირვებაში ჩავარდნილ ქალს

სენიორა ტერესინა კორტეზი, მისი რვა შვილი და გადაყრუებული დედა—ვიეხა ერთ კოპწია სახლში ცხოვრობდნენ. სახლი გადმომდგარი იყო ხრამზე, რომელიც სამხრეთით ტორტილა ფლეტს ესაზღვრებოდა. ტერესინა კოხტა ქალი იყო, ოცდაათამდე წლისა. დედამისი კი, ეს გადაყრუებული, ჩამომჭკნარი, კბილებჩაცვენილი დედაბერი, წარსული თაობის უბადრუკი ნაშთი, დაახლოებით ორმოცდაათისა იქნებოდა. დიდი ხანია ყველას დავიწყებოდა, რომ მისი სახელი ანჟელიკა იყო.

მთელი კვირა მისმა ხელებმა მოსვენება არ იცოდა. რვა ბავშვიდან შვიდისთვის მას უნდა ეჭმია, გაჯავრებოდა, მოლაქუცებოდა, ჩაეცმია და დაეძინებინა კიდეც. ტერესინას მერვეს მოვლა ევალებოდა, თან მეცხრე შვილის დასახვედრადაც ემზადებოდა.

კვირადღეობით ვიეხა თავისზე უხნეს ძველ შავი ფარჩის კაბაში გამოეწყობოდა, ჩალის ხმელ შავ ქუდს დაიხურავდა, სამკაულად ერთი წყვილი შელებილი თიხის ალუბალი რომ ეკრა, საქმეს მიაგდებდა და მტკიცე ნაბიჯით გასწევდა ეკლესიაში, სადაც ისევე გაუნძრევლად იჯდა, როგორც წმინდანები თავთავიანთ წალოებში. თვეში ერთხელ, საღამო ხანს, ზიარების მისაღებად წავიდოდა ხოლმე. თუმცა ღმერთმა უწყის, რა ცოდვებს ანდობდა იგი მოძღვარს, ან სად პოულობდა დროს ამ ცოდვების ჩასადენად, როცა ტერესინას სახლი გაჭედილი იყო მცოცავი, მხოხავი, ფეხმოჩვართული, მწივანა ულმობელი არსებებით თუ ისეთი ხალხით, პანტაპუნტით რომ ცვიოდნენ ხოლმე ხიდან და ყოველ ორ საათში ერთხელ მაინც გამგელებულნი მოითხოვდნენ საჭმელს.

რა გასაკვირია, რომ ვიეხას აუშფოთებელი გული და რკინის ნერვები ჰქონდა. ასე რომ არ ყოფილიყო, რა ძალა დაამაგრებდათ — წივილ-წივილით გაშორდებოდნენ სხეულს, როგორც ფეირვერკის შუშხუნები.

ტერესინას გონებას მუდამ რაღაც ბურუსი ეკრა თითქოს, მისი სხეული კი შესანიშნავი რეტორტა იყო ბავშვების დისტილაციისათვის. პირველი ბავშვი თოთხმეტი წლისას გაუჩნდა და ეს ისეთი ელდა იყო მისთვის, რომ ბეისბოლის პარკში მოიმშობიარა, ღამით ჩვილი გაზეთში გაახვია და იქვე დატოვა. მერე ღამის დარაჯმა იპოვა ბავშვი. ეს საიდუმლოდ დარჩა. ახლაც კი დიდი უსიამოვნება შეხვდებოდა ტერესინას, ეს საქმე რომ გამოაშკარავებულიყო.

თექვსმეტი წლისა როცა გახდა, მისტერ ალფრედ კორტეზმა შეირთო — თავისი სახელი და ოჯახის ორი ქვაკუთხედი, ალფრედო და ერნი აჩუქა. მისტერ კორტეზმა ხალისით და სიამოვნებით აჩუქა თავისი სახელი — სულ ერთია, თვითონ მაინც დროდადრო სარგებლობდა ამ სახელით. ვინემ მონტერეიში ჩამოვიდოდა და მონტერეიდან წასვლის შემდეგაც მისი სახელი გუგლიემო იყო. ერნი დაიბადა და მისტერ კორტეზიც გაემგზავრა. ეტყობა, მიხვდა, რომ ტერესინას ქმრობა მშვიდობიან ცხოვრებას არ უქადდა.

ისეთი თანამიმდევრობით აჩენდა ხოლმე ტერესინა შვილებს, რომ თავად უკვირდა: ზოგჯერ თვითონაც არ იცოდა, მომავალი ბავშვის მამა ვინ იყო; ის კი არა, ზოგჯერ კიდეც სჯეროდა, რომ მამა საერთოდ სულაც არ იყო საჭირო. ერთხელ კარანტინში მოხვდა, როგორც დიფტერიის ბაცილმატარებელი, მაგრამ ამანაც არ უშველა. ძალიან რომ აიბურდებოდა საქმე და თვითონვე გაუჭირდებოდა გარკვევა, ღვთისმშობელს მიანდობდა, ვისაც, მისი აზრით, ამნაირი საქმეების გასარკვევად ცოდნა-გამოცდილებაც მეტი ჰქონდა, სურვილიცა და დროც.

ტერესინა ხშირად დადიოდა ზიარების მისაღებად და მუდამ საგონებელში აგდებდა მამა რამონს. მოძღვარი აშკარად ხედავდა, რომ, ვიდრე ქალის მუხლები, ხელები და ტუჩები ძველი ცოდვების მონანიებაში იყო,

ჩამოშვებულ წამწამებს ქვეშ მოელვარე მისი მიბნედილი და გამომწვევი თვალები ახალი ცოდვისათვის ემზადებოდა.

სანამ მე ამ ამბებს მოგიყვებოდით, ტერესინას მეცხრე ბავშვი შეეძინა და დროებით თავისუფლება მიიღო. ვიეხას ახალი საზრუნავი მიემატა. ალფრედო მესამე კლასში გადავიდა, ერნი — მეორეში, პანჩიტო კი ის იყო პირველში შევიდა.

იმხანად კალიფორნიის სკოლებში წესად იქცა — მოწყალების დები კლასებს შემოივლიდნენ და ბავშვებს საოჯახო ცხოვრების წვრილმანებს გამოჰკითხავდნენ. ჯერ ალფრედო გამოიძახეს დირექტორთან: მეტისმეტად გამხდარი მოეჩვენათ.

მოწყალების დამ, ბავშვის ფსიქოლოგიის კურსი რომ ჰქონდა გავლილი, ალერსით მიმართა:

— ფრედი, საჭმელი სამყოფი გაქვს?

— აბა რა, — მიუგო ალფრედომ.

— ძალიან კარგი. მაშ, ეს მითხარი, საუზმედ რასა ჭამ ხოლმე?

— კვერსა და მუხუდოს.

მოწყალების დამ დირექტორს გადახედა და თავი ნაღვლიანად გააქნია.

— სადილად? სადილად რაღას ჭამ, შინ რომ მიდიხარ?

— შინ არ დავდივარ.

— მაშ, სადილს არა ჭამ?

— როგორ არა. კვერში მუხუდოს გავახვევ და მომაქვს.

მოწყალების დას აშკარად შიში ჩაუდგა თვალებში, მაგრამ თავი შეიკავა.

— საღამოს რაღას ჭამ?

— კვერსა და მუხუდოს.

მთელი ფსიქოლოგია ერთბაშად გადაავიწყდა მოწყალების დას.

— შენ რა — გინდა დამიმტკიცო, რომ კვერისა და მუხუდოს მეტს არაფერს არ ჭამ?

ალფრედოს გაუკვირდა.

— იესო მაცხოვარო, — შესძახა მან, — მეტი აბა რაღა გინდა?

სკოლის ექიმმაც მოისმინა მოწყალების დის შემაძრწუნებელი ცნობა. ერთ დღეს მანქანაში ჩაჯდა და პირდაპირ ტერესინას სახლს მიადგა ამბის გასარკვევად. ეზოში რომ შედგა ფეხი, მცოცავთა, მხოხავთა და ფეხმოჩვართულთა ყურისწამღები სიმფონია იქაურობას იკლებდა. ექიმი სამზარეულოს შელებულ კართან შედგა. საკუთარი თვალით დაინახა, როგორ მივიდა ვიეხა ღუმელთან, ქვაბში ციცხვი ჩაჰყო და მოხარშული მუხუდო იატაკზე მოაბნია. კივილი ხელად მიწყდა. მცოცავები, მხოხავები და ფეხმოჩვართულები ხმის ამოუღებლად შეუდგნენ საქმეს, მუხუდოს მარცვალ-მარცვალ კრეფდნენ და მხოლოდ გადასანსვლის დროს შედგებოდნენ მცირე ხნით. რაკი სიწყნარე ჩამოვარდა, ვიეხამ დრო იხელთა და თავის სკამთან მიბრუნდა. ბავშვები წვრილი ხოჭოებივით დაძვრებოდნენ საწოლსა, სკამებსა და ღუმელს ქვეშ და გამწარებით ეძებდნენ მუხუდოს მარცვლებს. ექიმი ისე მოიცვა მეცნიერულმა ინტერესმა, რომ მთელი ორი საათი იქ დარჩა. როცა გაბრუნდა, გაოგნებული კაცი თავსღა აქნევდა.

მოხსენებას რომ აკეთებდა, არც მაშინ შეუწყვეტია თავის კანტური.

— ყოველნაირად შევამოწმე, — განაცხადა მან, — კბილებიც გავუსინჯე, კანიც, სისხლიც, ძვლებიც, თვალებიც, კოორდინაციაც... ბატონებო, რითი იკვებებიან, იცით? ნელა მოქმედი შხამით. და ასე არიან დაბადებიდანვე. ბატონებო, პირდაპირ უნდა განვაცხადო, ჩემს დღეში არ შევხვედრივარ ამისთანა ჯანმრთელ ბავშვებს! — ექიმს გრძნობები მოერია, — პატარა მხეცუნები! ჩემს დღეში არ მინახავს ამისთანა კბილები! ჩ ე მ ს დ ღ ე შ ი!

ალბათ გიკვირთ, სად შოულობდა ტერესინა ბავშვების საჭმელს.

მინდვრებსა და კალოებზე, საცა მუხუდოს ცეხვავენ, მუდამ რჩება ხოლმე ჩენჩოს დიდი ხვავები. ამ ხვავების გვერდით საბანს თუ გაშლი და ქარიან დღეს ჩენჩოს გაანიავებ, დარწმუნდები, რომ მცეხველები უცოდველნი არ არიან. ნაშუადღევამდე რომ წაიმუშაო ასე, ოც გირვანქაზე მეტ მუხუდოს შეაგროვებ.

შემოდგომაზე ვიეხა უკვე ფეხადგმულ ბალღებს მინდორში წაასხამდა და მუხუდოს ჩენჩოს ანიავებდა. ფერმერებსაც რა ენაღვლებოდათ — ვიეხა მათ არაფერს უშავებდა. სამას-ოთხას გირვანქაზე ნაკლებს თუ შეაგროვებდა ვიეხა, ის წელიწადი მწირად ჩაითვლებოდა. ხოლო ოთხასი გირვანქა მუხუდო თუ შინ გეგულება, შიმშილის შიში რატომღა უნდა გქონდეს! ზოგჯერ ბედი გაუღიმებდა და პირის ჩასატკბარუნებელსაც იშოვიდა — მაგალითად, შაქარს, პამიდორს, წიწაკას, ყავას, ხორცს — ხან რაღაც სასწაულით, თვით ღვთისმშობლის შემწეობით, ხანაც საკუთარი მოხერხების წყალობით. მაგრამ კიდეც რომ არ ეშოვა, მუხუდო ხომ შინ ჰქონდა და დაარხეინებული იყო. მუხუდო კუჭის სახურავს წარმოადგენს. მუხუდო თბილი მოსასხამია, გაჭირვების სუსხისგან იფარავს ადამიანს.

მხოლოდ ერთ რამეს შეეძლო აეფორიაქებინა სენიორა ტერესინა კორტეზის ოჯახის ბედნიერება და მყუდროება — მუხუდოს მოუსავლიანობას.

მუხუდო რომ შემოვა, ძირიანად დასთხრიან და ერთად დაახვავებენ, რათა დაცეხვის წინ კარგად გამოშრეს და გამოხმეს. მაშინ იწყება ხოლმე ლოცვა-ვედრება, არ გაავდრდესო. როცა გადაშავებულ მინდორზე ყვითლად აელვარდება მუხუდოს პარკები, გლეხებს სულ ცისკენ აქვთ თავი აღრეცილი და რამდენი ღრუბლის ნაგლეჯი გამოჩნდება, შიშით უბღვერენ ხოლმე, რადგან, თუ გაუწვიმდათ, სულ უნდა გადაქექონ მუხუდოს ხვავები და უცადონ, ვინემ ხელახლა გაშრებოდეს. ხოლო კიდევ თუ მოვიდა წვიმა, კიდევ უნდა გადაქექონ. მესამედაც თუ გაავდრდა, პარკებს ობი მოედება, ლპობას დაიწყებს და მთელი მოსავალიც დაიღუპება.

მუხუდოს ხმობის დრო რომ მოვიდოდა, ვიეხას ჩვეულებად ჰქონდა — ღვთისმშობელს სანთელს აუნთებდა.

იმ წელიწადსაც მუხუდო უკვე გასახმობად დაეხვავებინათ და ვიეხასაც სანთელი დაენთო. ტერესინას სახლში ჯვალოს ტომრები გაემზადებინათ და ერთად დაეწყოთ.

საცეცხვავი მანქანები გაზეთეს და გაასუფთავეს.

წვიმა წამოვიდა.

საგანგებოდ დაქირავებული მუშები მუხუდოს გორებს ეცნენ და გაშალეს. ვიეხამ მეორე სანთელი დაანთო.

კიდევ გაწვიმდა.

ვიეხამ შავი დღისთვის გადანახული ოქროს პატარა მონეტა გამოიღო და ორი სანთელი იყიდა. მუშებმა ხელახლა გაშალეს მუხუდოს გორები, მზეს მიუფიცხეს. დაიწყო ცივი, გულის გამაწვრილებელი წვიმები. მთელ მონტერეის საგრაფოში ერთი მარცვალი მუხუდოც არ გადარჩენილა. გუთნები გამოიტანეს და დაობებული მუხუდოს პარკები მიწაში ჩახნეს.

აი, რა უბედურება ეწვია სენიორა ტერესინა კორტეზის ოჯახს. ცხოვრების სახსარი მოისპო, კუჭის სახურავი ჩამოინგრა. გაქრა მუდმივი იმედი — მუხუდო. ღამღამობით ბავშვები შიშით ბღაოდნენ. არავის უთქვამს მათთვის, მაგრამ თვითონვე გრძნობდნენ მოახლოებულ შიმშილს. ვიეხა, როგორც ყოველთვის, ახლაც ეკლესიაში იჯდა, მაგრამ ღვთისმშობელს რომ შეხედავდა, ტუჩებს დამცინავად მოპრუწავდა. „წამართვი ხომ სანთლები, — ფიქრობდა იგი, — ასეა, სანთლებზე ხარბი ბრძანდები! ეჰ, შე ქარაფშუტა, შენა!“ და, გაბრაზებულმა, წმინდა კლარასკენ გადაინაცვლა. სულ ჩაუკაკლა წმინდა კლარას, რა უსამართლოდაც მოექცნენ. ის კი არადა, თავს ნება მისცა, სულიწმიდის ჩასახვაზედაც ღვარძლიანად გადაეკრა სიტყვა; „იცი, რა გითხრა — ზოგჯერ ტერესინასაც ავიწყდება ხოლმე“, — უთხრა მან გესლიანად წმინდა კლარას.

ზემოთაც რამდენჯერ ითქვა — ხესუს მარია კონკორანი კეთილი კაცი იყო. მასაც ისეთი ნიჭი ჰქონდა მიმადლებული, რაც ზოგიერთ კაცთმოყვარე ადამიანს — მაშინვე გული უგრძნობდა, თუკი ვინმეს გაუჭირდებოდა, და საშველად იქითკენ გაქანდებოდა. რამდენჯერ მისულა ახალგაზრდა ქალებთან სწორედ იმ დროს, როცა ისინი ნუგეშს საჭიროებდნენ. ყოველგვარი გასაჭირი თუ მწუხარება ხელად მიიზიდავდა. რამდენიმე თვე ისე გავიდა, ტერესინას სახლში ერთხელაც არ შეუხედავს. და თუკი იდუმალი ძაფები არ აკავშირებენ მწუხარებასა და კაცთმოყვარეობას, როგორღა მოხდა, რომ ხესუს მარიამ სწორედ იმ დღეს შეიარა მათთან, როცა შარშანდელი მოსავლის მუხუდოს უკანასკნელი ნარჩენიდა გამობერტყეს და ჩაჰყარეს ქვაბში?

ტერესინას სამზარეულოში იჯდა ხესუს მარია და ბალღებს კალთიდან ფრთხილად იბერტყავდა. ტერესინა თავისი უბედურების ამბავს უყვებოდა, ხესუს მარია უსმენდა და თან მოკრძალებითა და სიბრალულით შესცქეროდა, მონუსხულივით იჯდა და უყურებდა, როგორ გადმოაბრუნა ქალმა უკანასკნელი ტომარა და აჩვენა: მუხუდოს ერთი მარცვალიც კი არ ჩარჩენილიყო. თანაგრძნობით დააქნია თავი, როცა ქალმა ბავშვებისაკენ გაიშვირა ხელი. ისინი სულ მალე ძვალ-ტყავად იქცეოდნენ და შიმშილით სული გაძვრებოდათ.

მერე გამწარებული ვიეხა მოჰყვა, თუ როგორ გააცურა იგი ღვთისმშობელმა. მაგრამ ხესუს მარიას ამჯერად აღარ გამოუჩენია თანაგრძნობა.

— შენ რა იცი, ბებრუხანავ? — მრისხანედ მიმართა მან, — ჩვენს კურთხეულ ღვთისმშობელს იმ დროს იქნებ სხვა რამე საქმე ჰქონდა.

— ოთხი სანთელი დავუნთე! — წრიპინებდა ვიეხა.

ხესუს მარიამ გამგმირავად გადახედა.

— ოთხი სანთელი რა არის ღვთისმშობლისათვის?! — უთხრა მან, — ერთხელ ეკლესიაში შევედი, ასობით სანთელი ენთო. სანთლებით რას გააკვირვებ!

მაგრამ ტვინს მაინც ტერესინას უბედურება უბურღავდა. იმ საღამოს დენის სახლში მეგობრებს მხურვალე და ამაჩუყებელი სიტყვით მიმართა. გულიდან ამოსულმა მგზნებარე სიტყვებმა ენა დაუთაფლეს, როცა იგი უმუხუდოდ დარჩენილ პაწია ბალღებზე ლაპარაკობდა. ისეთი მგზნებარებით ილაპარაკა, რომ საკუთარ გულზე მოდებული ცეცხლი მეგობრების გულებსაც წაუკიდა. წამოიშალნენ. თვალები უელავდათ.

— ბალღები შიმშილით არ უნდა დაიხოცონ! — შეჰყვირეს მათ, — ჩვენ უნდა ვუშველოთ!

— ჩვენ ფუფუნებით ვცხოვრობთ! — განაცხადა პილონმა.

— ჩვენი საჭმელი დავუთმოთ, — დაეთანხმა დენი, — სახლი თუ დასჭირდებათ, გადმოვიდნენ და აქ იცხოვრონ.

— ხვალვე შევუდგეთ საქმეს! — შესძახა პაბლომ, — გვეყო სიზარმაცე! საქმეს მოვკიდოთ ხელი. რამდენი რამ არის გასაკეთებელი.

ხესუს მარიამ ბელადის სიამაყე იგრძნო: მიმდევრები გამოუჩნდნენ.

ცარიელა ბაქიბუქი კი არ გამოსვლიათ, — თევზეული შეაგროვეს, სასტუმრო „დელ მონტეს“ ბოსტანს შეესიენ და გასწმინდეს. დიდებული საქმე იყო! როცა ქურდობას ქურდობის სამარცხვინო დაღი აქვს ჩამოცილებული, ხოლო დანაშაული კაცთმოყვრული ზრახვებით არის ჩადენილი, ამაზე სასიამოვნო რა უნდა იყოს?

მეკობრემ კვარის მაზანდა ოცდაათ ცენტამდე აიყვანა და ყოველ დილით სამ ახალ რესტორანში შესვლა იწყო. დიდი ჯო იპარავდა და იპარავდა მისის პალოჩიკოს თხას, რომელიც საღამოობით ისევ შინ უბრუნდებოდა პატრონს.

ტერესინას სახლში სანოვაგე დახვავდა. პარმალი სალათის ყუთებით გაიჭედა, დამპალი სკუმბრიის მძაფრი სუნით მთელი ის არემარე გაიჟღინთა. მაგრამ მეგობრებს მაინც არ უნელდებოდათ გულმოწყალების ცეცხლი.

მონტერეის პოლიციის დავთარი რომ ჩაგივარდეთ ხელში, ნახავთ: იმხანად ქალაქს წვრილმანი დანაშაულის ტალღამ გადაუარა. პოლიციის მანქანა აქეთ-იქით აწყდებოდა. აქ ქათამი დაიკარგა, იქ გოგრის მთელი კვალი პირწმინდად გაასუფთავეს. პალადინის კომპანიამ ქვეყანას აუწყა ორი ას-ას გირვანქიანი ხამანწკის ყუთის დაკარგვა.

ივსებოდა და ივსებოდა ტერესინას სახლი. სამზარეულო სანოვაგით გამოიტენა. უკანა პარმალზე ბოსტნეულის ტევა აღარ იყო. მთელი ტორტილა ფლეტი სანოვაგის საწყობის სუნით გაიჟღინთა. მეგობრები სულმოუთქმელად დათარეშობდნენ თავიანთ საქურდალზე და დიდხანს ეთათბირებოდნენ ხოლმე ტერესინას ახალ გეგმებზე.

პირველ ხანებში ტერესინა სიხარულით ცას ეწია, ამდენ სანოვაგეს რომ უყურებდა. სიამოვნებდა ასეთი ყურადღება. მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ხინჯი გაუჩნდა გულში. პაწია ბალღს კუჭი ასტკივდა, ერნის უცნაური მუცლის გვრემა დაეწყო, ალფრედოს სახეზე წამოაწითლა. მცოცავები და მხოხავები მთელი დღე ტიროდნენ. ტერესინას უჭირდა მეგობრებისთვის იმის

თქმა, რაც უსათუოდ უნდა ეთქვა. რამდენიმე დღე საგულდაგულოდ ემზადებოდა. ამასობაში ორმოცდაათი გირვანქა ნიახური და ერთი კალათი ნესვი კიდევ მოიტანეს. მეზობლებმა უკვე ამრეზით დაუწყეს ცქერა ტერესინას.

ბოლოს სამზარეულოში მიიწვია დენის მეგობრები და მოიარებით უთხრა თავისი გასაჭირი, ფრთხილად, რომ მათთვის გული არ დაეწყვიტა.

— მწვანილი და ხილი ბავშვებს არ უხდება, — აუხსნა მან, — ძუძუს რომ მოაცილებ ბავშვს, მერე რძე სწყენს, კუჭის შეკრულობა იცის, — სახედაწითლებული და გამიზეზიანებული ბავშვები დაანახვა. ხომ ხედავთ, ყველა ავად გამიხდათ, უთხრა, ხეირიან საჭმელს არა სჭამენო.

— ხეირიანი საჭმელი რა იქნება? — ჰკითხა პილონმა.

— მუხუდო, — მიუგო ქალმა, — მუხუდო ნაღდია, მუცელში რჩება.

მეგობრები მდუმარედ გაუდგნენ სახლის გზას. თავი ისე ეჭირათ, თითქოს ახლა სტკენოდეთ გული, მაგრამ ისე კი მშვენივრად იცოდნენ, რომ აგერ უკვე რამდენიმე დღეა დაკარგეს ხალისი.

დენის სახლში თათბირი გაიმართა.

მაგრამ ამისი თქმა ზოგიერთ ადგილას არა ღირს — ბრალდება იქნებ სერიოზული გამოდგეს.

შუაღამე დიდი ხნის გადასული იყო, როცა ოთხმა შავმა ლანდმა — მათ სახელს ჩვენ აქ არ მოვიხსენიებთ — აჩრდილებივით ჩამოუარეს ქალაქს. ოთხი მკრთალი ლანდი რკინიგზის „უესტერნ უეირჰაუზ კომპანის“ საწყობის ბაქანზე აცოცდა. გუშაგი მერე ყვებოდა, რაღაც ხმაურს კი მოვკარი ყური, მაგრამ შევამოწმე და ვერაფერი დავინახე. არ ვიცი, როგორ მოხდა ეს ყველაფერი — როგორ გატეხეს ბოქლომი და კარი როგორ შეამტვრიესო. მარტო ოთხმა ადამიანმა იცის, რომ გუშაგს გაგუდულივით ეძინა, მაგრამ ამას თავის დღეში არ იტყვიან და არ გასცემენ.

არ გასულა დიდი ხანი, ოთხმა ლანდმა საწყობი დასტოვა, ტვირთქვეშ მოკაკულები გასცილდნენ იქაურობას ხვნეშითა და ქშენით.

დილის სამ საათზე ტერესინა უკანა კარის ჭრიალმა გააღვიძა.

— ვინ ხარ? — იყვირა მან.

ხმა არავის გაუღია, მაგრამ მან გაიგონა, რაღაც მძიმე საგანი ოთხჯერ რომ დაებერტყა იატაკზე და მთელი სახლი შეაზანზარა. ქალმა სანთელი აანთო და სამზარეულოში ფეხშიშველა გავიდა. იქ კედელზე მიყუდებული ოთხი ას-ას გირვანქიანი ყვითელი მუხუდოს ტომარა დახვდა.

დაფეთებული გამოვარდა და ვიეხა გააღვიძა.

— სასწაული! — ყვიროდა იგი, — სამზარეულოში გამოდი!

ვიეხამ დარცხვენით შეათვალიერა ოთხი გამოტენილი ბარდანა.

— ვაი, მე უბედურსა და უწმინდურ ცოდვილს! — მოთქვამდა იგი, — ოჰ, წმინდაო ღვთისმშობელო, შენ შეიბრალე ჩურჩუტი დედაბერი. მორჩა, მანამ პირში სული მიდგას. თვე ისე არ გავა, სანთელი არ დაგინთო!

დენის სახლში ოთხი ბედნიერი მეგობარი საბნებში გახვეულიყო. დამშვიდებულ სინდისზე კარგი სასთუმალი სხვა რაღა უნდა იყოს? საღამომდე არხეინად ეძინათ, რადგან საქმე უკვე მოგვარებული ეგულებოდათ.

სარწმუნო და მრავალჯერ შემოწმებული ნიშნების მიხედვით ტერესინა

მიხვდა, რომ ბავშვი უნდა გასჩენოდა. ახალმოტანილ მუხუდოს ქვაბში ყრიდა და თან მოცლილობის გამო ზანტად ფიქრობდა — დენის მეგობართაგან ნეტა რომელს მიუძღვის ბრალი ამ საქმეშიო.

## 14

### მოთხროგილია დენის სახლში ტკბილად გატარებული დღეების ამბავი, გოჭის ძღვნად მირთმევა, აყლაყუდა გოგის განსაცდელი და ვიეხო რავანოს გაუხარელი სიყვარული

ტორტილა ფლეტში არც ერთი პაისანო საათს არ ხმაროობდა — არც კედლისას და არც მაჯისას. ზოგჯერ რომელიმე მეგობარს რაღაც უცნაური შემთხვევის წყალობით თუ ჩაუვარდებოდა ხელთ, უმალ გადაცვლიდა ხოლმე ჭეშმარიტად საჭირო საგანზე. დენის სახლში დიდი პატივით სარგებლობდა საათები, ოღონდ ფულის მაგივრად, როგორც გადაცვლის საშუალება. პრაქტიკული მიზნებისთვის კი დიდი ოქროს საათი ჰქონდათ — მზე, ჯიბის საათზე უფრო კარგიცა და უფრო ნაღდიც, იმ თვალსაზრისით, რომ არ დაიკარგებოდა — ტორელისთან ვერ გააქანებდნენ.

ზაფხულობით ძალიან სასიამოვნოა ლოგინიდან წამოდგომა, როცა საათის ისრები შვიდს უჩვენებს. მაგრამ როცა ზამთრობით უჩვენებს იმავე დროს, რიღას მაქნისია? მზის საათი არა სჯობს?! ნაძვნარს უკან რომ ამოცურდება და წინა პარმაღს დაეკიდება, აი ეს არის ადგომისათვის ყველაზე შესაფერი დრო, ზამთარი იქნება თუ ზაფხული. ეს ის დრო არის, როცა ადამიანს ხელი აღარ უკანკალებს და კუჭიც შიმშილით არ ეწვის.

მეკობრესა და მის ძაღლებს დიდ ოთახში ეძინათ ხოლმე, კუთხეში, თბილად და არხეინად. პილონი, პაბლო, ხესუს მარია, დენი და დიდი ჯო პორტუგალიელი კი საწოლ ოთახში იძინებდნენ. ხომ ძალიან კეთილი და გულუხვი კაცი იყო დენი, მაგრამ თავის საწოლს არავის დაუთმობდა. ორჯერ სცადა დიდმა ჯომ შესცილებოდა, მაგრამ ორჯერვე ჯოხით დაუბეგვეს ფეხის ტერფები, ასე რომ მანაც კი შეიგნო დენის საწოლის ხელშეუხებლობა.

მეგობრები იატაკზე წვებოდნენ და უცნაური ლოგინები ჰქონდათ: პაბლოს — სამი ერთმანეთზე გადაკერებული ცხვრის ტყაპუჭი. ხესუს მარია ძილის წინ ხელებს ერთი ძველი პალტოს სახელოში გაუყრიდა ხოლმე, ფეხებს — მეორისაში. პილონი ხალიჩის დიდ ნაგლეჯში გაეხვეოდა. დიდი ჯო უფრო ხშირად ძაღლივით მოიკუნტებოდა და ტანთგაუხდელად იძინებდა. დიდი ხნით არაფერი არ გაუჩერდებოდა დიდ ჯოს, ამისი უნარი არა ჰქონდა, სამაგიეროდ, იმის ნიჭი კი არ აკლდა, რომ ყველაფერი, რაც ხელში მოხვდებოდა, ღვინოზე გადაეცვალა. ასე ეძინათ ხოლმე ბიჭებს, ზოგჯერ იქნებ არცთუ წყნარად, მაგრამ ტკბილად და არხეინად.

ფანჯრებზე ფარდები არ ეფარა, მაგრამ უხვმა ბუნებამ თვითონვე შეინიღბა მინები აბლაბუდით, მტვრითა და წვიმის ნაშხეფებით.

— მოდი, საპნითა და წყლით გავრეცხოთ ფანჯარა, — თქვა ერთხელ დენიმ.

პილონის გამჭრიახი გონება მაშინვე დაუტრიალდა ამ საკითხს, რაც მისთვის მეტისმეტად ადვილი გადასაწყვეტი აღმოჩნდა. მთელი შესაძლებლობის გამოყენება აღარ დასჭირვებია.

— მაშინ მეტი სინათლე შემოვა, — თქვა მან, — ოთახი თუ განათდა, გარეთ აღარ მოგვინდება გასვლა, სულ სახლში გამოვიკეტებით. ღამით კი, როცა ჰაერი მოშხამულია, სინათლე რაში გვჭირდება.

დენიმ დასთმო ბრძოლის ველი; უბრალოდ, გაკვრით თქმული თუ ამნაირ სწრაფსა და აშკარა წინააღმდეგობას წააწყდა, დაჟინებული მოთხოვნა რა გამანადგურებელ ლოგიკურ დასაბუთებას გამოიწვევდა?! ფანჯრები ხელუხლებელი დარჩა. და რაც დრო გადიოდა, რაც უფრო ემატებოდა აბლაბუდას ბუზები, რათა ობობას ოჯახი თავიანთი სისხლით დაეძღოთ და მერე გამოფიტული სხეული მინაზე მიეტოვებინათ, რაც უფრო სქელდებოდა მტვრის ფენა, ოთახში მით უფრო მატულობდა სასიამოვნო ბურუსი და ასეთ ბინდბუნდში დღისითაც კი შეიძლებოდა ძილი.

მეგობრებს მშვიდად ეძინათ. მაგრამ დილით, როცა მზის სხივები ფანჯრის მინებს დაეცემოდა და, რაკი შიგ ვერ შეაღწევდა, გარედან მოვერცხლავდა მტვერს, ხოლო ბუზების მომწვანო ფიტულებს ცისარტყელას ფერებში გაახვევდა, მეგობრები გაიღვიძებდნენ, გაიზმორებოდნენ და წაღების ძებნას მოჰყვებოდნენ. იცოდნენ, რომ რაკი მზე ფანჯარას მოადგა, წინა პარმაღზე უკვე თბილოდა.

უცებ კი არ გაიღვიძებდნენ, არც ფაცხაფუცხით წამოხტებოდნენ და მძაფრი მოძრაობით თავს არ შეიწუხებდნენ. არა. როგორც საპნის ბუშტი მოწყდება ხოლმე ისლის ღერს, ისეთი სიდინჯით გამოფხიზლდებოდნენ. ჯერ ისევ ძილის ბურანში მყოფნი ხრამისკენ წაფრატუნდებოდნენ. თანდათანობით მოიკრებდნენ ძალასა და ნებისყოფას. ცეცხლს გააჩაღებდნენ, ჩაის აადუღებდნენ, მურაბის ქილებით დალევდნენ და ბოლოს წინა პარმაღზე გამოიშლებოდნენ, მზეს მიეფიცხებოდნენ. მზით დაფერილი ბუზები თავზე შარავანდად ევლებოდნენ. ცხოვრება თანდათან შედიოდა თავის კალაპოტში, ისე, როგორც გუშინ იყო, ისე, როგორც ხვალ იქნებოდა.

სჯა-ბაასი მძიმედ იწყებოდა, რადგან ყველას ძვირად ულირდა ის მდუმარება, რაც ჯერ სავსებით არ განშორებოდათ. ამ დროიდან მოკიდებული ნაშუადღევამდე ინტელექტუალური ურთიერთობა მყარდებოდა. სახურავები აიხდებოდა, სახლების შიგნითა განლაგება და მოწყობილობა გაისინჯებოდა, მოქმედებათა მოტივები შემოწმდებოდა, ათასნაირი ამბები გადმოლაგდებოდა. ჩვეულებრივ ჯერ კორნელია რუიზს ეწვეოდა მათი ფიქრები, რადგან იშვიათად გამოერეოდა იმისთანა დღე ან ღამე, კორნელიას რამე უცნაური და საინტერესო თავგადასავალი არ გადახდომოდეს. ხოლო მართლაც საოცრად უჩვეულო უნდა იყოს თავგადასავალი, რომ იქიდან კაცმა ზნეობრივი გაკვეთილი ვერ გამოიტანო.

მზე ნაძვის წიწვებზე ელვარებდა. გამომშრალ მიწას სასიამოვნო სუნი ასდიოდა. ჰაერი კასტილიური ვარდის სურნელით იყო გაჟღენთილი. დენის მეგობრებისათვის ეს ყველაზე სანეტარო დრო გახლდათ. არსებობისათვის ბრძოლის ჟამი ჯერ შორს იყო. ისხდნენ და თავიანთი ამხანაგების მოქმედებასა სჯიდნენ, არა ზნეობრივი თვალსაზრისით, არა, —

ცნობისმოყვარეობის გამო. კარგ ამბავს რომ მოჰკრავდნენ ყურს, ამ დროისათვის შემოინახავდნენ ხოლმე და ახლა მოყვებოდნენ. დიდი, წაბლისფერი პეპლები მოფრინდებოდნენ და გაშლილ ვარდს დაასხდებოდნენ. ისე ირხეოდნენ, თითქოს ნექტარს ფრთებით ქაჩავენო.

— ალბერტ რასმუსენი ვნახე, — დაიწყო დენიმ, — კორნელიას სახლიდან გამოდიოდა. მაინც რა ქალია ეს კორნელია. დღე ისე არ გავა, ხათაბალა არ აიტეხოს.

— ასეთი ქალია, — მიუგო პაბლომ, — ადამიანის ჩაწიხვლა არ მიყვარს, მაგრამ ზოგჯერ ვიფიქრებ ხოლმე, ეს კორნელია მეტისმეტი ახტაჯანაა-მეთქი. მარტო ორი რამე ახსოვს — სიყვარული და აყალმაყალი.

— მერე? მეტი აბა რა გინდა? — გაიკვირვა პილონმა.

— თავის დღეში ვერ მოუსვენია, — ნაღვლიანად თქვა ხესუს მარიამ.

— ანკი რად უნდა! — უთხრა პილონმა, — კორნელიამ რომ მოისვენოს, ხომ მოკვდა კიდეც. სიყვარული და აყალმაყალი! ეს კარგად გამოგივიდა, პაბლო. სიყვარული და აყალმაყალი, და ცოტაოდენი ღვინო. რაღა დაგაბერებს, სულ ახალგაზრდა და ბედნიერი იქნები. გუშინ რაღა მოუვიდა კორნელიას?

დენიმ გამოჯიბრებით გადახედა პილონს: იშვიათად პილონს რაიმე არა სცოდნოდა; ახლა კი ისე დაიჭყანა და მოიღუშა, დენი მაშინვე მიხვდა, რომ ეს ამბავი არ იცოდა.

— კორნელიას ყველა იცნობთ, — დაიწყო მან, — ზოგჯერ საჩუქრები მიაქვთ ხოლმე მასთან კაცებს — ქათამი იქნება, ბაჭია თუ კომბოსტო. ხომ ბევრი არაფერია, მაგრამ კორნელიას მაინც სიამოვნებს. გუშინ ემილიო შურიეტას პატარა გოჭი მიუყვანია ძღვნად, ამოდენა გოჭი — ლამაზი, ვარდისფერი. ხრამში ეპოვნა ემილიოს ის გოჭი. რომ წამოიყვანა, ღორიც დაედევნა თურმე. ემილიო გამოქცეულა და კორნელიასთან მიუყვანია. ემილიო ხომ გატლეკილი ვაჟბატონი ბრძანდება. კორნელიას უთხრა თურმე: „გოჭს რა სჯობს ქვეყნად. ყველაფერს ჭამს, არაფერს არ თაკილობს. თავის შესაქცევადაც კარგია. შეეჩვევი და შეგიყვარდება. მაგრამ გაიზრდება და ხასიათი შეეცვლება, გაავდება, გაბილწდება, გადაიყვარებ. მერე, ერთ მშვენიერ დღეს, გიკბენს, გაგაბრაზებს. შენც აიღებ, დაკლავ და შეჭამ“.

მეგობრებმა დინჯად დააქნიეს თავი. პილონმა თქვა:

— ეს ემილიო არც ისეთი შტერია. ხომ ხედავ, რამდენი რამე აღმოაჩინა იმ ერთ გოჭში — თავშექცევა, სიყვარული, შურისძიება და საკვები. ერთი უნდა შევხვდე და ველაპარაკო.

მაგრამ მეგობრებმა შეამჩნიეს: პილონს უფრო მეტოქის შური ამოძრავებდა.

— მერე? იმ გოჭის ამბავი განაგრძე, — უთხრა პაბლომ დენის.

— ერთი სიტყვით, — განაგრძო დენიმ, — კორნელიამ გამოართვა გოჭი და ემილიოს მიესიყვარულა. დრო რომ გავა და გამაბრაზებს, მაშინ შენც მოდი და მაგის ხორცზე დამეწვიეო. ბოლოს ემილიო წავიდა, კორნელიამ კი გოჭისთვის ყუთი მოამზადა და ღუმელთან დადგა. ამასობაში ქალები ესტუმრნენ. კორნელიამ გოჭი გამოიყვანა. ქალებმა ხელში აიყვანეს და მიუალერსეს. უცებ თაფლისკვერმა რამირეზმა გოჭს კუდზე ფეხი დაადგა.

იჭყვირა გოჭმა, მაგრამ რა იჭყვირა, ორთქლმავლის საყვირი გეგონებოდა. ქუჩის კარი ღია დარჩენოდათ. დედა-ღორმა ააღირა თავი და შევიდა, თავის პატარა გოჭს მიაკითხა. მაგიდები, თეფშები სულ დაიმსხვრა. სკამები ერთიანად დაილეწა. დედა-ღორმა თაფლისკვერ რამირეზს უკბინა, კორნელიას კაბა ჩამოგლიჯა. ქალები სამზარეულოში შეცვივდნენ და კარი ჩაიკეტეს. ღორმა წაიყვანა თავისი გოჭი და წავიდა. კორნელია სულ ცოფებსა ჰყრის. ემილიოს ცხვირ-პირს დავამტვრევო, იძახის.

— შეხედე ერთი! — თქვა პაბლომ, — ასეა მოწყობილი ცხოვრება: შენ რომ გინდა, ისე არასოდეს არ გამოდის. მაშინდელის არ იყოს, აყლაყუდა ბობ სმოუკმა რომ თავის მოკვლა გადაწყვიტა.

**მეგობრებმა ახლა პაბლოს მიაშტერეს თვალი.**

— ბობ სმოუკი თქვენც გაგეგონებათ, — დაიწყო პაბლომ, — ნამდვილი ვაკეროა[1] — აწოწოლებული, კანჭმაღალი, — მაგრამ ცხენის ხედნა ისე კარგად არ იცის. დადაღვის დრო რომ მოვა, სულ მტვერში გდია, ცხენი ზურგზე არ იჩერებს. გაბღინძვა უყვარს ამ ბობს. უნდა, რომ ყველა მას უყურებდეს. აღლუმზე უსათუოდ დროშას უნდა ჩააფრინდეს. კრივი რომ გაიმართება, მსაჯობას არავის ანებებს. წარმოდგენას როცა უჩვენებენ, პირველი წამოდგება და ყვირის: „ეი, მანდ, წინა რიგებში — დასხედით!“ მოკლედ, დიდგულობს, თავის გამოჩენა უყვარს, შეხედეთ, რა ბიჭი ვარო. თან — ეს ალბათ არც კი გეცოდინებათ — უნდა, რომ ყველას საყვარელი კაცი იყოს. მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, მასხარად იგდებენ მაგ უბედურს. ზოგს ებრალება, მართალია, მაგრამ უმეტესობა დასცინის. სწორედ ეს სიცილი კლავს იმ აყლაყუდა ბობ სმოუკს. გეხსომებათ ალბათ, დროშა რომ მიჰქონდა აღლუმზე. დიდ, ლურჯა ცხენზე იჯდა, გაჯგიმული. და სწორედ იმ ადგილას, საცა მსაჯები სხედან ხოლმე, ის ჩერჩეტი ცხენი სიცხისაგან ერთბაშად არ ჩაიკეცა! ბობი წინ გადაიგდო, დროშამ შუბივით მოხაზა ჰაერი და მიწაში ჩაერჭო. სულ ასე მოსდის. ძალიან რომ დაქიჩმაჩდება და დიდკაცობას მოინდომებს, არ იქნება რამე არ გამოუტყვრეს და ქვეყნის სასაცილო არ გახდეს. მეძაღლედ რომ მუშაობდა, ხომ გახსოვთ, მთელი დღე სდია ძაღლს, ქამანდით უნდოდა დაჭერა. მთელი ქალაქი სეირის საყურებლად გამოეფინა. მოიქნევდა ქამანდს, ძაღლი მიწაზე გაწვებოდა, მარყუჟს აისხლეტდა და გაიქცეოდა. ჰოი, რას იცინოდა ხალხი. ბობი გამწარდა სირცხვილით, იფიქრა: „მოდი, თავს მოვიკლავ, ხალხს გულს დავწყვეტ. მერე ინანებენ, რატომ დავცინოდითო“. მერეღა მოაგონდა: „მაგრამ რომ მოვკვდები, რაღას გავიგებ, ინანებენ თუ არა“. ადგა და ასეთი გეგმა დააწყო: „დავიცდი, მანამ ვინმეს ფეხის ხმას გავიგონებდე. მერე დამბაჩას შუბლზე მივიდებ. ის კაცი ხვეწნას დამიწყებს, მაგას ნუ იზამო. პირობას ჩამომართმევს, თავი არ მოიკლაო. ხალხიც სინანულში ჩავარდება, თავის მოსაკლავად რატომ გავუხადეთ საქმეო“. ასეთი გეგმა დააწყო ამ ჩვენმა აყლაყუდა ბობმა და შინ წავიდა. ვინც კი შემოხვდა გზაში, ყველამ ჰკითხა: „რა ქენი, ბობ, დაიჭირე ის ძაღლი?“ საშინლად მოჟამული დაბრუნდა შინ. დამბაჩა გამოიღო, გატენა და შეიცადა, აბა ვინ შემოვაო. გონებაში დაალა-

---

[1] მექსიკელი ჩალვადარი.

გა, როგორ უნდა მომხდარიყო ყველაფერი. შემოვიდოდა რომელიმე მეგობარი და შესძახებდა: „ეი, რას სჩადი, ბიჭო? თავს ნუ იკლავ, შე უბედურო!“ ბობი კი უპასუხებდა, ამდენი არამზადას შემყურეს სიცოცხლე მომძულდაო. ათასნაირად ასწონ-დასწონა საქმე, მაგრამ კაციშვილი არ გამოჩნდა. მეორე დღესაც უცადა, მაგრამ მაინც არავინ ჩანდა. ღამე იყო, როცა ჩარლი მილერი მოვიდა. ბობმა პარმაღიდანვე გაიგონა მისი ფეხის ხმა და დამბაჩა შუბლზე მიიდო. ჩახმახიც შემართა, უფრო დამიჯერებსო. „დამიწყებს ახლა ღიჭინს, და, ჯანდაბას, მეც აღარ გავუტეხ ხათრს“, გაიფიქრა ბობმა. ჩარლი მილერმა კარი შეაღო, დაინახა, დამბაჩა რომ ჰქონდა ბობს შუბლზე მიდებული, მაგრამ ყვირილი კი არ აუტეხია, არა, პირდაპირ მივარდა ჩარლი მილერი და ხელში სწვდა, დამბაჩა ასხლტა, გავარდა და ცხვირის წვერი გაუხვრიტა ბობს. მაშინ უნდა გენახათ ხალხის დაცინვა. გაზეთშიაც კი გამოწერეს. მთელი ქალაქი იცინოდა. თქვენც გეყოლებათ ნახული ცხვირგახვრეტილი ბობი. ხალხი იცინოდა. მაგრამ ბინძური სიცილი იყო ეს; თვითონვე მიხვდნენ ბოლოს და აღარ ესიამოვნათ. მას შემდეგ სულ აყლაყუდა ბობს გამოაქვს ხოლმე აღლუმზე დროშა. ბადეც უყიდა ქალაქმა, ძაღლების დასაჭერად. მაგრამ ასე ცხვირგახვრეტილ კაცს რაღა მოასვენებს!

პაბლო გაჩუმდა, პარმაღზე ჯოხი აიღო და ფეხების ბერტყვას მოჰყვა.

— მე მაგისი ძველი ცხვირიც მახსოვს, — თქვა დენიმ, — არ არის ურიგო ბიჭი. აგერ მეკობრეც მოვა და ჰკითხეთ. მეკობრე ზოგჯერ თავის ძაღლებს შეყრის ხოლმე ფურგონში. ხალხსა ჰგონია, ბობმა დაიჭირაო. „მეძაღლეც ასეთი უნდა“, იძახიან. არც ისე იოლი საქმეა ძაღლების დაჭერა, როცა დაგავალებენ, გინდა თუ არა დაიჭირეო.

ხესუს მარიას თავი კედელზე მიეყუდებინა და ფიქრში წასულიყო.

— მასხრად აგდებას ჯობია, გალახო კაცი, — შენიშნა მან, — ბებერი თომასი რომ იყო, მეძველმანე, საფლავში ისე ჩავიდა, სულ მასხარად ჰყავდათ აგდებული, აღარ მოეშვნენ. მერეღა ინანეს, რატომ დავცინოდითო.

— თუმცა, — განაგრძო ხესუს მარიამ, — დაცინვაც არის და დაცინვაც. აყლაყუდა ბობის ამბავი ხომ სასაცილოა, მაგრამ პირს რომ დააღებ გასაცინებლად, ვიღაცა თითქოს გწვდება და გულს მოგიწურავს. მისტერ რავანომ რომ თავი ჩამოიხრჩო შარშან, მე იმის ამბავიც ვიცი. თითქოს ესეც სასაცილოა, მაგრამ გულით ვერ გაიცინებ.

— ეს ამბავი მეც გამიგონია, — გამოეხმაურა პილონი, — მაგრამ კარგად არ მახსოვს.

— აგერ გიამბობთ, — თქვა ხესუს მარიამ, — და თქვენ თვითონვე ნახავთ, სასაცილო თუა. პატარა ბიჭი რომ ვიყავი, ერთად ვთამაშობდით ხოლმე მე და პიტი რავანო. კარგი ბიჭი იყო, მკვირცხლი, მაგრამ მუდამ რამე ხათაბალას უნდა გადაყროდა. ორი ძმა და ოთხი და ჰყავდა, და მამა, რაღა თქმა უნდა, მოხუცი პიტი. აქ ახლა აღარავინ დარჩა, მთელი ოჯახი გაიკრიფა. ერთი ძმა სანკვენტინში[1] ზის, მეორემ მთელი ფურგონი საზამთრო მოიპარა და იაპონელმა მებაღემ მოჰკლა. ქალებიც... ქალების ამბავი

[1] ციხეა კალიფორნიაში.

ხომ იცით: წავიდნენ, გაიფანტნენ. სუზი ახლაც სალინასშია, ბებრუხანა ჯენის სახლში. მარტო პიტი დარჩა აქა და ბერიკაცი. პიტი გაიზარდა, მაგრამ ფათერაკი არა და არ სცილდებოდა. ერთხანს გამასწორებელ სკოლაში იყო, მერე ისევ დაბრუნდა. ყოველ შაბათს უსათუოდ უნდა დამთვრალიყო, ორშაბათამდე ციხეში იჯდა. მამამისი გულკეთილი და კარგი საამხანაგო კაცი იყო. კვირა ისე არ გავიდოდა, პიტისთან ერთად არ დამთვრალიყო. თითქმის მუდამ ერთად ისხდნენ ციხეში. მოხუცი რავანო საშინლად მოიწყენდა ხოლმე, როცა პიტი არ იყო მასთან. უყვარდა შვილი. რასაც პიტი გააკეთებდა, ეს ბერიკაციც აჰყვებოდა, სამოცი წლისა რომ გახდა, მაშინაც კი.

— გრესი მონტეზი არ გახსოვთ? — იკითხა ხესუს მარიამ, — მაინცადამაინც წესიერი ქალი არ ეთქმოდა. თორმეტისა ძლივს იქნებოდა, მონტერეიში რომ სამხედრო ფლოტი ჩამოაყენეს, და მაშინ გააჩინა პირველი ბავშვი ამ პატარა გოგომ. ლამაზი გოგო კი იყო, ცოცხალი, მწარე ენა ჰქონდა. ისე მოაწყობდა საქმეს, ვითომ ძალიან გაურბოდა კაცებს და კაცებიც თავს იკლავდნენ, სულ მის დევნაში იყვნენ. ზოგჯერ კიდეც ჩაავლებდნენ ხელს. მაგრამ ის მაინც არ დაგიახლოვებდა. ისე ეჭირა თავი, თითქოს რაღაცა კარგი აქვს დამალული და შენთვის არ ემეტებაო, თვალებით გეუბნებოდა თითქოს: „რომ მოვინდომო, სულ სხვა ქალი ვიქნები, — ისეთი, შენს დღეში რომ არ გინახავსო“.

— მე თვითონ გამოვცადე და იმიტომ ვიცი, — განაგრძო ხესუს მარიამ, — მეც ბევრი ვსდიე გრესის. პიტიმაც სდია. ოღონდ პიტი სხვანაირი კაცი იყო.

ხესუს მარია თვალებში ჩააშტერდა მეგობრებს, რათა ამ სიტყვებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა.

— პიტიმ გადაწყვიტა სწორედ იმას მისწვდომოდა, რასაც თითქოს გრესი მალავდა. ისე სწვავდა ამისი სურვილი, რომ ჩამოხმა კაცი, თვალები გამოუღამდა, მარიჰუანას მწეველს დაემსგავსა. მადა დაჰკარგა, დასნეულდა. ადგა მოხუცი რავანო და გრესისთან მივიდა. ასე და ასეო, უთხრა. კარგად თუ არ მოექეცი პიტის, იცოდე, მოკვდებაო. გოგომ გაიცინა. ქვის გული ჰქონდა. ამ დროს მისი პატარა და შემოვიდა ოთახში, ტონია. თოთხმეტი წლისა იყო მაშინ ის ტონია. შეხედა ბერიკაცმა და სუნთქვა შეეკრა. ტონიაც გრესის ჰგავდა, მაგრამ, საკვირველი საქმე იყო, კაცებს არ იკარებდა. ბერიკაცმა თავი ვეღარ შეიკავა. ჩემთან მოდი, პატარა გოგონიაო, უთხრა. მაგრამ ტონია რა პატარა გოგონა იყო. ყველაფერი იცოდა. გაიცინა და ოთახიდან გავარდა.

ბერიკაცი შინ დაბრუნდა. პიტიმ რომ შეხედა, შესძახა: „მამა, რა მოგივიდა?“ „არაფერი, პიტი, — უპასუხა ბერიკაცმა, — მე ის მაწუხებს, რომ გრესის გამო მოსვენება დაგიკარგავს“.

— ცხელი სისხლი ჰქონდათ იმ რავანოებს!

— მერე რა მოხდა, აღარ იკითხავთ? — განაგრძო ხესუს მარიამ, — პიტიმ ჩინ კისთან დაიწყო მუშაობა, თევზის გამოწვლასა შველოდა და გრესისთვის საჩუქრებს ყიდულობდა — ოდეკალონის ბოთლებს, ბაფთებს,

წვივსაკრავებს. ფული გადაიხადა, რომ გრესისათვის სურათი გადაეღოთ, თანაც ფერადი სურათი.

— გამოართმევდა გრესი საჩუქრებს და გაექცეოდა, იცინოდა. უნდა გენახათ, როგორ კისკისებდა! მისი წახრჩობაც მოგინდებოდათ და მოფერებაც. გულს გავუპობო, იფიქრებდი, და ჩავხედავ ერთი, რას მალავსო. მე რა შემეშლება. თვითონვე დავდევდი. პიტიმაც მითხრა, მეც ასე მომდისო. პიტის აგიჟებდა მისი სიცილი. ძილი გაუკრთა. ერთხელ მითხრა: „ეკლესიაში რომ დაიწერდეს ჯვარს ჩემზე, მერე გაქცევას ველარ გაბედავს, ცოლი იქნება და ცოდვად ჩაეთვლება!“. უთხრა კიდეც, გამომყევიო. მაგრამ გრესიმ კისკისი მორთო, ისეთი კისკისი, წახრჩობას რომ მოგანდომებდა.

— პიტი სულ გადაირია. სახლში მივარდა, დირეს თოკი გამოაბა, ყუთზე შედგა და მარყუჟში გაუყარა თავი, მერე ყუთს ფეხი ჰკრა და დაეკიდა. ამ დროს მამამისიც მოვიდა. თოკი გადაჭრა და ექიმის დასაძახებლად გაიქცა. ორი საათი გავიდა და მერე გაახილა პიტიმ თვალი, ხმის ამოღება ოთხი დღის მერეღა მოახერხა.

ხესუს მარია შეჩერდა. სიამაყით დაინახა, რომ მეგობრები წინ გადმოხრილიყვნენ და სული გაენაბათ.

— ასე იყო ეს ამბავი, — თქვა მან.

— ჰო, მაგრამ გრესი მონტეზი აკი პიტი რავანოს ცოლი გახდა, — მგზნებარედ შესძახა პილონმა, — მე ვიცნობ. მშვენიერი ქალია. წირვას არ გააცდენს. თვეში ერთხელ ზიარების მისაღებად დადის.

— ახლა კი, ასეა, — დაეთანხმა ხესუს მარია, — ბერიკაცი ძალიან გაუბრაზდა. შინ მიუვარდა გრესის და უყვირა და უყვირა: „შენმა სისულელემ კინაღამ შვილი დამიღუპა. თავს იკლავდა შენი გულისთვის, შე სანაგვის ქათამო!“

— მტრისას, გრესის რომ შეეშინდა, მაგრამ გულში ესიამოვნა კიდეც — ყველა ქალი კი ვერ მოახერხებს კაცის ასე გადარევას. შინ მიადგა, ლოგინში მოინახულა კისერმოღრეცილი პიტი. ცოტა ხანში ჯვარიც დაიწერეს.

— როგორც პიტის უნდოდა, ისე მოხდა ყველაფერი. ეკლესიაში რომ დაარიგეს, კარგი ცოლი უნდა იყოო, მართლაც კარგი ცოლი გახდა გრესი. კაცების სასაცილოდ აღებას მოეშვა. აღარც გარბოდა, ვინმე უკან დამედევნოსო. პიტი ჩინ კის შველოდა თევზების გამოწვლას, მერე ყუთებში ჩალაგებაც დაავალა ჩინ კიმ. დიდი ხანი არ გასულა და გამგებლობაც მიანდო. ხომ ხედავთ, — განაგრძო ხესუს მარიამ, — საინტერესო ამბავია. მღვდელსაც კი გამოადგებოდა საქადაგებლად, ასე რომ მთავრდებოდეს.

— ჰო, — წარმოთქვა პილონმა დინჯად, — ჭკუის სასწავლებელი ამბავია.

მეგობრებმა მოწონებით დააქნიეს თავი — უყვარდათ ჭკუის სასწავლებელი ამბები.

— ერთ მაგნაირ გოგოს ვიცნობდი ტეხასში, — თქვა დენიმ, — ოღონდ ის არ შეცვლილა. მეორე ოცეულის ცოლი შეარქვეს. მისის მეორე ოცეულს ეძახდნენ.

პაბლომ ხელით შეაჩერა.

— ეს ამბავი არ დამთავრებულა, — თქვა მან, — განაგრძე, ხესუს მარია.

— ჰო, არ დამთავრებულა. და ბოლო არცა აქვს ასეთი კარგი. ბერიკაცმა სამოცს გადააბიჯა. პიტი და გრეისი სხვა სახლში გადაბარგდნენ. რავანო შვილს იყო შეჩვეული და მარტოობა მოსწყინდა. აღარ იცოდა, რა ექნა, დრო როგორ მოეკლა. იჯდა თავისთვის დაღონებული და ცხვირჩამოშვებული. მაგრამ ერთ დღეს ისევ იმ ტონიას მოჰკრა თვალი. უკვე თხუთმეტისა გამხდარიყო, გრეისზე ლამაზი იყო. ფორტის ჯარისკაცები ფინიებივით დასდევდნენ.

— რაც ერთხელ პიტის მოუვიდა, ბერიკაცსაც ის დაემართა ახლა. ვეღარ მოისვენა. ძილი და მადა დაჰკარგა. ლოყები ჩაუცვივდა, თვალები მარიჰუანას მწეველივით გამოუღამდა. კანფეტები მიუტანა ტონიას. გოგომ გამოსტაცა და სიცილი დააყარა. ბერიკაცმა უთხრა — გამომყევი, ჩემო პატარა საყვარელო, მე შენი მეგობარი ვარ. გოგომ ისევ სიცილი მორთო.

— ადგა და შვილს უამბო რავანომ ეს ამბავი. პიტისაც გაეცინა. რამ გამოგაჩურჩუტა, ბერიკაცო, უთხრა, არ გეყო, რაც ქალებს სდიე, ბავშვებს რაღას გადაეკიდეო. მაგრამ შენც არ მომიკვდე, სულ ჩამოხმა და დაილია ბერიკაცი. ცხელი სისხლი აქვთ ამ რავანოებს. ჩაიმალებოდა ბალახებში და შორიდან შეჰყურებდა გოგოს. გული ეწურებოდა.

— საჩუქრებისთვის ფული სჭირდებოდა. ადგა და ბენზინის ჩასასხმელ სადგურში დაიწყო მუშაობა. ბილიკებზე ქვიშას ასწორებდა, გაზონებში ყვავილებს რწყავდა, რადიატორში წყალს ასხამდა, მანქანებს მინებს უწმენდდა. ცენტს ცენტზე აწებებდა და ტონიასთვის საჩუქრებს ყიდულობდა— ეს კანფეტებიო, ეს ბაბთები და კაბებიო. ფოტოგრაფს ფული მისცა, ფერადი სურათი გადაუღეო.

— რაც დრო გადიოდა, სულ უფრო მეტად დასცინოდა გოგო. ბოლოს ბერიკაცმა იფიქრა: გრეისის ეკლესიაში ჯვარისდაწერამ უშველა, კარგი ქალი გახდა, ტონიასაც ასე მოუვაო. ცოლად გამომყევიო, უთხრა. თავის დღეში რომ არ უცინია, იმდენი იცინა გოგომ. წინ დაუბზრიალდა, სულ გადარია კაცი. ნამდვილი ჭინკა იყო ის ტონია.

— გასულელებულა! — შესძახა პილონმა, — ბავშვების დევნა რა ბერიკაცების საქმეა. უნდა ისხდნენ და მზეს ეფიცხებოდნენ.

ხესუს მარიამ იწყინა.

— ეს რავანოები სულ სხვა ხალხია, — თქვა მან, — ცხელი სისხლი აქვთ.

— მაინც უკადრისად მოქცეულა, — შეესიტყვა პილონი, — პიტი შეურცხვენია.

ახლა პაბლო მიუბრუნდა მას:

— აცალე, დაამთავროს ხესუს მარიამ. მაგისი ამბავია, პილონ, შენი ხომ არ არის. სხვა დროს შენ მოგისმენთ.

ხესუს მარიამ მადლიერად გადახედა პაბლოს.

— ჰო, რას ვყვებოდი... ვეღარ აიტანა ბერიკაცმა ამდენი ტანჯვა. ვერც ვერაფერი მოიგონა. პილონს კი არ ჰგავდა. თავის დღეში ახალს ვერაფერს მოიგონებდა. „პიტიმ თავი ბაწარში გაჰყო და იმიტომ გაჰყვა

გრესი, — გაიფიქრა ბოლოს მან, — მოდი, მეც გავყოფ ბაწარში თავს, იქნებ ტონია გამომყვეს", მაგრამ მერე მოაგონდა: „დროზე თუ არ მომისწრო ვინმემ, ხომ მოვკვდი! უნდა მომისწროს ვინმემ".

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბენზინის ჩასასხმელ სადგურში, — განაგრძო ხესუს მარიამ, — ხელსაწყო-იარაღების საწყობია. დილით ადრიანად მიდიოდა ხოლმე ბებერი რავანო, საწყობს გააღებდა, ქვიშას გადაასწორებდა და, სანამ სადგური გაიღებოდა, ყვავილების მორწყვასაც ასწრებდა. სხვები რვა საათზე მოდიოდნენ სამუშაოზე. ერთ დილას ვიეხა ჩვეულებრივ შევიდა საწყობში და ბაწარი ჩამოჰკიდა. მერე რვა საათამდე დაიცადა. როცა დაინახა, ხალხი მოდისო, მარყუჟში თავი გაყო და ჰაერში დაეკიდა. იმავე წუთში ქარმა დაუბერა და საწყობის კარი მიკეტა.

მეგობრებს სახე გაებადრათ. რა ძალიან, ძალიან სასაცილოა ზოგჯერ ცხოვრება, გაიფიქრეს მათ.

— მუშებმა მაშინვე არ მოისაკლისეს იგი, — განაგრძო ხესუს მარიამ, — ბერიკაცი ალბათ სადმე დათვრაო, იფიქრეს. მთელი ერთი საათი ისე გავიდა, საწყობის კარი არც შეუღიათ.

ხესუს მარიამ მეგობრებს გადახედა. ღიმილი კვლავ შერჩენოდათ სახეზე, მაგრამ ეს **უკვე სხვანაირი ღიმილი იყო.**

— ასეა, სასაცილოა, — თქვა ხესუს მარიამ, — მაგრამ თან გულს გიწურავს ადამიანს.

— ტონიამ რაღა თქვა? — იკითხა პილონმა, — გაკვეთილად არ გამოადგა? არ გამოსწორდა?

— არა. გაგიგონია! პიტიმ უთხრა ეს ამბავი და იმას სიცილი წასკდა. პიტისაც გაეცინა. მაგრამ მერე შერცხვა პიტის. გამოჩურჩუტებულა ბერიკაციო, თქვა ტონიამ და თავისებურად მინაბა თვალები.

პიტიმ უთხრა, შენისთანა პატარა დის ყოლას რა სჯობიათ. მოდი, ლამით ტყეში გავიაროთო. ტონიას გაეცინა და თავისებურად გაიქცა ცოტაზე. მერე პიტის მოუბრუნდა და გამოსძახა: „ვითომ გრესიზე ლამაზი ვარ?" და პიტი შინ გაჰყვა.

— არ ყოფილა კარგი ამბავი, — დანანებით თქვა პილონმა, — ძალიან ბევრი აზრია შიგ და ბევრი გაკვეთილის გამოტანა შეიძლება. ერთი გაკვეთილი რომ ამას გეუბნება, მეორე სულ სხვა რამეს ამბობს. იმისთანა რამეს ვერა ვხედავ, რომ დახსომებად ღირდეს. არაფერს არ ამტკიცებს.

— მე კი მომეწონა, — თქვა პაბლომ, — იმიტომ მომეწონა, რომ არაფერი ისეთი აზრი არ არის შიგ, ადვილად დაინახო კაცმა, თან კი გრძნობ, რომ რაღაც აზრია და ვერ მიმხვდარხარ, რა უნდა იყოს.

მზე შუბის ტარზე დაეკიდა. დაცხა.

— ნეტა მეკობრე საჭმელს რას მოგვიტანს, — თქვა დენიმ.

— დორადი მოაწყდა უბეს, — შენიშნა პაბლომ.

პილონს თვალები გაუბრწყინდა.

— ერთი რაღაცა მოვიფიქრე, — დაიწყო მან, — პატარა ბიჭი რომ ვიყავი, რკინიგზის პირას ვცხოვრობდით. რამდენს ჩაივლიდა მატარებელი, მე და ჩემი ძმები გამოვიდოდით და ორთქლმავალს ქვებს ვესროდით, მემანქანე კი ნახშირს დაგვიშენდა ხოლმე. ზოგჯერ მთელ ვედრო ნახშირს შევაგ-

როვებდით და დედას მივუტანდით. რა იქნება, ნავსადგომზე ჩავიტანოთ ქვები. კარჭაპები რომ ჩაივლის, გინება დავუწყოთ, ქვები დავუშინოთ. ისინი რაღას გვესვრიან — ნიჩბებსა და ბადეებს ხომ არ გაიმეტებენ? იძულებული იქნებიან თევზი გვესროლონ, და ასე შევაგროვებთ დორადს.

დენი გახარებული წამოხტა.

— ეს კი მწამს! დიდებული გეგმაა! — შესძახა მან, — რა ბიჭი გვყავს ეს პილონი! ეს რომ არ გვყავდეს, რა გვეშველებოდა? წავიდეთ, მე ვიცი, სადაც არის ქვები დახვავებული.

— დორადს თევზი არ მირჩევნია, — თქვა პაბლომ.



**როგორ დადარდიანდა და გაგიჟდა დენი. როგორ მიადგა ტორელის სახედ გამოცხადებული ეშმაკი დენის სახლს.**

მონტერეის ცხოვრებაში არის მოვლენები, არასოდეს რომ არ იცვლება. თითქმის ყოველ დილას მზე ქუჩების დასავლეთ მხრიდან მიადგება ხოლმე ფანჯრებს და ანათებს; ნაშუადღევს — აღმოსავლეთიდან. მონტერეისა და პასიფიკ გროვს შორის მუდამდღე წითელი ავტობუსი დახრიგინებს. საკონსერვო ქარხნები ყოველდღიურად აყროლებული თევზის სუნით წამლავენ ჰაერს. საღამოხანს ზღვიდან ნიავი დაუბერავს და მთაზე შეფენილ ნაძვნარს არწევს. მეთევზეები ზღვაში შეჭრილ კლდეებზე ჩამოსხდებიან და ხელში ანკესის ტარს მოიმარჯვებენ. სახეზე მოთმინება და გესლიანი ღიმილი ალბეჭდიათ.

ტორტილა ფლეტშიაც, მონტერეის თავზე, ცხოვრება ერთნაირი უცვლელობით მიედინება: ბოლოს და ბოლოს კორნელია რუიზის თავგადასავლებსაც და საყვარელთა ცვლასაც თავისი საზღვარი აქვს. ის კი არადა, ყოფილა შემთხვევა, როცა მას დიდი ხნის დაგმობილი კაცი დაბრუნებია.

დენის სახლში მით უფრო ცოტა იყო ცვლილებები. ჩვენი მეგობრების ცხოვრება ერთფეროვანი მოეჩვენებოდა ყველას, გარდა პაისანოსი — განა ერთფეროვანი და მოსაწყენი არ არის დილიდანვე მზეზე ჯდომა და იმაზე ფიქრი, ნეტა მეკობრე დღეს რას მოიტანსო! მეკობრე კვლავ აგროვებდა კვარს ტყეში და მონტერეის ქუჩებში ჰყიდდა. მაგრამ იმ ოცდახუთი ცენტით, რასაც ყოველდღიურად იღებდა, ამჯერად უკვე სანოვაგეს ყიდულობდა. ზოგჯერ ღვინოსაც თუ იშოვნიდნენ მეგობრები, იყო დაუსრულებელი სიმღერა და ჩხუბი.

ზღვის მახლობლად დრო უფრო რთულად მიედინება, ვიდრე რომელიმე სხვა ადგილას. მზის ყოველდღიურ ტრიალსა და წელიწადის დროთა ცვლასთან ერთად დრო აქ ტალღების კედელზე ხეთქებითაც იზომება, და ზღვის მოქცევისას იმ სიმაღლეზე ადის და ეშვება ზვირთები, რომ გიგანტურ კლეპსიდრას მოგაგონებს.

დენიმ უკვე იგრძნო დროის ფეთქვა. გადახედავდა ხოლმე მეგობრებს და რწმუნდებოდა, რომ მათთვის ყოველი დღე ერთნაირი იყო. ღამით ლო-

გინიდან რომ წამოდგებოდა და დაძინებულ პაისანოებს გადაალაჯებდა, გული მოსდიოდა, აქ რა უნდათო. მზეს რომ მიეფიცხებოდა პარმაღზე, ახლა უკვე იმ დღეებზე ოცნებობდა, როცა თავისუფალი იყო, როცა ზაფხულობით ტყეში ეძინა, ხოლო ზამთრის სუსხი რომ მოუჭერდა, საბძელში შევიდოდა და თივაში თბილად გაეხვეოდა, როცა საკუთრების სიმძიმე არ აწვა. გაახსენდა, რომ იმხანად მისი სახელი მეხივით ჭექდა. რამდენი ჩხუბი! ხან ამოღლიავებული ქათმით ტყეში გაქცევა, ხან კიდევ მალვა, როცა რომელიმე შეურაცხყოფილი ქმარი შურისძიებას დააპირებდა. ქარიშხალი და გაცოფება, ტკბილი გაცოფება! წარსულ, დაუბრუნებელ დღეებს რომ გაიხსენებდა დენი, თითქოს ახლად გრძნობდა მოპარული საჭმელის მშვენიერ გემოს, და კვლავ იმ ძველ დროს შენატროდა. რაც მემკვიდრეობა მიიღო და ამაღლდა, იშვიათად თუ იჩხუბებდა. სმით ახლაც სვამდა, მაგრამ ის ძველი შფოთი აღარ ახლდა სმას. სახლის სიმძიმე მუდამ ლოდივით აწვა. მეგობრების წინაშე პასუხისმგებლობა აწუხებდა.

ისე მოიჟამებოდა ხოლმე პარმაღზე, რომ მეგობრებს ეშინოდათ, ავად ხომ არ არისო.

— პარაგვაული ჩაი მოუხდება, — გადაწყვიტა პილონმა, — დაწექი, დენი, და ფეხზე გახურებულ ქვებს დაგადებთ.

ლოგინში ჩაფუთვნა კი არ უნდოდა დენის, თავისუფლება ენატრებოდა. მთელი ერთი თვე ჩაფიქრებული დადიოდა, მიწას ჩაშტერებოდა, მზრუნველობით მოფუსფუსე მეგობრებს უბღვერდა, მილაქუცებით მისულ ძაღლებს წიხლსა ჰკრავდა.

ბოლოს მოერია ნაღველი, ერთ ღამეს შინიდან გაიქცა, ნაძვნარს მისცა თავი და გადაიკარგა.

მეგობრებმა რომ გაიღვიძეს დილით და დენი არ დახვდათ, პილონმა თქვა:

— სულ ქალის საქმეა. ნამდვილად შეყვარებულია.

და თავი მიანებეს, რადგან სიყვარულის უფლება ვისთვის წაურთმევიათ?! ძველებურადვე განაგრძეს მეგობრებმა ცხოვრება. მაგრამ ერთი კვირა რომ გავიდა და დენისა მაინც არაფერი ისმოდა, შეშფოთდნენ. ტყეში გავარდნენ ყველანი ერთად და ძებნა დაუწყეს.

— სიყვარულს რა სჯობს, — თქვა პილონმა, — ვერავის ვერ გაჰკიცხავ, გოგოს რადა სდევო, მაგრამ მთელი კვირა მაინც მთელი კვირაა. ეტყობა, მაგარი ქალი შეხვედრია დენის, ერთი კვირით რომ გაიტაცა.

პაბლომ თქვა:

— ცოტა სიყვარული ცოტა ღვინოსავით არის. მაგრამ მეტი თუ მოგვიდა, ერთიც და მეორეც ავად გაგხდის. იქნებ დენიც ავადაა. იქნებ ძალიან მაგარი ქალი შეხვდა.

ხესუს მარიაც შეფიქრიანებულიყო.

— დენი მაგის კაცი არ არის, — ამდენი ხნით არ გადაიკარგებოდა. ეტყობა, რამე ფათერაკს გადაეყარა.

მეკობრემ ძაღლები წაასხა ტყეში. მეგობრებმა დაარიგეს ძაღლები:

— დენი მოძებნეთ. ავად არსად გამხდარიყოს. იქნებ მკვდარიც გდია სადმე... ჩვენი კეთილი დენი, თავის სახლში რომ შეგიფარათ და დაგაძინათ!

მეკობრემ ჩურჩულით უთხრა ძაღლებს:

— აი, თქვე უმადურო, ავო ძაღლებო, მეგობარი დაძებნეთ!

მაგრამ ძაღლებმა კუდი მხიარულად გააქიცინეს, ერთი კურდღელი წამოაგდეს და გამოუდგნენ.

მთელი დღე ტყეში იხეტიალეს პაისანოებმა, დენის ეძახდნენ. გულდაგულ დაათვალიერეს ისეთი ადგილები, თვითონვე რომ აირჩევდნენ ღამის გასათევად — მყუდრო ორმოები ხის ძირებს შორის, ბუჩქებით გარშემორტყმული სქლად გაფენილი წიწვის ლეიბები. იცოდნენ, სად შეიძლებოდა კაცს დაესადგურებინა. მაგრამ დენის ასავალ-დასავალი არსად ჩანდა.

— გაგიჟდა ალბათ, — ივარაუდა პილონმა, — რამე ფარული დარდი ჭკუას შეურყევდა.

საღამო ხანს შინ მიბრუნდნენ, კარი გააღეს და შევიდნენ. ერთბაშად გაშეშდნენ: სახლში ქურდი შესულიყო, მოეხვეტა და წაეღო დენის საბნები. საჭმელიც მიეყოლებინა. ორი ქვაბიც აღარსად ჩანდა.

პილონმა მაშინვე დიდ ჯო პორტუგალიელს შეხედა, იმან კი თავი გააქნია.

— არა, შენ ხომ ჩვენთან ერთად იყავი. შენ რას წაიღებდი!

— დენი წაიღებდა, — მგზნებარედ შესძახა პაბლომ, — მართლაც გაგიჟებულა. ეტყობა, მხეცივით დაძრწის ტყე-ტყე.

შეშფოთებამ და საფიქრალმა დაისადგურა დენის სახლში.

— უნდა მოვძებნოთ, — არწმუნებდნენ მეგობრები ერთმანეთს, — ჩვენი მეგობარი გაგიჟებულა და რამე ფათერაკს გადაეყრება. მთელი დუნია უნდა მოვიაროთ და ვნახოთ.

სიზარმაცე ხელადვე ჩამოიშორეს. მთელი დღეები მის ძებნაში იყვნენ. უცნაური ხმები მოსდიოდათ. „აჰ, დენი? წუხელ აქ იყო. ჰოი, ის ლოთი და მაწანწალა! მესერიდან სარი გამოაძრო, ბერიკაცს დაჰკრა თავში და ერთი ბოთლი გრაპა გაიტაცა. მაგათაც მეგობრები ჰქვიათ — ძმაკაცს ამისთანა რამეებს ანებებენ!.. დენი? როგორ არა, ვნახეთ: თვალები დაეხუჭა და მიიმღეროდა: „წამოდით, ტყეში ვიცეკვოთ, პატარა გოგონიებო“, მაგრამ არ გავყევით. შეგვეშინდა. სახე არეული ჰქონდა“.

ნავსადგურში ახალი ამბები დაახვედრეს. „აქ იყო, — უთხრეს მეთევზეებმა მეგობრებს, — ყველას ეკინკლავებოდა. ბენიტომ ნიჩაბი გადაატეხა თავზე. დენიმ ფანჯრები ჩაამსხვრია და პოლიციელმა ციხეში წაიჩიქჩიქა“.

დაადგნენ ამ ახალ კვალს და ბოლომდე მიჰყვნენ თავქარიან მეგობარს.

— მაკნირმა მოიყვანა წუხელ, — უთხრა მათ სერჟანტმა, — მაგრამ უკვე გაქცევა მოასწრო. ერთი დავიჭიროთ და — ექვს თვეს ვაყურყუტებინებთ ციხეში!

მეგობრები დაჰქანცა ამდენმა დევნამ. ისევ შინ მიბრუნდნენ, მაგრამ თავზარი დაეცათ: მთელი ტომარა კარტოფილი, სწორედ იმ დილით რომ ეპოვნა პილონს, ვიღაცას წაეღო.

— ეს კი უკვე მეტისმეტია, — შესძახა პილონმა, — დენი გაგიჟებულა, საშიშროება ემუქრება. თუ არ დავიხსენით, უბედურებას გადაეყრება.

— მოვძებნოთ, — თქვა ხესუს მარიამ.

— სულ გადავჩხრეკთ, რაც ბუჩქები და ხეებია, — აღთქმა დადო პაბლომ.

— ზღვის პირასაც გავიდეთ და ნავების ქვეშ დავძებნოთ, — თქვა დიდმა ჯონ.

— ძაღლებიც დაგვეხმარებიან, — შენიშნა მეკობრემ.

პილონმა თავი გააქნია.

— ასე ვერაფერს გავხდებით. საცა მივედით, ყველგან ახალი წასული დაგვხვდა. ისეთი ადგილი უნდა გამოვძებნოთ, საცა ჯერ არ მისულა და ისე კი ნამდვილად მივა. ჭკუა უნდა ვიხმაროთ, სულელებივით კი არ უნდა ვიფლატუნოთ.

— სად მივა მერე?

ერთბაშად პილონს ბრწყინვალე აზრმა გაუელვა.

— ტორელისთან! ადრე იქნება თუ გვიან, ტორელისთან უსათუოდ მივა, იქ უნდა დავხვდეთ და შევიპყროთ, ამ სიგიჟისაგან ვიხსნათ.

— მართალი ხარ, — კვერი დაუკრეს მეგობრებმა, — უსათუოდ უნდა ვიხსნათ.

ჯგროდ მიადგნენ ტორელის, მაგრამ ტორელიმ შინ არ შეუშვა.

— დენი თუ ნახეო, მეკითხებით? — ყვიროდა იგი კარს მიღმა, — სამი საბანი და ორი ქვაბი მომიტანა აქა და ერთი გალონი ღვინო გამომართვა. მერე რაღა ჯანდაბა ქნა? ჩემს ცოლს შეურაცხყოფა მიაყენა, მე გამომლანძღა, ბავშვი გამილახა, ძაღლს წიხლი ამოჰკრა! პარმაღიდან ჰამაკი გაიტაცა, — აღელვებისაგან სუნთქვა შეეკრა ტორელის, — გამოვეკიდე, ჰამაკს წავართმევ-მეთქი, და შინ რომ მოვბრუნდი, ჩემს ცოლთან დამხვდა! მაცთური, ქურდი, ლოთი! ნახეთ, თუ ციხეში არ ჩავასმევინო ის თქვენი მეგობარი.

მეგობრებს თვალები აუბრიალდათ.

— აი, შე კორსიკელო ღორო, — კბილებში გამოსცრა პილონმა, — ჩვენს მეგობარზე ამბობ მაგას?! ჩვენი მეგობარი ავად არის.

ტორელიმ კარი გამოიხურა. მეგობრებმა გაიგონეს, როგორ გაუყარა ურდული, მაგრამ პილონი მაინც არა ცხრებოდა.

— ოჰ, შე ურიავ, — განაგრძობდა იგი, — ასე რომ არ დაჰკანკალებდე მაგ შენს ღვინოს, არაფერიც არ მოხდებოდა. ცივი ბაყაყივით რომ გამოგიჩრია ეგ ენა პირში, გირჩევნია ფრთხილად იყო, მეგობარი არ დაგვიგესლო. გირჩევნია ადამიანურად მოექცე, თორემ დენის მეგობრები არ აკლია, წელებს გადმოგაყრევინებენ.

ტორელის კრინტი არ დაუძრავს, მაგრამ ამ მუქარაზე კი შიშითა და ბოღმით კანკალებდა. მაშინღა მოეშვა გულზე, როცა ქუჩიდან შემოესმა დენის მეგობრების ფეხის ხმა.

იმ ღამეს, დასაძინებლად რომ დაწვნენ, სამზარეულოდან ჩუმი ფეხის ხმა შემოესმათ. მიხვდნენ, დენი იყო, მაგრამ დაჭერა ვერ მოასწრეს, გაიპარა. სიბნელეში ბოდიალობდნენ და უნუგეშოდ გაჰკიოდნენ:

— დაბრუნდი, დენი, ჩვენო ტკბილო მეგობარო! მოგვენატრე!

პასუხი არავის გაუცია, მაგრამ დიდ ჯონს ქვა მოხვდა მუცელში და მი-

წაზე გააგორა, დააწირეხა. ო, როგორ გამწარდნენ მეგობრები, როგორ ჩაწყდათ გული!

— დენი სიკვდილს ეძებს, — თქვეს ნაღვლიანად, — ჩვენი საყვარელი მეგობარი გასაჭირშია და ჩვენ კი ვერაფერს ვშველით.

სახლის მოვლა-პატრონობა უკვე ძნელი გახდა, დენიმ თითქმის ყველაფერი მოიპარა. ერთი სკამი ბუტლეგერის[1] სახლში აღმოჩნდა. სანოვაგე სულ გაალაგა, ხოლო ერთ დღეს, როცა მეგობრები ტყეში ეძებდნენ მას, თუჯის ღუმელიც მოიპარა, მაგრამ ვერ მოერია და ხრამში მიატოვა. ფული აღარსად იყო, რადგან მეკობრის ურიკაც გაიტაცა დენიმ და ჯო ორტიზს მისცა ერთ ბოთლ უისკიში. სიმშვიდე სავსებით გაჰქრა დენის სახლიდან და მისი ადგილი მწუხარებამ და შეშფოთებამ დაიჭირა.

— სად წავიდა ჩვენი ბედნიერება? — მოსთქვამდა პაბლო, — ეტყობა, რაღაც შევცოდეთ. სასჯელი მოგვივლინა ღმერთმა. უნდა წავიდეთ და ზიარება მივიღოთ.

მორჩა, მეტად აღარ უმსჯელიათ კორნელია რუიზის საქორწინო ამბებზე, აღარც ჭკუის დარიგებანი გახსენებია ვინმეს, საქველმოქმედო საქმეებიც დაივიწყეს. ბედნიერი ცხოვრება ნანგრევებად იქცა. ამ მწუხარების ჟამს კი კვლავ დადიოდა ათასნაირი ხმები:

„დენიმ წუხელ ვიღაც გააუპატიურა“.

„დენი მისის პალოჩიკოს თხებსა წველიდა“.

„დენი ჯარისკაცებთან ჩხუბობდა გუშინწინ ღამით“.

დენის ზნეობრივმა დაკნინებამ მეგობრები შეაწუხა, მაგრამ გულში მაინც შურდათ მისი თავისუფალი დროს ტარება.

— თუ მართლა არ გაგიჟდა, ამას არავინ აპატიებს, — განაცხადა პილონმა, — დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. ცოდვას ცოდვაზე სჩადის, აღარაფერს ეპუება. ამისთანა რამეს ჩემს დღეში არ შევსწრებივარ. რა მოინანიებს ამდენ ცოდვას, კიდევ თუ გადაწყვიტა წესიერ გზაზე დადგომა? რაც მაგას ამ რამდენიმე კვირაში ცოდვა დაუგროვდა, ბებერ რუიზს მთელ სიცოცხლეში არ ჩაუდენია!

იმ საღამოს დენიმ ძაღლების კეთილგანწყობილებით ისარგებლა, უხმოდ შეცოცდა სახლში, როგორც ქუჩის ფანრის შუქზე მოქანავე ხის ტოტის ჩრდილი, და პილონის წაღები მოიპარა. დილით პილონს დიდი დრო არ დასჭირვებია იმის მისახვედრად, თუ რა მოხდა. მტკიცე ნაბიჯით გავიდა პარმაღზე, მზეს მიეფიცხა და თავის ფეხებს დაუწყო თვალიერება.

— ძალიან შესტოპა, — თქვა პილონმა, — ანცობასა და ოინბაზობას ვუთმენდით, ახლა უკვე ბოროტმოქმედებაზე გადავიდა. დენის საქციელს არა ჰგავს ეს. სულ სხვა კაცი გახდა, ცუდი კაცი. უსათუოდ უნდა შევიპყრათ ეს ცუდი კაცი.

პაბლომ კმაყოფილებით დაიხედა თავის ფეხსაცმელებზე.

— იქნებ ეგეც უბრალო ოინბაზობა იყოს, — თქვა მან.

— არა, — მკაცრად მოუჭრა პილონმა, — ეს უკვე ბოროტმოქმედებაა. მართალია, რიგიანი ფეხსაცმელები ვერ იყო, მაგრამ მაინც ბოროტმოქმე-

[1] „მშრალი კანონის“ დროს ღვინით მოვაჭრე ამერიკაში.

დებაა, მეგობარს რომ ამისთანა საქმეს უზამ. ყველაზე საშინელი ბოროტმოქმედებაა. რაკიღა მეგობრების ფეხსაცმელების მოპარვა იკისრა, მორჩა, ყოველგვარი ბოროტების ჩამდენია.

მეგობრებმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიეს.

— არა, უნდა შევიპყრათ, — თქვა კაცთმოყვარე ხესუს მარიამ, — ხომ ვიცით, რომ ავად არის; მივაკრათ თავის საწოლს და მოვარჩინოთ. როგორმე გადავუწმინდოთ გონებიდან ეს ბნელი ბურუსი.

— სანამ შევიპყრობდეთ, — შეახსენა პაბლომ, — ჩვენ-ჩვენი ფეხსაცმელები სასთუმალქვეშ ამოვიდოთ ხოლმე.

სახლი ალყაში მოექცა. ირგვლივ გაშმაგებული დენი დაჰქროდა და დიდებულ დროსაც ატარებდა.

ღვარძლისა და გაბოროტების გარდა ტორელის სახე იშვიათად გამოხატავდა სხვა რაიმე გრძნობას. ბუტლეგერი იყო, მუდამ ტორტილაფლეტელებთან ჰქონდა საქმე და ამიტომ გულში სულ ეს ორი გრძნობა უტრიალებდა, ამან კი პირისახესაც თავისი დაღი დაასვა. ამას გარდა თავის დღეში არავის სტუმრებია ტორელი. მუდამ შინ იყო გამომჯდარი და მას ესტუმრებოდნენ ხოლმე. ჰოდა, რაღა გასაკვირია, როცა ერთ დილას დენის სახლისკენ გაემართა იგი, რაღაც სიამოვნების მოლოდინში სახეზე მზაკვრული ღიმილი გადაფენოდა. დაფეთებული ბალღები ეზოებში შერბოდნენ და ღობის ხვრელებიდან უჭვრიტინებდნენ; ძაღლები კუდის ბათქუნით გარბოდნენ და შიშით უკან იხედებოდნენ; გზად შემხვედრი ხალხი გზიდან უხვევდა და, გიჟის მოსაგერიებლად, მუშტებს შეკრავდა ხოლმე.

ცას ნისლი გადაჰკროდა იმ დილას. მზეს ცოტა კი გაებრძოლა, მაგრამ რაკი ვერაფერს გახდა, ბრძოლაზე ხელი აეღო და რუხ ფარდას მოჰფარებოდა. ნაძვებიდან ნამი წვეთავდა მიწაზე, ქუჩაში კანტიკუნტად გამოსული ადამიანებიც, ამინდის შესაფერისად, ცხვირჩამოშვებულები და დაღვრემილები ჩანდნენ. გულღია მისალმებას ვერ გაიგონებდი. სულ არ იგრძნობოდა ის იმედიანი რწმენა, ადამიანის გულს რომ სიხარულით ავსებს ხოლმე, ეს დღე ყველა სხვა დღეზე უკეთესი იქნებაო.

მოხუცმა როკამ რომ დაინახა მომღიმარე ტორელი, შინ შებრუნდა და ცოლს უთხრა:

— საკუთარი შვილები დაუხოცავს და შეუჭამია. ნახე, თუ არა!

ბედნიერი იყო ტორელი, რადგან ჯიბეში დაკეცილი, სანუკვარი ქაღალდი ედო. წარამარა ჯიბისკენ მიაქანებდა ხელს და სუსტი შრიალიც კი არწმუნებდა, რომ ქაღალდი აქვე იყო. მიარღვევდა დილის ნისლს და თან თავისთვის ბუტბუტებდა:

— გველების ბუდე! უნდა დავანგრიო ეს ჭირის ბუნაგი, დენის მეგობრებს რომ დაუბუდებიათ. მორჩა, ღვინოს აღარ მივცემ იმ თავიანთ ხარახურაში, სულ ერთია, მერე მაინც უკანვე მიაქვთ. სათითაოდ ცუდი ბიჭები როდი არიან, მაგრამ ერთად კი... მადონა, შენ იქნები მოწმე, როგორ გამოვყრი ყველას ქუჩაში. გომბეშოები, ტილები, ბუზები! ტყეში რომ დაიძინებენ ძველებურად, ყოყოჩობასაც მოიშლიან.

— უნდა ვაგრძნობინო, რომ ტორელიმ გაიმარჯვა. გაცურება დამიპირეს, სახლის გამოფხეკა, ცოლის გაბახება!.. თვითონვე დაინახავენ, რომ მრავალტანჯული ტორელი საბოლოოდ შურს იძიებს. თვითონვე ნახავენ ამას!

მიდიოდა და მიბუტბუტებდა, ჯიბეს მალმალე ისინჯავდა. ხეები ცრემლებს აფრქვევდნენ. ცაში თოლიები დასრიალებდნენ და გულის შემაღონებლად მოსთქვამდნენ. ტორელი ბედისწერის რუხი აჩრდილივით უახლოვდებოდა დენის სახლს.

დენის სახლში მწუხარებას დაესადგურებინა. მეგობრები ველარ ეფიცხებოდნენ მზეს პარმაღზე, რადგან მზე არსად ჩანდა. ამაზე უკეთესი მიზეზი მწუხარებისა რაღა შეიძლება იყოს! გატაცებული ღუმელი იპოვნეს ხრამში და მოიტანეს, გამართეს. ახლა ღუმელთან მიყუჟულიყვნენ და ჯონი პომ-პომს უსმენდნენ. იგი სტუმრად მოსულიყო და ახალი ამბები მოეტანა.

— ტიტო რალფი უკვე აღარ არის ქალაქის ცხის ზედამხედველი, — თქვა მან, — ამ დილას გამოაგდო პოლიციის მსაჯულმა.

— კარგი ბიჭი იყო ტიტო რალფი, — განაცხადა პილონმა, — კაცს რომ დაიჭერდნენ, ცოტაოდენ ღვინოს მაინც მიუტანდა ხოლმე. ასი კაცი ვერ მოგიყვება იმდენ ამბავს, მაგან რომ იცოდა. მაინც რატომ გამოაგდეს, ჯონი პომ-პომ?

— სწორედ მაგის სათქმელად მოვედი. თქვენც ხომ იცით, რომ ტიტო რალფი თავის დროზე ცხის ხშირი სტუმარი იყო. კარგ პატიმრადაც ითვლებოდა. ხელად აუღებდა ხოლმე ალღოს ყველაფერს! მასავით არავინ არ იცოდა ცხის ასავალ-დასავალი. ამასობაში ძველი ზედამხედველი დედი მარკსი მოკვდა და მისი ადგილი ტიტო რალფმა დაიჭირა. ჯერაც არ ღირსებია ცხეს მაგისთანა ზედამხედველი. არაფერი არ შეეშლება. მაგრამ ერთ რამეში ცოდავს — დალევს თუ არა ღვინოს, ავიწყდება, რომ ზედამხედველია. გარბის ცხიდან და იძულებული არიან დაიჭიროონ.

მეგობრებმა თავი დაუქნიეს.

— ვიცი, — თქვა პაბლომ, — მეც გამიგონია, რომ ძნელი დასაჭერია, იმალება ხოლმე.

— ასეა, — განაგრძო ჯონი პომ-პომმა, — ეს ერთი ნაკლი რომ არ ჰქონდეს, მაგისთანა ზედამხედველი მეორე არ იქნებოდა. სწორედ ამის სათქმელად მოვედი ახლა თქვენთან. წუხელ დენის მთელი ათი კაცის საყოფი ღვინო უშოვნია და დაულევია კიდეც. მიმდგარა და რეები არ უხატავს ფანჯრებზე! ჯიბე ფულით ჰქონია გამოტენილი. კვერცხები უყიდნია, ჩინელს დავუშენო. ერთი კვერცხი ჩინელს ასცდენია და პოლიციელს მოხვედრია. მაშინვე ცხეში მიუბრძანებიათ.

— მაგრამ ფული ხომ ჩეჩქივით ჰქონდა. ამდგარა და ტიტო რალფი გაუგზავნია ღვინოზე. რომ გამოსცალეს, კიდევ მოატანინა. სულ ოთხი კაცი ჰყოლოდათ ცხეში და თურმე ყველა სვამდა. ამასობაში ტიტო რალფს ძველმა სენმა წამოუარა და ბოლოს გაიქცა ცხიდან. სხვებიც გაიქცნენ. დღეს დილით დაუჭერიათ ტიტო რალფი და უთქვამთ, ზედამხედველობას დაემშვიდობეო. ისე შეწუხებულა საწყალი, რომ ფანჯარა ჩაუმტვრევია, ახლა ცხეში ზის.

— დენი? — შესძახა პილონმა, — დენის რაღა მოუვიდა?

— აჰ, დენი! — მიუგო ჯონი პომ-პომმა, — ისიც გაიქცა და ვეღარც დაიჭირეს.

შეწუხებულმა მეგობრებმა ამოიხვნეშეს.

— სულ უფრო და უფრო ცუდად მიდის დენის საქმე, — დინჯად განაცხადა პილონმა, — რამეს აუტეხს თავს. ნეტა მაცოდინა, ფული სად იშოვა!

სიტყვის დამთავრება ვერც კი მოასწრო, რომ ტორელიმ დიდი ზარზეიმით შეაღო ეზოს ჭიშკარი და მედიდურად გაემართა სახლისკენ. მეკობრის ძაღლები წამოიჭრნენ, თავიანთ კუთხიდან წამოიშალნენ და ღრენით გაქანდნენ კარისკენ. მეგობრებმა თავი ასწიეს და, გაკვირვებულები, ერთმანეთს მიაშტერდნენ. დიდმა ჯომ წერაქვის ტარს სტაცა ხელი, ამ ცოტა ხნის წინ მის თავზე რომ გამოსცადეს. ტორელის მძიმე და მედიდური ნაბიჯები უკვე პარმაღზე გაისმა. კარი გაიღო და ზღურბლზე მომღიმარი ტორელი გამოჩნდა. ყვირილს სულაც არ მოჰყოლია; პირიქით, ფეხაკრეფით შევიდა შინაურ კატასავით. ალერსიანად მიუახლოვდა, როგორც კატა მიეპარება ხოლმე ფურნის ჭიას.

— ოჰ, ჩემო მეგობრებო, — დაიწყო მან ნაზად, ბიჭების შეშფოთებულ თვალებს რომ წააწყდა, — ჩემო ძვირფასო მეგობრებო და მუშტრებო, გული ლამის დამეფლითოს; ჩემს საყვარელ ბიჭებთან ცუდი ამბის მთხრობელად მოვსულვარ.

პილონი წამოხტა.

— დენის ამბავი უნდა გვითხრა? ავად არის? რამე აიტეხა? გვითხარი ბარემ!

ტორელიმ ეშმაკურად გააქნია თავი.

— არა, ჩემო პატარებო. გული მეწურება, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ. დღეიდან აქ ვეღარ იცხოვრებთ.

ღვარძლიანი სიხარულით გადახედა ბიჭებს, ჩემი სიტყვები რა შთაბეჭდილებას მოახდენსო. გაოგნებულმა ბიჭებმა პირი დააღეს, თვალები ჭყიტეს.

— რა სისულელეა! — შესძახა პილონმა, — ვითომ რატომ არ უნდა ვიცხოვროთ აქა?

ტორელიმ ნაზად ჩაძვრინა ხელი უბეში, თითებით ამოაცოცა სანუკვარი ქაღალდი და ააფრიალა.

— ახლა ჩემი გულისტკივილიც წარმოიდგინეთ! — თქვა მან, — ეს სახლი დენის უკვე აღარ ეკუთვნის.

— რაო! — შესძახეს ბიჭებმა, — ნეტა რას მიედ-მოედები! როგორ თუ დენის არ ეკუთვნის?! ხმა ამოიღე, კორსიკელო ძაღლო!

ტორელიმ ჩაიქირქილა. ისეთი შემაძრწუნებელი იყო ეს ქირქილი, რომ ბიჭებმა უკან დაიხიეს.

— აღარ ეკუთვნის დენის, — თქვა ტორელიმ, — იმიტომ რომ ჩემია. დენი თვითონ მოვიდა ჩემთან წუხელ და ოცდახუთ დოლარად მომყიდა.

ტორელიმ ეშმაკივით მოატარა თვალები ბიჭების დაეჭვებულ სახეებზე.

„ტყუილია“, ამბობდა მათი სახეები, „დენი ამისთანა რამეს არ იკად-

რებდა“. და მაშინვე გაიფიქრეს: „თუმცა რამდენი სიგლახე ჩაიდინა ამ ბოლო ხანებში დენიმ! რამდენი რამე მოგვპარა! იქნებ სახლიც გაყიდა ჩუმად“.

— ტყუილია! — შესძახა პილონმა, — ეს ჭუჭყიანი იტალიელი ტყუის!

ტორელიმ ისევ ჩაიქირქილა და ქაღალდი ააფრიალა.

— აჰა, საბუთი, — თქვა მან, — აგერ, დენის ხელმოწერილი ქაღალდი. ამას ჩვენ, საქმის ხალხი, ნასყიდობის ქაღალდს ვეძახით.

პაბლო ცოფიანივით მივარდა.

— დაგითვრია! ალბათ არც იცოდა, რას აკეთებდა.

ტორელიმ ცოტაზე გაშალა ქაღალდი.

— კანონს ეს სულაც არ აინტერესებს, — მიუგო მან, — ასეა, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ძალიან მიჭირს, მაგრამ ვალდებული ვარ გითხრათ — სახლი უნდა დამიცალოთ. მე ჩემი თადარიგი მაქვს.

ღიმილი ერთბაშად გაუქრა სახიდან და ჩვეული ულმობელი გამომეტყველება დაუბრუნდა.

— შუადღემდე თუ არ აიბარგეთ, პოლიციელს გამოვგზავნი.

პილონი მშვიდად მიუახლოვდა. ო, ფრთხილად, ტორელი! პილონი ღიმილით გიახლოვდება! გაიქეცი, რკინის ოთახში ჩაიკეტე. კარი მჭიდროდ შეადუღე!

— ამეებისა მე არაფერი გამეგება, — მშვიდად უთხრა პილონმა, — ძალიან მწყინს დენის საქციელი.

ტორელიმ კვლავ ჩაიქირქილა.

— ჩემს დღეში სახლი არ გამიყიდია, — განაგრძო პილონმა, — მაშ, ამ ქაღალდზე მოაწერა დენიმ ხელი?

— დიახ, — გამოაჯავრა ტორელიმ, — სწორედ ამ ქაღალდზე მოაწერა.

პილონმა გამოთაყვანებულივით განაგრძო:

— მაშ, ამ ქაღალდზე სწერია, რომ სახლი შენ გეკუთვნის?

— დიახ, დიახ, რეგვენო. სწორედ ამ ქაღალდზე სწერია.

პილონს თვალები აემღვრა.

— მე კი მეგონა, ქალაქში უნდა წაგელო და იქ შეგემოწმებინა.

ტორელიმ ზიზღით გაიცინა. ო, ფრთხილად, ტორელი! ვერა ხედავ, როგორ მძიმედ მოძრაობენ ეს გველები? ხესუს მარია ეგერ, წინა კართან ატუზულა; პაბლო სამზარეულოს კართანა დგას; დიდ ჯოს შეხედე, რა მაგრად მოუჭერია ხელი წერაქვის ტარისთვის, თითები სულ გათეთრებია!

— საქმისა თქვენ რა გესმით, მაწანწალებო და სალახანებო, — შესძახა ტორელიმ, — აქედან რომ გავალ, ქალაქშიაც ჩავივლი და ამ ქაღალდს...

ისე უცებ მოხდა ყველაფერი, რომ ბოლო სიტყვა ერთბაშად ამოასლოკინა. ფეხები ჰაერში ამოუტრიალდა, იატაკზე ბრაგვანი მოადინა და თავისი კოტიტა თითებით ჰაერს მოებღაუჭა. ღუმელის კარის გაჩხაკუნება ჩაესმა.

— ქურდებო! — იკივლა მან. სისხლი კისერსა და სახეში მოაწვა, — ქურდებო! ძაღლებო და ვირთაგვებო, ჩემი ქაღალდი მომეცით.

პილონი წინ აეტუზა და გაკვირვებით შეხედა.

— ქაღალდი? — თავაზიანად ჰკითხა მან, — ნეტა რა ქაღალდზე ლაპარაკობ ასე გაცხარებით!

— ჩემი ნასყიდობის ქალალდი! ახლავე პოლიციას შევატყობინებ.

— რალაც არ მაგონდება ეგეთი ქალალდი, — უთხრა პილონმა, — პაბლო, იქნებ შენ იცი, რა ქალალდზე ლაპარაკობს ეს კაცი?

— ქალალდი? — გაიკვირვა პაბლომ, — გაზეთის ქალალდს კითხულობს თუ პაპიროსის ქალალდს?

პილონი დაკითხვას განაგრძობდა:

— ჯონი პომ-პომ!

— ალბათ მოელანდა რამე, — მიუგო ჯონი პომ-პომმა.

— ხესუს მარია! შენ იცი რამე ამ ქალალდისა?

— მთვრალი უნდა იყოს, — აღშფოთებით წარმოთქვა ხესუს მარიამ, — დილაადრიან დათრობა გაგონილა!

— ჯო პორტუგალიელო!

— მე აქ არა ვყოფილვარ, — მიუგო ჯომ, — ეს არის შემოვედი.

— მეკობრევ!

— ქალალდი სულაც არა ჰქონია, — უპასუხა მეკობრემ და ძაღლებს ჰკითხა, — ჰქონდა, განა?

პილონი დამბლადაცემულ ტორელის მიუბრუნდა:

— გეშლება, ჩემო მეგობარო. ვთქვათ, მე შევცდი და ვერ შევნიშნე ის შენი ქალალდი. სხვები? ხომ შენი თვალით დაინახე, არავის შეუმჩნევია. გაკიცხვას რას მემართლები! ქალალდი არ დამინახავს-მეთქი, ამისთვის მკიცხავ? სჯობს შინ მიბრუნდე და ლოგინში გამოშუშდე.

ტორელი ისე იყო გაბრუებული, ყვირილის თავიც აღარ ჰქონდა. მეგობრებმა შეაბრუნეს, ეზოში გაიყვანეს და ამ საშინელი მარცხით შეძრწუნებული კაცი სახლის გზაზე დააყენეს.

მერე ცას ახედეს და დიდად გაიხარეს, რადგან მზეს კვლავ დაეწყო ბრძოლა და ამჟამად გზა გამოეკვლია ბურუსში. მეგობრები ოთახში აღარ შესულან, წინა პარმაღზე ჩამოსხდნენ ბედნიერები.

— ოცდახუთი დოლარი! — წარმოთქვა პილონმა, — ნეტა რა უქნა ამდენ ფულს!

რაკი ერთი ბრძოლა მოიგო მზემ, მოსდგა და, გულმოცემულმა, სულ გადარეკა ციდან ნისლი. პარმაღის ფიცრები გათბა. სინათლემ რომ მოიმატა, ბუზებმა ზუზუნი გააბეს. მეგობრებმა მოქანცულობა იგრძნეს.

— დიდი განსაცდელი გამოვიარეთ, — ზანტად ამოღერღა პაბლომ, — არ უნდა ეკადრებია დენის ამისთანა რამე!

— ამიერიდან სულ ტორელისთან ვიყიდოთ ღვინო, ზარალიდან გამოვიყვანოთ კაცი, — თქვა ხესუს მარიამ.

ვარდის ბუჩქზე ჩიტი დასკუპდა და კუდის ქანქარს მოჰყვა. მისის მორალესის ახალმა ყვინჩილებმა მზის სადიდებელი ჰიმნი შემოსძახეს, თუმცა ამის დრო ახლა არ იყო. ძაღლები ეზოში ფიქრიანად იქექავდნენ ტანს და კუდებს ილოლნიდნენ.

ქუჩაში ფეხის ხმა გაისმა. მეგობრებმა გაიხედეს და მხიარული ღიმილით წამოხტნენ. ეზოში დენი და ტიტო რალფი შემოვიდნენ, ორ-ორი დიდი პარკი ეჭირათ ხელში. ხესუს მარია ოთახში შევარდა და მურაბის ქილები

გამოარბენინა. როცა დენიმ პარმაღზე დააწყო ბოთლები, მეგობრებმა შეამჩნიეს, გადაქანცული იყო.

— მანამ ამ გორაკს ამოივლიდე, შენი დაგემართება, — თქვა დენიმ.

— ტიტო რალფ, — შესძახა ჯონი პომ-პომმა, — გავიგე, ციხეში ჩაუმწყვდევიხართ.

— გამოვიპარე, — უხალისოდ მიუგო ტიტო რალფმა, — გასაღებები ხომ ისევ მე შემრჩა.

ქილებში ღვინო აბუყბუყდა და გაივსო. ბიჭებს ხვნეშა აღმოხდათ. ეს იყო შვების ხვნეშა, რაკი ყველაფერი კეთილად დამთავრდა.

პილონმა კარგა ბლომად მოსვა ქილიდან.

— დენი, — დაიწყო მან, — ის ღორი ტორელი მოეთრა ამ დილას, რაღაცას ჩმახავდა. ხელში ქაღალდი ეჭირა, დენის ხელმოწერილიაო.

დენი ერთბაშად შეცბა.

— სად არის მერე ის ქაღალდი? — იკითხა მან.

— ვიცოდით, ტყუილი იქნებოდა, — მიუგო პილონმა, — დავწვით. შენ ხომ არ მოგიწერია ხელი?

— არა, — უპასუხა დენიმ და თავისი ქილა გამოსცალა.

— ნეტა შესატანებელიც მოგვცა, — ინატრა ხესუს მარიამ.

დენის ტკბილად გაეღიმა.

— სულ არ დამავიწყდა! იმ ჩანთაში სამი ქათამი და ცოტაოდენი პურია.

ისე გაიხარა პილონმა და ისე მოეშვა გულზე, რომ წამოდგა და პატარა სიტყვა წარმოთქვა.

— სხვას ვის ეყოლება ჩვენისთანა მეგობარი?! — მგზნებარედ შესძახა მან, თითქოს ლექსს კითხულობსო, — შეციებულს რომ გნახავს, ხელს მოგკიდებს და სახლში შეგიფარებს. თავის პურსა და ღვინოს ჩვენ გვინაწილებს. ჰოი, კეთილო კაცო, ჩვენო ძვირფასო მეგობარო.

დენიმ დაირცხვინა. იატაკს ჩააშტერდა.

— კარგი ერთი, — ამოიბუტბუტა მან, — მაგდენიც არაფერია.

მაგრამ ისე დიდი იყო პილონის სიხარული, რომ შეეძლო მთელი ქვეყანა გულში ჩაეკრა, გარეწრებიც კი.

— როცა იქნება, ტორელიც უნდა გავახაროთ, — თქვა მან.



**დენის დანაღვლიანება. რა მსხვერპლი გაიღეს მეგობრებმა, რათა დენისთვის ჟეიფი გაემართათ. როგორ მიიცვალა დენი**

სიშმაგის შემდეგ შინ რომ მიბრუნდა დენი თავის მეგობრებთან, სინდისის ქენჯნას სულაც არ განიცდიდა, მაგრამ მეტისმეტად გადაქანცული იყო. შმაგად გატარებული დროის უხეში თითები მისი სულის სიმებს ეხებოდა და სტანჯავდა. ყველაფრის ხალისი დაკარგა. ლოგინიდან იმიტომ თუ გამოძვრებოდა, რომ პარმაღზე გასულიყო და კასტილიური ვარდის ბუჩქ-

თან ჩამომჯდარიყო, პარმალიდან მხოლოდ პურის საჭმელად თუ ადგებოდა; სუფრიდან კიდევ იმისთვის თუ აიტანდა წელს, რომ ლოგინში ჩაწოლილიყო. მეგობრების საუბარს თითქოს ყურს უგდებდა, მაგრამ სულაც არ ენაღვლებოდა, რას ლაპარაკობდნენ. კორნელია რუიზმა სწრაფად და მარჯვედ გამოიცვალა ქმრები, მაგრამ დენის ოდნავადაც არ აღელვებდა ეს. ერთ საღამოს დიდი ჯონი შეძვრა მის ლოგინში, მაგრამ დენის ყურიც არ გაუპარტყუნებია, და ისევ პილონსა და პაბლოს მოუხდათ ჯოს გალახვა. როცა სემი რასპერმა დაგვიანებულად იზეიმა ახალი წელი, თოფისა და ერთი გალონი უისკის წყალობით ძროხა მოკლა და ციხეში ამოჰყო თავი, ამ მოვლენის ეთიკურ მხარეზე კამათი გაიმართა, მაგრამ დენი ვერასდიდებით ვერ ჩაითრიეს, მიუხედავად იმისა, რომ მის თვალწინ ცხარე დავა გაჩაღდა და რამდენჯერმე მგზნებარედ მიმართეს, შენი აზრი გამოთქვიო.

უყურეს, უყურეს მეგობრებმა და მაგრად დაღონდნენ.

— სულ შეიცვალა, — განაცხადა პილონმა, — დაბერდა.

ხესუს მარიამ თავისი ვარაუდი გამოთქვა:

— ამ სამიოდ კვირაში მთელი სიცოცხლის სიტკბოება იგემა და მოყირჭდა.

ამაოდ ცდილობდნენ მეგობრები, უხალისობის უფსკრულიდან ამოეთრიათ დენი. დილაობით პარმალზე ყველაზე სასაცილო ამბებს შეარჩევდნენ ხოლმე, ისე მოყვებოდნენ ტორტილა ფლეტის სასიყვარულო ამბებს, ისეთ წვრილმანებს დაატანდნენ და ისე გააშიშვლებდნენ ყველაფერს, რომ მკვდრებიც კი დაცქვეტდნენ ყურებს. მთელ ფლეტს ჩამოირბენდა ხოლმე პილონი ახალი ამბებისათვის და, რასაც კი საინტერესოს გაიგონებდა, ხელად დენის მოურბენინებდა. მაგრამ დენის თვალებში კვლავ ბებრული უხალისობა და დაქანცულობა ჩანდა.

— რაღაცა გაწუხებს, — ამაოდ ჩააცივდებოდა ხესუს მარია, — რაღაც იდუმალი ნაღველი გიღრღნის გულს.

— არა, — უპასუხებდა დენი.

ყველამ შეამჩნია, როგორ არხეინად დააცოცავდნენ ბუზები ფეხებზე, ხოლო როცა ბოლოს და ბოლოს მოიგერიებდა, ხელის მოქნევაშიაც ძველი სიმარდე და მოხდენილობა აღარ ეტყობოდა დენის. სიხარული და უზრუნველი სიცილ-ხარხარი თანდათან ჩაკვდა დენის სახლში, დენი უხალისობის ბნელ უფსკრულში ჩაინთქა.

ო, გული მოგიკვდებოდათ დენის შემხედვარეს. აღარაფრით აღარ ჰგავდა იმ დენის, სულ უიმედო საქმისთვისაც კი თავგამოდებით რომ იჩხუბებდა, სმაში არავის ტოლს არ დაუდებდა და, თუკი ვინმე დაღევდა ქვეყანაზე, ისიც წვეთს არ დაიკლებდა, ჭიქას ჭიქაზე გამოცლიდა; სიყვარულს ბუნაგიდან წამოგდებული ვეფხვის სიშმაგით გაუსწორებდა თვალს... ახლა პარმალზე იჯდა, მზეზე, ლურჯ შარვალში გახვეული მუხლები მკერდისთვის მიეყუდებინა, მკლავები ჩამოჰკიდებოდა, ხელის მტევანი უსიცოცხლოდ უყანყალებდა, თავი ჩაექინდრა, თითქოს შავ ფიქრებს მისცემიაო. მის ჩამქრალ თვალებში ვერც რისამე სურვილს ამოიკითხავდი, ვერც წყენას, ვერც სიხარულსა და ვერც ტკივილს.

საბრალო დენი, როგორ გაგეცალა სიცოცხლე! ზიხარ, როგორც სულ

პირველი ადამიანი (მანამ მის ირგვლივ სამყარო აღმოცენდებოდა), და როგორც სულ უკანასკნელი ადამიანი (მას შემდეგ, როცა ქვეყნიერება მის თვალწინ გაცამტვერდა)! მაგრამ არა, დენი! შენ მარტო არა ხარ. შენს მეგობრებსაც გადასდებია ეს შენი უსიცოცხლობა. ისინი ცერად გადმოგხედავენ ხოლმე. ისე შემოგყურებენ, თითქოს ლეკვი შესციცინებდეს თავის ახალგაღვიძებულ პატრონს და მოუთმენლად ელოდეს მის განძრევას. ერთი ხალისიანი სიტყვა უთხარი, დენი, ცოტა. გაუღიმე და მაშინვე მხიარულ წკმუტუნს მოჰყვებიან, საკუთარი კუდის დასაჭერად დაბზრიალდებიან. შენს სიცოცხლეს შენივე ნებაზე ვერ მოექცევი, დენი, სხვების სიცოცხლეც მასზეა დამოკიდებული. შეხედე, როგორ იტანჯებიან შენი მეგობრები! წამოხტი, სიცოცხლეს დაუბრუნდი, რათა შენმა მეგობრებმაც იცოცხლონ!

აი, რა უთხრა მას პილონმა. სიტყვებით კი ვერ გამოთქვა ასე ლამაზად, მაგრამ გულით ამას ეუბნებოდა. მერე ქილით ღვინო მიაწოდა.

— გეყოფა, დენი, — უთხრა მან, — აიღე, კაცო.

დენიმ ქილა გამოართვა და გამოწურა. მერე ისევ გადააწვა სკამს და სცადა კვლავ ბურანში წასულიყო.

— გტკივა რამე? — ჰკითხა პილონმა.

— არა, — მიუგო დენიმ.

პილონმა მეორედაც გაუვსო ქილა და, მანამ დენი დასცლიდა, თვალი არ მოუშორებია. თვალებს წამით კვლავ დაუბრუნდა ელვარება, თითქოს ძველმა დენიმ გაიღვიძაო. ისე მარჯვედ მოიქნია ხელი ბუზის მოსაკლავად, რომ დახელოვნებულ ოსტატსაც შეშურდებოდა.

პილონს ნელ-ნელა ღიმილი გადაეშალა სახეზე. მერე მეგობრები შეჰყარა ერთად — პაბლო, ხესუს მარია, დიდი ჯო, მეკობრე, ჯონი პომ-პომი და ტიტო რალფი. ხრამში გაიყვანა, სახლს უკან.

— ჩვენი უკანასკნელი ღვინო შევასვი დენის და მოუხდა. ეტყობა, ღვინო უშველის. ალბათ ქეიფიც მოუხდება. სად ვიშოვოთ ღვინო?

გონებაში სულ გადაჩხრიკეს, რაც კი რამ ეგულებოდათ მონტერეიში, ისევე როგორც ვირთაგვებზე დაგეშილი ტერიერები გადაჩხრეკენ ხოლმე ბელელს, მაგრამ ვირთაგვები არსად აღმოჩნდა. ისეთი წმინდა კაცთმოყვარული გრძნობა ამოძრავებდათ ბიჭებს, ბევრი რომ ვერ დაიკვეხნის. უყვარდათ დენი.

ბოლოს ხესუს მარიამ გაიხსენა:

— ჩინ კი დორადებს აკონსერვებს.

მათი გონება ყალყზე შედგა, ცნობისმოყვარეობით გამოხედა ამ ამბავს, უკან დაიხია და შორიდან დაყნოსა. სულ რამდენიმე წამი გახდა საჭირო, სანამ მათი მღელვარე წარმოსახვა ამ მოვლენას შეურიგდებოდა.

„რატომ არ უნდა წავიდეთ, კაცმა რომ თქვას, — გაიფიქრეს თავისთვის, — დიდი ამბავი, ერთი დღით თუ წავედით... სულ ერთი დღით“.

სახეზე გამოეხატათ, როგორ ებრძოდნენ თავიანთ შიშს და როგორ დაამარცხეს იგი დენის გულისათვის.

— წავიდეთ, — თქვა ბოლოს პილონმა, — ხვალ დილიდანვე წავიდეთ და თევზის გამოწვლა ვუშველოთ ჩინ კის, საღამოზე კი ქეიფი გავუმართოთ დენის.

დენის რომ გაელვიძა მეორე დილას, შინ კაცის ჭაჭანება აღარ იყო. წამოდგა და დაცარიელებული ოთახები მოათვალიერა. მაგრამ დენი ისეთი კაცი არ გახლდათ, ერთ რამეზე დიდხანს ეფიქრა. ბევრი აღარ უმტვრევია თავი, პარმაღზე გავიდა და უხალისოდ ჩამოჯდა.

წინათგრძნობა ხომ არ არის ეს, დენი? მოახლოებული ბედისწერისა ხომ არ გეშინია? ნუთუ ვერავითარ სიამტკბილობას ვეღარ ნახულობ? არა. ახლაც ისევე ჩაიძირა დენი საკუთარ ფიქრებში, როგორც მთელ წარსულ კვირას იყო.

ტორტილა ფლეტში კი ცხოვრება თავისი გზით მიედინებოდა. დილაზე ხმა დაირხა: „დენის მეგობრები ჩინ კისა შველიან თევზის გამოწვლას“. ეს ისეთი მოვლენა იყო, არამცთუ სახელმწიფო გადატრიალების, მთელი მზის სისტემის განადგურების მომასწავებელ ნიშნად გამოდგებოდა. ამას ლაპარაკობდნენ ქუჩებში, ამას მიაძახებდნენ უკანა ეზოს ღობესთან მომდგარ დიასახლისს, ვინც თვითონვე ამ ამბის გადასაძახებლად გამოშურებულიყო: „დენის მეგობრები ქალაქს გაკრეფილან თევზის გამოსაწლავად!“

დილა ამ ხმებით გაივსო. ამას ხომ თავისი მიზეზი ექნება, ფარული მიზეზი. დედებმა შვილები დაარიგეს და ჩინ კის ქარხნისკენ აფრინეს. ახალგაზრდა მანდილოსნები ფარდებს მოფარებოდნენ და სულმოუთქმელად ელოდნენ მოვლენათა განვითარებას. დაირხა კიდეც ახალი ხმა:

„პაბლოს თევზის გამოსაწლავ დანაზე გაუჭრია ხელი“.

„ჩინ კის მეკობრის ძაღლები გამოურეკავს“.

ჩოჩქოლი.

„ძაღლები დაბრუნებულან“.

„პილონს კოპები შეუკრავს“.

პატარ-პატარა სანაძლეოებსაც ჩამოვიდნენ. თვეები გასულა და ტორტილა ფლეტში ამისთანა საინტერესო არაფერი მომხდარა. ისე გავიდა მთელი დილა, რომ კორნელია რუიზი კაციშვილს არ გახსენებია. მხოლოდ შუადღისას გამოჟონა ამ ამბის ნამდვილმა მიზეზმა, მაგრამ სამაგიეროდ ერთბაშად იფეთქა და ყველას მოედო.

„დიდ ქეიფს უხდიან დენის“.

„ყველას მიიპატიჟებენ“.

ჩინ კის ქარხნიდან დავალებები ღვარად წამოვიდა, მისის მორალესმა მტვერი გადააცალა თავის გრამაფონს და ყველაზე ხმამაღალი ფირფიტები ამოარჩია. ნაპერწკალმა გაიკვესა და ტორტილა ფლეტი მშვენიერი აბედი გამოდგა. შვიდ მეგობარს გადაუწყვეტია ქეიფი გადაუხადოს დენის! თითქოს მხოლოდ შვიდი მეგობრის ანაბარა იყოს დენი! მისის სოტომ ხელში დანა მოიმარჯვა და საქათმეში ჩავიდა. მისის პალოჩიკომ შაქრის პარკი ქვაბში მოაპირქვავა და შაქარყინულის მომზადებას შეუდგა. ქალიშვილების დელეგაცია მონტერეის გაემგზავრა, ვულვორთის დუქანში ფერადი ქაღალდების საყიდლად. მთელ ფლეტში გიტარების წკრიალი და აკორდეონის ჭყვიტინი ისმოდა — ხმას უსინჯავდნენ, ამზადებდნენ.

ცნობები! ახალი ცნობები საკონსერვო ქარხნიდან: ბოლომდე მიჰყავთ საქმე! თავიანთ სიტყვას არ უღალატეს. თოთხმეტ დოლარს მაინც გააკეთებენ. ასე რომ თოთხმეტი გალონი ღვინო ნაღდია!

ტორელი საქმეს ვეღარ აუდიოდა. ყველამ მოიწადინა თითო გალონის ყიდვა, რათა დენის სახლში მიეტანა. საერთო მღელვარება ტორელისაც გადაედო, ცოლს უთხრა:

— ჩვენც ხომ არ ვწვეოდით დენის? რამდენიმე გალონ ღვინოს მეც წავიღებ ჩემი მეგობრებისთვის.

საღამო ხანს აზვირთებულმა მღელვარებამ ლამის მთელი ფლეტი წალეკა. მთელ სიცოცხლეში უხმარი ტანსაცმელი ამოალაგეს და გასამზეურებლად გამოჰკიდეს. მოსასხამი შალები, რომელთაც მთელი ორასი წელი შორიდან უტრიალებდნენ ჩრჩილები, სკივრებიდან ამოქექეს და პარმაღის მოაჯირებზე გამოფინეს. ირგვლივ ნაფტალინის სუნი დატრიალდა.

დენი?

ერთიანად დამდნარიყო იგი... მზე რომ შეიცვლიდა ცაზე ადგილს, მხოლოდ მაშინ თუ გაინძრეოდა. მთელი ტორტილა ფლეტი რომ დაენახა ფეხზე დამდგარი და მისი სახლის წინ ჩავლილი, ყურსაც არ გააპარტყუნებდა. საბრალო დენი! სულ ცოტა, ოცდათხი წყვილი თვალი უდარაჯებდა მისი ეზოს ჭიშკარს. ასე ოთხი საათი იქნებოდა, როცა იგი წამოდგა, გაიზმორა, ქუჩაში გავიდა და მონტერეისკენ წაყიალდა.

არც კი აცალეს, თვალს მოფარებოდა. აბა, მწვანე, ყვითელი და წითელი ქაღალდების გამოჭრა და ერთმანეთზე გადაწებება! აბა, სანთლების დაფშვნა და ნაფშვენის იატაკზე მოყრაო! აბა, დაქიჩმაჩებული ბალღების სრიალი იატაკის გასაპრიალებლადო!

საჭმელიც გამოჩნდა: ჯამებით ბრინჯიო, ქვაბებით ცხელ-ცხელი ქათმები, ისევ ოხშივარი რომ ასდიოდა, ისეთი ცომის გუფთა, რომ თვალებს დაგაპრაწვინებდა! ღვინოც მოიტანეს. გალონებით გაივსო იქაურობა. მარტინეზმა ნეხვის გროვიდან უისკის პატარა კასრი ამოაძვრინა და დენის სახლში მოარბენინა.

ექვსის ნახევარზე ბიჭებმა გორაკი აიარეს. დაღლილები იყვნენ, დაქანცულები, მაგრამ საზეიმო განწყობილებით მიდიოდნენ. ალბათ ასეთივე განწყობილებით ბრუნდებოდნენ ძველი გვარდიის მეომრები პარიზში, აუსტერლიცის შემდეგ. ნაირფერად მორთული სახლი შორიდანვე დაინახეს. გაეცინათ და დაღლილობამაც ხელად გაუარათ, თვალზე ბედნიერების ცრემლი მოადგათ.

ძალუა ჩიპო ეზოში შეუძღვა თავის ვაჟებს, გეჯათი საწებელი რომ მოჰქონდათ. პაულიტომ, ამ გაქსუებულმა ვაჟბატონმა, მუხუდოსა და პილპილის დიდი ქვაბი ცეცხლზე დაადგა. იყო ყვირილი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიმღერები, ქალების წივილ-კივილი და აღგზნებული ბავშვების ჭრიამული.

მონტერეიდან შეშფოთებულ პოლიციელთა მანქანა მოგრიალდა. „აჰ, ქეიფი გქონიათ?! დავლევთ, როგორ არა, თითო ჭიქას. კი არავინ მოჰკლათ!“

დენი სადღაა? გული, როგორც კვამლის ბოლქვი ცივ, ნათელ ღამეში, იგი ამ საღამოს პირზე მონტერეის ქუჩებში დაეხეტება. ფოსტაში შეივლის, სადგურში გავა, ალვარადო სტრიტზე საბილიარდოში შეიხედავს, ნავსადგურსაც მიადგება, საცა ხიმინჯებს შორის მოქცეული შავი ტალღები მოსთქვამს. რა დაგემართა, დენი? ასე რამ შეგცვალა? ამას თვითონაც ვერ

იტყოდა. გული ისე ეწურებოდა, როგორც საყვარელ ქალთან განშორებისას. სულში გაურკვეველი ნაღველი ჩასდგომოდა, როგორც შემოდგომის განწირულება. რესტორნებს ჩაუარა — უწინ აქ შედგებოდა და ხარბად შეიყნოსავდა საჭმელების სურნელს, ახლა მადაც არ აღძვრია. ქალბატონ ზუკას დიდებულ მაღაზიას ისე გასცდა, რომ ფანჯრებში გადმოყუდებული გოგოებისთვის არც შეუხედავს და არც ხელით უნიშნებია რაიმე უხამსი ხუმრობა. ისევ ნავსადგურისკენ გაბრუნდა. მოაჯირს გადაეყუდა და ღრმა, ღრმა წყალს ჩააშტერდა. ნეტა თუ იცი, დენი, რომ ღმერთები შენი სიცოცხლის ღვინოს მურაბის ქილებში ასხამენ? ხედავ, როგორ მიჰყვება შენი დღეები ამ ზეთმოდებულ წყალს ხიმინჯებს შორის? გაქვავებულივით იდგა, წყალს ჩაშტერებოდა.

როცა ჩამობნელდა, მეგობრები აწრიალდნენ, დენი სად არისო, ქეიფი მიატოვეს და მონტერეისკენ დაეშვნენ, ყველა შემხვედრს ეკითხებოდნენ — „დენი არ დაგინახავთ?“

„როგორ არა. ასე ჩაიარა ერთი საათის წინ. ნელა მიდიოდა“.

პილონი და პაბლო სხვებს გამოეყვნენ და ცალკე დაუწყეს ძებნა. კვალდაკვალ მისდიეს, საითაც მათ მეგობარს გაევლო, და ბოლოს დაინახეს. ჩაბნელებულ ნავმისადგომთან იდგა, ელექტროფარნის მკრთალი შუქი ეცემოდა. სწრაფად გაქანდნენ მისკენ.

მაშინ არაფერი უთქვამს პაბლოს, მაგრამ მერე ჩვეულებად ექცა, რამდენჯერ დენიზე ჩამოაგდებდა სიტყვას, უსათუოდ უნდა აეწერა, რა დაინახა მან, როცა პილონთან ერთად მისკენ გაქანდა.

„ასე იდგა, — ამბობდა ხოლმე პაბლო, — ზედ მოაჯირთან დავინახე გადაყუდებული. კარგად რომ დავაკვირდი, სხვა რამეც დავინახე. ჯერ თითქოს შავ ღრუბელს ჰგავდა, დენის თავზე ჩამოკიდებულს. მერე უზარმაზარ, შავ ფრინველს მივამსგავსე, კაცისხელა ფრინველს. ისე ეკიდა ჰაერში, ძერა რომ დაეკიდება კურდღლის სოროს თავზე. პირჯვარი გადავისახე და ორჯერ ვახსენე ღვთისმშობელი. ახლოს რომ მივედით, ფრინველი გაფრენილიყო“.

პილონს არ დაუნახავს. ის კი არადა, პაბლოს პირჯვრის გამოსახვაც არ შეუმჩნევია,—არც ის გაუგონია, როგორ ახსენა ღვთისმშობელი. მაგრამ მოყოლის დროს არასდიდებით არ ჩაერეოდა, იმიტომ რომ ეს პაბლოს ამბავი იყო.

ხელად მივარდნენ დენის. ნავმისადგომის ფიცრებმა ბრაგუნი დაიწყეს. დენი არ მობრუნებულა. მკლავებში სწვდნენ და მოაბრუნეს.

— რა მოგივიდა, დენი?

— არაფერი. კარგად ვარ.

— ავად ხარ, დენი?

— არა.

— მაშ ასე რამ დაგამწუხრა?

— რა ვიცი, — მიუგო დენიმ, — ასე კი ვარ და. არაფრის ხალისი არა მაქვს.

— იქნებ ექიმმა გიშველოს, დენი!

— ავად არა ვარ-მეთქი, ხომ გითხარით.

— მაშ მოიხედე! — შესძახა პილონმა, — დღეს ჩვენ ქეიფს გიხდით შენს საკუთარ სახლში. მთელი ტორტილა ფლეტი იქაა. მუსიკაც არის, ღვინოც და ქათმებიც! ოცი-ოცდაათი გალონი ღვინო იქნება. ფერადი ქაღალდებით მორთეს ყველაფერი. არ წამოხვალ?

დენიმ ამოიხვნეშა. ერთი წამით ისევ ღრმა, ჩაშავებული წყლისკენ მიბრუნდა. იქნებ ჩურჩულით აღთქმა მისცა ღმერთებს, ანდა ბრძოლაში გამოიწვია.

ისევ მოხედა მეგობრებს. თვალებს სიცხიანივით აბრიალებდა.

— კარგად მიხვდით ჩემი გულის მურაზს! — შესძახა მან, — აბა, ჩქარა! მწყურია. გოგოებიც არიან?

— რამდენიც გინდა. მთელი საქალეთი.

— მაშ, წავსულვართ. ჩქარა!

თვითონ წინ გარბოდა და მეგობრები უკან მისდევდნენ. ჯერ სად იყვნენ, რომ ნაძვნარიდან გამოჭრილი ტკბილი მუსიკა და მხიარული წივილ-კივილი შემოესმათ. სამი დაგვიანებული მეგობარი სუნთქვაშეკრულები მოვარდნენ. დენიმ კისერი წაიგრძელა და ფოცხვერივით დაიჩხავლა. მაშინვე ქილებით ღვინო მიაწოდეს. ჩამოიარა და ყველა ქილიდან მოსვა.

ქეიფიც ეს იყო! იმ დღის შემდეგ ვინმე აღფრთოვანებით რომ ჩამოაგდებდა სიტყვას ქეიფზე, თანამოსაუბრე აუცილებლად სასოებით შეახსენებდა: „დენის სახლში არა ყოფილხარ ქეიფზე?“ და თუ შორებელი არ იყო ეს კაცი, უსათუოდ დენის ნადიმზე ნამყოფი აღმოჩნდებოდა. ქეიფიც ეს იყო! ცდითაც კი არავის უცდია მერე იმნაირი წვეულების გამართვა. ანკი ვინ შებედავდა. ორ დღეში ისე გაბუქეს და გააზვიადეს დენის წვეულება, რომ მასთან სხვა ლხინი რა სახსენებელი იყო! წამლად ვერ შეხვდებოდი კაცს, ან ნადიმზე ყოფილიყოს და ან გაკაწრული ან დალილავებული არ გამოჰყოლოდეს სხეულის რომელიმე ნაწილი. კაციშვილი არ მოსწრებია იმდენ ჩხუბს. თანაც ორ-ორი ადამიანის ერთმანეთში წაკინკლავება კი არა — ზედახორა იდგა, ყველა იბრძოდა და თანაც — ყველა თავისთვის.

ქალების კისკისს აღარ იკითხავთ! ისეთი წკრიალა — ჭიქების წკარუნი გეგონებოდა... ახლა ხრამიდან გამოჭრილი ქალების წივილ-კივილი — არა და არაო! მეორე კვირას, ზიარების დროს, გაოგნებული მამა რამონი საკუთარ ყურს არ უჯერებდა, ისეთი აღსარებები ესმოდა. ტორტილა ფლეტის ბედნიერმა სულმა აიწყვიტა და, ერთად შედუღებული, ჰაერში აიჭრა. ისე გამწარებით ცეკვავდნენ, რომ იატაკის ერთმა კუთხემ ვეღარც გაუძლო. აკორდეონებს ისეთი ზრიალი გაუდიოდათ იმ ღამეს, რომ მერე სული ეპარებოდათ დავარდნილი ცხენივით.

ახლა დენი!.. როგორც იმ ქეიფს ვერ შეედრება სხვა ვერავითარი ქეიფი, ისე დენიც შეუდარებელი იყო. აბა გაბედოს და მომავალში ვინმე მეტიჩარა ვაჟბატონი ბაქიობას მოჰყვეს: „ვერა მნახეთ, როგორა ვცეკვავდი? ვერ შეხედეთ, იმ ზანგის გოგოებთან როგორ ვსრიალებდი? ვერ დაინახეთ, ციბრუტივით რომ ვბზრიალებდი?!“ მაშინ ნახეთ, რა გამანადგურებელ მზერას მიაპყრობს ამ ვაჟბატონს ბევრის მნახველი ჭკვიანი თვალი! ნახეთ, რა მშვიდად უპასუხებს ყველაფრის მომსწრე ხმა: „შენ დენი თუ ნახე იმ ქეიფში?!“

ოდესმე იქნებ რომელიმე ისტორიკოსმა იმ ლხინის ცივი, მშრალი და ობმოდებული ისტორია აგვიწეროს. იქნებ ის წუთიც გაიხსენოს, როცა დენიმ მაგიდას ფეხი მოაძრო და მთელ წვეულებას დაესხა თავს — მამაკაცებს, ქალებს და ბავშვებს. იქნებ ასე შეაჯამოს მან მთელი ეს ამბავი: „მრავალგზის შემჩნეული და შეჯერებულია, რომ მომაკვდავი ორგანიზმი უჩვეულო ძალასა და ამტანობას იჩენს“. ამ ისტორიკოსმა იქნებ დენის იმღამინდელი ზეადამიანური სასიყვარულო განცდებიც გაიხსენოს და ისე დაწეროს, რომ ხელიც არ აუკანკალდეს: „როცა რომელიმე ცოცხალი ორგანიზმი განსაცდელს მოელის, ეტყობა, მიდრეკილებას ამჟღავნებს — ახალი სიცოცხლე გააჩინოს!“

მაგრამ მე მაინც ვიტყვი და ტორტილაფლეტელებიც ამასვე იტყვიან: „ფუჭი ლაქლაქია! იცოცხლე, დენი ნამდვილი ვაჟკაცი იყო!“ აღნუსხვა არავის უწარმოებია და შემდეგ, თავისი ნებით, ბუნებრივია, არც ერთი ქალი არ გამოტყდებოდა, დენიმ არ მიკადრაო; ასე რომ დენის მამაცობა იქნებ რამდენადმე გადაჭარბებით იყო შექებული. მაგრამ იმისი მეათედი მამაცობაც კი, რაც მაშინ მასზე ითქვა, ქვეყნად ყოველი მამაკაცისათვის სასიქადულო იქნება.

საცა არ მიდგა დენი, ყველგან დიდებული სიგიჟის ალიაქოთი დაატრიალა. ტორტილა ფლეტში ახლაც თავგამოდებით ამტკიცებენ, მარტო დენიმ იმ ღამეს სამი გალონი ღვინო გამოსცალაო. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ დენი ახლა ღმერთად არის შერაცხული. კიდევ რამდენიმე წელიწადი და ის სამი გალონი ოცდაათზე ავა. ოც წელიწადში იქნებ ყველას გუშინდელივით გაახსენდეს, რომ ღრუბელს ცეცხლი წაეკიდა და გიგანტურ ასოებად დაიყო — ცაზე დ ე ნ ი გამოისახა, რომ მთვარეს სინსხლი სდიოდა წვეთ-წვეთად...

ვინც დენისავით მაგარი აგებულებისა არა ყოფილა, თანდათან დასუსტდა, მოიჩვართა და საერთო ფერხულს გამოეთიშა. ვინც გაუძლო და დარჩა, დანაკლისის შესამატებლად ღრიალს უმატა, ჩხუბს უმატა და ფეხიც უფრო მაგრად გაუსვა. მონტერეიში სახანძრო მანქანებს ძრავები ჩართული ჰქონდათ, წითელმუზარადიანი მეხანძრეები თავიანთ ფარაჯებში გახვეულიყვნენ, უხმოდ ისხდნენ და ელოდნენ, რა მოხდებოდა.

ღამე სწრაფად ილეოდა, დენი კი სულ ღრიალებდა და ღრიალებდა.

ის, რაც მოხდა, დადასტურებულია მრავალი მოწმის — ქალებისა და მამაკაცების მიერ. და მიუხედავად იმისა, რომ მათი მოწმეობის ფასი მცირდება, რაკი წინასწარ ოცდაათი გალონი ღვინო და ერთი პატარა კასრი კარტოფილის უისკი ჰქონდათ დალეული, მთავარ საკითხებს მაინც წარბშეუხრელად ადასტურებენ. რამდენიმე კვირა მოუნდა ამ ამბების დალაგებას — ზოგმა რა გაიხსენა და ზოგმა რა, მერე თანდათან დაიხვეწა და ის სახე მიიღო, რაც ამჟამად აქვს და მუდამ ექნება.

ტორტილაფლეტელები ამტკიცებენ, რომ დენი ყოველ წამში იცვლებოდა. უზარმაზარი და შემაძრწუნებელი გახდა. თვალები ავტომობილის ფარებივით უელვარებდა. ირგვლივ შიშს აფრქვევდა. იდგა თავის საკუთარ ოთახში, მაგიდის ფეხი მაღლა შეემართა — ეს ფეხიც კი გაზრდილიყო — იდგა და მთელ ქვეყნიერებას ბრძოლაში იწვევდა.

— აბა, ვინ გამოვა? — ყვიროდა იგი, — ნუთუ აღარავინ დარჩა ქვეყანაზე, რომ ჩემი შიში არა ჰქონდეს?

ხალხი მართლაც დაფრთხა: ისეთი საშინელი ჩანდა მაგიდის ფეხი, ისე ბზრიალებდა, რომ ყველას შეეშინდა. აკორდეონებს ხმა ჩაეხრინწათ და ჩაუწყდათ. აღარავინ ცეკვავდა. ოთახში სიცივემ ჩამოიქროლა და სიჩუმე ოკეანესავით გრგვინავდა.

— არავინ? — კვლავ შესძახა დენიმ, — მარტო დავრჩი ქვეყანაზე? ვეღარავინ შემებრძოლება?

ისე საშინლად აბრიალებდა თვალებს, რომ კაცებს ცახცახი დაეწყებინა, მონუსხულივით შეჰყურებდნენ, როგორ ტრიალებდა მაგიდის ფეხი ჰაერში, ჩხუბში გასვლა კი ვერავინ იკისრა.

დენი გაიჭიმა და გაიწელა. თავი ლამის ჭერს მიაბჯინაო, ამბობენ.

— მაშ, წავალ და ისეთ ვინმეს მოვძებნი, ვინც საჩხუბრად გამოვა, — თქვა მან, — მარადისობას შევებრძოლები, ის ყოფილა დენის ღირსი!

მედიდურად გაემართა კარისკენ. დაფეთებული ხალხი ჩამოეცალა. დაიხარა და ისე გავიდა კარებში. ენაჩავარდნილი ხალხი იდგა და ისმენდა.

გაიგონეს, როგორ დაიგრგვინა ეზოში — კვლავ ჩხუბში იწვევდა ვიღაცას. ესმოდათ, როგორ მეტეორივით სტვენდა ჰაერში სკამის ფეხი. ისიც გაიგონეს, როგორ გადაიჯირგილა ეზო. და უცებ ხრამიდან საპასუხო გამოწვევა მოესმათ, ისეთი თავზარდამცემი, რომ ტანში ყველას ცივმა ჟრუანტელმა დაურბინა. ახლაც კი, დენის მეტოქეზე რომ ჩამოვარდება სიტყვა, ხმას დაუდაბლებენ და შიშით მიიხედ-მოიხედავენ. გაიგონეს, როგორ ეცა დენი თავის მეტოქეს. მისი უკანასკნელი ომახიანი ყიჟინაც შემოესმათ, მერე მძიმე ბრაგვანი და — სიჩუმე ჩამოწვა.

სუნთქვა შეიკრეს, რომ ფილტვებიდან გამოსული ჰაერის შიშინს ხმა არ დაეხშო. მაგრამ ამაოდ აყურადებდნენ: ღამე კვლავ მდუმარე იყო და ნაცრისფერი განთიადი ახლოვდებოდა.

სიჩუმე პილონმა დაარღვია.

— რაღაც უბედურება დატრიალდა, — თქვა მან და კარისკენაც თვითონ გავარდა პირველი. გულადი ბიჭი იყო, შიში რას მოერეოდა. ხალხი მას მიჰყვა. სახლის უკან გავიდნენ, საიდანაც ცოტა ხნის წინ დენის ფეხის ხმა შემოესმათ, მაგრამ დენი არ ჩანდა. ხრამს გადაადგნენ, სადაც გველივით დაკლაკნილი ბილიკი სადღაც ფსკერზე იკარგებოდა — აქ უხსოვარ დროს მდინარეს ევლო, ახლა კი ისე მოვიდა და წავიდა მრავალი თაობა, წყალი სულ დამშრალიყო. ხალხმა დაინახა, როგორ მოწყვეტით გადაეშვა ხრამში პილონი. სხვები ფრთხილი ნაბიჯით მიჰყვნენ. ფსკერს რომ მაღწიეს, ნახეს, როგორ დახრილიყო პილონი დენის დამსხვრეულ-დალეწილ სხეულზე. ორმოცი ფუტის სიმაღლიდან გადავარდნილიყო. პილონმა ასანთს გაჰკრა.

— ცოცხალი უნდა იყოს! — იკივლა მან, — ექიმი, ჩქარა! მამა რამოენიც მოიყვანეთ!

ხალხი აქეთ-იქით გავარდა. გაგიჟებულმა პაისანოებმა თხუთმეტ წუთ-

ში ოთხი ექიმი წამოაგდეს ლოგინიდან. იმ სიდინჯის გამოსაჩენად საშუალებაც კი არ მისცეს, ექიმებს რომ სჩვევიათ ხალხის მოსაჩვენებლად — მღელვარება და ფაცხაფუცხი ჩვენზე არ მოქმედებსო. გაგიგონია! გადმოითრიეს, გამოიგდეს, წამოაჩიქჩიქეს, ხელში იარაღების ჩანთას აჩრიდნენ, თუმცა ეს უმწეო ხალხი თავად ვერ გეტყოდა, რა სჭირდებოდა და რა უნდოდა. მამა რამონიც გადმოათრიეს ლოგინიდან და, სუნთქვაშეკრული, აღმართს შეუყენეს. კაცი საგონებელში ჩავარდნილიყო, არ იცოდა, რისთვის მიათრევდნენ — ეშმაკის განსადევნად, მომაკვდავი ახალშობილის მოსანათლად თუ მელინჩეების გასაფანტავად. ამასობაში პილონმა, პაბლომ და ხესუს მარიამ დენი ხრამიდან ამოიყვანეს და თავის ლოგინში ჩააწვინეს. ირგვლივ სანთლები შემოუწყვეს. დენი მძიმედ სუნთქავდა.

ჯერ ექიმები მოვიდნენ. ჭოჭმანით გადახედეს ერთმანეთს, პირველი სიტყვა ვის ეკუთვნისო, ფიქრობდნენ. სულ ერთი წამით შეყოყმანდნენ, მაგრამ ხალხის თვალში მუქარის ცეცხლმა გაიკვესა. დენის გასინჯვას დიდხანს არ მონდომებიან. მამა რამონის მოსვლამდე ყველამ მოასწრო გასინჯვა.

მამა რამონს ოთახში აღარ შევყვები, რადგან პილონი, პაბლო, ხესუს მარია, დიდი ჯო, ჯონი პომ-პომი, ტიტო რალფი, მეკობრე და მეკობრის ძაღლები ყველა შიგ იყო — დენის მთელი ოჯახი. კარი მოიკეტა და დაკეტილი დარჩა; რადგან, ბოლოს და ბოლოს, სიამაყე ადამიანის განუყრელი თვისებაა და საკადრისი არ იქნება ყველაფერი ნახოს ცნობისმოყვარე თვალმა.

დიდ ოთახში კი, ტორტილაფლეტელებით რომ გამოჭედილიყო, დაძაბული სიჩუმე და მოლოდინი იდგა. ექიმებსა და მღვდლებს ხალხთან ურთიერთობის უხილავი ძაფები აქვთ. მამა რამონი რომ გამოვიდა საწოლი ოთახიდან, გამომეტყველება სულაც არ შესცვლოდა, მაგრამ შეხედეს თუ არა ქალებმა, საშინელი კივილი მორთეს. მამაკაცებმა ფეხის მონაცვლება იწყეს, სწორედ ისე, ცხენი რომ გინახავთ ბაგაზე, მერე გარეთ გავიდნენ და რიჟრაჟს შეერივნენ. საწოლი ოთახის კარი კი კვლავ დაკეტილი დარჩა.



**რა იღონეს დენის გულდამწვარმა მეგობრებმა. როგორ დაირღვა მეგობრული კავშირის თილისმა. როგორ კენტად გაემართა თვითეული მეგობარი.**

სიკვდილი პირადული მოვლენაა და მწუხარებას, განწირულებას, გულის დათუთქვას ან სულაც ცივ ფილოსოფიურ განწყობილებას იწვევს. დაკრძალვა კი, თავის მხრივ, საზოგადოებრივი ფაქტორია. აბა, წარმოიდგინეთ დაკრძალვაზე ისე წასვლა, რომ წინასწარ ავტომობილი არ გააპრიალოთ! წარმოიდგინეთ თავი, საფლავთან მდგარი, ისე რომ არც თქვენი საუკეთესო შავი კოსტუმი გეცვათ და არც საამურად მოლაპლაპე შავი საუკეთესო ფეხსაცმელი! ანდა, ვთქვათ, დაკრძალვაზე ყვავილების თაიგული

გაგზავნო და შიგ კი, ყურადღებისა და კარგი კაცობის დასამტკიცებლად, შენი ვინაობის აღმნიშვნელი ბარათი არ ჩადო! არც ერთი საზოგადოებრივი მოვლენა არ მოითხოვს ისე მტკიცე და შეუვალ წეს-კანონებს, როგორც დაკრძალვა. ერთი წარმოიდგინეთ, რა გულისწყრომით შეხვდებიან მოძღვარს, მან რომ მოულოდნელად შესცვალოს ქადაგება, ან, უბრალოდ, სახის გამომეტყველება შეიცვალოს. აბა, დაუფიქრდით, რა თავზარი დაეცემა ხალხს, რომ წესის აგების დროს იმ მაგარ საჯდომიან, პატარა ყვითელი ასაკეცი სკამების ნაცვლად სხვა, ჩვეულებრივი სკამები შემოიტანონ! არა. სანამ კვდება ადამიანი, იგი შეიძლება უყვარდეთ, სძულდეთ, ენატრებოდეთ, დასტიროდნენ კიდეც, მაგრამ რაღაი მოკვდება, ხელად საზოგადოებრივი ზეიმის რთულ წეს-კანონების მთავარ სამკაულად იქცევა.

დენი მოკვდა... სულ ორი დღის წინ მოკვდა, და უკვე დენი აღარ იყო. მართალია, სახეზე ხალხს ამ მოვლენისათვის შესაფერი გლოვისა და მწუხარების იერი ეფინა, მაგრამ გულში მაინც საზეიმო აღტკინებას განიცდიდნენ. მთავრობა თავის ყოფილ ჯარისკაცებს სამხედრო ცერემონიალით დაკრძალვას შეჰპირდა, ვინც კი ამის სურვილს გამოთქვამდა. ტორტილაფლეტელთაგან დენი პირველი ყოფილი ჯარისკაცი იყო, ამ ქვეყნიდან რომ გაემგზავრა, და ტორტილა ფლეტი მოემზადა კრიტიკულად შეეხედა, როგორ შეასრულებდა მთავრობა თავის დანაპირებს. ამბავი მაშინვე აცნობეს სამხედრო ნაწილს, და დენის ცხედარს გაუკეთეს კიდეც ბალზამი მთავრობის ხარჯზე. ლაფეტი ახლად შეღებეს, ზედ კოხტად დაკეცილი ახალთახალი დროშა იდო და გამზადებული იდგა საარტილერიო ნაწილში. ბრძანებაც გამოსცეს საპარასკევოდ:

„ათიდან თერთმეტამდე — დაკრძალვა, ესკორტი — მე-11 ცხენოსანთა პოლკის ესკადრონი, იმავე პოლკის ორკესტრი და მსროლელი ოცეული“.

განა ეს საკმარისი არ იყო, რომ ტორტილაფლეტელი ქალები მონტერეიში ჩალაგებულიყვნენ და დიდი მაღაზიის ვიტრინებს სცემოდნენ? შავკანიანმა ბიჭებმა დღისით მთელი მონტერეი შემოირბინეს, ბაღების პატრონებს ვარდებსა თხოვდნენ დენის დაკრძალვისათვის. ღამით კი იგივე ბიჭები ერთხელ კიდევ ესტუმრნენ იმავე ბაღებს, რათა თავიანთი თაიგულები გაემდიდრებინათ.

ქეიფზე საუკეთესო ტანსაცმლით მივიდა ხალხი, და ახლა ორ დღეში უნდა გაეწმინდათ, გაერეცხათ, გაესუფთავებინათ, დაეკერებინათ და გაეუთოვებინათ ეს ტანსაცმელი. დიდი ფუსფუსი ჰქონდათ, დაძაბული მღელვარება იყო, მაგრამ ღირსეული თავდაჭერის ფარგლებს მაინც არ სცილდებოდა.

მეორე დღეს, საღამო ხანს, დენის მეგობრები დენის სახლში შეიკრიბნენ. პირველი ელდა და ღვინო უკვე გამონელებოდათ და ახლა თავზარდაცემულები იდგნენ, რადგან მთელ ტორტილა ფლეტში მხოლოდ ისინი, — ისინი, ვისაც ყველაზე მეტად უყვარდა დენი, ვისაც ყველაზე მეტი პატივისცემა ახსოვდა მისი, — მხოლოდ ეს ჩვენი პაისანოები ვერ მოიხდიდნენ უკანასკნელ ვალს დენის წინაშე. ეს საშინელი ტრაგედია ადრეც კი იგრძნეს, როცა თავის ბრუალით ჰქონდათ ცნობიერება დაბნელებული, მაგრამ ამ საღამოს უფრო ცხადი გახდა მთელი უბედურება და იძულებული იყვნენ თვა-

ლი გაესწორებინათ მისთვის. ჯერ ისეც რა ტანსაცმელი ეცვათ, ხოლო ამ ქეიფმა კიდევ რამდენიმე წლით დააბერა მათი შარვლები და ხალათები. რომელი შარვლისთვის უნდა შეგეხედა, რომ მუხლზე გადაფხრეწილი არ ყოფილიყო? რომელ ხალათს ნახავდი, ერთიანად არ დაფლეთოდა? სხვა ვინმე რომ მომკვდარიყო, ტანსაცმელს ბოლოს და ბოლოს ინათხოვრებდნენ, მაგრამ ახლა კაცს ვერ ნახავდი მთელ ტორტილა ფლეტში, თვითონვე არა ჰქონოდეს განზრახული დაკრძალვის დღეს კარგ ტანსაცმელში გამოწყობა და ისე მისვლა. მარტო კოკი რიორდანი არ აპირებდა წასვლას, მაგრამ კოკისაცა და მის ტანსაცმელსაც ყვავილის კარანტინი ჰქონდა. ერთი ხელი ტანსაცმელი რომ ჰქონოდათ საყიდელი, ჩამოითხოვდნენ ფულს ან მოიპარავდნენ, მაგრამ ექვსი ხელი ტანსაცმლის ფულს ეხუმრები?!

ალბათ იტყვით, იმდენი სიყვარული აღარა ჰქონდათ დენისა, ბოლოს და ბოლოს დაგლეჯილი ტანსაცმლით მაინც გაჰყოლოდნენ საფლავამდეო? თქვენ თვითონ გამოჩნდებით დაგლეჯილი ტანსაცმლით, როცა მეზობლებს სულ ნაირ-ნაირი აცვიათ? და განა დენის დაკრძალვაზე დაგლეჯილი ტანსაცმლით მისვლა უფრო დამამცირებელი არ იქნებოდა თვითონ დენისათვის, ვიდრე სულაც არ მისვლა?

აუწერელი იყო მათი სასოწარკვეთილება და ლოდივით დასწოლოდათ გულზე. თავბედს იწყევლიდნენ. ღია კარებში გალვეზი დაინახეს; დიდის ამბით ჩაიარა შუკაში. დაკრძალვისათვის საგანგებოდ ახალი კოსტუმი ეყიდნა გალვეზს და ოცდათხი საათით ადრე გამოწყობილიყო. უკულმართი ბედით განადგურებული მეგობრები ნაღვლიანად ისხდნენ, ნიკაპი ხელზე დაეყრდნოთ. უკვე ყოველნაირად აეწონ-დაეწონათ საქმე, მაგრამ ვერაფერი საშველი ვერ ეპოვნათ.

პილონიც კი, პირველად თავის სიცოცხლეში, ისე წახდა, რომ სისულელის როშვა დაიწყო.

— ვცადოთ მაინც ამაღამ, იქნებ თითო კოსტუმი მოვიპაროთ, — თქვა მან.

თვითონვე მიხვდა, რომ სისულელე წამოროშა, რადგან იმ ღამეს ყველას სასთუმალთან მიდგმულ სკამზე ექნებოდა კოსტუმი გადაკიდული. კოსტუმის მოსაპარავად წასვლა სიკვდილს ნიშნავდა.

— ზოგჯერ „ხსნის არმიაც“ იძლევა ხოლმე ტანსაცმელს, — თქვა ხესუს მარიამ.

— განა არ ვცადე, — მოუჭრა პაბლომ,—კაბა თოთხმეტი აქვთ ამჟამად, კოსტუმი — არც ერთი.

საითაც არ მიბრუნდნენ, ყველგან ავი ბედისწერა გადაელობათ. ტიტო რალფი შემოვიდა, გულის ჯიბიდან თავისი ახალი, მწვანე ცხვირსახოცი ამოსჩროდა. მაგრამ ისე მტრულად შეხვდნენ მის გამოჩენას, რომ იძულებული გახდა უკანვე გაძურწულიყო დამნაშავესავით.

— ერთი კვირა რომ გვქონდეს, ჩინ კის მივეხმარებოდით, — გმირულად განაცხადა პილონმა, — დასაფლავება ხვალ არის. თვალი უნდა გავუსწოროთ ამ საქმეს. მაინც მივალთ დასაფლავებაზე.

— რანაირად? — ჩაეკითხნენ მეგობრები.

— ორკესტრი და ხალხი შუა ქუჩაში იქნება, ჩვენ კი ტროტუარს გავ-

ჰყვეთ. სასაფლაოს ღობე სულ შამბნარშია ჩაფლული. ჩავწვეთ იმ ბალახში და ყველაფერს დავინახავთ.

მეგობრებმა მადლიერებით შეხედეს პილონს. იცოდნენ, რა გამწარებით ბურღავდა და წონიდა მისი გამჭრიახი გონება ყოველგვარ შესაძლებლობას. მაგრამ შორიდან ყურება ხომ ნახევარი საქმე იყო, ნახევარზე ნაკლებიც. მთავარი ის იყო, თვითონ გამოჩენილიყვნენ დასაფლავებაზე. მაგრამ რას იზამდნენ, თავს ზემოთ ძალა აღარ იყო...

— გაკვეთილად გამოგვადგება, — თქვა პილონმა, — ახლავე უნდა ჩავინერგოთ გულში, რომ თითო ხელი კარგი ტანსაცმელი მუდამ გვქონდეს შენახული. ვინ რა იცის, რა შეგხვდება!

მეტი ამაზე აღარც ულაპარაკნიათ, მაგრამ ყოველი მათგანი გრძნობდა, რა საშინელი მარცხი განიცადა. მთელი ღამე ქალაქში დაეხეტებოდნენ. რომელ ეზოს ნახავდით, რომ ყველაზე ლამაზი ყვავილი არ მოკლებოდა? რომელ ვარდის ბუჩქს ნახავდით ხელშეუხებელს? მეორე დილას ახალგათხრილი სამარე, დენის ცხედარს რომ ელოდა, მონტერეის საუკეთესო ბაღებში დაკრეფილი ყვავილების ზვინით დაიფარა.

როცა ბუნება რაღაც დიდი ამბის მოსახდენად ემზადება, განა ყოველთვის იჩენს საკმაო გემოვნებას! ხომ ცნობილია, რომ ვატერლოოს ბრძოლის წინ წვიმდა; დონერის არმიას თოვლმა გადაუჭრა გზა. მაგრამ პარასკევი მშვენიერი დღე დადგა. ისეთი მზე ამოვიდა, თითქოს პიკნიკის დღე ყოფილიყოს. თოლიებმა მოცინარე უბეს გადაუფრინეს და კონსერვის ქარხნებისაკენ გაემართნენ. მეთევზეებმა თავთავიანთი ადგილი მოძებნეს ზღვაში შეჭრილ კლდეებზე და ზღვის მიქცევასღა ელოდნენ. „პალასის“ აფთიაქში ფარდები ჩამოუშვეს, რათა ვიტრინებში გამოფენილი წითელი რეზინის სათბურები მზის ქიმიური ზემოქმედებისაგან დაეცვათ. თერძმა მისტერ მაკადომ კარზე გამოაკრა: „ათ წუთში დავბრუნდები“, და შინ გაიქცა, რათა გამოწყობილიყო და დაკრძალვაზე წასულიყო. ნავსადგომს სარდინით დატვირთული სამი სეინერი მოადგა. ლუი დუარტემ თავისი ნავი გადაღება და „ლოლიტას“ ნაცვლად ახლა „სამი ბიძაშვილი“ დააწერა. პოლიციელმა ჯეიკ ლეიკმა სასტუმრო „დელ მონტიდან“ დაძრული როდსტერი გააჩერა, მაგრამ ისევ გაუშვა და სიგარა იყიდა.

ყოვლად ამოუხსნელი ამოცანაა, ამისთანა დღეს ცხოვრება როგორ მიედინება თავის სულელური გზით? რა გულმა მისცა მეიმი ჯექსონს გამოსულიყო და თავისი წილი ტროტუარი მოერწყო? ანდა ჯორჯ უ. მერკმა რა გულით მისწერა თავისი მეოთხე და ყველაზე მყრალი წერილი წყალგაყვანილობის კომპანიას? იმ დღეს მაინც როგორ არ შეიკავა თავი ჩარლი მარშმა და ისე ბინძურად როგორ გაილეშა! მკრეხელობაა! თავის აგდება!

დენის მეგობრებმა მწუხარედ გაიღვიძეს და იატაკიდან წამოდგნენ. დენის საწოლში არავინ იწვა, იგი უმხედრო ბედაურს ჰგავდა, თავის პატრონს სამარემდე რომ მიაცილებს. დიდ ჯო პორტუგალიელსაც კი არ გაუხედავს იქით შურიანი თვალებით. მზე მხიარულ სხივებს ფანჯარასა სტყორცნიდა და აბლაბუდების კოხტა ჩრდილი იატაკს ეფინებოდა.

— როგორ გაეხარდებოდა ხოლმე დენის ამისთანა დილა! — თქვა პილონმა.

მეგობრებმა ჩვეულებრივ ხრამი მოიარეს და ცოტა ხნით პარმალზე დასხდნენ, მეგობრის ხსოვნას მიუძღვნეს ეს დრო. ერთგულად ჩამოთვალეს დენის სათნოებანი, ხოტბა შეასხეს მას. ერთგულად დაივიწყეს მისი შეცოდებანი.

— რა ღონე ჰქონდა! — თქვა პაბლომ, — ჯორივით ღონიერი იყო. მთელ ზვინ თივას წამოიკიდებდა.

მოჰყვნენ დენის წვრილ-წვრილ თავგადასავლებს, მის სიკეთეს, მამაცობას, ღვთისმოსაობას.

ძალიან მალე დადგა ის საათი, როცა ეკლესიაში უნდა წასულიყვნენ და, ძონძებში გახვეულები, გადაღმა ტროტუარზე ატუზულიყვნენ. სირცხვილით დაიწვნენ, როცა კოხტად გამოწკეპილი ბედნიერი ხალხი ეკლესიაში შელაგდა ოდეკოლონის საამო სურნელის ფრქვევით. მეგობრები შორიდან ისმენდნენ მუსიკას, წესის აგების ზუზუნს. თავიანთი სათვალთვალო ადგილიდან დაინახეს, როგორ ჩამოდგა ცხენოსანი ჯარი, მემუსიკეები, მსროლელი ოცეული, ექვსცხენიანი ლაფეტი; ყოველ მარცხენა ცხენზე თითო მხედარი იჯდა. ნალების სევდიანმა თქარუნმა მეგობრებს გული მოუკლა. საცოდავად იდგნენ და შეჰყურებდნენ, როგორ გამოიტანეს კუბო და ლაფეტზე დაასვენეს, როგორ გადააფინეს დროშა. ოფიცერმა სასტვენს ჩაჰბერა, ხელი შემართა და დაუშვა. ცხენოსანი ჯარი დაიძრა, მსროლელი ოცეულის ჯარისკაცებმა თოფები კონდახით ფერდზე მიიბჯინეს და ასე დახრილი წაიღეს. დოლებმა გულისწამღები, ყრუ ბრახუნი გაიღო. ორკესტრმა სამგლოვიარო მარში დააგუგუნა. დაიძრა ლაფეტიც. ხალხი ღირსეული ნაბიჯით მიჰყვა; მამაკაცები — პირქუშად გაჯგიმულები. ქალებმა მოხდენილად აიკრიფეს კაბის კალთები, რათა ცხენოსანი ჯარის ნაკვლევში არ ამოეთრიათ. აქ იყო ყველა — კორნელია რუბი, მისის მორალესი, გალვეზი, ტორელი და მისი პუნტულა ცოლი, მისის პალოჩიკო, მოღალატე ტიტო რალფი, თაფლისკვერი რამირესი, მისტერ მაჩადო... ყველა, ვინც კი რამეს წარმოადგენდა ტორტილა ფლეტში, და სხვებიც, დანარჩენებიც.

განა გასაკვირია, რომ მეგობრებმა სირცხვილსა და თავიანთ უბადრუკობას ველარ გაუძლეს? ცოტა ხანს მაინც მიიძურწებოდნენ ტროტუარზე, გმირული სულისკვეთებით გამაგრებულები.

პირველი ხესუს მარია გატყდა. სირცხვილის ქვითინი აუვარდა, რადგან მამამისი მდიდარი და ყველასაგან პატივცემული მოკრივე ყოფილიყო. ხესუს მარიამ თავი ჩაღუნა და გავარდა, დანარჩენი ხუთი მეგობარიც მიჰყვა, ხუთი ძაღლიც მათ გამოედევნა.

პროცესია ჯერ არც კი ჩანდა, როცა მეგობრები სასაფლაოზე მივიდნენ და მაღალ ბალახში გაწვნენ შორიახლო. დაკრძალვის ცერემონია მოკლე იყო, მხედრული კუბო საფლავში ჩაუშვეს, თოფებმა დაიგრიალეს, საყვირმა გამომშვიდობების ჰიმნი დაუკრა, რის ხმაზედაც ენრიკემ, ღინღლამ, პახარიტომ, რუდოლფმა და სენიორ ალეკ თომპსონმა თავი წამოწიეს და ყმუილი მორთეს. მეკობრემ ამაყად იგრძნო თავი!

ძალიან ჩქარა მორჩა ყველაფერი. მეგობრები ისე უცებ გაიძურწნენ, ხალხს არც კი შეუმჩნევია.

გზად ტორელის დაცარიელებული სახლი ედოთ. პილონი ფანჯარაში

შეძვრა და ორი გალონი ღვინო გამოიტანა. აქედან ნელი ნაბიჯით გასწიეს დენის დაყრუებულ სახლისკენ. ღირსეულად შეავსეს მურაბის ქილები და გამოსცალეს.

— ღვინო უყვარდა დენის, — თქვეს მათ, — რა ბედნიერი იყო, ცოტა ღვინოს რომ იშოვიდა.

მოსაღამოვდა. წრუპავდნენ ღვინოს და ყოველი მათგანი წარსულის მოგონებაში დაეხეტებოდა. შვიდ საათზე დარცხვენილი ტიტო რალფი მოვიდა, ლატარეაში მოგებული სიგარები მოიტანა. მეგობრებმა სიგარას მოუკიდეს, გადააპურჭყეს და მეორე გალონი გახსნეს. პაბლომ „ტული პან“ წამოიწყო, ხმა ხომ არ წამსვლიაო, შეამოწმა.

— კორნელია რუიზი დღეს მარტო იყო, — თქვა პილონმა.

— სევდიანი რამე ხომ არ გვემღერა? — იკითხა ხესუს მარიამ.

— დენის რომ არ უყვარდა სევდიანი სიმღერები, — მოუჭრა პაბლომ, — ხალისიანი სიმღერები უყვარდა, ხალისიან ქალებზე.

ნაღვლიანად დააქნიეს თავი.

— ქალების ასავალ-დასავალი ყველაფერი იცოდა დენიმ.

პაბლომ მეორე კუპლეტის მობმა სცადა „ტული პანისათვის“, პილონიც წამოეშველა, ბოლოს ყველა შეუერთდა.

სიმღერა რომ დაამთავრეს, პილონმა სიგარა მოქაჩა, მაგრამ ჩამქრალიყო.

— რა იქნება შენი გიტარაც მოიტანო, ტიტო რალფ, — უთხრა მან, — ცოტა უკეთ წავიმღერებდით.

სიგარას მოუკიდა და ასანთის ნამწვი მოიქნია. ცეცხლმოდებული წკირი ძველ გაზეთს დაეცა, კედელთან. ყველა წამოიწია ჩასაქროობად, მაგრამ თავში ერთბაშად ყველას ციურმა აზრმა გაჰკრა და უკანვე დაიწიეს. ერთმანეთის თვალები მოძებნეს და უკვდავი და უიმედო ადამიანის ბრძნული ღიმილით გაუღიმეს ერთმანეთს. ოცნების ბურუსში წასულებმა გახედეს, როგორ ჩაიბჟუტა ნაპერწკალი, თითქოს ჩაქრა კიდეც, მაგრამ ისევ გამოცოცხლდა. ნახეს, როგორ მოედო გაზეთს. ასე პაწაწინა რამეებში ისმის ხოლმე ხმა ღვთისა. ბიჭებს სახეზე ღიმილი გადაეფინათ, როცა ნახეს, როგორ დაიწვა გაზეთი და ალი ახლა გამომშრალმა ხის კედელმა მოიტაცა.

ასე, დენის ბრძენო მეგობრებო! თქვენი შემაკავშირებელი ძაფი გაწყდა. ანდამატმა, თქვენ რომ გიზიდავდათ, ძალა დაჰკარგა. ამ სახლს ახალი პატრონი უნდა გამოუჩნდეს, დენის რომელიმე უნდილი ნათესავი. ბარემ ეს სახლიც, ეს წმინდა მეგობრობის სიმბოლო, ლხინისა და ჩხუბის, სიყვარულისა და ნუგეშის კეთილი ნავსაყუდელიც ცეცხლმა იმსხვერპლოს, როგორც დენი ემსხვერპლა თავის ბრწყინვალე, უიმედო, უკანასკნელ ბრძოლას ღმერთების წინააღმდეგ.

ისხდნენ და იღიმებოდნენ. ცეცხლი გველივით შეჰყვა კედელს, სახურავში გაძვრა და აღრიალდა. ახლაღა წამოდგნენ მეგობრები და მთვარეულებივით გარეთ გაიკრიფნენ.

პილონმა, ვისთვისაც არც ერთ გაკვეთილს უსარგებლოდ არ ჩაუვლია, ბოთლში დარჩენილი ღვინო თან გაიტანა.

მონტერეიდან სირენების ხმები მოიჭრა. სახანძრო მანქანები შელმართზე მეორე სიჩქარით მოქოთქოთობდნენ. შუქფარების სინათლე ხეებზე თამაშობდა. მეხანძრეები რომ მოვიდნენ, სახლი უკვე ალის უზარმაზარ შუბად შემართულიყო. წყალი ხეებსა და ბუჩქებზე მიუშვეს, რომ ცეცხლისათვის გზა გადაელობათ.

ხანძრის საცქერლად ჯგროდ გამოსულ ტორტილაფლეტელებში დენის მეგობრებიც იდგნენ; აღგზნებულები შეჰყურებდნენ, როგორ დაიწვა სახლი და ბოლოს ორთქლში გახვეულ ნაცრის შავ ზვინად იქცა. სახანძრო მანქანები შებრუნდნენ და დალმართზე, სიჩქარეგამოთიშულები, დაეშვნენ.

ხალხი სიბნელეში გაითქვიფა. დენის მეგობრები კი იქვე იდგნენ და მხრჩოლავ ნახანძრალს შეჰყურებდნენ. უცნაურად გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს და ისევ დანაცრულ სახლს მიაპყრობდნენ მზერას. მერე შებრუნდნენ და მძიმე ნაბიჯით წავიდნენ. კენტად, თავისთვის მიდიოდა ყველა.

□

# სონეტები

თარგმანა

თამაზ ჩხენკელმა

## სამიჯნურო სონეტები

* * *

შენ დაგემონე, მაგრამ გული ჭმუნვით მყივარი
ღუმს და პირველად მიხარია ტყვეობის დალი,
გიგონებ შენ და ფიქრები მაქვს ქარივით ლალი,
მიყვარხარ შენ და გულს არა აქვს რამ სატკივარი.

ბევრჯერ ვყოფილვარ იმედებით გულნაწვიმარი,
მხიბლავდა ცრუ და ჭაბუკური ოცნების თალი,
რიოში სიტყვა, ხან უტურფეს წამწამთა ბალი,
მაგრამ არარად ჩამიგდია ბედი მლიმარი.

მე განვიცადე მიჯნურობის ცეცხლი ფარული,
იჭვი და სევდა, თვალს მომდგარი ცრემლების ფიფქი
და ახლა რისთვის მოვიგონო ჟამი ქარული.

შენ სიხარულით მოავანე მწუხარე ფიქრი...
მადლობა უფალს, რომ მომიძღვნა ეგ სიყვარული,
მადლობა მიჯნურს, რომ მაჩვენა უფალი იგი.

### მორჩილება

უბედურია, ვინც ტრფიალი ცრემლად იწვნია,
ვინც განიძარცვა ვნებისაგან, გადიქცა მიწად,
და კიდევ მეტად უბედური იგია, ვისაც
უყვარდა წინათ და იგი ვერ დაუვიწყნია.

როცა ხიბლავენ მას თვალები მრუში, ციმციმა –
მოგონებები, ვით ღრუბლები ავდრიან ცისა

წამოვლენ გუნდად, მოჰგრაგნიან ოცნებას მისას.
და იგი ნისლი ხსოვნამ ველარ გადაიწვიმა.

უარყო სხვები... გულზე ჭმუნვის მოიდო ხავსი,
როცა სასოთა უებარი დაემსხვრა თასი.
მას ეხლა ჩუმად ეპარება ბინდი გვიანი;

გული აქვს ზღუდეშემუსვრილი ტაძარის მსგავსი,
სად ყოველივე მტვრად აღგვილა, სად მადლიანი
არა ზის ღმერთი და ვერ შედის ადამიანი.

## ყირიმული სონეტები

### აკერმანის ტრამალები

შევჭერი სივრცე ტრამალების ოკეანისა.
ჩემი ორთვალა შამბიანის უსაზღვრო ველზე
მიცურავს ლაღად და მე თითქოს ვქანაობ გემზე,
გადაქცეული მობიბინე მიწის ხალისად.

შელამდა... გზა და ბილიკები ბინდმა დანისლა.
ცად მოგზაურთა და მენავეთ ვარსკვლავებს ვეძებ.
მაგრამ იქ რა ჩანს? — ტრამალების დაბინდულ მკერდზე
აინთო დნესტრი და შუქურა აკერმანისა.

რა სიჩუმეა... შევიცადოთ! — გულგადალლილი
ვუსმენ წეროებს და ველების სუნთქვა მიტაცებს,
და მეყურება: თრთის ბალახი ღეროდახრილი,

ფეთქავს ფარვანა და მიცურავს გველი მიწაზე...
მე ამ დუმილში შემომესმა თითქოს ძახილი
ლიტვიდან, მაგრამ... გავეშუროთ! — ვინ დამიძახებს?!

### ნაოსნობა

მრისხანებს ქარი, ზღვა ბობოქრობს ფაფარაყრილი,
კიბეზე არბის მეზღვაური; გამაგრდი ახლა!
ანძების შუა დაკიდული ბაგირებს აჰყვა
ობობასავით და შეჩერდა ოფლგადაღვრილი.

ქარაშოტია! — აიწყვიტა გემმა აღვირი,
ირყევა, ყვინთავს და მძვინვარე იერი ახლავს,
მერე ქედს იწევს ტალღებიდან, ამოდის მაღლა
და ნისლს მიარღვევს შემართული მკერდის მახვილით.

ამ ანძებივით მეც სივრცეში მივექანები
და ჩემი სული ბეწვაშლილი იალქანივით
ბორგავს, ჰყივის და — აღტაცება მეღვრება გულზე...

ხელებგაწვდილი ამ ბაქანზე ვემზობი ბოლოს
და მეჩვენება, თითქოს გემის ვაჩქარებ სრბოლას...
ამ დღიდან ვიცი — რაა ფრთები შეგესხას უცებ.

## გრიგალი

ანძები დატყდა. ზღვა გემბანზე გადმონადენი
მუსრავს ყველაფერს... ტუმბოების ისმის ხრიალი.
მკლავი დააწყდათ მეზღვაურებს, მზეც სისხლიანი
ჩადის და მიაქვს იმედების მცირე ნათელი.

გრიგალი არყევს გარეშემოს, ზათქით, ფეთებით
ტალღა ტალღაზე გადადის და გააქვს ზანზარი,
და ხომალდისკენ მიაბიჯებს ხმაშესაზარი
სიკვდილი — როგორც მეომარი რისხვით შემტევი.

ზოგი მეგობარს ეთხოვება ჩუმი ოცნებით,
ქვედამხობილა და ჩამოსდის ცრემლები უხვი,
ზოგი ღმერთს უხმობს—განარიდოს სიკვდილის მწუხრი...

და მხოლოდ ერთი მოგზაური ფიქრობს მოწყენით:
ო, ნეტარია, ვისაც ბრძოლით დააცვდა მუხლი,
ვისაც ჰყავს სატრფო, ანდა ახსოვს წმინდა ლოცვები.

## ბახჩისარაი

უქმია, მაგრამ დიდებული წინანდებურად
ეგ სავანენი — მიჯნურთა და დიდების ბუდე;
ყმადნაფიცებს რომ იურვებდა — მაღალი ზღუდე
დაამხო დრომ და უსურვაზის ჩრდილმა შებურა.

აქ დავიწყებას გაუშლია ფრთები მეფურად,
ითვლის ჟამთაგან დაქცეული სიცოცხლის წუთებს,
და სუროს ფოთლით შემოსილი სვეტები მრუდე
და ნანგრევები მწუხარებით გარინდებულან.

მხოლოდ ნატიფი შადრევანი — ყველას მაგივრად
მარგალიტებად გაბნეული ცრემლებით ნანობს
და ეფინება ამ უდაბნოს ყრუ დაძახილად:

ჰოი, სადა ხართ, ტრფიალო და დიდების ძალო,
თქვენ გემეუფათ, დამშრალიყო ჟამთა სვლით წყარო,
ვაგლახ! — ის კვლავ დის, ხოლო თქვენი კვალი აღგვილა.

## ბახჩისარაი ღამით

მლოცველთა გუნდი დაიშალა. ფეთქვით, ზრიალით
აზანის დვრინი გარინდებულ არეებს წვდება;
მოდის დარცხვენილ საღამოსთან ვერცხლისფერთმება
ღამის მეუფე, ამაყი და ალერსიანი.

ზეცის ჰარემში ვარსკვლავებმა იწყეს ციალი;
მათ შორის თითქოს სიზმარეულ ოცნებად წვება
თეთრი ღრუბელი — ფრთის ფარფატით და ნება-ნება
დალლილ გედივით ლაჟვარდებში რომ მისრიალებს.

აქ მიმწუხრისას კვიპაროსთა წვეროკინები
ჩრდილებს ისვრიან... შორს ვეება, შავი კლდეები
ებლისის ტახტზე თავს იყრიან, როგორც დევები.

მათ მწვერვალებზე უეცარი გამობრწყინებით
ხანდახან ელვა აიჭრება, ვით ბედუინი,
ჯავარდენით რომ გადასეროს ზეცის დუმილი.

## პოტოცკას საფლავი

ამ წალკოტებში ულმობელმა დაგაჭკნო ურვამ,
ვარდო მწყაზარო! — გაგიფრინდა დრო ნეტარების,
ჟამმა დაგიხშო სიხარულის ერდო, კარები
და ტკბილი მხოლოდ მოგონება იტვირთა გულმა.

იქ, სად გზა მიდის სამშობლოსკენ, ვარსკვლავთა ჭმუნვა
მიარღვევს უკუნს... ცეცხლოვანი შენი თვალების
მზერამ ამოსწვა იქნებ ცაზე ეგ ნაკვალევი,
როს გულმდუღარე მამულისთვის ტიროდი ჩუმად.

დედაო ტკბილო! — მეც ამ სევდით დავხუჭავ თვალებს...
შენ გვერდით მინდა დავიმარხო ამ უცხო მხარეს,
სად შენი გული უქრობელი ცეცხლით ვნებულა;

იქნებ მგოსანმა, მაგ საფლავზე დაფიქრებულმა,
ჩემი სამარეც დაინახოს და უნებურად
ორივეს ერთად დაგვაყაროს ცრემლები მწარე.

□

# ვალიმ ბელოცერკოვსკი

## კონცერტზე

მოთხრობა

რუსულიდან თარგმნა ბეჟან ასათიანმა

ერთ ჩემს მეგობართან მოსკოვის ფილარმონიის ახალგაზრდა ორღანისტი გავიცანი. მან მე და ჩემი ცოლი თავის კონცერტზე მიგვიწვია. მეც და ლენაც ძლიერ გაგვახარა ამ მიწვევამ. რა ხანია ოცნებად გვქონდა კონცერტებზე სიარული, მაგრამ საამისო დრო ვერა და ვერ გამოგვენახა.

იმ დღეს ბახის ნაწარმოებებს უკრავდნენ. ამან უფრო მეტად აგვაღელვა: ბახის მუსიკას არც ისე კარგად ვიცნობდით.

და მაინც კონცერტზე წასვლა კინაღამ ჩაგვეშალა. ჯერ ერთი, უბილეთოდ დავრჩით, რადგან ვერ მოვიცალეთ ცოტა ადრე გვეყიდა ბილეთები. თანაც სწორედ კონცერტის დაწყების წინ ამაზე კიდეც წავკინკლავდით. ეს კი, რა თქმა უნდა, მეტად არასასიამოვნო ამბავია.

მე და ლენამ მოვილაპარაკეთ, რომ სამუშაოდან პირდაპირ თეატრთან მივიდოდი ნახევარი საათით ადრე, ლენაც იქ მოვიდოდა და ბილეთებს ხელზე ვიყიდდით. თანაც ლენას თავისი დისაგან ფული უნდა ესესხებინა და მოეტანა: იმხანად ცოტა ხელმოკლედ გახლდით.

ლენამ კი ადრე მოსვლის ნაცვლად კონცერტზეც დაიგვიანა.

როგორი საქმეა, დადგე და ყოველ მომსვლელს მუდარით ჰკითხო: „ზედმეტი ბილეთი ხომ არ გაქვთ?“. ხოლო თუ ბედმა გაგიღიმა, მაინც უარი თქვა შენს წილხვდომილ ბედნიერებაზე, რადგანაც ფული შენს მეუღლეს აქვს, ის კი შინიდან ვერა და ვერ გამოტეულა, კოხტაობს თუ, ღმერთმა იცის, რას ფართიფურთობს! მერწმუნეთ, გასაბრაზებლად ესეც კმარა. ჰოდა, რაც უფრო ცოტა დრო რჩებოდა კონცერტის დაწყებამდე, მით უფრო მეტად ვცოფდებოდი.

ამ ამბავს ისიც დაემატა, რომ ლენამ დათქმული ადგილიც აურია. თანაც, იქ რომ ვერ დამინახა, არც უფიქრია ჩემი მოძებნა, იდგა და მშვიდად მელოდა. შემდეგ გამოირკვა, თურმე ისიც არ იცოდა, რამდენი წუთით დაიგვიანა. თითქმის ერთი წელიწადია, რაც საათი გაუფუჭდა, თვითონ კი ისე უყურადღებოა. აფუსფუსებული ხალხის დანახვაზე ფიქრადაც არ მოსვლია, კონცერტი იწყებაო.

საბედნიეროდ, ვიცოდი, რომ ლენას ხშირად ეშლებოდა შეხვედრის ადგილი და დროდადრო ყველა კუნჭულს შემოვირბენდი ხოლმე.

— სად იყავი?! — გაანჩხლებით შემომძახა ლენამ, როცა ახლოს მივედი.

— მე კი ვიყავი იქ, სადაც დავთქვით და სადაც საერთოდ ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ შენ სად ბრძანდებოდი? ხუთი წუთის უკან ვიფიქრე, იქნებ აქ მაინც იყოს-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე... — მივახალე უცბად, რომ აქეთ არ შემომდავებოდა, დიდი ხანია გელიო. — ახლა რაღა იქნება, წავიდეთ შინ, — მივაყოლე მაშინვე. — ათი წუთით ადრე მაინც მოსულიყავი!..

სწორედ ამ დროს ორი კაცი აგვეტუზა წინ. ორი ბილეთი ჰქონდათ და საკმაოდ ძვირად ჰყიდდნენ — თითოს სამ მანეთად (მე ადრე უკვე ვნახე ისინი და კიდეც ვკითხე ფასი). თურმე ბილეთები აქამდე ვერ გაეყიდათ.

— აბა, რამდენი გაქვთ ფული? — მკითხა ერთ-ერთმა „მუსიკის მოყვარულმა“, თუმცა გარეგნობითაც და მოქცევითაც ფეხბურთის ბილეთების გადამყიდველს უფრო ჰგავდა.

უარის თქმა მინდოდა (გუნებაც მოწამლული მქონდა და ფასიც მეძვირა), მაგრამ კრინტის დაძვრა ვერ მოვასწარი, რომ ლენამ უკვე გაუწოდა თავისი ფული.

— აი, ჩემი ხუთი მანეთი.

— მაშ ასე! მომეცი კიდევ მანეთიანი და ბილეთები თქვენია! — გაუხარდა „მუსიკის მოყვარულს“ და სიხარულისაგან „შენობითაც“ მომმართა.

ჩვენი „მშვენიერი“ ბილეთებით, რასაკვირველია, ქანდარაზე აგვრეკეს.

სანამ ქანდარაზე ავირბენდით, კიბეზევე ვიგრძენი, რომ ლენა დამნაშავედ სულაც არ თვლიდა თავს, პირიქით, ჩემზე იყო ამრეზილი.

ხოლო როცა დარბაზში შევედით და ხმამაღლა ამოვიოხრე, ლენას სულ ცეცხლი წაეკიდა: ლოყები აეტკიცა, თვალები ზიზღით აენთო და პირისახეზე აშკარად გამოეხატა გაავება და გაბოროტება.

ყველაზე მეტად იმან აღმაშფოთა, რომ თავის დანაშაულს ვერც გრძნობდა, პირიქით, ჩემზე იყო გულმოსული. რაიმე საწყენი რომ მეთქვა, კიდევ ჰო, სინამდვილეში ხომ საყვედურის თქმაც ვერ მოვასწარი. მან კი ხელად გამონახა რაღაც მიზეზი, რომ ჩემზე აღშფოთებულიყო და ამით თავიდან აეცილებინა როგორც ჩემი საყვედურები, ისევე საკუთარი დანაშაულის შეგრძნებაც.

შემდეგში გამოვარკვიე, რომ ეს „რაღაცა“ თურმე ჩემი ხმამაღალი ამოოხვრა იყო — „ისე, რომ ხალხმაც კი მოიხედა!“

ასეთ ამბებს ამ ბოლო ხანს ხშირად ვამჩნევდი ლენას. ეს კი მეტისმეტად მაშინებდა და სულს მიფორიაქებდა. ვიცი, ბევრი ამას სხვათა შორის უყურებს, როგორც ყოვლად ჩვეულებრივ ამბავს: აქაოდა, გალმა შეედავე, გამოლმა შეგრჩებაო!

მეც ასე ვფიქრობდი ადრე (სამსახურში ხომ ამას ადვილად ვეჩვევით), მაგრამ ეს რამდენიმე ხანია აზრი შემეცვალა.

აბა რა უნდა იყოს ამაზე უფრო დიდი თავხედობა და აშკარა უსინდისობა, აწყენინო ადამიანს, გული აჭკინო და მერე ბოდიშის მოხდის, მონანიების ნაცვლად იქით შეედავო, რაღაცაზე შარი მოსდო და შეიძულო შენ მიერვე ჩადენილი ბოროტების გამო.

რა თქმა უნდა, ჩემს მეუღლეზე ამას არ ვფიქრობდი (არ მინდოდა მეფიქრა!) და მაინც ყოველთვის, როცა ლენა დააშავებდა და აქეთ შემომედავებოდა, უსიამოვნო ფიქრები გულს მიკუმშავდა. ვიცოდი, რომ შეიძლება ეს მოუსაზრებლობის, განუსჯელობის, „ახალგაზრდობის“ ბრალი იყო, მაგრამ ოდესმე ხომ უნდა „მომწიფდე ქალი“. მით უმეტეს, რომ ლენა აღშფოთებას ვერ მალავდა, როცა სხვები ასე იქცეოდნენ. საამისოდ ცხვირწინ შესანიშნავი მაგალითიც ჰქონდა: უფროსი დის ქმარს, ხეპრესა და დემაგოგს, თავისი მეუღლე (ლენას და) მუდამ დაშინებული და დაჩაგრული ჰყავდა.

თანაც იმ წელს, განსაკუთრებით ბოლო ხანებში, ძალიან ხშირად და მართლა გულით ვჩხუბობდით. ამასთან ჩხუბის წამომწყები ყოველთვის ლენა იყო, ასე ვთქვათ, სულ უმნიშვნელო წვრილმანების გამო. ჩვენი ულრუბლო ცოლ-ქმრობის ერთი წლის შემდეგ კი ეს მეტისმეტად მეჩოთირებოდა და მაშინებდა.

როცა დარბაზში შევედი და მუსიკის მოსასმენად მოვემზადე, უფრო სწორად, როცა მომხდარზე ფიქრით გართულმა, თავისუფალ ადგილზე მოვიკალათე, თითქმის იგივე ვიგრძენი, რაც ხშირად მიგვრძნია ხოლმე კლასიკური მუსიკის კონცერტზე: მსუბუქი მოწყენილობა, გაურკვევლობა და ამასთან ერთად საოცარი სურვილი, არ დავმორჩილდე იმ რაღაცას, რაც თითქმის ყოველთვის ახლავს კლასიკურ მუსიკას.

მაგრამ ძალიან მალე მივხვდი, რომ თურმე ვცდებოდი. მუსიკასა და ჩემ შორის თითქოს რაღაც კედელი იყო, მაგრამ ამ კედლის მიღმა ისეთი ღრმა სიმშვიდე სუფევდა, რომ „დაუმორჩილებლობის“ სურვილი მალე სინანულით შემეცვალა. გული დამწყდა, რომ ჩემი განწყობილება ასე არ შეეფერებოდა ამ წუთებს და მიძნელებდა „აღქმის და თანაზიარების“ ისედაც ძნელ ამოცანას. მე მშურდა იმ ადამიანებისა, ვინც ფაციფუცის გარეშე, თავის დროზე მოვიდნენ აქ და შეხმატკბილებულები იყვნენ მუსიკასთან, თავიანთ თანამგზავრებთან, საკუთარ თავთანაც (ალბათ სწორედ მაშინ აღმომხდა ის ოხვრა, თავკერძობაში რომ ჩამეთვალა!). უსიამო ფიქრებში გართულმა ვერც კი შევამჩნიე, როგორ შემბოჭა თანდათან მუსიკამ და როგორ გაქრა ის „კედელი“.

რაღაც ამის მაგვარს განიცდიდ კაცი, როცა მთებს უახლოვდები; მიდიხარ, მთები კი ისევ შორს არიან, ისევ თავისთავადნი არიან. მერე, ფიქრებში წასული, უცებ გამოერკვევი და რას ხედავ: მთები უკვე თავს წამოგდგომიან, ყოველი მხრიდან შემოჯარულან... და შენც უმალ აგეხილება თვალი და ათვალიერებ ამ არაჩვეულებრივ, დიდებულ სამყაროს.

იქ, დარბაზშიც, ასეთივე სიხარულმა ამიხილა უცებ თვალი (შეიძლება უფრო ძლიერმაც, რადგან ამიხდა ჩემი ოცნება და გამიქრა წელანდელი შიში, ვერასოდეს ვეზიარები-მეთქი ამ სამყაროს).

მგონი, პირველი, რამაც გამაოცა, მუსიკის რაღაც უჩვეულო არათანადროულობა იყო.

სულ ახლახან ქუჩაში ვიდექი, ავტომანქანებსა და ტროლეიბუსებს შორის, შეშფოთებული ადამიანების ჯგლეთასა და ალიაქოთში, და უეცრად ალმოვჩნდი რომელიღაც ტაძარში თუ სექტანტების რომელიღაც საიდუმლო

შეკრებაზე, ამ დარბაზის კედლებს მიღმა რომ დატოვეს თავიანთი „ამქვეყნიური ნიღაბი“ და აქ ყურს უგდებენ ბებერ, ბრძენ და კეთილსახიერ ღმერთს.

რაღაც უზარმაზარი უფსკრული იყო ამ მუსიკასა და იმ ცხოვრებას შორის, დარბაზის კედლებს მიღმა რომ სუფევდა. ჩემდა უნებურად კიდევ ერთხელ შევათვალიერე ირგვლივ მყოფთა სახეები — ჩვეულებრივი, მეტწილად ახალგაზრდა, სრულიად „თანამედროვე“ სახეები! — გრძნობენ თუ ვერა ისინი ამ უფსკრულს?!

„ჰო, თუმცა ქვეშეცნეულად, მაგრამ მაინც გრძნობენ და ალბათ ამიტომაც მოვიდნენ აქ!“ — ვფიქრობდი მე.

ჰოდა, სმენად ქცეულმა მთელი სულითა და გულით მივუგდე ყური მუსიკას, მით უმეტეს, რომ მინდოდა, ფიქრები მომეშორებინა თავიდან...

შემდეგ ისიც აღმოვაჩინე, რომ ეს მუსიკა საოცრად ნეიტრალური გახლდათ (კედელი-მეთქი რომ ვამბობდი, ამას ვგულისხმობდი). მეჩვენებოდა, თითქოს ვხედავდი კიდეც იმ ადამიანს, ვინც ეს მუსიკა შექმნა.

ის მარტოდმარტო იჯდა. ფიქრობდა სიცოცხლეზე, იგონებდა წარსულს, არავის არ მიმართავდა, არსაით არ გეძახდა, არ გახვევდა თავს არაფერს. მისი ფიქრები არ იყო ბობოქარი ვნებებით სავსე, არ იგრძნობოდა სიძულვილი, ქარიშხალთა ზუზუნ-გრიალი ან ცხოვრებისეულ უაზრობათა უსიამოღრჭიალი, ალბათ იმ დროსაც საკმარისზე მეტი რომ იყო. იქ რომანტიკაც არ იყო თითქმის.

„მაშ რატომ გვიპყრობს?!“—ვფიქრობდი მუსიკაზე და მხოლოდ შემდეგ მივხვდი: სწორედ იმიტომ „გვიპყრობს“, სწორედ იმიტომ მოქმედებს, რომ არაფერს გვახვევს თავს და არაფრით სულს არ გვიხუთავს.

იჯდა ადამიანი, ფიქრობდა თავის საფიქრალს და არც სხვებს უშლიდა ხელს, რომ ეფიქრათ თავის ნებაზე.

იჯდა რომელიღაც ბორცვზე, ჭვრეტდა თვალწინ გადაშლილ ლაჟვარდოვან შორეთს, თავისი ცხოვრების მწვერვალზე მდგარი გაჰყურებდა განვლილ გზას და ფიქრობდა იმ სავალზე, წინ რომ ედო. ფიქრობდა ცხოვრებაზე და აჯამებდა შედეგებს.

არა! სიკვდილზე იგი თითქმის არ ფიქრობდა და არც ეშინოდა მისი, რადგან პატიოსნად იცხოვრა და ნაოცნებარიდან ბევრს მიაღწია და ბევრი აუხდა.

თუმცა კი ხანდახან მის ფიქრებს მაინც შეერეოდა მსუბუქი სევდა. იქნებ იმიტომ, რომ ცხოვრება მაინც განვლილი იყო და, რაც მთავარია, განვლილი იყო ახალგაზრდობა. იქნებ ყველაზე უფრო იმიტომაც, რომ ადამიანის სიცოცხლე ამ მშვენიერ ქვეყანაზე, ამ მუდამ საკვირველი ოქროსფერი საოცრების, მწველი მზის ქვეშ ასე ხშირად ქრება ამაოების შავბნელ ბურუსში, ერთმანეთის ტანჯვასა და სისულელეებში გადის დრო. ადამიანებმა არ იციან ერთმანეთის ფასი, არ უფრთხილდებიან ერთმანეთს, ერთიმეორეს სიცოცხლეს უმწარებენ მხოლოდ.

მაგრამ ეს სევდა მსუბუქი იყო: შესანდობელს არ ჰგავდა იგი და არც სასოწარკვეთილ მწუხარებას. ეს იყო მამაცი ადამიანის სევდა, ვისაც ყვე-

ლაფერი ესმის და ეჭვიც არ ეპარება, რომ ოდესმე, თუმცა არც ისე მალე, ცხოვრება მაინც თანხმიერი იქნება გარეშემო არსებული მშვენიერებისა. სჯერა, რომ ვინემ ის დრო დადგებოდეს, ახლანდელ „არასრულყოფილ სამყაროშიც“ შეიძლება იცხოვრო წმინდად, პატიოსნად, დამოუკიდებლად; შეიძლება გიყვარდეს, ტკბებოდე სილამაზით, სინათლით, და სილამაზესა და სინათლეს ქმნიდე თვითონაც.

ძნელია, ძალიან ძნელია, მაგრამ შეიძლება!

თითქმის ფიზიკურ ნეტარებას ჰგვრიდა კაცს ამ მუსიკის ნათელი და მშვიდი სიღრმე.

რაც უფრო მიტაცებდა მუსიკა, რაც უფრო შორს და შორს მივყავდი, რაღაც ახალი გრძნობა მიჩნდებოდა, რაღაც სხვა განწყობა მეუფლებოდა. მუსიკა თითქოს აღარ მესმოდა, აღარ ვფიქრობდი მასზე, აღარ ვფიქრობდი საერთოდ ცხოვრებაზე. ჩემდა უნებურად ისევ დავუბრუნდი იმას, რის თავიდან მოშორებასაც ვცდილობდი სულ რაღაც ნახევარი საათის წინ. მე ისევ დავუბრუნდი ჩემსა და ლენაზე ფიქრს.

მაგრამ ამჟამად ჩემი ფიქრები სულ სხვანაირი გზით წარიმართა. მუსიკა, მე რომ ვითომ აღარ მესმოდა, ახლა თითქოს საკუთარი ძალით ასაზრდოებდა ამ ფიქრებს და ამავე დროს ჩრდილავდა ყოველივე გარეშე წვრილმანს, რაც ხელს უშლის ადამიანს ჩაკვირვებასა და ფიქრთა მოკრებაში. ჰოდა, შენც ძალდაუტანებლად, თითქოს თავისთავად ვებადებოდა ფიქრები თავში და მოედინებოდა ძლიერ, უწყვეტ ნაკადად.

ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ბურუსი გაიფანტა და ყველაფერი მკაფიოდ გამოჩნდა; გამოჩნდა საგანთა ჭეშმარიტი სახე და ფასი, რაც მთავარია — მომავალი. ალბათ ეს ბურუსი ადრეც არ ფარავდა არაფერს, მაგრამ სულ სხვანაირად, ან უფრო უკეთ, ან უფრო უშნოდ აჩენდა ყველაფერს.

ვფიქრობ, ბევრი რამ იქედან დაიწყო, როცა მორიგი შესვენების დროს შესარიგებლად ლენას ხელზე მოვკიდე ხელი და უცებ შემაშინა იმან, რაც იმ დროს ვიგრძენი, ან უფრო სწორად, რაც **ვერ ვიგრძენი.**

ვერ ვიგრძენი ჩვეული სითბო და სიახლოვე, მუდამ რომ განვიცდიდი ხოლმე, როცა აი ასე შევეცდებოდი მის შემორიგებას.

პირველად მივხვდი, რომ ჩემს უწინდელ სპეტაკ, ხალას გრძნობას თითქოს ზემოდან დადებოდა თხელი ყინული. მივხვდი იმასაც, რომ იგივე ყინული, იქნებ კიდევ უფრო სქელი, უკვე გადაჰკვროდა ლენას გრძნობებსაც ჩემს მიმართ. რაც მთავარია, ვიგრძენი, რომ რახან ეს ყინული წარმოიქმნა, ამიერიდან იგი თანდათან, თავისთავად გასქელდება და გამაგრდება, ვინემ სამუდამოდ არ დაგვაშორებს ერთმანეთს.

„ნუთუ ყველაფერი დამთავრდა?“ — ამის გაფიქრებაზე ჟრუანტელმა დამიარა.

ჰო, ჩვენ ვკინკლაობდით, ვჩხუბობდით. ხოლო ყოველი ამ ამბის შემდეგ მუდამ მრჩებოდა უსიამო შიშის გრძნობა სულში. მაგრამ ეს გრძნობა სწრაფად გამივლიდა ხოლმე და ისე მეგონა, თითქოს არაფერი შეცვლილა, ხინჯიც არ დაუტოვებია და ყველაფერი ძველებურადაა-მეთქი.

მაგრამ პირველად ახლა დავინახე თვალნათლივ, რომ ყველაფერი ძვე-

ლებურად არ იყო და უკვე შემეძლო შემედარებინა ის, რაც იყო, იმასთან, რაც არის.

ჰოდა, ახლაღა მივხვდი (წინად ამას ვერ ვხვდებოდი), რა დიდებული, რა მშვენიერი იყო ის, რაც იყო!

მას შემდეგ ვფიქრობ, რომ იქნებ ამქვეყნად იმ წამზე უფრო საშინელი არაფერია, როცა ერთ მშვენიერ დღეს უცებ შეიგრძნობ, რომ შენი სიყვარული (სწორედ შენი), რისიც ასე გჯეროდა, რასთანაც ამდენი რამ გაკავშირებდა და რისგანაც ამდენს ელოდი, უკვე მიდის, წავიდა თითქმის, — ჰა და ჰა, დასასრულს უახლოვდება ან იქნებ კიდეც გაქრა, ვინაიდან ფრიად ძნელია გაარკვიო, არის თუ არა სხვაობა, როცა ამბობ, სიყვარული „ქრება“ თუ სიყვარული „გაქრებაო“.

მე კი როგორ ვამაყობდი იმით, რომ ვიცოდი, რა გზით და რა საშუალებით შემენარჩუნებინა სიყვარული, მჯეროდა, რომ „ჩვენი მამების“ სავალალო გამოცდილების საწინააღმდეგოდ თურმე შეიძლება კაცმა შეინარჩუნო იგი, რომ სიყვარულს ღუპავს სწორედ ჩვენი უნდობლობა და ამ დაღუპვის გარდუვალობის ქვეშეცნეული შეგრძნება, რაიც ჩვენში საუკუნეთა მანძილზე დაგროვილა.

ჰოდა, მეც გავშმაგდი: „არა, შეუძლებელია! შეუძლებელია, რომ ყოველივე უკვე დამთავრებული იყოს!“

გამახსენდა, როგორ ნანობდა ლენა ჩვენი ჩხუბის შემდეგ, რა დამთმობი, რა ნაზი და ახლობელი ხდებოდა ისევ. „გამახსენდა“ საკუთარი შიშიც, ეს წუთია რომ განვიცადე, და ახალი ჭეშმარიტება გადამეშალა თვალწინ! იმედით წავეპოტინე მას, თუმცა არც ის იყო მეტისმეტად გასახარელი. მივხვდი, რომ ჩვენი ჩხუბი, ერთმანეთის წყენა, განკერძოებულობა, გრძნობების გაცივების შედეგი არ არის. ყველაფრის მიზეზია ჩვენი ბუნება, ჩვენი უგერგილობა და უუნაროობა დავაფასოთ ის, რასაც ვფლობთ!

პატივისცემის გრძნობასა და მოთმინებას განა სიყვარული ბადებს! ვინ თქვა, სიყვარული აკეთილშობილებსო ადამიანს! ჩვენ სიყვარული კი არ გვაკეთილშობილებს, არამედ მხოლოდ სურვილი — დავიპყროთ, დავეუფლოთ, ხელში ჩავიგდოთ!

როცა ეს-ეს არის „ნადირობას“ ვიწყებთ, ხომ არ ვთაკილობთ და არც გვეზარება, აღვირი ამოვსდოთ საკუთარ გრძნობებს და თავს.

შეყვარება კი არა, ჯერ გატაცებაც ვერ მოგვისწრია, რომ უკვე ყურადღებიანი, ლმობიერი, კეთილი, თავდადებული ვხდებით. წუთითაც არ ვაძლევთ საკუთარ თავს ნებას გამოვამჟღავნოთ ჩვენი უგუნებობა, ყველაფერს ვაპატიებთ ხოლმე, ყველაფერს ვუთმობთ ერთმანეთს!..

განა მე და ლენა ამ ერთი წლის წინ ჩავიდენდით იმას, რაც კონცერტის დაწყებამდე მოხდა? მთელი საათი დაველოდებოდი და კიდეც ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, თუ ბოლოს მაინც მოვიდოდა! ლენა კიდევ, თავის მხრივ, ყველაფერს გააკეთებდა, რომ დროზე მოსულიყო და, თუ მაინცდამაინც დაიგვიანებდა, თავს მოისაწყლებდა, ენამოქარგული და უჩვეულოდ ალერსიანი გახდებოდა.

ჩვენ ყველაფერს უკუღმა ვაკეთებთ. რახან მეგობარია, მობოდიშება რა

საჭიროა. მეგობარი ისედაც ვერსად წავა! ოღონდაც მაგრად უნდა დაუდგე! არაფერი დაუთმო! ის მოვალეა!

ჩვენ უარვყოფთ ქრისტიანობას, მორჩილებას, მაგრამ ხომ წმინდა-წყლის **ჭეშმარიტებაა, რომ შენს სიცოცხლეში თუნდაც ერთ ადამიანთან მაინც უნდა იცხოვრო ქრისტიანულად!** ამ სიტყვებმა, როგორც იტყვიან, შანთივით გამიარა ტვინში. თუ არადა მაშინ არც სიცოცხლე ღირს და არც შენ ხარ ადამიანი!

ჩვენი გრძნობები ხომ ურთიერთკავშირშია! საკმარისია ერთმა ჩვენ-განმა უგუნებობისა თუ რაღაც მიზეზის გამო სიცივე იგრძნო იმ ადამიანი-საგანაც კი, ვისაც უყვარხარ, მეგობარი იქნება ის, მეუღლე თუ კიდევ სხვა ვინმე, რომ ამ ამბავმა იმოქმედოს შენზე, გული გაგიცივოს... და მორჩა, დაიწყო...

...ასე გაგრძელდება მანამ, სანამ უეცრად არ აღმოაჩენ, რომ უკვე ცხოვრობ ჩვეულებრივი „ოჯახური ცხოვრებით".

ძალაუნებურად გამახსენდა, რა თვალებით მიყურებდა ლენა ერთი სა-ათის წინ და რა სიტყვები მითხრა. ისევ ამიფორიაქდა სული. ისევ მიჰყვა ფიქრი ფიქრს. შემდეგ დადგება **უპატივცემულობის ხანა, გადაულა-ხავი,** „ოჯახური" უპატივცემულობის ხანა. შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო! შემდეგ მოვა გაუცხოების, იმის შეგრძნების ხანა, რომ ერთმა-ნეთს არ სჭირდებით, შემდეგ მარტოობისა, და ისევ შეგახსენებს თავს **დრო, დრო, რომლის სვლასაც ვერ გრძნობდი, ვინემ გიყვარდა და იცოდი, რომ გყავს ისეთი ადამიანი, ვისაც ძალზე სჭირდები და ვისი გულისთვი-საც ცოცხლობ...**

ჰოდა, ბოლოს მოგწყურდება მეგობარი, ვინც ისევე თავდადებული იქნება შენთვის, ისეთივე ყურადღებიანი, ისევე გცემს პატივს და დაგაფა-სებს, როგორც გაფასებდა ოდესღაც შენი მომავალი მეუღლე!

ასეთი წყურვილი კი ყველაზე საშინელია, უფრო საშინელი, ვიდრე ლტოლვა სხვა ქალისადმი, როგორც ბევრი ფიქრობს და როგორც მე ვფიქ-რობდი ერთ დროს (ამ უკანასკნელ სურვილს კიდევ მოერევი, როცა იცი, ვისი გულისთვის და რისთვის უნდა დასძლიო იგი!).

მე შემაძრწუნა ჩემს წინაშე გადაშლილმა მომავალმა. მაგრამ შეძლებს ლენა დაინახოს იგივე, ისევე გარკვევით და ნათლად, როგორც მე? შეძ-ლებს თავის დროზე მიხვდეს, საით და რისკენ მივექანებით?!

ეს სასწაულიც რომ მოახდინოს მუსიკამ, ლენამაც რომ იგივე დაინა-ხოს, რაც მე! — გავიფიქრე და უნებლიეთ გადავხედე მას.

ლენას თავი უკან გადაეგდო და ისე უსმენდა. პატარა, მაგრამ გამო-კვეთილი ნიკაპი კიდევ უფრო წინ წამოსწეოდა. „ხასიათისა და ნებისყო-ფის ნიშანი!" — ჩამეცინა მე. იქნებ მეტისმეტად მტკიცე ხასიათისაა და მე-ტისმეტად თავმოყვარე!

იქნებ შეუძლებელია დიდხანს გიყვარდეს „მტკიცე ხასიათის ქალი?"

გამახსენდა ჩემი პირველი გატაცება, ესოდენ ძვირად რომ დამიჯდა. ეს იყო განუწყვეტელი ეჭვიანობა, — დასაწყისიდან დასასრულამდე. მაგ-რამ მაშინ ჯერ სულ ახალგაზრდა ვიყავი, ვსწავლობდი და არ ვიცოდი, რაში დამეხარჯა ძალა და ღონე, არ ვიცოდი დროის ფასი და ეს ომი იქნებ

სულ უსარგებლოც არ იყო ჩემთვის. მაგრამ რა გამანადგურებელი, რა სულელური და რა სასტიკია ახლა ეს ყოველივე!

ან იქნებ მე ისევ არ გამიმართლა? იქნებ ჯობდა ცოლად შემერთო ვინმე სათნო, კეთილი, „უნებისყოფო“ ქალიშვილი. თუნდაც ლენას უფროსი დის მსგავსი, — გავიფიქრე ჩემთვის. ეს იყო საშიში ფიქრი, ეს იყო საშიში გულახდილობა საკუთარ თავთან.

მე ხომ მისი ქმარივით ბოროტად არ გამოვიყენებდი მის სისუსტეს! და ამ დროს უცებ ვიგრძენი, რომ სადაცაა კიდევ ერთი ახალი, საშინელი ჭეშმარიტება ამოტივტივდებოდა ჩემი ფიქრების „ზედაპირზე“.

„ბოროტად არ გამოვიყენებდი!“ — მაგრამ თავიდან ხომ ლენაც ასეთი ნაზი, ერთგული, თავგანწირვამდე ერთგული იყო! მე ხომ ვგრძნობდი, რომ იგი ყველაფერს გააკეთებდა, რასაც ვეტყოდი! მე ხომ საკუთარი თავი მის სინდისად მიმაჩნდა. ყველაფერი, რასაც ვამბობდი, ან ვაკეთებდი, ხომ იმიტომ იყო კარგი, რომ ამას მე ვამბობდი და მე ვაკეთებდი!

მერე როგორ მხიბლავდა თავისი პირდაპირი, მუდამ მხიარული ბუნებით!

მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ ასე შეიცვლებოდა, რომ სულ სხვა ქალი გახდებოდა!

ამას როგორ წარმოვიდგენდი!

კარგად თუ გავიხსენებ, ხანდახან არც მსიამოვნებდა მისი მორჩილება, მისი დამყოლი ბუნება!

ხშირად კიდეც ვეუბნებოდი ლენას ამას, ჩემი ჭკუით „ვზრდიდი“. იქნებ სწორედ მაშინ შემიყვარდა ის ნამდვილად, როცა ასე თავდაჯერებული, ასე თავისუფალი, მოწიფული გახდა.

ჰოდა, თვალნათლივ გადამეშალა ახალი ჭეშმარიტება: **ის მემორჩილებოდა, მე კი არ დავიმორჩილე, არ მოვთრგუნე, არ დავიმონე, როგორც მისი დის ქმარი მოიქცა.**

მაგრამ ასეთი ამბავი, როგორც ჩანს, ვერ ეგუება ჩვენს ბუნებას: რასან მე არ დამასხდნენ თავზე, აბა ვცდი და მე დავაჯდები!

„ორიდან ერთი აუცილებლად უნდა ემონოს!“

არა, ნებისყოფის სიძლიერე აქ არაფერ შუაშია! **მისი და რომ შემერთო ცოლად, იგივე ამბავი მოხდებოდა.** თვალნათლივ დავინახე, წარმოვიდგინე ლენას და ჩემს მეუღლედ და ჩვენი დამოკიდებულება. გავიხსენე ჩემი მისამართით ნათქვამი, აქამდე უყურადღებოდ მიტოვებული მისი სიტყვები და კილო, და საკუთარი თავი ისე შემძაგდა, სიკვდილი ვინატრე!

ჰო, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ბედნიერებისა და სიყვარულისაკენ მიმავალ გზაზე ყველა დაბრკოლება კარგად ვიცოდი. ახლა კი მივხვდი, რომ თურმე არ მცოდნია ყველაზე დიდი და იქნებ დაუძლეველი დაბრკოლებაც.

დაუძლეველი? მაგრამ ხომ ძლევენ... ზოგიერთები!

ჰოდა, ისევ გავიფიქრე, რომ საამისოდ, როგორც ჩანს, საჭიროა გაგიმართლოს, ოღონდ ისე კი არა, როგორც სისუსტის წუთებში ვფიქრობდი ხოლმე, არა, გაგიმართლოს ისე, რომ ბედმა მოგმადლოს ნებისყოფა, ძლიერი, მაგრამ ადამიანური ნებისყოფა (ხომ არიან ასეთები, ხომ უნდა იყვნენ!), რომ იგი თავკერძობას, ქვეშეცნეულ გრძნობებს კი არ ემსახურე-

ბოდეს, არამედ ქელავდეს შეუბრალებლად მათ და მოყვასის ნაცვლად ისინი მოიგდოს ფეხქვეშ. მომთვინიერებელივით რომ არ გჭირდებოდეს ცალ ხელში მათრახის ჭერა, მეორე ხელით კი ლაციცი!

როცა შიგადაშიგ მუსიკა წყდებოდა და დარბაზი ტაშს უკრავდა, მე მოუთმენლობა მიპყრობდა, მინდოდა ჩქარა აჟღერებულიყო მუსიკა და კვლავაც განმეგრძო ფიქრი. შიში მეუფლებოდა, როცა წარმოვიდგენდი, რომ მალე ალბათ მთლად შეწყდებოდა იგი და მე დავრჩებოდი მისი მხარდაჭერის გარეშე, მარტოდმარტო, სულ სხვა, კიდევ უფრო საშინელი დასასრულის პირისპირ.

კონცერტი, ბოლოს და ბოლოს, მაინც დამთავრდა. მე ისევ მომიწია „მიწაზე" დაბრუნება — მომიწია ფოიეში გზის გაკვლევა, გასახდელთან რიგში დგომა. არადა, რა უსიამო იყო ეს დაბრუნება, რა უკაცრიელი იყო „მიწა!"

საკვირველია, თუმცა დარბაზში შუქი კონცერტის დამთავრების შემდეგ აინთო, მახსოვრობაში სრულიად სხვა სურათი ჩამრჩა: ასე მეგონა, უკანასკნელი აკორდების შემდეგ დარბაზში წყვდიადი დადგა და ასევე ბნელოდა ფოიეშიც, გასახდელშიც, სამსახიობოშიც, სადაც ჩვენ მოგვიანებით შევედით.

როცა ჩვენს ნაცნობს საკმაოდ უგერგილოდ მივულოცეთ და უცნობ ხალხში ერთხანს უმიზნოდ ვიტრიალეთ — სამსახიობოს იმღამინდელი ბატონ-პატრონი თავის სხვა თაყვანისმცემლებს უხდიდა მადლიერების ხარკს. ჩვენ, როგორც იქნა, მარტონი აღმოვჩნდით შინისკენ მიმავალ გზაზე. სინათლე მხოლოდ მეტროში აღარ მომჩვენებია მკრთალი. როგორც ჩანს, აკლიმატიზაციის ხანა დამთავრდა.

მართალია, მე და ლენა თითქოს მაინც უხერხულად ვგრძობდით თავს, მაგრამ ამის მიზეზი უკვე სრულიად სხვა რამ იყო. სამსახიობოში შესვლისას, რა თქმა უნდა, ისე ვიქცეოდით, თითქოს ჩვენ შორის არაფერიც არ მომხდარიყოს. ახლა კი არც ერთმა არ ვიცოდით, რა გვექნა. გაბუტულებივით მდუმარედ რომ გვევლო ან ერთმანეთი გველანძღა, ამის სურვილი არ გვქონდა, მაგრამ ჩხუბის უცბად დავიწყებაც არ შეგვეძლო. შინამდე კი, თითქოს ჯიბრზე, კარგა გრძელი გზა გვედო.

— რაზე ფიქრობდი იქ, კონცერტის დროს? — მოულოდნელად ვკითხე ლენას.

მან გულუბრყვილოდ აიწურა მხრები:

— ისე, განსაკუთრებით არაფერზე, ვუსმენდი. შენ? ფიქრობდი? რაზე? — და მსუბუქად მიიზიდა ჩემი ხელი.

კონცერტის შემდეგ პირველად შევხედე დაკვირვებით.

უკარებლობის არავითარი კვალი არ აჩნდა, იქ, დარბაზში რომ მომელანდა. მხოლოდ ოდნავ იყო დარცხვენილი და აშკარად ეტყობოდა, როგორ უნდოდა გამოეყენებინა ეს იძულებითი დაზავება და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ჩვენს შორის მშვიდობა ჩამოეგდო.

უეცრად ვიგრძენი, რომ ძალიან გამიძნელდებოდა მისთვის მეთქვა ის, რაზეც ვფიქრობდი მუსიკის მოსმენისას.

უფრო მეტიც, უცებ ყველაფერი ეს თვითონაც მეტისმეტად გადაჭარბე-

ბულად და შეუსაბამოდ მეჩვენა იმ ნამდვილ, „მიწიერ“ ცხოვრებასთან შედარებით, სადაც ყველაფერი უფრო უბრალო და სხვანაირია.

რაღაც ამის მაგვარს გრძნობ ხანდახან, როცა დიდხანს იავადმყოფებ. მაშინდელი შენი ფიქრები და გრძნობები, სიცხით გათანგულს რომ ძალზე მნიშვნელოვნად და ღრმააზროვნად მიგაჩნდა, შემდეგ, გამოჯანსაღებისას ნავლივით ჩაიფერფლება, გავიწყდება, ან სენტიმენტალური და მაღალფარდოვანი გეჩვენება.

აბა, მაგალითად, საიდან მოვიტანე, რომ ყოველივე ეს ტრაგიკული დასასრულის დასაწყისია, ვფიქრობდი ჩემთვის მეტროში, რომ ეს გაუცხოებაა და ა. შ.? უბრალოდ, გავფიცხდით და ვერ მოვახერხეთ, რომ არ გვეჩხუბა. ესაა და ეს. ამის შედეგი იყო ის შეგრძნება, ლენას ხელის შეხებისა და მისი „უკარება“ გამოხედვის დროს რომ დამეუფლა. ასე იყურებიან ადამიანები, როცა მუსიკას უსმენენ, ან, უბრალოდ, რაიმეზე ფიქრობენ.

ან რა შუაშია აქ სიყვარულის ბოროტად გამოყენება, ადამიანის ბუნება და სხვა ამგვარი დასკვნები!

ჩვენ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვერ შევეწყვეთ, ვერ შევეჩვიეთ ერთმანეთს. არც ისე ადვილია შეეჩვიო ცოლქმრულ ცხოვრებას! არა, ადამიანმა ფხიზლად უნდა შეხედო ყველაფერს — მართლა და მართლა, ხომ არ შეიძლება ის პირვანდელი დამოკიდებულება შეინარჩუნო სამუდამოდ, როცა მხოლოდ იმიტომ ხვდებოდით ერთმანეთს, რომ ერთად გესეირნათ, ერთად ყოფნით დამტკბარიყავით?

რა თქმა უნდა, ჩვენი შეჩვევა არც ისე იოლი გამოდგა. მაგრამ იქნებ... **ცოტად თუ ბევრად მეც ვარ ამაში დამნაშავე?!**

მე ხომ მეტისმეტი მომდის ხოლმე, ხან გავცეცხლდები, ხან კი, პირიქით, ლამის ფეხქვეშ ვეგები!

ძალიან მეშინია ჩხუბისა და გულცივობისა, მაგრამ ამ შიშს ვერაფრით ვფარავ, იგი უსიტყვოდაც იგრძნობა. ადამიანი კი მაინც ადამიანია... მეხსიერებაში ძალაუნებურად ამომიტივტივდა ყოფილი მეგობრის სიტყვები: „ქალებთან ოდნავ უნდა მოისულელო თავი!“

უნებლიეთ სახე დამეღმიჭა, მაგრამ წყენა გადავყლაპე: „ხეპრეობა, გაუმაძღრობა, მტარვალობა, — ეს, რა თქმა უნდა, უკიდურესობაა, მაგრამ ჩემი „ქრისტიანობაც“... მეტისმეტად გაბედული ფანტაზიაა ალბათ!“ — გავიფიქრე ბოლოს.

თუმცა რაც უფრო სასტიკად ვუსწორდებოდი ამ ჩემს მეტისმეტად გაბედულ „ილუზიებს“, მით უფრო მეტად მწყდებოდა გული და მაწუხებდა ეს ფიქრი:

„იქნებ სიმართლე მაინც იქ იყო?!“

□

# ამბროზ ბირსი

## ავაზას თვალები

მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ჯაბაშვილმა

### 1. ყველა შეშლილი
### როდი ქორწინდება

ქალი და კაცი — ბუნებამ იზრუნა, რომ ისინი ერთმანეთს შეხვედროდნენ — შებინდებისას ქვის სკამზე ისხდნენ. კაცი შუა ხნისა იყო, ახოვანი, მეკობრესავით მზით დამწვარი და პოეტივით ჩაფიქრებული. გვერდით ისე ვერ ჩაუვლიდით, უკან არ მიგეხედათ. ქალი კი ახალგაზრდა იყო, ქერა, მოხდენილი, ისეთი ალნაგობა ჰქონდა, ისეთი მიხრა-მოხრა, უნებურად გაგიელვებდათ თავში: ღმერთო ჩემო, რა მოქნილიაო!

ნაცრისფერი კაბა ეცვა, ყავისფერწინწკლებიანი. ასე იოლად ვერ იტყოდით, ლამაზი იყო თუ არა, რადგან მომნუსხველი თვალები ყურადღებას ერთიანად იპყრობდა: რუხი-მომწვანო ფერის, მოგრძო, ნუშისებური თვალები ჰქონდა და უცნაური გამომეტყველება. მაგრამ ასე იყო თუ ისე, რაღაცნაირად გაფორიაქებდნენ. ალბათ კლეოპატრას ექნებოდა ასეთი თვალები.

ქალი და კაცი საუბრობდნენ.

— ღმერთმა ხომ იცის, რომ მიყვარხართ, — ეუბნებოდა ქალი, — მაგრამ თქვენი ცოლობა არ შემიძლია, არა, არ შემიძლია!

— აირინ, თქვენ ეს სიტყვები ბევრჯერ გითქვამთ, მიზეზი კი არასოდეს. მე მაქვს უფლება ვიცოდე, მინდა გავიგო, ვიგრძნო ყოველივე და თუ საჭირო იქნება, დაგიმტკიცოთ, რომ ვერაფერი გამტეხს. მითხარით, გამაგებინეთ!

— რატომ მიყვარხართ?

ქალი იღიმებოდა, თუმცა თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე და ფერმკრთალიც ჩანდა. მაგრამ კაცი ხუმრობის გუნებაზე არ იყო.

— არა, მაგის განმარტებას არა გთხოვთ; ოღონდ მინდა ვიცოდე, რატომ მეუბნებით უარს ცოლობაზე? მე მაქვს ამის უფლება. მე უნდა ვიცოდე ეს და გავიგებ კიდეც!

იგი წამოდგა და ქალის წინ გაჩერდა, ხელები მოემუშტა. მისი მზერა საყვედურს ან იქნებ მუქარასაც გამოხატავდა, თითქოს მზად იყო მიეხრჩო ქალი, ოღონდ შეეტყო ის, რისი გაგებაც სურდა.

ქალი უკვე აღარ იღიმებოდა, დაჟინებით შესცქეროდა კაცს. გარინდე-

ბული, გაქვავებული მზერა მიეპყრო მისთვის, არავითარ გრძნობას რომ არ გამოხატავდა. და მაინც რაღაცამ ამ გამოხედვაში დააცხრო კაცის გულისწყრომა და თან შეაკრთო კიდეც.

— თქვენ უსათუოდ გინდათ შეიტყოთ მიზეზი? — შეეკითხა ქალი საოცრად გულგრილად. ეს კილო სწორედ რომ ზედგამოჭრილი იყო იმ ადამიანისათვის, ვისაც ასეთი გამომეტყველება აქვს.

— უსათუოდ, თუკი მეტისმეტი არ გეჩვენებათ ჩემი თხოვნა.

ჩანდა, ეს მბრძანებელი უარს არ იტყოდა, თავისი ძლიერების რაღაც ნაწილი თავისსავე მსგავსი ქმნილების წინააღმდეგ მიემართა.

— მაშ კარგი, გეტყვით: მე შეშლილი ვარ.

კაცი შეკრთა. მერე უნდობლად შეხედა ქალს, ალბათ, მეხუმრებაო, იფიქრა. და ისევ ულალატა იუმორის გრძნობამ: თუმცა ნათქვამი არ დაუჯერებია, მაინც თავზარი დაეცა. ჩვენი გრძნობები და შეხედულებები ერთმანეთში სრულად ვერასოდეს ვერ რიგდებიან.

— ანუ ასე იტყოდნენ ექიმები, — განაგრძობდა ქალი, — ჩემი ამბავი რომ სცოდნოდათ. მე კი მგონია, ჩემზე „ეშმაკეულიო", უფრო უპრიანია. დაჯექით და მოისმინეთ, რასაც გიამბობთ.

კაცი უხმოდ ჩამოჯდა ქვის სკამზე, გზისპირად რომ იდგა. მათ პირდაპირ მოღლილ მზის სხივებს აღმოსავლეთით გამწკრივებული გორაკები დაისის მეწამულ ფერებში გაეხვია. ირგვლივ ისეთი მდუმარება სუფევდა, მწუხრის მოახლოებას რომ გვამცნობს ხოლმე. ამ იდუმალი და მრავლისმეტყველი სიდიადის მცირე ნაწილი კაცის გუნებასაც გადაედო. როგორც მატერიალურ, ისე სულიერ სამყაროში არსებობს ღამის წინასწარმაუწყებელი ნიშნები. იშვიათად, მაგრამ ყოველთვის, როგორც კი ქალის გამოხედვა დაუჭერია, მაშინვე უგრძვნია კაცს,—თუმცა ველური მომხიბლაობა მიუცია ღმერთს, მაინც ენით უთქმელი ძრწოლის მომგვრელნი არიანო ეს თვალები; ასე ფიქრობდა ჯენერ ბრეიდინგი და მდუმარედ უსმენდა აირინ მარლოს ნაამბობს. რადგან მკითხველმა შესაძლოა ეჭვის თვალით შეხედოს გამოუცდელი მოუბრის მონათხრობს, ავტორი მკითხველისადმი პატივის გამო თავს უფლებას აძლევს საკუთარი ვერსია მოიშველიოს.

## 2. ოთახში სამი სულიერი შეიძლება ვერ დაეტიოს, თუმც ერთი მათგანი გარეთ იმყოფება

ერთ უბადრუკ და ღარიბულად მორთულ ძელურში, იატაკზე, ზედ კედელთან, საცოდავად მოკრუნჩხული ქალი იჯდა, მკერდზე ბავშვი მიეხუტებინა. ირგვლივ, უზარმაზარ სივრცეზე, გაუვალი, ულრანი ტყე გადაშლილიყო. ღამე იყო და ოთახში ისე ბნელოდა, თვალთან მიტანილ თითს ვერ დაინახავდი, თორემ ქალსა და ბავშვს, რაღა თქმა უნდა, ვერა და ვერა. და მაინც მათ უთვალთვალებდნენ დაჟინებით, ფხიზლად, ისე რომ წამითაც არ მოუდუნებიათ ყურადღება. სწორედ ეს გახლავთ თავი და თავი ჩვენი მოთხრობისა.

ჩარლზ მარლო იმ ადამიანთა ჯგურისა გახლდათ, ამჟამად პირწმინდად რომ აღიგავნენ ჩვენი ქვეყნიდან: ესენი იყვნენ ტყის პიონერები—ადამიანები, ვისთვისაც სანუკვარი სავანე ტყე იყო, და ეს სავანე მისისიპის ველის აღმოსავლეთ ფერდობებზე იყო გადაჭიმული, დიდი ტბებიდან მექსიკის ყურემდე. მთელი ასი წელიწადი, თუ მეტი არა, ეს ადამიანები დასავლეთისკენ მიისწრაფოდნენ, თაობას თაობა მისდევდა. ხელთ თოფი და ნაჯახი ეჭირათ, ბუნებასა და მის ველურ პირმშოთ ისინი ძალად სტაცებდნენ ხან აქ, ხან იქ მივარდნილ, მაგრამ ნაყოფიერ, სახნავად სავარგულ მიწის ნაკვეთებს და თითქმის მაშინვე უთმობდნენ თავიანთ მემკვიდრეებს. ეს მემკვიდრეები გამბედაობას ვერ დაიკვეხნიდნენ, მაგრამ იღბლიანები იყვნენ. ასე იკაფავდნენ ტყეში გზას და გაშლილ ველებზე ისე მიეფარებოდნენ თვალს, თითქოს მიწამ პირი უყო და ქვესკნელში ჩაიტანაო. ტყის პიონერები უკვე აღარ არსებობენ. ველების პიონერებს კი უფრო იოლი ამოცანა არგუნა განგებამ: პირველსავე თაობას დაეპყრო და დაემორჩილებინა ქვეყნის ორი მესამედი. რაღა თქმა უნდა, ასეთები ნაკლებად ფასობენ.

ამ უჩვეულო და უსარგებლო ცხოვრების ხიფათს, ჭაპან-წყვეტასა და ხელმოკლეობას ჩარლზ მარლოს ცოლიცა და შვილიც იზიარებდნენ. მარლოს მთელი არსებით უყვარდა ისინი, რადგან მისი მსგავსი ადამიანები თაყვანს სცემენ ოჯახურ სიმყუდროვეს. ქალი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, სანდომიანობა არ აკლდა. მას ჯერ არ ეწვნია განმარტოებული ცხოვრების მთელი სიმძიმე, ამიტომაც ხალისიანი იყო. ზეცას მოწყალება მოეღო მასზე, რაკი მისი სული არ აღუვსია ამქვეყნიური ბედნიერებისაკენ გადაჭარბებული ლტოლვით, თორემ ტყეში გარიყული ცხოვრება ვერაფერი სახარბიელოა. ოჯახზე ზრუნვა, ბავშვი, ქმარი, რამდენიმე მარტივი წიგნი და დროც აღარ ჰქონდა მეტი.

ზაფხულის ერთ მშვენიერ დილას მარლომ თოფი ჩამოიღო და, სანადიროდ მინდა წასვლაო, თქვა.

— ხორცი სამყოფი გვაქვს, — უთხრა ცოლმა, — გთხოვ, დღეს შინ დარჩი. წუხელ საშინელი სიზმარი ვნახე. ახლა ველარ გამიხსენებია, რა ვნახე, მაგრამ ასე მჯერა, თუ შენ წახვალ, სიზმარი უსათუოდ ამიხდება.

საუბედუროდ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ მარლო გულისყურით არ მოჰკიდებია ამ ავბედით სიტყვებს, კარსმომდგარ უბედურებას რომ მოასწავებდა. სიმართლე თუ გინდათ, კიდეც გაიცინა.

— იქნებ როგორმე გაიხსენო, — უთხრა ცოლს, — ხომ არ გესიზმრა, რომ ბალღს ენა წაერთვა?!

ასეთი ვარაუდი ალბათ იმიტომ გამოთქვა, რომ ამ დროს პატარა გოგონა თავისი ფუნჩულა თითებით მამის სანადირო ქუფთანის კალთას ებღაუჭებოდა და მხიარულად ჭყლოპინებდა, რაკი ხედავდა, რომ მამას თავზე ენოტის ტყავის ქუდი ეხურა.

ქალს აღარაფერი უთქვამს, ქმარს მხიარულ ხუმრობაზე პასუხად ვერაფერი უთხრა. მარლომ ჯერ ცოლს აკოცა, მერე შვილს, ქოხიდან გავიდა და სამუდამოდ გამოუკეტა კარი საკუთარ ბედნიერებას.

ჩამობნელდა, ქმარი კი არსად ჩანდა. ქალმა ვახშამი მოუმზადა, ელოდებოდა. შემდეგ თავისი გოგონა საწოლში ჩააწვინა და ჩუმად უნანავებდა, ვიდრე ბავშვს არ ჩაეძინა. ამასობაში კერიაში ცეცხლი მიინავლა, და ახლა ოთახს ერთადერთი სანთელიღა ანათებდა. ქალმა სანთელი ღია ფანჯარაზე დადგა, როგორც გზის მანათობელი შუქურა და თან მისალმება მონადირისადმი, თუკი იგი ამ მხრიდან მოვიდოდა. ის ამბავი, რომ მტაცებელ ნადირს ჩვეულებად აქვს შინ დაუპატიჟებლად შევიდეს, ქალს ჯერ არ სმენოდა, თუმცა ჭეშმარიტ ქალურ ალღოს თუ მოუხმობდა, შეეძლო ევარაუდა, რომ გამორიცხული არ იყო საკვამლე მილიდანაც კი ჩამოსულიყო ნადირი. მტაცებელთაგან რომ დაეცვა თავი, მან საგულდაგულოდ დახურა კარი და ურდულიც გაუყარა. რაღა თქმა უნდა, მტაცებელს ფანჯრიდან გადმოძრომას ღია კარში შემოსვლა ურჩევნია.

ღამე ნელა მიიზლაზნებოდა. თუმცა მოუსვენრობა არ შენელებია, ძილი თანდათან მოერია და ბავშვის საწოლს ჩამოეყრდნო, თავი ხელებზე დადო. ფანჯარაზე დადგმული სანთელი ბოლომდე ჩაიწვა, აშიშინდა და შეუმჩნევლად ჩაქრა. ქალს ეძინა და სიზმარს ხედავდა.

მას ესიზმრებოდა, თითქოს იგი მეორე ბავშვის აკვანთან იჯდა. პირველი მოჰკვდომოდა. მამაც მომკვდარიყო, აღარსად ჩანდა ტყეში მდგარი სახლი, ხოლო ოთახსაც, სადაც იგი ახლა იმყოფებოდა, თითქოს პირველად ხედავდა. ოთახს მუხის მძიმე კარი ჰქონდა, და ეს კარი არასოდეს არ იღებოდა, ფანჯრის რკინის რიკულები ქვის სქელ კედლებში იყო ჩატანებული, ალბათ (ასე ეგონა მას) ინდიელთაგან თავდასაცავად. რაკი ყოველივე შეამჩნია, საკუთარი თავი უსაზღვროდ შეებრალა, მაგრამ არ გაჰკვირვებია — სიზმარმა არ იცის ეს გრძნობა. ბავშვს აკვანში ვერ ხედავდა, საბანი ეხურა. და უცბად რაღაცა ძალამ წამოაგდო ქალი, ბავშვთან მივიდა და საბანი გადახადა. საშინელი ნადირის თავი დაინახა. ამ შემაძრწუნებელმა სანახაობამ თავზარი დასცა და გამოალვიძა. საბრალო ქალი ერთიანად ცახცახებდა მარტოდმარტო დარჩენილი, შუაგულ ტყეში ეულად მდგარ ქოხში.

როცა ნელ-ნელა გონს მოეგო, ბავშვს ხელი შეავლო. ახლა უკვე ცხადლივ ხდებოდა ყოველი და ბავშვის ნებიერმა ფშვინვამ დაარწმუნა, რომ ყველაფერი რიგზე იყო. მაინც ვერ შეიკავა თავი და ხელი ფრთხილად მოუსვა ბალღს პირისახეზე. შემდეგ, თითქოს რაღაც ძალამ აიძულაო, ანგარიშმიუცემლად წამოდგა, ბალღი ხელში აიყვანა და მაგრად მიიკრა მკერდზე. აკვანი კედელთან იყო მიდგმული და ქალმა წამოდგომისთანავე ზურგი შეაქცია კედელს. აიხედა თუ არა, თვალი ჰკიდა ორ მოკიაფე წერტილს, სიბნელეში მოწითალო-მომწვანოდ რომ ელავდნენ. ჯერ იფიქრა, კერიაში დარჩენილი ორი ნაკვერჩხალიაო, მაგრამ როცა მიმართულების შეგრძნების უნარი დაუბრუნდა, მიხვდა, მოკიაფე წერტილები ოთახის სულ სხვა მხარეს იყო, თანაც მეტისმეტად მაღლა, თითქმის თვალების, მისი საკუთარი თვალების გასწვრივ ანათებდნენ. და ეს ნაპერწკლები კი არა, ავაზას თვალები იყო.

ნადირი ღია ფანჯარას მოდგომოდა, სწორედ ქალის პირდაპირ, სულ რაღაც ხუთიოდე ნაბიჯზე. ირგვლივ არაფერი ჩანდა, გარდა ამ შემზარავი

თვალებისა. და თუმცა ძრწოლამ მოიცვა ქალი, იგი მაინც მიხვდა, მხეცი უკანა თათებზე იდგა და წინა თათებით ფანჯრის რაფას ებჯინებოდა, რაიც მხეცის ავი განზრახვის დასტური უფრო იყო, ვიდრე უწყინარი ცნობისმოყვარეობისა. ამის შეცნობამ ქალს უფრო გაუმძაფრა შიში და ამ გოროზ თვალებში გაქვავებულმა ცეცხლმა ფერფლად აქცია მთელი მისი გაბედულება და ძალა. ამ თვალთაგან მონაბერი სუსხისაგან ქალი ჭრჭოლამ აიტანა, მუხლთ მოეკვეთა და ნელ-ნელა ჩაიკეცა იატაკზე. თან ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა, რომ ერთი გაუფრთხილებელი მოძრაობა საკმარისი იყო, ნადირი თავს დასხმოდა. ქალი კედელს ეკვროდა, მთელი თავისი აცახცახებული სხეულით ბავშვს ეფარებოდა, თან თვალს არ აცილებდა ანთებულ გუგებს, სიკვდილს რომ უქადდნენ. ამ მტანჯველ წამში ქალს სულაც არ გახსენებია ქმარი — იმედი ხსნისა. მისი განსჯისა და ფიქრის უნარი ერთადერთ გრძნობად იქცა — ეს იყო შიში: აი, ახლა გადმოევლება ფანჯრის რაფას ავაზა, აი, ახლა იგრძნობს მის შეხებას, მისი ძლიერი ტორების დარტყმას, აი, ახლა დაინახავს, როგორ დაფლეთს კბილებით მისი შვილის სხეულს. გაქვავებული ქალი ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში ელოდა თავისი ბედისწერის აღსრულებას. წუთები საათებად იქცა, წლებად, საუკუნეებად, მარადისობად, ბოროტად ანთებული თვალები კი ისევ ისე მისჩერებოდნენ.

ჩარლზ მარლო გვიან ღამით დაბრუნდა. ზურგზე ირემი მოეკიდა. ქოხს მიუახლოვდა და კარს ფეხი ჰკრა, ვერ გააღო. დააკაკუნა, პასუხი არავის გაუცია, მაშინ ირემი ძირს დააგდო და ფანჯრისკენ გაეშურა. ქოხის კუთხეს რომ შემოუარა, თითქოს ფრთხილი ნაბიჯის ხმა შემოესმა და ტყის ტევრის შრიალიც გაიგონა, მაგრამ თვით მისი გაწაფული სმენისათვისაც კი ეს ხმა იმდენად სუსტი იყო, არად ჩაუგდია, ალბათ მომესმაო, იფიქრა. ფანჯარასთან მივიდა და გაოცდა, რომ ღია დაუხვდა. ფანჯრის რაფას გადაევლო, ოთახში გადახტა. წყვდიადი და სიჩუმე სუფევდა ირგვლივ. ხელის ფათურით მივიდა კერიასთან, ასანთს გაჰკრა და სანთელი აანთო. შემდეგ მიმოიხედა. იატაკზე, ზედ კედელთან, მოკრუნჩხული იჯდა მისი ცოლი, მკერდზე ბავშვი ჰყავდა მიკრული. როდესაც ქმარი მიიჭრა მასთან, ქალი წამოდგა და ხარხარი აუვარდა, ხმამაღალი, გაბმული, გამყინავი, ყოველგვარ სიხალისესა და აზრს მოკლებული ხარხარი, ჯაჭვის ქღარუნის ხმას რომ მოგაგონებდა. კაცმა აღარ იცოდა რა ეღონა და უანგარიშოდ ხელები გაიწოდა მისკენ. ქალმა ბავშვი მიაწოდა. იგი მკვდარი იყო — დედის მკლავებს მოეხრჩო იგი.

## 3. დაცვის მიერ შემოთავაზებული თეორია

აი, რა ამბავი მოხდა ერთ ღამეს ტყეში, მაგრამ აირინ მარლომ ყველაფერი როდი უამბო ჯენერ ბრეიდინგს, რადგან არც იცოდა ყველაფერი. როცა ქალმა თხრობა დაასრულა, მზე უკვე თვალსაწიერს მიფარებოდა და ხანიერი ზაფხულის ბინდი მოიპარებოდა ტაფობზე. რამდენიმე წუთს ბრეი-

დინგი ჩუმად იჯდა, იცდიდა, ეგონა ქალი ამბის მოყოლას გააგრძელებდა, რაც რაღაცნაირად დააკავშირებდა ერთმანეთთან ადრე ნათქვამსა და შემდგომ მონათხრობს. მაგრამ ქალს პირისახე გვერდზე მიებრუნებინა და მასავით დუმდა. ხელები კალთაზე დაეწყო და თითებს თავისდა უნებურად ხან შლიდა, ხან კუმშავდა.

— მართლაც ძალზე სამწუხარო, თავზარდამცემი ამბავია, — წარმოთქვა ბოლოს ბრეიდინგმა, — მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია. თქვენ ჩარლზ მარლოს მამას ეძახით — ეს მე ვიცი; რომ იგი ნაადრევად დააბერა და გასტეხა რაღაც დიდმა მწუხარებამ — ესეც შევამჩნიე, ან იქნებ მეჩვენება; მაგრამ, მაპატიეთ, და თქვენ თქვით, რომ... რომ თქვენ...

— რომ მე შეშლილი ვარ, — თქვა ქალიშვილმა ისე, რომ არც თავი მოუბრუნებია და არც განძრეულა.

— მაგრამ თქვენ ხომ მითხარით... აირინ, ძვირფასო, გთხოვთ, თვალს ნუ მარიდებთ, თქვენ მითხარით, რომ ბავშვი დაიღუპაო. ჭკუიდან შეიშალაო, სულაც არ გიხსენებიათ.

— ჰო, ის პირველი ბავშვი იყო, მე კი მეორე ვარ. მე იმ საბედისწერო ღამიდან მესამე თვეს გავჩნდი. ზეცამ მოწყალე თვალით გადმოხედა დედაჩემს და მიიბარა მისი სული, როდესაც მე მოვევლინე ამ ქვეყანას.

ბრეიდინგი ისევ დადუმდა. იგი შეძრწუნებული იყო და ადვილად ველარ იპოვა სათქმელი. ქალი კვლავინდებურად სადღაც შორს იყურებოდა. კაცი დაბნეული წაეტანა მის ხელებს, ისევ მუხლებზე რომ ეწყო ქალს, მაგრამ რაღაც ძალამ, ბრეიდინგი ვერ გეტყოდათ, რა ძალა იყო ეს, შეაჩერა იგი. სწორედ მაშინ გაახსენდა ბუნდოვნად, რომ არასოდეს ჰქონია სურვილი, ამ ხელებს შეხებოდა.

— შესაძლებელია, — განაგრძო ქალმა, — რომ ასეთ ვითარებაში დაბადებული ბავშვი ისეთივე იყოს, როგორიც სხვები არიან, ანუ როგორც ამბობენ, საღი გონებისა?

ბრეიდინგს აღარაფერი უთქვამს. მას ახლა თავში ახალი აზრი უტრიალებდა, აზრი, მეცნიერი ალბათ ჰიპოთეზას რომ უწოდებდა, დეტექტივი კი კვანძის გასაღებს. ამ აზრს შეეძლო ახალი, თუმცა ავბედითი შუქი მოეფინა იმ ეჭვებისთვის, ქალის სულიერი სიჯანსაღე რომ ბადებდა და რისი გაფანტვაც მისმა სიტყვებმა ვერ შეძლეს.

ახალშენები იმ ადგილებში სულ ახლახან გაჩნდა და აქა-იქ თუ ბინადრობდა ვინმე. პროფესიონალი მონადირე იმ ხანებში ჯერ ისევ ჩვეულებრივი მოვლენა იყო და მონადირის სახლს ხშირად ამშვენებდა დიდი მტაცებლების ტყავი. ხანდახან ცოტად თუ ბევრად სარწმუნო ხმებიც გავრცელდებოდა ხოლმე, უკაცრიელ გზაზე რომელიღაც მტაცებელ ნადირს შეეფეთნენო. როგორც ჩვეულებრივ ხდება, ეს ხმები ჯერ მთელ ქვეყანას მოედებოდა, მერე თანდათან მიჩუმდებოდა და ბოლოს დავიწყებას მიეცემოდა. ბოლო დროს კი ამ აპოკრიფულ თქმულებებს ისიც დაემატა, რომ მრავალ ოჯახში თავისთავად გაჩნდა ლეგენდა ავაზაზე; ვითომდაც ავაზამ რამდენიმე კაცი დააფრთხო, როცა იგი ღამით ფანჯარაში იყურებოდაო. ამ ამბავმა ზოგიერთები ოდნავ ააღელვა, ის კი არადა, ცნობა ადგილობრივ გაზეთშიც კი დაიბეჭდა. ბრეიდინგს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია,

მაგრამ იმ ამბავმა, ახლახან რომ მოისმინა, აფიქრებინა, შესაძლებელია, ეს მსგავსება შემთხვევითი არ იყოსო. განა არ შეიძლებოდა ერთ ამბავს მეორე მოჰყოლოდა და რაკი ფეხი მოიკიდა ავადმყოფ ტვინში და მდიდარი ფანტაზიით შეიმოსა, იმ ტრაგიკულ ამბად იქცა, რაც ეს-ეს არის უამბო მარლოს ქალიშვილმა.

ბრეიდინგმა გაიხსენა, რომ ქალიშვილი ცოტა უცნაურად ცხოვრობდა და თავისებური ხასიათიც ჰქონდა. აქამდე ეს მისთვის წვრილმანი იყო და ამიტომ გულისყურით არც მოჰკიდებია. ცნობისმოყვარეობას რა ხელი აქვს სიყვარულთან. აბა, რა განსაკუთრებული ამბავია, რომ ქალი მამასთან ერთად განმარტოებული ცხოვრობს ტყეში, და რომ მათთან სტუმრად იშვიათად თუ დაიარება ვინმე, თანაც რაღაც უცნაურად ეშინია სიბნელის. ვინც მას კარგად იცნობდა, ამ შიშს აბრალებდა, რომ, ჩამობნელდებოდა თუ არა, ქალიშვილი გარეთ აღარ გამოდიოდა. ადვილი გასაგებია, რომ ასეთ ტვინს შეეძლო დაუთრგუნავ ხანძრად ექცია მის შეგნებაში მოხვედრილი ნაპერწკალი და ცეცხლად შემოგზნებოდა მთელ მის არსებას. აირინი რომ შეშლილი იყო, ბრეიდინგს უკვე აღარ ეეჭვებოდა, თუმც ეს ფიქრი გულს უკლავდა. ქალს მხოლოდ აერია ერთმანეთში თავისი გონებრივი მოშლილობის მიზეზი და შედეგი, რაკი თავისი ამბავი ადგილობრივ მოარაკეთა მონაჩმახს დაუკავშირა. ბრეიდინგმა მოიწადინა მოესინჯა თავისი ვარაუდი, მაგრამ მთლად ნათლად არ ჰქონდა წარმოდგენილი, როგორ დაეწყო, ამიტომ მან დინჯად, ოღონდ ცოტა გაუბედავად, უთხრა:

— აირინ, ძვირფასო, მითხარით, გემუდარებით, ოღონდ ნუ გამიწყრებით, მითხარით...

— მე უკვე ყველაფერი გითხარით, — ფიცხად შეაწყვეტინა ქალმა; ადრე ბრეიდინგს ქალის სიფიცხე არ შეუნიშნავს და სახტად დარჩა, — მე გითხარით, რომ ცოლად ვერ გამოგყვებით, სხვა რაღა გითხრათ?

და ვიდრე ბრეიდინგი მის შეჩერებას მოასწრებდა, ქალი წამოვარდა და ისე, რომ მისთვის არც შეუხედავს, ფეხაკრეფით გაუყვა ხეებს შინისკენ. ბრეიდინგი წამოდგა და ხმის ამოუღებლად გაჰყურებდა, ვიდრე ქალი სიბნელემ არ შთანთქა. უცებ იგი ტყვიანაკრავივით შებარბაცდა, სახეზე გაოცება და შეშფოთება აღებეჭდა. სიბნელეში, სწორედ იმ ადგილას, სადაც ქალიშვილი მიიმალა, ბრეიდინგმა დაინახა, როგორ გაიელვეს მოგიზგიზე თვალებმა. წამით თავზარდაცემული, გაშეშებული იდგა, შემდეგ კი ქალს ყვირილით დაედევნა: „აირინ, აირინ, გაფრთხილდით! ავაზა! ავაზა!“

კაცი სწრაფად გაიჭრა გაშლილ ადგილზე და თვალი მოჰკრა, ქოხის კარის ზღურბლზე როგორ გაიფრიალა ქალიშვილის ნაცრისფერმა ქვედა კაბამ. ავაზა არსად ჩანდა.

## 4. აპელაცია უმაღლესი სამართლიანობისადმი

ჯენერ ბრეიდინგი, ვექილი, ქალაქის განაპირას კოტეჯში ცხოვრობდა. სწორედ მის სახლს უკან იწყებოდა ტყე. რაკი უცოლო იყო, და მაშასადამე იმდროინდელი გულქვა მორალური კოდექსი არ აძლევდა ნებას ან

მოახლე აეყვანა ან მზარეული ქალი, — იმ მხარეში კი მოსამსახურე კაცზე ყურმოკვრითაც არაფერი გაეგოთ, ბრეიდინგი სასტუმროში სადილობდა. მისი კანტორაც იქვე იყო მოთავსებული. ტყისპირას მდგარი კოტეჯის აგებას განსაკუთრებული ხარჯები არ დასჭირვებია და მხოლოდ მისი პატრონის კეთილდღეობასა და დარბაისლობას მოწმობდა. იმ ადამიანისათვის, ვისაც ადგილობრივი გაზეთი ამაყად უწოდებდა „ჩვენი დროის გამოჩენილ იურისტს", საკუთარი ჭერი რომ არ ჰქონოდა, საკმაოდ უხერხული იყო. თუმცა, შეიძლება თავადაც კარგად უწყოდა, რომ შესაძლებელია ჭერი კი გქონდეს, და მაინც უსახლკარო იყო. რაკი ეს შეგნებული ჰქონდა, აქედან ლოგიკურად გამომდინარეობდა, რომ დაოჯახებაზე უნდა ეზრუნა. ამბობდნენ კიდეც, როგორც კი აიშენა კოტეჯი, მისმა მფლობელმა სცადა ოჯახს მოჰკიდებოდა, მაგრამ საქმე იმით დამთავრდა, რომ უარი მიიღო განმარტოებით მცხოვრები მოხუცი მარლოს ლამაზი, მაგრამ ფრიად უცნაური ასულისაგან. ეს უმალ ყველამ ირწმუნა, რადგან თვითონ ბრეიდინგმა აღიარა ეს ამბავი, ქალს კი სიტყვაც არ დასცდენია — ჩვეულებრივ პირიქით ხდება ხოლმე. ასე რომ აქ საეჭვო აღარაფერი იყო.

ბრეიდინგს საძინებელი ოთახი სახლის უკანა მხარეს ჰქონდა და ერთადერთი ფანჯარა ტყეს გაჰყურებდა. ერთხელ ღამით იგი რაღაც შრიალმა გამოაღვიძა. ასე უცებ ვერ გაარჩევდი, რა ხმა იყო ეს. ბრეიდინგს უსიამოდ გააჟრჟოლა, საწოლში წამოჯდა და ბალიშქვეშ ამოდებული რევოლვერი აიღო. ასეთი წინდახედულება არას ავნებს იმ კაცს, ვინც მიჩვეულია ფანჯარა ღია დატოვოს და ისე დაიძინოს. ოთახში უკუნი სიბნელე იდგა, მაგრამ მის გულს შიში არ გაჰკარებია და რადგან იცოდა, საით უნდა ეცქირა, იყურებოდა კიდეც გაფაციცებული, თან ჩუმად ელოდა, რა მოხდებოდა. ახლა უკვე ბუნდოვნად არჩევდა ფანჯარას — უფრო ბაცი ფერის კვადრატს. და უცებ, ამ კვადრატის ქვემო კიდეზე გამოჩნდა ორი ანთებული თვალი, ამ თვალების ბოროტი ელვარება ენით უთქმელი საშინელებით იყო აღსავსე. ბრეიდინგს გული კინაღამ საგულედან ამოუვარდა, მერე კი თითქოს გაუჩერდა. სიცივემ დაისადგურა მის სხეულში, იგრძნო, როგორ გაეყინა ძარღვებში სისხლი. დაყვირებას ვერც შეიძლებდა, რომ შველა ეთხოვა, მაგრამ გულმაგარი კაცი იყო, — რომც შეძლებოდა ხმის ამოღება, მაინც არ ითხოვდა შველას. მშიშარა სხეულს იქნებ მორეოდა თრთოლვა, მაგრამ სული უფრო მტკიცე ჰქონდა. ნელინელი მოიწევდა მაღლა-მაღლა ელვარე თვალები, თითქოსდა უახლოვდებოდნენ კიდეც. ასევე ნელინელ იწევდა მაღლა ბრეიდინგის მარჯვენა ხელი, დამბაჩა რომ ეკავა. ბრეიდინგმა გაისროლა!

გასროლის ელვამ თვალი მოსჭრა და ხმამ სმენა დაუხშო, მაგრამ ბრეიდინგმა მაინც გაიგონა, ან იქნებ მოეჩვენა, რომ გაიგონა ავაზას ველური, ყურისწამღები შეკივლება, ესოდენ ადამიანური და რაღაც ავისმაუწყებელი რომ იყო. ბრეიდინგი საწოლიდან გადმოხტა, სწრაფად ჩაიცვა და დამბაჩით ხელში გარეთ გამოვარდა. მისი სახლისკენ ორი-სამი კაცი გამორბოდა. მოკლედ უთხრა მათ რაც მოხდა; შემდეგ სახლი გულდაგულ გაჩხრიკეს. ბალახი ცვარს დაენამა. ფარნის შუქზე გაარჩიეს, რომ ფანჯრის ქვეშ ბალახი მოთელილი იყო და დაკლაკნილი კვალი ბუჩქებისაკენ მიემარ-

თებოდა. ვიღაცამ წაიბორძიკა და დაეცა. როცა წამოდგა და ხელების წმენდა დაიწყო, რაღაცნაირი ბლანტი სისველე იგრძნო. რომ გასინჯეს, აღმოჩნდა, რომ ხელები სისხლში ჰქონდა გასვრილი.

დაჭრილ ავაზასთან უიარაღოდ პირისპირ შეხვედრა ჭკუაში არავის დაუჯდა; ბრეიდინგის გარდა ყველანი უკან გამობრუნდნენ. მან ფანარი აიღო ხელში და დამბაჩამომარჯვებული გაბედულად დაიძრა ტყისკენ. ხშირი ბუჩქნარიდან ერთ პატარა მდელოზე გავიდა და იქ მისმა სიმამაცემ მიიღო კუთვნილი ჯილდო, რადგან იპოვა თავისი მსხვერპლი. მაგრამ ეს არ იყო ავაზა. თუ ვინ იყო ბრეიდინგის მსხვერპლი, ამაზე ახლაც ღაღადებს ნაავდრალი სამარის ქვა სოფლის სასაფლაოზე. და კიდევ კარგა ხანს ამაზე ყოველდღე ღაღადებდა საფლავთან გაქვავებული ბერიკაცი, მისი მწუხარებისაგან დაღარული პირისახე. ეს ბერიკაცი მარლო იყო, აირინის მამა. ღმერთმა მშვიდობა მისცეს მის სულსა და მისი შეშლილი, უბედური ასულის სულს. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს მათ.

□

# მიგელ დე უნამუნო — ფრაგმენტი —

## ნამდვილი მამაკაცი

### მოთხრობა

თარგმნა მაყვალა ახალაძემ

ულიას სილამაზის ქება-დიდება მოსდებოდა ძველთაძველ ქალაქ რენადასა და მის გარშემო მთელ პროვინციას. ამ ქალის მშვენება საყოველთაოდ გახლდათ აღიარებული. იგი თითქოს ცოცხალი, მომხიბლავი ქანდაკება იყო პროვინციის დედაქალაქის სხვა ძეგლებსა და არქიტექტურულ ნაგებობათა შორის. ხშირად ასეც ამბობდნენ: რენადას მივდივარ ტაძრისა და იულია იანიესის სანახავად. მშვენიერი ქალწულის თვალებში იყო რაღაც განწირულების მაუწყებელი. მისი გარეგნობა სულს უფორიაქებდა ყველას, ვისაც კი თუნდაც ერთხელ ესალა იგი. სადაც არ უნდა გამოჩენილიყო იულია, უმალვე საერთო ყურადღებას იპყრობდა; მოხუცებს კაეშანი მოეძალებოდათ, ჭაბუკები კი იმ ღამეს დიდხანს ვერ ახერხებდნენ დაძინებას. და იულიაც, რაკი გრძნობდა საკუთარი მომხიბლაობის ძალას, თითქოს წინასწარ განიცდიდა საბედისწერო მომავალს. თითქოს მის არსებაში ჩაბუდებული იდუმალი ხმა ჩასძახოდა ყურში: „შენ სილამაზე დაგღუპავს შენი". და ქალიც ცდილობდა გაეფანტა ბნელი ფიქრები, რათა როგორმე ჩაეხშო ეს ხმა.

მზეთუნახავის მამას, დონ ვიქტორინო იანიესს, არც თუ უზადო წარსული ჰქონდა. იგი სავაჭრო აგენტი იყო, მაგრამ მისი საქმეები სულ უკან და უკულმა მიდიოდა. გაკოტრება ელოდა და უკანასკნელ იმედებს ქალიშვილზელა ამყარებდა. იულია მისთვის უკანასკნელი განძი, უკანასკნელი თულფი იყო თამაშში. მას ვაჟიც ჰყავდა, მაგრამ კარგა ხანია გული აიყარა და სულ მთლად დაივიწყა. მისი ასავალ-დასავალიც არ იცოდა.

— ჩვენ მხოლოდ იულია დაგვრჩენია იმედად, — ეუბნებოდა იგი წამდაუწუმ ცოლს, — ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ გათხოვდება იგი, ან უფრო სწორად, როგორ გავათხოვებთ. მაგრამ თუკი იგი სისულელეს ჩაიდენს, გული მიგრძნობს, რომ ასე მოხდება, ჩვენი საქმე წასულია.

— რას უწოდებ სისულელეს?

— თუნდაც იმას, რასაც ახლა შენ ამბობ. აკი გეუბნებოდი, ანაკლეტა, გონიერება გაკლია-მეთქი.

— რას ვიზამ, ვიქტორინო. საიდან მოვიკრიბო ეს ჭკუა-გონება, თუკი არა მაქვს? ამიხსენი, გეთაყვა, ჩვენ შორის ხომ მარტო შენ ხარ ჭკვიანი.

— განა ასჯერ არ მითქვამს, რა უნდა გააკეთო? შენ თვალყური უნდა

ადევნო იულიას, რათა სხვა ქალიშვილებივით მთელი დრო თვალების ცეცებას არ გადაალიოს, თავის ღირსებასა და ჯანმრთელობას გაუფრთხილდეს და ფანჯრის წინ ვიღაც სტუდენტებთან მასლაათი არ გააბას.

— მერედა, მე რას გავაწყობ?

— შენ უნდა ჩააგონო, უნდა დაარწმუნო, რომ ჩვენი მომავალი კეთილდღეობა, ე. ი. ჩემი და შენი, თვით ჩვენი ღირსება... გესმის თუ არა?

— მესმის.

— არაფერიც არ გესმის!... ღირსება-მეთქი... მთელი ჩვენი ოჯახის ღირსება დამოკიდებულია მის გათხოვებაზე. ამიტომაა აუცილებელი, რომ მან თავი არ გაიიაფოს.

— საბრალო ბავშვი!

— საბრალო ბავშვი! იცოდე, იულია არ უნდა გაერთოს რეგვენი თაყვანისმცემლებით და თავი უნდა დაანებოს უაზრო რომანებს, თავბრუს რომ ახვევენ და გონებას უბრუებენ.

— კი მაგრამ, შენი აზრით, მე რისი გაკეთება შემიძლია?

— უფრო სალად უნდა იმსჯელო და ეცადო, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოგვიტანოს მისმა სილამაზემ.

— მისი ხნისა რომ ვიყავი...

— იყუჩე, ანაკლეტა! პირის დაღებისთანავე უთუოდ რაღაც სისულელე უნდა წამოროშო. მისი ხნისა რომ იყავი... შენ გავიწყდება, რომ მაშინ უკვე გიცნობდი.

— დიახ, საუბედუროდ.

და ტურფა იულიას მშობლები აქ, ჩვეულებრივ, ბაასს წყვეტდნენ, რათა მეორე დღეს კვლავ ამ ამბავზე ემტვრიათ თავი.

საბრალო იულია იტანჯებოდა, რაკი კარგად ხედავდა მამამისის ანგარების მთელ შემაძრწუნებელ სიმდაბლეს. „მას ჩემი გაყიდვა სურს, — ეუბნებოდა ხოლმე საკუთარ თავს, — რათა თავისი წამხდარი საქმე გამოასწოროს, ან შესაძლოა, ციხიდანაც დაიძვრინოს თავი...“ ეს მართლაც ასე იყო.

აღშფოთებულმა იულიამ, მამის ჯიბრზე, პირველსავე თაყვანისმცემელს გაუღიმა.

— ღვთის გულისათვის, ფრთხილად იყავი, ჩემო გოგონავ, — ეუბნებოდა დედა, — მე ყველაფერი ვიცი. ვხედავ, როგორ დაეხეტება ჩვენი სახლის მახლობლად და რაღაცას განიშნებს. აკი წერილი მოგწერა და შენც უპასუხე.

— მაშ როგორ, დედი? განა მონასავით, ანდა ტყვე ქალივით უნდა ვიცხოვრო, ვიდრე სულთანი არ გამოცხადდება და მამა ჩემს თავს არ მიჰყიდის?

— აგრე რატომ ლაპარაკობ, შვილო...

— ნუთუ არ შეიძლება მყავდეს საქმრო, ისე, როგორც სხვებს?

— რატომაც არა, მხოლოდ იგი დარბაისელი კაცი უნდა იყოს!

— როგორ გავიგო დარბაისელია თუ არა? ერთბაშად ვერ მიხვდები. რომ შევიყვარო, ერთმანეთი უნდა გავიცნოთ.

— შეიყვარო... გაიცნო.

— აბა როგორ? მყიდველს უნდა ველოდო?

— ეჰ! ვერც შენთან და ვერც მამაშენთან კაცი ვერაფერს გააწყობს: იანიესები ყველანი ასეთები ხართ. ღმერთმა დასწყევლოს ის დღე, როცა მე მას ცოლად გავყევი!

— ჰოდა, მე არა მსურს, რომ ოდესმე შენი სიტყვების გამეორება დამჭირდეს.

ამის შემდეგ დედამ მასთან ლაპარაკს თავი ანება.

იულია კი, თითქოს ჯიბრზეო, თამამად დაეშვა დაბლა და ქვედა სართულის ფანჯარასთან მივიდა, რათა თავის თაყვანისმცემელს დალაპარაკებოდა. „არ ვიცი, ღმერთმანი, მამა რას იზამს, ჩვენ რომ დაგვინახოს, — გაიფიქრა მან, — თუმცა უკეთესია. დე, ყველამ გაიგოს, რომ მე მსხვერპლი ვარ და მას სურს ჩემი სილამაზით ივაჭროს.“ და იულიამ ამ პირველსავე პაემანზე მოუთხრო ენრიკეს, ადგილობრივ ახალბედა ტენორს, თავის ნაღვლიან და უსიხარულო ცხოვრებაზე. ენრიკეს უნდა გადაერჩინა იგი, დაეხსნა უბედურებისაგან. მაშინ იულიას სილამაზით მოჯადოებულმა ვაჟმა ერთბაშად იგრძნო, რომ მისი გატაცება და გზნება თანდათან დაცხრა. „ეს ქალწული ყველაფერში უბედურებას ხედავს, — ფიქრობდა იგი თავისთვის, — ჩანს, ულვთოდ ბევრი იკითხა სენტიმენტალური რომანები.“ რაკი ენრიკემ უკვე რაღაცას მაინც მიაღწია, რაკი მთელმა რენადამ გაიგო, რომ სილამაზის აქაური ქალღმერთი, მას თავის ფანჯარასთან ებაასებოდა, ვაჟი ახლა მხოლოდ იმას ცდილობდა, როგორმე თავი დაეძვრინა ამ ამბიდან. მალე შემთხვევაც მიეცა. ერთხელ, დილით, იულია აღელვებული ჩამოვიდა მასთან. მშვენიერი თვალები ტირილისაგან დასწითლებოდა.

— ენრიკე, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. ეს ოჯახი და სახლი კი არა, ნამდვილი ჯოჯოხეთია. მამამ ჩვენი ამბავი გაიგო და ცოფებს ყრის. წარმოიდგინე, გუშინ საღამოს, როცა მე თავის მართლება ვცადე, გამარტყა კიდეც.

— რა სიმხეცეა!

— შენ ჯერ კიდევ კარგად არ იცნობ. შენზე თქვა, იმასაც საკადრის პასუხს გავცემო.

— მობრძანდეს, მომელაპარაკოს! — თავისთვის კი გაიფიქრა: „ეგლა მაკლდა! იმისთანა თავხედი კაცისგან ყველაფერია მოსალოდნელი. რაკი დაინახავს, რომ მისი განძის მოტაცებას აპირებენ, შეიძლება მართლა გაცოფდეს. მე მის ვალებს, სულერთია, ვერ გავისტუმრებ...“

— ენრიკე, გიყვარვარ?

— რა საკითხავია!

— მიპასუხე, გიყვარვარ, თუ არა?

— მთელი სულითა და გულით, ჩემო მშვენიერო!

— სიმართლეს ამბობ?

— რაღა თქმა უნდა.

— ჩემი გულისთვის მზადა ხარ, რომ ყველაფერი მოიმოქმედო?

— შენთვის ყველაფერს გავაკეთებ!

— კარგი. მაშ წამიყვანე აქედან. უნდა გავიქცეთ. მხოლოდ შორს, ისე შორს, რომ მამამ ველარ გვიპოვოს.

— დაწყნარდი, ძვირფასო, დამშვიდდი!

— არა! არა! წამიყვანე აქედან, თუ გიყვარვარ! მოსტაცე მამაჩემს მისი განძი, რომ მან იგი ველარ გაყიდოს. სულაც არ მინდა, რომ გამყიდონ, მირჩევნია მომიტაცონ.

მათ გადაწყვიტეს გაქცეულიყვნენ. მეორე დღეს, იულია დაპირების თანახმად, წინასწარ გამზადებული თეთრეულის ბოხჩით ხელში ელოდა საიდუმლოდ შეკვეთილ ეკიპაჟს, მაგრამ ენრიკე აღარ მოსულა.

„მხდალი, მხდალი და სულმდაბალი, საზიზღარი მატყუარა“, — გაიძახოდა საბრალო იულია და საწოლზე პირქვედამხობილი ცოფმორეულივით კბენდა ბალიშს. „აკი მიმტკიცებდა, მიყვარხარო. სიყვარულის ნატამალიც არა ჰქონია. მას ჩემი სილამაზე უყვარდა და არა მე. თუმცა, არა, მხოლოდ ის სურდა, მთელს რენადაში ეტრაბახა, რომ მე, იულია იანიესი, თანახმა ვიყავ, ცოლად გავყოლოდი. ახლა ალბათ ყველას მოუყვება, როგორ შევთავაზე გაქცევა. რა სიბილწეა! რა საძაგლობა! ის მამაჩემივით უსინდისო და ფლიდია. მამაკაცი კი ჰქვია“.

და იულია კიდევ უფრო მეტმა სასოწარკვეთილებამ შეიპყრო.

— ვხედავ, ჩემო გოგონავ,—უთხრა მას დედამ,—რომ ეს ამბავი დასრულდა და მადლობას ვწირავ ყოვლის მეუფეს... მამაშენი მართალია, თუ შენებურად განაგრძე, იცოდე, თავი მოგეჭრება.

— რა თუ განვაგრძე?

— ის, რომ პირველსავე შემხვედრს ეარშიყები. კეკლუცი ქალის სახელი გაგივარდება და...

— მით უკეთესი, დედი, მით უკეთესი. მაშინ თაყვანისმცემელთა რიცხვი იმატებს, ყოველ შემთხვევაში მანამდე, სანამ არ დამკარგვია ის, რაც ღმერთს ჩემთვის უბოძებია.

— ვაჰმე, საბრალოს! შენც მამაშენის მოდგმისა ხარ!

მალე იულიას ხელის ახალი მაძიებელი გამოჩნდა. ქალიშვილმა მასაც უამბო თავის მწარე ხვედრზე და ისიც ენრიკესავით დააფრთხო.

ოლონდ პედრო უფრო გულქვა აღმოჩნდა. იულიამ მასაც შესთავაზა გაქცევა.

— გამიგონე, იულია, — უთხრა პედრომ, — მე გაქცევის წინააღმდეგი არა ვარ. პირიქით, ეს აზრი ფრთებს მასხამს, მაგრამ, აქაურობას რომ გავშორდებით, საით წავიდეთ, ან რა ვაკეთოთ?

— მერე გამოჩნდება!

— არა, მერე აღარაფერი არ გამოჩნდება! წინდაწინ უნდა მოვიფიქროთ. ჯერჯეროობით მე შენი რჩენა არ შემიძლია. ჩემი მშობლები, ვიცი, ჩვენ არ მიგვიღებენ. მამაშენი კი...

— რა? იქნებ აპირებ სიტყვას გადახვიდე?

— რა უნდა გავაკეთოთ?

— ან იქნებ შიშმა აგიტანა?

— თქვი, მითხარი, რა უნდა გავაკეთოთ.

— მაშინ... ორივენი თავს მოვიკლავთ.

— ხომ არ შეიშალე, იულია!

— დიახ, შევიშალე, სასოწარკვეთამ და ზიზღმა დამაკარგვინეს გონი,

რადგან მშობელი მამა გაყიდვას მიპირებს. და შენც რომ ჩემსავით გაგიჟებულიყავი სიყვარულით, ჩემთან ერთად სიცოცხლესთან გამოთხოვება არ გაგიჭირდებოდა.

— აბა ერთი საკუთარ სიტყვებს დაუკვირდი, იულია: შენ გინდა თავი მომაკვლევინოს შენდამი ტრფობამ, თვით კი გსურს მოკვდე არა ჩემი სიყვარულისთვის, არამედ იმიტომ, რომ გძულს ოჯახი, გეზიზღება მამა-ვაჭარი! ეს ერთი და იგივე სულაც არ არის.

— შენ ძალზე კარგად მსჯელობ, პედრო, სიყვარულს კი არა სჩვევია მსჯელობა.

ამგვარად ისინიც დაშორდნენ ერთმანეთს. იულია ფიქრობდა: „არც ამას ვუყვარდი. ყველა ჩემს სილამაზეს ეტრფიალება, მე არავის ვენალვლები“.

ის მწარედ ქვითინებდა.

— აი, ხომ ხედავ, ჩემო გოგონავ, აბა მე რას გეუბნებოდი? მეორეც ისეთივე აღმოჩნდა, როგორიც პირველი იყო.

— მე მთელ ასეულს გადავარჩევ ვიდრე წავაწყდები ისეთ ადამიანს, ვინც თქვენგან გამათავისუფლებს. იმის გაფიქრებაც კი თავზარს მცემს, რომ თქვენ ჩემი გაყიდვა გინდათ!

— ამაზე მამაშენს ელაპარაკე.

და დონა ანაკლეტა თავისი ოთახისკენ წავიდა, რომ იქ, მარტოდმარტო ცრემლებად დაღვრილიყო.

— მომისმინე, ჩემო შვილო, — უთხრა ბოლოს მამამ, — ორჯერ შენი თაყვანისმცემლების ამბავს ყური არ ვათხოვე და არაფერი ღონე მიხმარია, მაგრამ გაფრთხილებ, რომ ახალ სისულელეებს ველარ მოვითმენ. კარგად დაიხსომე ეს.

— შენ ჯერ კიდევ ყველაფერი არ იცი, — დამცინავად და თან ჯიუტად წარმოთქვა იულიამ და მამას ჯიქურ გაუსწორა თვალი.

— რაო? — გაბრაზებით ჰკითხა დონ ვიქტორინომ.

— მე ახალი საქმრო მყავს.

— ისევ? ვინ არის?

— ნუთუ ვერ მიხვდი?

— ხუმრობას თავი დაანებე და მიპასუხე. თორემ მოთმინების ძაფი გამიწყდება და...

— თვით დონ ალბერტო მენანდეს დე კაბუერნიგა გახლავთ, არც მეტი, არც ნაკლები.

— რა საშინელებაა! — წამოიძახა დედამ.

დონ ვიქტორინო გაფითრდა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს.

დონ ალბერტო მენანდეს დე კაბუერნიგა ძლიერ მდიდარი აზნაური და გარყვნილი მამაკაცი გახლდათ, ქალებს ხელთათმანივით იცვლიდა. მასზე ამბობდნენ, თუ ქალი მოეწონა, ფულს არ დაინანებსო. პირველ ცოლთან გაყრილი იყო. ჯვარი უკვე ორჯერ ჰქონდა დაწერილი. ორივე ცოლს დიდებულად ინახავდა.

— ამაზე რაღას იტყვი, მამა?

— შენ ჭკუაზე შეიშალე.

— მე არც შეშლილი ვარ და არც ვბოდავ. ის ჩვენს ფანჯრებს არ შორდება, მუდამ ჩვენი სახლის შორიახლო დაეხეტება. ხომ არ ვუთხრა, რომ მოგირიგდეს?

— მე წავალ, თორემ ყოველივე ეს შესაძლოა ცუდად დამთავრდეს.

მამა გავიდა.

— კი მაგრამ, შვილო...

— გარწმუნებ, დედა, რომ მამას ეს სრულებითაც არ მიაჩნია სისაძაგლედ. გეუბნები, ის მზადაა ჩემი თავი თუნდაც დონ ალბერტოს მიჰყიდოს.

საბრალო გოგონას ნებისყოფის სიმტკიცე თანდათან ეკარგებოდა. მისთვის ნათელი იყო, რომ თუ გაჰყიდდნენ, მაშინაც კი თავს უკეთესად იგრძნობდა. მთავარი იყო, მამისეულ ოჯახს გასცლოდა, როგორმე შინიდან გაქცეულიყო.

* * *

დაახლოებით ამავე ხანებში ვესტ-ინდოეთში გამდიდრებულმა ალეხანდრო გომესმა რენადის მახლობლად ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი მამული იყიდა. არავინ იცოდა კარგად, თუ რა წარმოშობის კაცი იყო იგი და არც არავის გაეგონა, რომ მას ოდესმე თავის მშობლებზე ან თავის სამშობლოსა და ბავშვობაზე სიტყვა დასცდენოდეს. იცოდნენ მხოლოდ, რომ ჯერ კიდევ ჩვილი იყო, როცა მშობლებმა კუნძულ კუბაზე წაიყვანეს, მერე კი მექსიკაში, სადაც მან რაღაც მანქანებით უზარმაზარი, საარაკო ქონება იგდო ხელთ. ამბობდნენ, მისი სიმდიდრე რამდენიმე მილიონ დუროს შეადგენსო. ოცდათოთხმეტი წლისა ესპანეთში დაბრუნდა და გადასწყვიტა აქვე დაფუძნებულიყო. იმასაც ამბობდნენ, ქვრივია და ბავშვები არა ჰყავსო. ერთი სიტყვით, მასზე უამრავ ზღაპარსა და ლეგენდას თხზავდნენ. ყველა, ვისაც კი მასთან რაიმე საქმე ჰქონია, პატივმოყვარე ადამიანად თვლიდა. მომავლისთვის ვრცელი გეგმები ჰქონდა, მეტისმეტად უცნაური, ჯიუტი და გულჩახვეული კაცი იყო. თავი მოჰქონდა თავისი მდაბიო წარმოშობით.

— ფულისთვის ყველა გზა ხსნილია, — იტყოდა ხოლმე.

— არა ყოველთვის და არა ყველასათვის, — არ ეთანხმებოდნენ მას.

— რასაკვირველია არა ყველასათვის; მე მხოლოდ მათ ვგულისხმობ, ვინც სიმდიდრის მოხვეჭა საკუთარი ხელით შესძლო. რომელიმე უნიათო თავადიშვილი, ქონება რომ მემკვიდრეობით მიუღია, ანდა განაზებული გრაფი და ჰერცოგი, ცხადია, ვერაფერს მიაღწევენ თავიანთი მილიონების მიუხედავად. მაგრამ მე! მე! მე დიდძალი სიმდიდრის მოხვეჭა შევძელი. — უნდა მოგესმინათ როგორ გამოთქვამდა ის ამ „მე"-ს, რომ მთელი მისი შინაგანი არსება შეგეცნოთ.

— მე ყოველთვის მომიპოვებია, რაც კი გულით მინდოდა. მოვინდომებ და მინისტრი გავხდები. ერთადერთი დაბრკოლება მხოლოდ ის არის, რომ მე ეს არ მსურს.

* * *

ალეხანდროს უამბეს, რომ იულია რენადის უმშვენიერეს ქმნილებად ითვლებოდა. კაცმა ერთი უნდა ნახოსო, ჩაილაპარაკა თავისთვის. ხოლო როცა პირველად დაინახა, თქვა, უსათუოდ ჩემი უნდა გახდესო.

— იცი, მამა,—გამოებაასა ერთხელ იულია მამას,—რომ განთქმული ალეხანდრო, აი სწორედ ის, ვისზედაც ასე ბევრს ლაპარაკობენ უკანასკნელ ხანებში... ვინც იყიდა კარბადესო...

— ვიცი, ვიცი, მერე რა მოხდა?

— ის ახლა სულ ჩემს გარშემო ტრიალებს!

— შენ კვლავ დამცინი!

— მე სერიოზულად გელაპარაკები.

— გეუბნები, ნუ დამცინი-მეთქი.

— აი, მისი წერილი.

ქალმა უბიდან წერილი ამოიღო და მამას სახეში მიახალა.

— მაინც რას აპირებ? — ჰკითხა მამამ.

— რალა დამრჩენია? ვეტყვი, რომ შენ მოგმართოს და ფასზე მოგელაპარაკოს.

დონ ვიქტორინომ მუშტრის თვალით შეხედა თავის ასულს და ოთახიდან უსიტყვოდ გავიდა. რამდენიმე დღე ოჯახში მტანჯველი მდუმარება და ფარული გაბოროტება სუფევდა. იულიამ თავის ახალ თაყვანისმცემელს ზიზღითა და დაცინვით სავსე წერილით უპასუხა. მალე ახალი უსტარიც მიიღო, სულ რამდენიმე სიტყვა, მტკიცე ხელით გამოყვანილი დიდრონი და კუთხოვანი ასოებით ნაწერი: „ბოლოს მაინც ჩემი იქნებით. ალეხანდრო გომესმა იცის, როგორ მიაღწიოს საწადელს“.

„აი ნამდვილი მამაკაცი! მიხსნის იგი თუ ვერა?“ ასე ფიქრობდა იულია წერილის კითხვისას. რამდენიმე დღის შემდეგ დონ ვიქტორინომ თავისი ასული იხმო. მასთან ერთად ჩაიკეტა ოთახში და თითქმის მუხლმოყრილმა, ცრემლმორეულმა უთხრა:

— გამიგონე, შვილო, ახლა ყველაფერი შენზეა დამოკიდებული, ჩვენი მომავალი და ჩემი ღირსება. თუ შენ ალეხანდროს უარს ეტყვი, მე უკვე ველარ დავმალავ ჩემს გაკოტრებას, განადგურებას და ჩემს...

— საკმარისია, ნულარ განაგრძობ...

— დიახ, დიახ, ველარ დავმალავ. ყოველგვარი ვადა გავიდა. ციხეში მიკრავენ თავს. ამდენხანს კიდევ ვახერხებდი საბოლოო კრახის აცდენას, ისევ შენი მეშვეობით! შენი სახელით ვსარგებლობდი! შენი სილამაზე ფარის მაგივრობას მიწევდა. „საბრალო გოგო“, ამბობდნენ შენზე.

— და თუ დავთანხმდი?

— კარგი, ყველაფერს გეტყვი. მან შეიტყო, რა დღეშიც ვიყავი. ყველაფერი იცის... ახლა მე გადარჩენილი ვარ, შემიძლია თავისუფლად ამოვისუნთქო. მან ყველა ჩემი ვალი გაისტუმრა, გამოისყიდა ჩემი თამასუქები.

— ვიცი. ნურც ამაზე მეტყვი რამეს. ახლა რალა დაგვრჩენია?

— ახლა მასზე ვარ დამოკიდებული. ჩვენ ყველანი, მეც და შენც მის ხარჯზე ვცხოვრობთ.

— მაშ, უკვე გამყიდე?

— არა, თვითონ შეგვისყიდა.

— გამოდის, რომ მას ვეკუთვნი, ჩემი ნება-სურვილის მიუხედავად.

— ის სრულებითაც არ მოითხოვს ამას. ის არც გვთხოვს რასმე და არც მოითხოვს.

— რა კეთილშობილებაა!

— იულია!

— დიახ! დიახ! ახლა ყველაფერი გავიგე. წადი და უთხარი, რომ შეუძლია მოვიდეს ჩემს წასაყვანად, როცა ინებებს.

ამ სიტყვებს რომ ამბობდა, იულიას მთელი ტანი უცახცახებდა. ვინ წარმოთქვა ეს სიტყვები? მან? არა, სხვა ვილაცამ, სულში რომ ჩასახლებოდა და გამუდმებით აწამებდა.

— მადლობელი ვარ, ჩემო შვილო, დიდი მადლობა.

მამა წამოდგა, რათა თავისი ქალიშვილისათვის ეკოცნა, მაგრამ იულიამ არ დაანება და შეჰყვირა:

— არ მომეკარო...

— კი მაგრამ...

— წადი და ლოშნე შენი თამასუქები, ან ფერფლი იმ ქალალდებისა, რამაც კინალამ ციხეში არ ამოგაყოფინა თავი.

* * *

— აკი გეუბნებოდით, იულია, რომ ალეხანდრო გომესი ყველაფერს მიალწევს, რასაც კი მოიწადინებს-მეთქი! განა ჩემთან შეიძლება ასე მოქცევა!

ეს პირველი სიტყვები იყო, რითაც ალეხანდრო წარუდგა ვიქტორინოს ქალიშვილს.

ქალწული აცახცახდა მისი ხმის გაგონებაზე. პირველად იგრძნო თავის სიცოცხლეში, რომ მის წინაშე ნამდვილი მამაკაცი იდგა. და ამ მამაკაცის თვალებში უფრო მეტი მორჩილება და ნაკლები სიტლანქე ჩანდა, ვიდრე წინასწარ წარმოედგინა.

როცა ალეხანდრო მესამედ ეწვია იულიას, მშობლებმა ისინი მარტო დატოვეს. იულია თრთოდა. ალეხანდრო არაფერს ამბობდა. ასე გაგრძელდა ერთხანს.

— თქვენ თითქოს ავადა ხართ, იულია, — უთხრა კაცმა.

— არა, არა. მე არა მიჭირს რა; კარგად ვარ.

— მაშ რაღად თრთით?

— შესაძლოა, სიცივის გამო.

— არა, შიშისაგან.

— შიშისაგან? რისი უნდა მეშინოდეს?

— ჩემი გეშინიათ.

— თქვენი რად უნდა მეშინოდეს?

— თქვენ ჩემი გეშინიათ.

შიში ქვითინში გადავიდა. სულის სიღრმემდე შეძრწუნებული იულია გულამოსკვნილი ტიროდა, ქვითინი სულს უხუთავდა და ჰაერი აღარ ჰყოფნიდა.

— ნუთუ მე ასე საშინელი ვარ? — ჩურჩულით ჰკითხა ალეხანდროს.

— მათ მე გამყიდეს. ისინი ჩემი სილამაზით ვაჭროობენ. მათ მე გამყიდეს!

— ამას ვინ ამბობს?

— მე, მე თვითონ ვამბობ. მე თქვენი არ გავხდები,- სანამ სული მიდგას.

— შენ ჩემი იქნები, იულია, შენ ჩემი იქნები და შემიყვარებ... განა შეიძლება არ შემიყვარო მე? მე? ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა.

მახვილმა სიტყვა — „მე"-ზე ანაზდეულად შეაჩერა იულიას ცრემლთა ნაკადი. მოეჩვენა, რომ მისმა გულმა შესწყვიტა ძგერა. თვალი შეავლო კაცს, მის წინ რომ იდგა და რაღაც შინაგანი ხმა მოესმა: „აი, ეს ნამდვილი მამაკაცია".

— თქვენ შეგიძლიათ როგორც გინდათ, ისე მოიქცეთ!

— რა გინდოდა ამით გეთქვა? — ჰკითხა კაცმა, იგი კვლავ ჯიუტად განაგრძობდა შენობით ლაპარაკს.

— არ ვიცი, თვითონ არ ვიცი, რას ვამბობ...

— რატომ ამბობ, რომ შემიძლია ისე მოგექცე, როგორც ვისურვებ?

— თქვენ შეგიძლიათ...

— ერთადერთი, რაც მე მსურს, — და ეს „მე" ყლერდა ხმამაღლა, მედიდურად, — შენი ცოლად შერთვაა.

იულიას ყვირილი აღმოხდა. მისი დიდრონი, მშვენიერი თვალები განცვიფრებით მიაჩერდნენ ალეხანდროს. ალეხანდრო კი იღიმებოდა და ფიქრობდა: „მე მეუღლედ ესპანეთის ულამაზესი ქალი მეყოლება".

— შენ კი რა გეგონა, იულია?

— მე მეგონა... მე მეგონა...

ისევ გულამოსკვნილი ატირდა. უეცრად ბაგეებზე მისი ტუჩების შეხება იგრძნო და მოესმა:

— დიახ, ჩემი ცოლი, ჩემი... ჩემი კანონიერი მეუღლე. ცხადია, კანონი განამტკიცებს ჩემს ნებას... ანდა ჩემი ნება ხომ იგივე კანონია!

— მე შენი ვარ...

იულია დანებდა. ქორწინების დღე დაინიშნა.

* * *

რით აფრთხობდა და რით იზიდავდა მაინც იულიას ეს მუდამ წარბშეკრული, უხეში და გულდახშული ადამიანი? ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ალეხანდროს იულიას, მისდა უნებურად, რაღაც უცნაური გრძნობა შთაუნერგა. თითქოს ეს სიყვარული იყო. იულიას არ სურდა ყვარებოდა

ეს ავანტიურისტი, წინასწარი განზრახვით რომ ირთავდა ულამაზეს ქალს, რათა შემდეგ თავისი მილიონები მთელი ბრწყინვალებით აეელვარებინა მისი შეწევნით. დიახ, იულიას არ სურდა ალეხანდროს შეყვარება, მაგრამ გრძნობდა, ისე დიდი იყო თაყვანისცემა მის მიმართ, რომ სიყვარულს ჰგავდა. ასე ტყვე ქალს უყვარს თავისი ზვიადი დამპყრობელი. არა, ალეხანდროს არ უყიდია იულია. მან იგი დაიპყრო.

— მაგრამ მას თუ ვუყვარვარ, ნამდვილად? — შეესიტყვებოდა ხოლმე იულია თავის თავს, — ვუყვარვარ თუ არა მე? „მე", როგორც ის წარმოთქვამს ამ სიტყვას: „მე". ვუყვარვარ, თუ მხოლოდ ჩემი სილამაზით თავის მოწონება სურს? იქნება მე მისთვის მარტოოდენ იშვიათი და ძვირად ღირებული ნივთი ვარ, მის სახლს რომ შეამკობს. მართლა შეყვარებულია თუ არა? ვაითუ მალე მობეზრდეს ჩემი სილამაზე. თუმცა, როგორც არ უნდა იყოს, ის მე შემირთავს და ამ საზარელი ოჯახიდან გამიყვანს, მამისაგან გამათავისუფლებს. მამა არავითარ შემთხვევაში არ იცხოვრებს ჩვენთან. ჩვენ მას უზრუნველვყოფთ, დე, ისევ საბრალო დედაზე იყაროს ხოლმე ჯავრი და მოსამსახურე გოგოს ეკურკურეს. იმის უფლებას კი აღარ მივცემთ, რომ ისევ ვალებში ჩავარდეს. მე კი მდიდარი ვიქნები, საარაკოდ მდიდარი...

მაგრამ ამგვარ ფიქრებს ნუგეში არ მოჰქონდა ქალისათვის. მან იცოდა, რომ ქალაქში ყველას შეშურდა მისი ბედი; როგორ გაუღიმა ბედმაო, ლაპარაკობდნენ და თან ურთავდნენ, სილამაზემ იულიას ყველაფერი მისცა, რისი მიცემაც შეეძლოო. მაგრამ უყვარდა თუ არა იგი ალეხანდროს? ჭეშმარიტად თუ უყვარდა?

„მე მისი სიყვარული უნდა მოვიპოვო, — ფიქრობდა იულია, — ჩემთვის აუცილებელია მისი სიყვარული, ნამდვილი ტრფობა. არ შემიძლია მისი ცოლი ვიყო უსიყვარულოდ — ეს ყველაზე შემზარავი გარიგება იქნებოდა. მაგრამ მიყვარს თუ არა მე თვითონ იგი?" იულია გრძნობდა, რომ მოჯადოებული იყო, სულის სიღრმიდან მომავალი ხმა ეუბნებოდა: „აი, ეს ნამდვილი მამაკაცია". ყოველთვის თრთოლა აიტანდა ხოლმე, როცა ალეხანდრო სიტყვა „მე"-ს წარმოთქვამდა. იულია ცახცახებდა მისი სიყვარულით, მაგრამ თავის მღელვარებას სხვა მიზეზით ხსნიდა ყოველთვის და ველარ გაეგო, რა ემართებოდა. ან იქნებ არც იცოდა, რა გრძნობა იყო ეს სინამდვილეში.

* * *

ისინი დაქორწინდნენ და დედაქალაქში გადავიდნენ საცხოვრებლად. დიდი ქონების წყალობით ალეხანდროს უამრავი ნაცნობი და სტუმარი ჰყავდა, თუმცა მის ურთიერთობას სხვებთან რაღაც უცნაური ელფერი გადაჰკრავდა. იულიას ეჩვენებოდა, რომ იმ ადამიანების უმეტესობა, ვინც მათი ხშირი სტუმარი იყო, (მათ შორის ბევრი არისტოკრატიც ერია), მისი ქმრის მოვალეები იყვნენ. ალეხანდრო მათ დიდი პროცენტით აძლევდა სესხს.

არსებითად, იულიამ არა იცოდა რა მისი საქმეებისა და ალეხანდროც ამაზე არასოდეს ელაპარაკებოდა ქალს.

იულიას ახლა ჩიტის რძეც არ აკლდა. ყველაფერს უსრულებდნენ, რასაც კი მოისურვებდა. ერთი სადარდებელი ჰქონდა მხოლოდ, რაც მისთვის იქნებ ყველაზე მნიშვნელოვანიც იყო. იულიას სურდა სიყვარული იმ მამაკაცისა, ვინც დაიმორჩილა და მოაჯადოვა იგი, მცირე ეჭვიც კი არ უნდოდა გასჩენოდა ამ სიყვარულში. „ვუყვარვარ თუ არა?“ — კვლავ და კვლავ ეკითხებოდა იგი საკუთარ თავს, — მთელი მისი გულისყური თითქოს ჩემკენ არის მომართული და ულრმესი პატივისცემით მეპყრობა, თუმცა კი ჭირვეულ ქალად მთვლის. მანებივრებს კიდეც, მაგრამ თუ ვუყვარვარ ნეტავ?..

სხვათა შორის, ამ კაცთან სიყვარულსა და სხვა რამ გრძნობებზე ლაპარაკი წყლის ნაყვა იყო.

— მხოლოდ ბრიყვებს თუ შეუძლიათ ასეთ საგნებზე ლაპარაკი, — იტყოდა ხოლმე ალეხანდრო, „ჩემო მშვენიერო... ჩემო ძვირფასო... ჩემო სასურველო...“ იქნებ გსურს, მეც ამგვარად ავტიტინდე? მე? ეს ყველაფერი რომანებიდან არის ამოკითხული. ვიცი, იულია, რომ გიყვარდა რომანების კითხვა.

— მე ახლაც სიამოვნებით ვკითხულობ...

— იკითხე, რამდენიც გენებოს. თუ მოისურვებ, ახლავე გავცემ ბრძანებას, რომ აგერ, იმ მინდორზე, დიდი პავილიონი ააგონ. იქ ბიბლიოთეკას გავხსნი და ჭერამდე ავავსებ რომანებით, რაც კი ადამის დროიდან დღემდე დაუწერიათ.

— აჰ, რას ამბობ, ალეხანდრო!

ალეხანდრო მეტისმეტად სადად და დაუდევრად იცვამდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მისთვის ყურადღება არ მიექციათ, მას სურდა ამგვარი ქცევით მკვეთრად გაესვა ხაზი თავისი მდაბიური წარმოშობისათვის. რაკი ერთ რომელიმე ტანსაცმელს შეეგუებოდა, მისი გამოცვლა აღარ უყვარდა. როცა ახალს ჩაიცვამდა, გეგონებოდათ, ქუჩაში სიარულის დროს განგებ კედლებს ეხახუნება, რომ ტანისამოსი ნახმარს დაემსგავსოსო. სამაგიეროდ, დაჟინებით მოითხოვდა, რომ მის ცოლს რაც შეიძლება უკეთ და კოხტად ჩაეცვა, რათა ტანსაცმელს კიდევ უფრო მეტად გამოეჩინა მისი სილამაზე. ის საერთოდაც არ იყო ძუნწი, იულიას მორთვა-მოკაზმვისათვის კი ერთგვარი სიამოვნებითაც უსწორებდა ანგარიშს მკერავებს.

მას ძლიერ უყვარდა იულიასთან ერთად სეირნობა, ეამაყებოდა, რომ მისი ცოლი ასე დედოფალივით იყო მორთული და თავიც ასე მოხდენილად ეჭირა. იმითაც ირთობდა თავს, რომ გამვლელ-გამომვლელნი მონუსხულივით თვალს ვერ აშორებდნენ მის ცოლს, ქალი კი, თავის მხრივ ოდნავ კეკლუცობდა კიდეც. მაგრამ ალეხანდრო ამას ყურადღებას არ აქცევდა, ასე იყო თუ ისე, არ იმჩნევდა. ის თითქოს ეუბნებოდა ყველას, ვინც ვნებიანად შესცქეროდა იულიას: „თქვენ იგი მოგწონთ? ფრიად სასიამოვნოა, მაგრამ ის ჩემია, მხოლოდ ჩემი და შეგიძლიათ გშურდეთ რამდენიც გენებოთ“. იულია ხვდებოდა, რასაც განიცდიდა მისი ქმარი და ფიქრობდა: „ვუყვარვარ თუ არა ამ კაცს?“ ის ყოველთვის ფიქრობდა მასზე, როგორც „ამ

კაცზე", როგორც თავის პატრონზე. თანდათან მის არსებაში ჰარამხანის მონა ქალის სული იღვიძებდა. მართალია, საყვარლისა და სასურველის, მაგრამ მაინც მონის.

არავითარი სულიერი სიახლოვე არ იყო მათ შორის, იულიას ვერც კი წარმოედგინა, თუ რით სულდგმულობდა მისი ქმარი. ერთხელ, როგორც იქნა, გაბედა და ჰკითხა მისი ოჯახის ამბავი.

— ჩემი ოჯახი? — მიუგო ალეხანდრომ, — შენს გარდა მე ახლა სხვა ოჯახი არ მომეპოვება. რაც ადრე იყო —ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩემი ოჯახი მე თვითონ ვარ, მე და შენ, შენ კი მე მეკუთვნი.

— შენი მშობლები?

— ისე ჩათვალე, რომ მე ისინი არა მყოლია. ჩემი ოჯახი ჩემით იწყება. ჩემი თავი თვითონ შევქმენი.

— კიდევ მინდოდა მეკითხა რაღაც, ალეხანდრო, მაგრამ ველარ გამიბედია.

— ვერ გაგიბედია? მერე და რატომ, ხომ არ შეგჭამ, განა როდისმე გავბრაზებულვარ, როცა რაიმე გიკითხავს?

— არა, არასდროს, ამას ვერ დაგაბრალებ.

— ესღა მაკლია.

— არ შემოგჩივი, მაგრამ...

— მაშ მკითხე და დავასრულოთ ამით ბაასი.

— არა, აღარაფერს აღარ გკითხავ.

— თქვი-მეთქი, რის თქმას აპირებდი? — ისე მოწყალედ უთხრა ალეხანდრომ, რომ იულია აცახცახდა, იმ მონა ქალის მსგავსად, ვისაც უყვარს თავისი მბრძანებელი და ეშინია კიდეც მისი.

— მაშ კარგი, მითხარი... შენ ქვრივი ხარ? — ალეხანდროს სახეზე ჩრდილმა გადაურბინა, წარბები შეიკრა და ისე უპასუხა:

— დიახ, ქვრივი ვარ.

— რა იქნა შენი პირველი ცოლი?

— ალბათ რაღაც გიამბეს უკვე?

— ჰო, გამიგია, რომ...

— და დაიჯერე?

— არა, არა მჯერა.

— რა თქმა უნდა, არ დაიჯერებდი. ვისაც შენსავით ვუყვარვარ, და შენსავით მხოლოდ მე მეკუთვნის, ვერ დაიჯერებს მოროშილ ამბებს.

— ცხადია, მიყვარხარ.

იულია იმედოვნებდა, რომ ალეხანდროც გამოეპასუხებოდა მის სიტყვებს.

— ადრეც მითქვამს, არ მიყვარს-მეთქი სენტიმენტალური რომანებიდან ამოკრეფილი კოხტა ფრაზები; რაც უფრო ნაკლებ ილაპარაკებ სიყვარულზე, მით უკეთესია. გიამბეს ალბათ, რომ მექსიკაში, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, ჩემზე ბევრად უფროსი, ძალიან მდიდარი ქალი შევირთე ცოლად, ეს მილიონერი დედაბერი ვაიძულე თავისი ქონება ჩემთვის დაემტკიცებინა და მერე მოვკალი. ეს გითხრეს ხომ?

— დიახ, სწორედ ეგ.

— და დაიჯერე?

— არა-მეთქი. ანდა როგორ დავიჯერებდი, რომ საკუთარი ცოლი მოჰკალი.

— შენ გაცილებით უფრო საღად მსჯელობ, ვიდრე მეგონა. როგორ მოვკლავდი ჩემს ცოლს, ჩემს ნივთს?

ამ სიტყვებზე იულია შეკრთა და ერთიანად აძაგძაგდა. თვითონვე ვერ გაეგო, რა ემართებოდა. მას გულზე მოხვდა სიტყვა „ნივთი", რითაც ალეხანდრომ თავისი პირველი ცოლი მოიხსენია. — ეს ხომ ნამდვილი სიყეყეჩე იქნებოდა, — განაგრძობდა ალეხანდრო, — რად დამჭირდებოდა ამის გაკეთება? მემკვიდრეობის მისაღებად? მაგრამ მისი ქონება ხომ მაშინაც ჩემს განკარგულებაში იყო ისევე, როგორც ამჟამად. რისთვის უნდა მოკლას კაცმა საკუთარი ცოლი? ცოლის მოკვლა უაზრობაა.

— კი მაგრამ, ისეთი ქმრებიც ხომ არიან, თავიანთ ცოლებს რომ ჰკლავენ, — გაკადნიერდა და ჰკითხა იულიამ.

— მერედა, რისთვის?

— ეჭვიანობის გამო, ან იმიტომ, რომ ცოლმა უღალატათ.

— ოჰ, ოჰ, ოჰ! ეჭვიანობა მხოლოდ რეგვენთ თუ შეუძლიათ. რეგვენის მეტს ცოლი აბა ვის უღალატებს. მე კი... ჩემს ცოლს არ შეუძლია ჩემი მოტყუება. ჩემი მოტყუება ვერ შესძლო ყოფილმა ცოლმა, ასევე ვერ მომატყუებ შენც.

— ასე ნუ ლაპარაკობ, სჯობს სხვა რამეზე ვისაუბროთ.

— რატომ?

— გული მტკივა, როცა ამას ლაპარაკობ. შენი ღალატი როგორ იქნება, ეს სიზმარშიც არ მოხდება!

— ვიცი, უშენოდაც მშვენივრად ვიცი, რომ მუდამ ჩემი ერთგული იქნები. მე ცოლმა მიღალატოს? შეუძლებელია!.. რაც შეეხება იმას, პირველს, ის თავისმა წერამ მოჰკლა, მე არ მომიკლავს.

ეს იშვიათი შემთხვევა იყო, როცა ალეხანდრო თავის ცოლს ასე ხანგრძლივად ემასლაათებოდა.

აღელვებული და აცახცახებული იულია კვლავ საგონებელს მიეცა. ნეტა, ვუყვარვარ ამ კაცს, თუ არ ვუყვარვარ?

* * *

ბედკრული იულია! ახალი ოჯახური კერა მისთვის ისევე საშინელი იყო, როგორც მამისეული სახლი. ის თავისუფალი იყო, სავსებით თავისუფალი. შეეძლო ეცხოვრა, როგორც მოეპრიანებოდა, წასულიყო და დაბრუნებულიყო, როცა მოესურვებოდა, სტუმრად მიეღო მეგობრები, მამაკაცები და ქალები. მაგრამ უყვარდა თუ არა იგი მის ბატონს და მეუფეს? ასეთმა გაურკვევლობამ იულია იმ ტყვეს დაამსგავსა, ვინც მოოქროვილ დილეგში იტანჯებოდა, თუმცა დილეგის კარი ყურთამდე იყო ღია.

მან ორსულობა იგრძნო და ამომავალი მზის შუქი შეიჭრა მისი დამონებული სულის წყვდიადში: „ახლა კი გავიგებ, ვუყვარვარ თუ არა ნამდვი-

ლად“, ფიქრობდა იგი. როცა იულიამ ეს სასიხარულო ამბავი ქმარს აცნობა, ალეხანდრომ წამოიძახა:

— მე ამას ველოდი! მე მეყოლება მემკვიდრე და მისგან ნამდვილ მამაკაცს გამოვიყვან, ისეთს, როგორიც მე ვარ. მე ამას ველოდი.

— ბავშვი რომ არ გვყოლოდა?

— არა, ის აუცილებლად უნდა დაბადებულიყო .მე ვაჟიშვილი უნდა მყავდეს, უნდა მყავდეს აუცილებლად.

— რამდენი ოჯახია უბავშვოდ...

— სხვებისა — კი, ჩემი — არავითარ შემთხვევაში. მე ბიჭი მეყოლება.

— რატომ?

— იმიტომ, რომ შენ არ შეგიძლია არ შემძინო იგი.

ბიჭი მართლაც დაიბადა, მაგრამ მამა ისევ ისე გულჩახვეული იყო. მას მხოლოდ არ სურდა, რომ ბავშვისთვის ძუძუ დედას ეწოვებინა.

— მე ოდნავადაც არ მეეჭვება, რომ ჯანსაღი ხარ, მაგრამ დედები, ვინც თვითონ აწოვებენ შვილებს, მალე ჭკნებიან. მე კი ეს არ მსურს. მე მინდა, რომ შენ, რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნო ახალგაზრდობა.

ალეხანდრო დათმობაზე მხოლოდ მაშინ წავიდა, როცა ექიმმა დაარწმუნა, რომ იულიას არაფერი დაუშავდებოდა. პირიქით მისი სილამაზე კიდევ უფრო გაიფურჩქნებოდა.

მამას არასოდეს უკოცნია თავისი ვაჟისათვის.

— ბავშვს მხოლოდ თავს თუ შეაბეზრებ ალერს-ლამუნით, — ამბობდა იგი. ხანდახან ხელში აიყვანდა თოთოს და დიდხანს დასცქეროდა თვალმოუწყვეტლივ.

— ჩემი ოჯახის ამბავი მკითხე შენ ერთხელ, — უთხრა ალეხანდრომ ცოლს. — მაშ, მომისმინე. ახლა მე უკვე მაქვს ოჯახი და მყავს მემკვიდრე, ჩემს საქმეს რომ გააგრძელებს.

იულიას უნდოდა ეკითხა, რა არის ეგ შენი საქმეო, მაგრამ ვერ გაბედა. „ჩემი საქმე!“ რა საქმე უნდა ჰქონდეს ნეტავ ამ ადამიანს? სხვათაშორის, ალეხანდრო მეორედ ლაპარაკობდა ამგვარად.

მათი სახლის ხშირ სტუმართა შორის იყო ვინმე გრაფი ბორდავიელა და მისი მეუღლე. გრაფი უმეტესად მარტო მოდიოდა. მას რაღაც საქმეები ჰქონდა ალეხანდროსთან, ვისგანაც საკმაოდ დიდი თანხა ესესხნა ვახშით. იულიას ძლიერ უყვარდა ჭადრაკი; გრაფი ხშირად ეთამაშებოდა მას და თავის ერთგულ მეგობარს, თავისი მევალის ცოლს გულახდილად შესჩიოდა საკუთარ ოჯახურ უბედურებას. გრაფის სახლი ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. გრაფი და მისი მეუღლე ერთმანეთს ვერ შეჰგუებოდნენ, ყოველი მათგანი თავისი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობდა. გრაფის მეუღლე ბევრ საბაბს აძლევდა ბოროტ ენებს სალაპარაკოდ. მთელი ქალაქი თავს იქცევდა იმაზე ჭორაობით, თუ ვინ იქნებოდა გრაფ ბორდავიელას მორიგი თანაშემწე. უბედური გრაფი კი მშვენიერ იულიასთან დადიოდა ჭადრაკის სათამაშოდ და სხვისი ჭირის გასაზიარებლად.

— დღესაც გეწვია ის შენი გრაფი?

ეკითხებოდა ცოლს ალეხანდრო.

— ის გრაფი... ის ჩემი გრაფი... რომელი გრაფი?

— შენ იცი, ვიზედაც გეკითხები. ისე კი, სულ ერთია, გრაფი ერქმევა მას, მარკიზი, თუ ჰერცოგი. ჩემთვის ყველა ისინი ერთნაირები არიან.

— იყო, რა თქმა უნდა, იყო.

— თუკი შენ გართობს, დაე, იაროს. მაინც სხვა არაფრისთვის გამოდგება ეს ბრიყვი.

— ჩემი აზრით კი იგი ჭკვიანი, განათლებული, კარგად აღზრდილი და ძალზე სანდომიანი ადამიანია.

— ჰო, რომანებს კითხულობს. ბოლოს და ბოლოს თუ კი ამით შენ თავს შეიქცევ...

— ძალიან უბედურია.

— ჰო, მაგრამ თვითონვეა დამნაშავე.

— რატომ?

— იმიტომ რომ ბრიყვია და ყბედი. ახია მაგაზე, რაც შეემთხვა. განა საკითხავია, რატომ ატყუებს ამ ყეყეჩს ცოლი? ეგ ხომ მამაკაცი არ არის? მიკვირს, სად მოიძებნა ისეთი ქალი, ვინც იგი ინდომა. თუმცა ქალი მას არც გაჰყოლია, ცოლი ითხოვა მისმა ტიტულმა. ერთი გაებედნა რომელიმე ქალს და იმგვარად მომქცეოდა, როგორც ამ საწყალს საკუთარი ცოლი ეპყრობა.

იულიამ დაკვირვებით შეხედა ქმარს და შემდეგ თავისდაუნებურად თქვა:

— რა იქნებოდა, მე რომ ასევე მოვქცეულიყავ? იგივე რომ ჩამედინა, რასაც გრაფის ცოლი სჩადის?

— სისულელეა, — თქვა ალეხანდრომ და გაიცინა, — შენ გსურს წიგნებიდან ნასესხები მარილი მოაყარო ჩვენს ცხოვრებას, მაგრამ ცდები, თუ ფიქრობ, რომ შენზე ვიეჭვიანებ. მე ამგვარი კაცი როდი ვარ. ასეთი ეშმაკობა ჩემთან არ გაგივა. ეგ საკენკი შეგიძლია იმ ღვთის გლახას დაუყარო.

„ნუთუ ამ კაცისთვის მართლა უცნობია ეჭვიანობის გრძნობა?—ეკითხებოდა თავის თავს იულია, — ნუთუ მას ოდნავადაც არ ხვდება გულზე გრაფის ხშირი სტუმრობა და არც ის, რომ იგი თავს მევლება? მას ასე სჯერა ჩემი ერთგულებისა და სიყვარულისა? თუ დარწმუნებულია, რომ მის ღალატს ვერ გავბედავ? იქნებ ეს გულგრილობაა? ნეტავ ვუყვარვარ თუ არა?

და იულია სასოწარკვეთას ეძლეოდა. მისი ბატონი და მბრძანებელი გულს უსერავდა შეუბრალებლად.

საბრალო ქალმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ქმარი ეჭვში ჩაეგდო, რადგან ეს სიყვარულის აუცილებელ პირობად მიაჩნდა.

მაგრამ ყველაფერი ამაო იყო.

— გრაფთან ხომ არ წამოხვალ, ალეხანდრო?

— რისთვის?

— ჩაიზე ვესტუმროთ.

— მე ჯერ მუცელი არ მტკივა. ძველად ჩვენს სახლში ამ მღვრიე წყალს მუცლის გვრემის დროს მიირთმევდნენ. ღმერთმა შეგარგოს! ანუგეშე საბრალო გრაფი. მის მეუღლეს ხომ მორიგი საყვარელი ეყოლება სტუმრად. დიდებული საზოგადოება შეიკრიბება. კარგად კი გაერთობი.

* * *

გრაფი ამასობაში იულიას მონადირებას განაგრძობდა. თავს ისე აჩვენებდა, თითქოს მეტისმეტად სტანჯავდა ოჯახში ჩამოვარდნილი უთანხმოება. ამით იმედოვნებდა თავისი მოსაუბრის თანაგრძნობა გამოეწვია, თანაგრძნობიდან სიყვარულამდე კი არც ისე დიდი მანძილია. ხანდახან თვით იულიას პირად ცხოვრებაზე ჩამოაგდებდა სიტყვას, აქაოდა, ზოგ-ზოგი რამ მეც ვიცი, რაც თქვენს ოჯახში ხდებაო.

— ასეა, იულია, ჩემი სახლი ნამდვილი ჯოჯოხეთია, რაც მართალია, მართალია! ეჰ, ნეტავ ადრე გაგვეცნო ერთმანეთი! ვიდრე მე უღელს დავიდგამდი და ვიდრე თქვენ...

— და მეც უღელში შევებმებოდი, არა?

— არა, არა, მე სულ სხვა რამ მინდოდა მეთქვა.

— მაინც რის თქმას აპირებდით, გრაფო?

— შევხვედროდით-მეთქი ერთმანეთს, სანამ თქვენ იმ კაცს, თქვენს მეუღლეს დანებდებოდით.

— იქნება ფიქრობთ, რომ მაშინ მე თქვენი კუთვნილება გავხდებოდი?

— რა თქმა უნდა, უეჭველად...

— რა თავდაჯერებულები ხართ მამაკაცები!

— თავდაჯერებულები?

— დიახ. თქვენ გგონიათ დიდებული ვინმე ბრძანდებით?

— სულაც არა.

— მაშ, რა?

— თქვით, რაც გენებოთ. მე კი არა, ჩემი სიყვარული იქნებოდა დიდებული და განუმეორებელი.

— ეს ხომ სიყვარულის ახსნაა, გრაფო. თქვენ გავიწყდებათ, რომ მე გათხოვილი ქალი ვარ და მიყვარს ჩემი მეუღლე.

— კი მაგრამ...

— თქვენ ბედავთ კიდეც დაეჭვებას? მე მართლა მიყვარს ჩემი მეუღლე და არც ვმალავ ამას.

— მერე იმას? იმას უყვარხართ?

— ეს რაღას ნიშნავს? აბა ვინ გითხრათ, რომ ჩემს მეუღლეს მე არ ვუყვარვარ?

— თქვენ თვითონ.

— მე? როდის შემოგჩივლეთ, ალეხანდროს არ ვუყვარვარ-მეთქი? როდის?

— მე ეს თქვენმა თვალებმა მითხრეს, თქვენმა ქცევამ, მთელმა თქვენმა არსებამ.

— ისე გამოდის, რომ მე თვითონ შეგაყვარეთ თავი!.. ბატონო გრაფო, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ დღეს უკანასკნელად ბრძანდებით ჩემს ოჯახში!

— ღვთის გულისათვის, იულია!

— მე ვთქვი, უკანასკნელად-მეთქი!

— ღვთის გულისათვის, ნება მომეცით გნახოთ ხოლმე, მდუმარედ

გიმზიროთ და თქვენის ცქერით შევიშრო გულის სიღრმიდან მომდინარე ცრემლები...

— რა ლამაზად არის ნათქვამი!

— ის კი, რაც წელან გითხარით და ასე შეურაცხმყოფელად მოგეჩვენათ...

— მე არაფერი მომჩვენებია. თქვენ შეურაცხყოფა მომაყენეთ.

— ნუთუ მე ძალმიძს თქვენ შეურაცხგყოთ! მე მხოლოდ ერთი რამ გითხარით: ჩვენ რომ ერთმანეთი გვცნობოდა ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე მე ჩემს ცოლს შევეყრებოდი, თქვენ კი თქვენს ქმარს გაჰყვებოდით, მე ისევე შმაგად მეყვარებოდით, როგორც ახლა მიყვარხართ. ნება მიბოძეთ ჩემი გული გადაგიშალოთ... მაშინაც ასე გაგიჟებით მეყვარებოდით და ჩემი სიყვარული შესძლებდა თქვენს გულში საპასუხო გრძნობის გაღვიძებას, არა სიმამაცე, არა ქველმოქმედება, არამედ ჩემი სიყვარული. მე არ ვეკუთვნი, იულია, იმ კაცთა წყებას, მუდამ რომ მოითხოვენ სიყვარულს თქვენგან, თვითონ კი თავს არ იწუხებენ თქვენი ტრფობით. ჩემთვის, საწყალი, გაღარიბებული აზნაურისთვის, უცხოა ამგვარი ამპარტავნობა.

იულიას გულში ნელა, წვეთწვეთობით იღვენთებოდა შხამი.

— დიახ, ასეთ ადამიანებსაც შეხვდები, — განაგრძობდა გრაფი, — თვითონ არ ძალუძთ სიყვარული, სხვებისგან კი მოითხოვენ. ჰგონიათ, რომ უფლება აქვთ ისარგებლონ საბრალო ქალის უანგარო ტრფობით და ერთგულებით. ისინი ცოლად სილამაზით სახელგანთქმულ ასულებს ირთავენ, რათა შემდეგ იბაქიბუქონ, გვერდით გაიყოლონ ცოლი კარგად გაწვრთნილი ძუ ლომის მსგავსად. „აი, შეხედეთ ამ ჩემს ძუ ლომსა, — ამბობენ გულში, — რა მორჩილია, რა თვინიერი“. იქნებ სწორედ ამიტომაც უყვართ ეს ძუ ლომი?!

— გრაფო... გრაფო... თქვენ დაუკრეფავში გადადიხართ...

გრაფი დე ბორდავიელა კიდევ უფრო ახლოს მივიდა, თითქმის ეხებოდა იულიას ყურს თავისი ტუჩებით.

— მე შენი გრძნობების სფეროში გადავდივარ, იულია!

ამ „შენის“ გაგონებაზე პაწაწინა ყურს ალმური მოედო. ქალს მკერდი ისე ულელავდა, როგორც ზღვის ტალღები ღელავენ ქარიშხალში.

— წადით, ღვთის გულისათვის, წადით! ის რომ მოვიდეს, რა გვეშველება?

— იგი არ მოვა. მას შენ არ ედარდები. მას რომ უყვარდე, განა ასე მარტოდმარტო მიგვატოვებდა? არა, მას არ უყვარხარ. არ უყვარხარ, იულია, არ უყვარხარ!

— არა, იგი მე უსაზღვროდ მენდობა...

— შენ კი არ გენდობა, საკუთარი თავისა სჯერა. ჰგონია, რომ მას, ალეხანდრო გომესს, ვინც ამხელა სიმდიდრე მოიხვეჭა, ვერც ერთი ქალი ვერ ულალატებს. მე მას ვეზიზღები, კარგად ვიცი.

— მართალია, თქვენ მას სძულხართ.

— ეგ ვიცი-მეთქი, მაგრამ შენც ისევე სძულხარ, როგორც მე.

— იყუჩეთ, გრაფო, ღვთის გულისათვის, ასეთი სიტყვებით ბოლოს მომიღებთ.

— ბოლოს ის მოგიღებს, ის, შენი ქმარი! და შენ პირველი როდი იქნები.

— ცილისწამებაა ეგ, გრაფო! ალეხანდროს თავისი ცოლი არ მოუკლავს. ახლავე წადით და ნულარასოდეს შემოდგამთ ფეხს ამ ოჯახში.

— მივდივარ, ოღონდ კვლავ დავბრუნდები. თვითონვე დამიძახებ.

გრაფი გავიდა და იულიას სულში საშინელი ჭრილობა დაუტოვა.

— იქნება იგი მართალია, — ფიქრობდა ქალი, — იქნებ მართლაც ასეა? მან მე თვალები ამიხილა და დამანახვა ის, რაც საკუთარ თავსაც ვერ გავუმხილე. ნუთუ ვძულვარ ალეხანდროს? ნუთუ მართლა არ ვუყვარვარ?

* * *

იულიას და გრაფის ურთიერთობა მალე სალაპარაკოდ იქცა. ალეხანდროს არაფერი ესმოდა, ან იქნებ თავს იჭერდა ისე, თითქოს არაფერი გაუგონიათ. მან უმალვე შეაწყვეტინა ლაპარაკი ერთ-ერთ მეგობარს, ვისაც სურდა გადაეცა ალეხანდროსთვის ყურმოკრული ზოგი ამბავი.

— წინდაწინ ვიცი ყველაფერი, რის თქმასაც აპირებთ, მაგრამ ნუ გაირჯებით, — უთხრა მან, — მოცლილი ხალხის ოინებია. მე მეუბნებით მაგას? რა დაშავდება, თუ რომანტიულად განწყობილი ქალბატონი ასეთი საშუალებით მიიპყრობს ხალხის ყურადღებას?

ნუთუ ალეხანდრო მხდალი იყო?

მაგრამ, ერთ საღამოს სამორინეში ვიღაცამ მისი თანდასწრებით ქარაგმულად იოხუნჯა რქიან მამაკაცებზე. ალეხანდრო ბოთლსა სწვდა და შიგ შუბლში ხეთქა თავხედ ხუმარას. ერთი ალიაქოთი ატყდა.

— მე? მე მიბედავენ ამგვარ მასხრობას, — ამბობდა იგი სრულიად აულელვებლად, — თითქოს და არაფერი მესმოდეს! თითქოს მართლა არა ვიცოდე რა იმ ბრიყვულ ჭორებზე, ჩემი საბრალო ცოლის რომანტიული ყინიანობის გამო რომ თხზავენ ყეყეჩი უსაქმურები. ამ მითქმა-მოთქმას, თუ კაცი ვარ, ბოლოს მოვუღებ.

— მაგ გზით ვერ მოუღებთ ბოლოს, დონ ალეხანდრო. — გაბედა ერთმა დამსწრეთაგანმა.

— მაშ რომელი გზით, ერთი მიბრძანეთ.

— ძირშივე უნდა მოკვეთოთ თვით მიზეზი მაგგვარი ხმებისა.

— ოჰო, თქვენ გინდათ, რომ მე გრაფი შინ აღარ შემოვუშვა?

— ეგ უკეთესი იქნებოდა.

— ამით მე მხოლოდ დავამტკიცებდი, რომ ჭორებს მართლაც აქვთ საფუძველი. ეგეც არ იყოს, მე მტარვალი არ გახლავართ. გრაფი, მართალია, ბრიყვია და ყეყეჩი, მაგრამ თუკი ეს უწყინარი და უმაქნისი ტაკიმასხარა ცოტათი მაინც ართობს ჩემს საბრალო ცოლს, რად წავართვა იულიას თავის შესაქცევი თოჯინა? მხოლოდ იმისთვის, რომ მოცლილი მოქალაქენი რაღაცას როშავენ? მაგრამ, სჯობს ბოროტად ნურვინ გამოიყენებს ჩემს მოთმინებას. თქვენ ჯერ კიდევ კარგად ვერ მიცნობთ!

— კეთილი, მაგრამ, დონ ალეხანდრო, გარეგნულად მართლაც...

— გარეგნულად რას მიქვია, ჩემთვის სინამდვილეა მთავარი.

მეორე დღეს ორი დარბაისელი კაცი ესტუმრა ალეხანდროს და შეურაცხყოფილის სახელით ბოდიშის მოხდა მოსთხოვეს.

— გადაეცით, — თქვა ალეხანდრომ, — გამომიგზავნოს ანგარიში ექიმის ან ქირურგისა, ვინც მას ახლა მკურნალობს და მე გადავიხდი. ამის გარდა, გავისტუმრებ ყველა სხვა ხარჯსაც, რაც ამ შემთხვევამ გამოიწვია.

— კეთილი, მაგრამ, დონ ალეხანდრო...

— სხვა რაღა გნებავთ?

— ჩვენ არაფერი, მაგრამ დაზარალებული მოითხოვს დააკმაყოფილოთ... აღადგინოთ მისი ღირსება, მოუხადოთ ბოდიში, ანდა...

— მე თქვენი არა გამეგება რა.

— თუ არა და... დუელში გიწვევთ.

— ჩინებულია. როცა ენებოს. მხოლოდ თქვენ ამისათვის ნუ შეწუხდებით, ჩვენ მოწმეები არ დაგვჭირდება. გადაეცით დაზარალებულს, შემატყობინოს როცა თავი მოუშუშდება, მინდოდა მეთქვა — ჭრილობა, ბოთლით მიყენებული. ჩვენ წავალთ სადმე, სადაც თვითონ იგი ისურვებს და მარტონი მუშტი-კრივით ბოლოს მოვუღებთ გაუგებრობას. სხვა იარაღს მე არ ვცნობ. მაშინ გაიგებს, თუ ვინ არის ალეხანდრო გომესი.

— დონ ალეხანდრო, თქვენ დაგვცინით! — წამოიძახა ერთ-ერთმა სეკუნდანტმა.

— სულაც არა. ჩვენ სულ სხვადასხვა წრის ხალხი ვართ. თქვენ სახელგანთქმული მამების მოდგმისა ხართ, დიდგვაროვან ოჯახებში დაბადებულხართ, მე კი მშობლებიც არ მყოლია და ჩემი ოჯახი მარტოოდენ ჩემი წყალობით არის ცნობილი. მე დაბალ ფენებს ვეკუთვნი და მოსმენაც არ მსურს პატიოსნების კოდექსიდან ამოკრეფილი აბდაუბდისა. თქვენ ყველაფერი იცით უკვე.

სეკუნდანტები ფეხზე წამოდგნენ. ერთმა მათგანმა საზეიმო იერით და საკმაოდ ენერგიულად, მაგრამ მაინც ერთგვარი რიდით დიდად გავლენიანი მილიონერის წინაშე განაცხადა:

— ასეთ შემთხვევაში, სენიორ დონ ალეხანდრო გომეს, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ...

— თქვით ყველაფერი, რაც გენებოთ, ოღონდ რაც ენაზე მოგადგებათ, განურჩევლად ყველაფერს ნუ იტყვით, რადგან ისევ ბოთლი მიჭირავს ხელში.

— ასეთ შემთხვევაში,—და სტუმარმა ხმა აიმაღლა,—ასეთ შემთხვევაში, სენიორ დონ ალეხანდრო გომეს, თქვენ კაბალერო არა ყოფილხართ.

— ცხადია. არა, რა თქმა უნდა, კაბალერო არა ვარ. აბა რა მიგავს კაბალეროს?.. როდის აქეთ? საიდან? არა, ჭირიმე, მხედართა მოდგმის არ გახლავართ. უფრო მეხრე ვარ, ვიდრე მხედარი ან კაბალერო. ვირზეც კი არ ვმჯდარვარ, როცა საჭმელი უნდა მიმეტანა იმ კაცისთვის, ვისზედაც მეუბნებოდნენ, მამად გეკუთვნისო. სულ ფეხით, დიახ, ფეხით დავჩლახუნებდი. რის მხედარი, რომელი კაბალერო!.. განა კაბალერო ასეთია? განა მე კაბალეროს ვგავარ? როგორ გეკადრებათ!.. რასა ბრძანებთ!..

— ამგვარად, — თქვა მეორე სეკუნდანტმა, — აქ აღარაფერი გვესაქმე-

ბა. თქვენ კი, დონ ალეხანდრო, სულ მალე იხილავთ თქვენი ულირსი საქციელის შედეგს.

— გასაგებია, როგორმე გადავიტან. რაც შეეხება იმას... იმ ენაგრძელ კაბალეროს, ვისაც მე თავი გავუტეხე, გიმეორებთ, გადაეცით, გამომიგზავნოს ექიმის ანგარიში და მომავალში ენას კბილი დააჭიროს. ხოლო თუ თქვენ როდისმე დაგჭირდეთ გაუთლელი და ხეპრე მილიონერი, ვისაც არაფერი გაეგება კაბალეროს ღირსებისა, შეგიძლიათ მე მომმართოთ. მზად ვარ გემსახუროთ.

— ეს უკვე მეტისმეტია! წავიდეთ.

სეკუნდანტები წავიდნენ.

* * *

იმავ საღამოს ალეხანდრომ თავის ცოლს უამბო ბოთლის ამბავი და ისიც, თუ რა საუბარი ჰქონდა სეკუნდანტებთან. მას თვითონ ყოველივე ეს სასეიროდ ეჩვენებოდა, იულია კი შეძრწუნებული უსმენდა ქმარს.

— განა მე კაბალერო ვარ? მე, ალეხანდრო გომესი? მე მხოლოდ ადამიანი ვარ, მაგრამ ნამდვილი ადამიანი, თანაც ნამდვილი მამაკაცი.

— მე ვიღა ვარ? — იკითხა ცოლმა უფრო იმისთვის, რომ რამე ეთქვა.

— შენ? შენ ნამდვილი ქალი ხარ. ქალი, ვინც კითხულობს რომანებს. ის კი, ის ჭადრაკის გრაფუკა არარაობაა, სრული არარაობა. რატომ უნდა აგიკრძალო მასთან თავის შექცევა? შენ ხომ ასევე გაერთობოდი პატარა გოშია ძაღლით? რომ გეყიდა ლამაზი ფინია, ანგორული კატა ან კიდევ მაიმუნი, დაგეწყო მისთვის ალერსი და კოცნა, ნუთუ მე მაშინ ფანჯრიდან უნდა გადამეგდო საბრალო ძაღლი, კატა ან მაიმუნი? განა ეს სიბრიყვე არ იქნებოდა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ იგი ქუჩაში ვინმე გამვლელს თავზე დაეცემოდა? ასეა გრაფუკაც. იგი არაფრით განსხვავდება არც ლეკვის, არც კნუტისა და არც მაიმუნისაგან. რამდენიც გსურდეს, ეთამაშე მას.

— კი მაგრამ, ალეხანდრო, მათ საფუძველი აქვთ, როცა ლაპარაკობენ. იმ კაცს დღეიდან ჩვენთან მოსვლის ნებას ნუ მისცემ.

— იმ კაცს?

— რაღა თქმა უნდა. აუკრძალე გრაფს ჩვენთან მოსვლა.

— ეს უკვე ჩემი საქმე არ არის. რაკი თვითონ არ უკრძალავ, აშკარაა, რომ მან ვერ შესძლო შენი გულის მონადირება. შენ რომ ნამდვილად გიტაცებდეს ის კაცუნა, მაშინ თვითონვე მიუთითებდი კარისაკენ, რათა ხიფათს არ შეყროდი.

— და თუ მე მართლა გატაცებული ვარ?

— კარგი, გეყოფა. ისევ გინდა, ეჭვიანობა დამაწყებინო?! როდის გაიგებ, რომ მე სხვების მსგავსი არა ვარ?

* * *

ყოველი ასეთი საუბრის შემდეგ იულიას სულ უფრო და უფრო ნაკლებად ესმოდა ქმრის საქციელი. იმავე დროს, ალეხანდრო სულ უფრო მეტად იმორჩილებდა ქალს, იულიას დღითიდღე უძლიერდებოდა სურვილი, გაეგო — უყვარდა თუ არა იგი ქმარს. ალეხანდროს სჯეროდა, რომ დაზღვე-

ული იყო ცოლის ღალატისაგან. მას სრულიად წარმოუდგენლად ეჩვენებოდა, რომ მის ცოლს, მის საკუთარ ცოლს შეეძლო მოეტყუებინა იგი, ნამდვილი ადამიანი და მამაკაცი, მაგრამ ცოლის მდგომარეობამ მაინც შეაფიქრიანა. „საბრალო ქალი, დედაქალაქის ცხოვრებამ და რომანების კითხვამ „ნერვები დაუსუსტესო". და ალეხანდრომ გადაწყვიტა სოფელში წაეყვანა იულია, თავის ერთ-ერთ მამულში.

— შენთვის სასარგებლო იქნება ერთხანს სოფელში დარჩენა, — ეუბნებოდა იგი ცოლს, — ეს ნერვებს დაგიმშვიდებს. სხვათაშორის, თუ შიშობ, რომ იქ შენი ფისუნიას გარეშე ვერ გაერთობი, მოიწვიე გრაფი და ისიც ჩვენთან ერთად წამოვიდეს. ხომ იცი, რომ მე არ ვეჭვიანობ, მე მჯერა შენი, მჯერა ჩემი ცოლისა.

სოფლად საბრალო იულია კიდევ უფრო მეტ სულიერ სატანჯველს მიეცა. მან საშინლად მოიწყინა, — ქმარმა კითხვა აუკრძალა.

— სოფელში იმისთვის წამოგიყვანე, რომ წიგნების კითხვას გადასჩვეოდი და დამშვიდებულიყავ, რათა უარესს არ გადაყროდი.

— დავმშვიდებულიყავ?

— რა თქმა უნდა, ყველაფერი ხომ გადაღლილობამ გამოიწვია. ყველაფერი წიგნების ბრალია.

— დღეის შემდეგ ერთ სტრიქონსაც ვერ წავიკითხავ?

— მე ეს არ მითქვამს... მე საერთოდ არაფერს არ მოვითხოვ შენგან. განა მე ტირანი ვარ? განა როდისმე მომითხოვია შენგან რაიმე?

— არა, შენ არც ის მოგითხოვია, რომ მყვარებოდი.

— რაღა თქმა უნდა, ასეთ რამეს არც მოვითხოვდი. თუმცა, მე ვიცი, რომ გიყვარვარ და არ შეგიძლია სხვა ვინმე შეიყვარო... მას შემდეგ, რაც მე გამიცანი და ჩემი წყალობით გაიგე, თუ რას ნიშნავს ნამდვილი მამაკაცი, შენ სხვა ვინმეს ვერც შეიყვარებ, ძალიანაც რომ მოინდომო. ახლა კი კმარა წიგნებზე ლაპარაკი. ხომ მითქვამს შენთვის, რომ რომანები მე არაფრად მეპიტნავება. ეს სულ ტყუილი ამბებია და მხოლოდ გრაფუჭებთან სამასლაათოდ თუ გამოდგება ჩაის სმისას.

საბრალო იულიას დარდი კიდევ უფრო გაუძლიერდა, როცა გაიგო, რომ მისმა ქმარმა უმსგავსი სამიჯნურო კავშირი გააბა სრულიად ულამაზო მოსამსახურე გოგოსთან.

ერთ საღამოს ნავახშმევს, როცა ცოლ-ქმარი მარტო დარჩა, იულიამ მოულოდნელად თქვა:

— ნუ იფიქრებ, ალეხანდრო, არ ვიცოდე, ტერეზასთან რომ დაძვრები.

— არც განმიზრახავს ამის დამალვა, ეს ხომ არაფერს ნიშნავს. ყოველდღე თაფლის ჭამა კაცს მობეზრდება.

— მაგით რის თქმა გინდა?

— იმისი, რომ მეტისმეტად მშვენიერი ხარ ყოველი დღისთვის.

იულია აცახცახდა. ქმარმა მას პირველად უწოდა „მშვენიერი". ნუთუ ნამდვილად უყვარდა?

— რამ მოგაწონა ის ტურტლიანი? — შენიშნა იულიამ, რაკი სხვა სათქმელი ვერაფერი მოიფიქრა.

— მერედა, რაა აქ გასაკვირი? მისი ტურტლი მომწონს კიდეც. ნუ

გავიწყდება, მე ნაგავსა და ნაკელში გავიზარდე და კარგად მესმის, თუ რას ნიშნავს ის, რასაც ერთმა ჩემმა მეგობარმა უწოდა „ატეხილი ვნება ლაფისა“. ამგვარი სოფლური მოსაკითხის შემდეგ მე უფრო კარგად დავაფასებ შენს სილამაზეს, სისპეტაკესა და სინატიფეს.

—ველარ გამიგია, შეურაცხყოფას მაყენებ თუ ქათინაურებს მეუბნები?

— ისევ გიმტყუნა ნერვებმა. მე კი მეგონა გამოკეთების გზაზე იდექი.

— თქვენ, მამაკაცები, ყველაფრის უფლებას აძლევთ თავს. შეგიძლიათ ქინი დაიცხროთ, მოგვატყუოთ, გვიღალატოთ.

— ვინ გიღალატა? შენ ღალატს უწოდებ ამას? არა, აქ დამნაშავე წიგნებია. ტერეზა ხომ ჩემთვის არაფერს წარმოადგენს?

— რაღა თქმა უნდა, იგი შენთვის მხოლოდ ფინიაა ანდა კატა, ან მაიმუნი.

— მაიმუნი! აი, სწორედ ეგ! მაიმუნი — სხვა არაფერი. ყველაზე მეტად ეგ სახელი შეეფერება. კარგად შეურჩიე. მაგრამ განა ამის გამო მე შენი ქმარი აღარა ვარ?

— შენ იმის თქმა გინდა, რომ მიუხედავად ამისა, მე კვლავ შენი ცოლი ვარ...

— როგორც გატყობ, შენ დიდ წარმატებებს აღწევ.

— რას არ ისწავლის ადამიანი.

— იგულისხმება, ჩემგან და არა იმ ფისუნიასაგან.

— ცხადია, შენგან.

— რას ვიფიქრებდი, რომ ეს სოფლური თავგადასავალი შენ ეჭვს აღგიძრავდა? ნუთუ შენ, ჩემს ცოლს შეგიძლია იმ მაიმუნზე იეჭვიანო? მზითევს მივცემ და მადლობელიც დარჩება.

— რაღა თქმა უნდა, ფულს ყველაფერი შეუძლია...

— ამ მზითევით იგი ხელად გათხოვდება და ქმარს მზითევთან ერთად ბავშვსაც მიუყვანს. ხოლო თუ ბავშვი მამას დაემსგავსება და ნამდვილი მამაკაცი გამოვა, საქმრო ორმაგ ხეირს ნახავს.

— გაჩუმდი, გაჩუმდი, გაჩუმდი!

საბრალო იულიამ ქვითინი ვერ შეიკავა.

— ვშიშობ,—დაასკვნა ალეხანდრომ,—რომ სოფელმა ვერ განგკურნა. ფრთხილად იყავი, უარესი არაფერი დაგემართოს.

ორი დღის შემდეგ ისინი ქალაქს დაბრუნდნენ.

* * *

იულია თავის სადარდებელს დაუბრუნდა, გრაფმა ბორდავიელამ კი სტუმრობა განაახლა, თუმცა ახლა მეტ სიფრთხილეს იჩენდა.

სულიერი წონასწორობიდან გამოყვანილი იულია ამჯერად უკვე მეტი გულისყურით ეკიდებოდა მეგობრის ბოროტეულ ჩურჩულს და თავიც მოჰქონდა გრაფის მეგობრობით ქმრის წინაშე. ალეხანდრო იმით კმაყოფილდებოდა, რომ დროდადრო იტყოდა ხოლმე: „კარგი იყო ისევ სოფელში დავბრუნებულიყავით სამკურნალოდ“.

ერთხელ, გაცხარებულ გულზე, იულია ყვირილით მივარდა ქმარს:

— შენ მამაკაცი არა ხარ, ალეხანდრო, არა, შენ ნამდვილი მამაკაცი არა ხარ!

— რაო? მე? რატომ?

— არა, შენ მამაკაცი არა ხარ!

— ამიხსენი, რატომ.

— ახლა ვიცი, რომ არ გიყვარვარ, რომ არაფერს წარმოვადგენ შენთვის. ისიც კი არაფერს ნიშნავს, რომ შენი ვაჟის დედა ვარ. ცოლად შემირთე მხოლოდ პატივმოყვარეობის გამო, რათა გყოლოდი საჩვენებლად და გეტრაბახა ჩემი მშვენებით, რათა...

— ისევ და ისევ რომანები. მაინც რად არა ვარ მამაკაცი?

— ვიცი, რომ არ გიყვარვარ.

— ასჯერ მაინც მითქვამს, რომ საუბარი იმაზე, თუ ვის უყვარს და ვის არ უყვარს, ზედგამოჭრილია გრაფთან სასაუბროდ, როცა ჩაის სმით იქცევ თავს.

— მე ვიცი, რომ არ გიყვარვარ!

— რატომ გგონია?

— იმიტომ, რომ ნებას აძლევ გრაფს, იმ ჩემს ფისუნიას, როგორც შენ უწოდებ, როცა მოესურვება მაშინ მოვიდეს ჩემთან...

— მე კი არა, შენ აძლევ ნებას.

— მე რატომ არ უნდა მივცე ნება, იგი ხომ ჩემი საყვარელია! ჩემი საყვარელი — გესმის? ეს ფისუნია ჩემი საყვარელია.

ალეხანდრო აუღელვებლად შეჰყურებდა თავის ცოლს. ქალი ქმრის ანაზდეულ აფეთქებას მოელოდა, ეგონა, აი ახლა გამძვინვარდებაო, და რაკი ეს არ მოხდა, კიდევ უფრო მეტად აენთო.

— რაღას უცდი? — დაუყვირა იულიამ, — რატომ არ მომკლავ, როგორც მოჰკალი ის, შენი პირველი ცოლი?

— ეს ტყუილია, მე არ მომიკლავს ჩემი პირველი ცოლი. ეს ისეთივე სიცრუეა, როგორც ის, რომ გრაფი შენი საყვარელია... შენ სტყუი, რათა მაიძულო ვიეჭვიანო. შენ გსურს ოტელოდ მაქციო, მაგრამ ჩემი სახლი თეატრი როდია. თუ ამგვარი ამბები კვლავ გაგრძელდება, მალე ყველაფერს ბოლო მოეღება, რადგან შენ ჭკუაზე შეიშლები და იძულებული ვიქნები ჩაგკეტო სადმე.

— მე შევიშლები? ჭკუაზე შევიშლები?

— დიახ, ეს უსათუოდ ასე მოხდება. ნუთუ მე შემიძლია იმის დაჯერება, რომ ჩემს ცოლს საყვარელი ჰყავს! ნუთუ ჩემს ცოლს სურს მაიძულოს, რომ ამგვარი რამ დავიჯეროო? ალეხანდრო გომესი ფისუნია არ გეგონოს, ის ნამდვილი მამაკაცია. მერწმუნე, შენ ვერ მიაღწევ იმას, რომ მე საალერსო სიტყვებით გამშვიდებდე, როგორც ეს რომანებში ხდება, ან ჩაის სმის დროს გრაფის ოჯახში; ჩემი სახლი თეატრი არ გეგონოს.

— მხდალი ხარ! მხდალი! — თითქმის გონდაკარგული ყვიროდა იულია, — მხდალი!

— უნდა ვიღონო რამე! — თქვა ქმარმა და გავიდა.

* * *

ორი დღე ალეხანდროს დამწყვდეული ჰყავდა თავისი ცოლი, შემდეგ კი კაბინეტში მოიხმო. საბრალო იულია თავზარდაცემული შევიდა ქმრის ოთახში. იქ ალეხანდროს გარდა იმყოფებოდა გრაფი დე ბორდავიელა და აგრეთვე ორი უცნობი კაცი.

— მისმინე, იულია, — მიმართა მას ალეხანდრომ შემაძრწუნებელი სიმშვიდით. — ეს ბატონები ექიმი-ფსიქიატრები არიან. ისინი ჩემი თხოვნით მოვიდნენ, რათა გიმკურნალონ და გამოგაჯანსაღონ. შენი ფსიქიკა რიგზე ვერ არის. ამას თავადვე უნდა ატყობდე, როცა თავს უკეთ გრძნობ.

— შენ რაღას აკეთებ აქ, ხუან? — შეეკითხა იულია გრაფს ისე, რომ ქმრისთვის ოდნავი ყურადღებაც არ მიუქცევია.

— აი, ხომ ხედავთ, — თქვა ალეხანდრომ და ექიმებს მიუბრუნდა, — ის ახლაც ჯიუტობს, სურს დაარწმუნოს ყველა, რომ ეს ბატონი...

— დიახ იგი ჩემი საყვარელია! — შეაწყვეტინა ქმარს იულიამ. — დაე, თვითონვე თქვას, თუ ეს ტყუილია.

გრაფმა თვალები დახარა.

— თქვენ ხედავთ, გრაფო, — უთხრა ალეხანდრომ ბორდავიელას, — როგორ ჯიუტობს იგი, როცა გონება ერევა. რასაკვირველია, თქვენ არ გქონიათ და არც შეგეძლოთ გქონოდათ ამგვარი დამოკიდებულება ჩემს ცოლთან.

— ცხადია, არა! — წამოიძახა გრაფმა.

— ხედავთ თუ არა! — კვლავ მიუბრუნდა ალეხანდრო ექიმებს.

— როგორ? — დაიძახა იულიამ, — ხუან, შენ ბედავ იმის უარყოფას, რომ მე დაგნებდი?

გრაფი აკანკალდა. ალეხანდრო გამყინავ მზერას არ აშორებდა მას.

— გთხოვთ მომიტევოთ, ქალბატონო, გთხოვთ გონი მოიკრიბოთ, — უთხრა გრაფმა, — თქვენც კარგად იცით, რომ ეს სიმართლე არ არის. ამ სახლში მე დავდიოდი მხოლოდ როგორც მეგობარი თქვენი მეუღლისა და თავად თქვენი, და რაც შემეხება პირადად მე, გრაფ დე ბორდავიელას, არასოდეს მივაყენებდი ამგვარ შეურაცხყოფას ისეთ მეგობარს, როგორიც...

— როგორიც მე ვარ, — შეაწყვეტინა მას ალეხანდრომ. — მე! მე! ალეხანდრო გომესი! არც ერთ გრაფს არ შეუძლია შეურაცხმყოს მე, ისევე როგორც ჩემს ცოლს არ ძალუძს ჩემი ღალატი. თქვენთვის ცხადია, ბატონებო, რომ საბრალო ქალი გადასცდა ჭკუას.

— შენც მაგას ემხრობი, ხუან? — ვეღარ მოითმინა იულიამ, — მხდალო! ლაჩარო! ჩემმა ქმარმა შეგაშინა, ლაჩარო! ლაჩარო! სიმართლის თქმას ვერ ბედავ და გინდა შენც გიჟად გამომაცხადო. შენც ისეთივე ხარ, როგორიც ჩემი ქმარია.

საცოდავი იულია თითქმის ცნობამიხდილი იყო და ერთიანად ცახცახებდა.

— ახლა, მოწყალეო ხელმწიფევ, — უთხრა ალეხანდრომ გრაფს, — ჩვენ აქედან გავიდეთ და პატივცემულ ექიმებს საშუალება მივცეთ ავადმყოფის გასინჯვა დაასრულონ.

გრაფი მას გაჰყვა. როცა კაბინეტიდან გავიდნენ, ალეხანდრომ უთხრა:

— ამგვარად, გრაფო, კარგად დაიხსომეთ: ან ჩემი ცოლი უნდა ვალიაროთ ფსიქიურ ავადმყოფად, ან მე ორივეს თავს გაგისრესთ. არჩევანი თქვენზეა.

— მე ერთიღა დამრჩენია: დაგიბრუნოთ დარჩენილი ვალი და შევწყვიტო ყოველგვარი ურთიერთობა თქვენთან.

— თქვენ მხოლოდ ის გევალებათ, რომ ენას კბილი დააჭიროთ. ამგვარად შევთანხმდით. ჩემი ცოლი ფსიქიურად აშლილია, ხოლო თქვენ უტვინო ბრიყვი ხართ... გირჩევთ, მიფრთხილდეთ, — და მან თავის რევოლვერზე მიუთითა.

ცოტა ხნის შემდეგ ექიმები ლაპარაკით გამოვიდნენ კაბინეტიდან.

— ეს საშინელი ტრაგედიაა. როგორ მოვიქცეთ?

— სხვა რა დაგვრჩენია? ქალი შეშლილად უნდა გამოვაცხადოთ, თუ არადა ქმარი მასაც მოჰკლავს და საბრალო ბორდავიელასაც.

— ჩვენს სინდისს რაღა პასუხი გავცეთ?

— სინდისი ახლა იმას გვკარნახობს, რომ ავირიდოთ უფრო დიდი უბედურება.

— ხომ არ აჯობებს თვით ალეხანდრო გამოვაცხადოთ გიჟად.

— ის სრულებითაც არ არის გიჟი. იგი — სულ სხვაა.

— იგი ნამდვილი მამაკაცია, როგორც თვითონ ამბობს.

— საბრალო ქალი. გული მატკინა მისმა სიტყვებმა. ვშიშობ, ბოლოს და ბოლოს მართლა არ შეიშალოს.

— ახლა რომ შეშლილად გამოვაცხადოთ, იქნებ ამით გადავარჩინოთ კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ამ სახლს ხომ განვარიდებთ.

და იულია მართლაც შეშლილად გამოაცხადეს. ქმარმა იგი საგიჟეთში მოათავსა.

* * *

საბრალო იულიას სული ცივმა და უკუნმა წყვდიადმა მოიცვა, როცა იგი გონებასუსტ ავადმყოფთა გვერდით აღმოჩნდა გამომწყვდეული. ერთადერთ ნუგეშს ახლა იმაშიღა ჰპოვებდა, რომ მასთან ყოველდღე მოჰყავდათ ბავშვი.

ქალი ხელში აიყვანდა ხოლმე მას და ცრემლებით ურწყავდა სახეს. საცოდავი ბიჭუნა ტიროდა და არ იცოდა კი რატომ.

— ჩემო პაწაწა ბიჭუნავ, — ეუბნებოდა ქალი, — ნეტა შემეძლოს შენი სხეულიდან მამისეული სისხლის ყოველი წვეთის გამოდევნა. ვაი, რომ არ შეიძლება — იგი ხომ მამაა შენი!

მარტო დარჩენილი იულია გრძნობდა, რომ გაგიჟებას ცოტაღა აკლდა. „მართლა იმით ხომ არ დამთავრდება ჩემი ცხოვრება, — ეტყოდა ხოლმე საკუთარ თავს, — რომ ბოლოს ჭკუაზე შევირყევი. შესაძლოა, დავიჯერო კიდეც, რომ მთელი ჩემი ურთიერთობა საძაგელ გრაფთან სიზმარი იყო და მოჩვენება. რა მხდალია, სულმდაბალი და მხდალი! ამ დღეში მყოფი მიმატოვა, აქ დაამწყვდევინა ჩემი თავი. ალეხანდრო მართალი იყო... მაგრამ,

რატომ არ მოჰკლა მან გრაფი? თუმცა, ამგვარი შურისძიება უფრო საშინელია. ამ ბინძური არაკაცის მოკვლა არც ღირს. უმჯობესია, დაამცირო იგი, აიძულო იცრუოს და უარი თქვას ჩემზე. ის ძაგძაგებდა ჩემი ქმრის წინაშე, დიახ, ძაგძაგებდა. ეს იმიტომ, რომ ჩემი ქმარი ნამდვილი მამაკაცია. მე რატომ აღარ მომკლა? ოტელო უთუოდ მომკლავდა. მაგრამ ალეხანდრო ოტელო არ არის, ის ისეთი ველური არ არის, როგორც ოტელო. ოტელოს მეტი გზნება ჰქონდა, მაგრამ ნაკლები ჭკუა. ალეხანდროს ძლიერი გონება აქვს, მაგრამ ეს გონება მის მდაბიურ სიამაყეს ემორჩილება. ამგვარ ადამიანს არაფრად დასჭირდებოდა პირველი ცოლის მოკვლა. იგი მას აიძულებდა მომკვდარიყო. ის ქალი მოკლა ქმრის შიშმა. მაგრამ მე? ვუყვარვარ მე მას?"

და იქაც, საგიჟეთშიც, იულიას გულსა და გონებას არ შორდებოდა მტანჯველი კითხვა: „ვუყვარვარ თუ არა?" მერე კი საკუთარ თავს ეუბნებოდა: „სამაგიეროდ მე მიყვარს, თავდავიწყებით მიყვარს".

და რაკი შეშინდა, მართლა ჭკუაზე არ შევიშალოო, დაადასტურა, რომ მისი კავშირი ბორდავიელასთან მარტოოდენ მოჩვენება იყო. იგი განკურნებულად ჩათვალეს და ეს ამბავი ქმარს აცნობეს.

ერთ მშვენიერ დღეს იულია მისაღებ დარბაზში გაიწვიეს. იქ მას ქმარი ელოდა. ქალი ქვითინით ჩაუვარდა ფეხებში.

— მომიტევე, ალეხანდრო, მომიტევე.

— ადექი, იულია, — და მან ქალი ააყენა.

— მაპატიე!

— გაპატიო? რა? მე გადმომცეს, რომ შენ უკვე გამოჯანსაღდი და მოჩვენებები აღარ გაწამებენ.

იულია ძრწოლვით შესცქეროდა ქმრის ცივსა და გამგმირავ თვალებს. უსაზღვრო სიყვარულს გრძნობდა ქმრისადმი და იმავე დროს ენით გამოუთქმელ შიშსაც.

— შენ მართალი ხარ, ალეხანდრო. მე გიჟი ვიყავი, ნამდვილი გიჟი და იმისათვის, რომ შენს გულში ეჭვიანობა აღმეძრა, მხოლოდ იმისთვის, რომ გეეჭვიანა, მოვიგონე მთელი ეს ამბავი. ყველაფერი სიცრუეა. განა შემეძლო შენი მოტყუება? გჯერა თუ არა ახლა ჩემი?

— ოდესღაც, — მიუგო იულიას ყინულივით ცივი ხმით ქმარმა, — შენ მეკითხებოდი, მართლა მოვკალ თუ არა ჩემი პირველი ცოლი, ხოლო მე ჩემის მხრივ, გკითხე, შეგეძლო თუ არა დაგეჯერებინა ასეთი ამბავი. იქნებ გახსოვს, რა მიპასუხე მაშინ?

— რომ მე არც მჯერა და არც შემიძლია დავიჯეროო.

— ასევე გეუბნები მეც, რომ არ შემეძლო დამეჯერებინა, თითქოს შენ ჩემთვის გეღალატოს იმ კატასთან, საკმარისია?

— ახლა კი, — ჩასჩურჩულა ქმარს ყურში საბრალო ქალმა და თან მოეხვია, — მითხარი, ალეხანდრო, გიყვარვარ თუ არა?

და მაშინ საბრალო იულიამ პირველად დაინახა ის, რაც არასდროს ეხილა წინათ, — მთელი სიღრმე ამ შემზარავი და დახშული სულისა, ასე თავგამოდებით რომ მალავდა ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით ეს ზღაპრულად მდიდარი ადამიანი. თითქოს წამიერმა ელვამ გააბრწყინა მის

სულში დაგუბებული ტბორე, ხოლო ცივსა და სატევარივით ბასრ თვალებში ორი ცრემლი აკიაფდა.

— მიყვარხარ თუ არა, ჩემო პატარავ? — წამოიძახა ალეხანდრომ, — მთელი სულით, მთელი ხორცით, მთელი ჩემი არსებით. საკუთარ თავზე მეტად! თავდაპირველად, როცა დავქორწინდით, ასე არ ყოფილა, მაგრამ ახლა? ახლა ბრმად მიყვარხარ, განუსჯელად, გაგიჟებამდე... მე შენი ვარ უფრო მეტად, ვიდრე შენ ჩემი.

და იგი გაშმაგებით კოცნიდა იულიას, როგორც ცოფმორეული და ციებ-ცხელებით შეპყრობილი, თან ბუტბუტებდა:

— იულია, ჩემო ღვთაებავ, ყველაფერი შენა ხარ ჩემთვის!

ახლა, როცა თავისი ქმრის სულში ჩაიხედა, იულიას მოეჩვენა, რომ მართლა ჭკუაზე იშლებოდა.

— ნეტავ ამ წუთას მოვმკვდარიყავი, — ჩასჩურჩულა ქმარს ყურში იულიამ და თავი მხარზე ჩამოადო.

ქალის სიტყვებმა თითქოს ძილისაგან გამოაფხიზლეს ალეხანდრო. თვალებში ისევ სიცივე ჩაუდგა, ცრემლიც შეაშრა და ცოლს უთხრა:

— მე არაფერი მითქვამს შენთვის, იულია, ასეა, ასეა, ხომ? შენ ახლა ყველაფერი იცი, მაგრამ დაივიწყე, რაც გითხარი, ვითომ არაფერი არ მომხდარა.

— დავივიწყო?

— კარგი, თუ გსურს, შენთვის იცოდე. მაგრამ გახსოვდეს, ისე მოიქეცი, ვითომ ჩემგან არაფერი გსმენია.

— კრინტსაც არ დავძრავ.

— საკუთარ თავსაც კი დაუმალე.

— კრინტსაც არ დავძრავ, მხოლოდ...

— კმარა!

— მხოლოდ, ღვთის გულისათვის, ალეხანდრო, მაჩუქე ერთი წამი, მხოლოდ ერთი წამი, მისმინე... მითხარი მე, მე თუ გიყვარვარ? მაშინაც გეყვარებოდი სხვას რომ ვეკუთვნოდე, თუ მხოლოდ იმიტომ გიყვარვარ, რომ შენი ნივთი ვარ?

— უკვე გითხარი, ყოველივე დაივიწყე-მეთქი. ჯიუტობაზე ხელს თუ არ აიღებ, სჯობს აქვე დარჩე. შენს წასაყვანად ვარ აქ მოსული, მაგრამ ჯერ უნდა გამოჯანსაღდე.

— მე უკვე კარგად ვარ, — მკვირცხლად უპასუხა ქმარს იულიამ.

ალეხანდრომ ცოლი შინ წაიყვანა.

* * *

საავადმყოფოდან იულიას დაბრუნების შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა და გრაფმა ბორდავიელამ ალეხანდროსგან წერილი მიიღო, იგი კი არ სთხოვდა, არამედ უბრძანებდა ჩემთან სადილად მოდიო.

„როგორც მოგეხსენებათ, ბატონო გრაფო, — წერდა ალეხანდრო, — ჩემი ცოლი მთლად გამოკეთდა და შინ დაბრუნდა. გონების დაბნელების

ქამს მან თავისდაუნებურად მძიმედ შეურაცხგყოთ, ისეთი სიმდაბლე დაგწამათ, რასაც თქვენ, როგორც ჭეშმარიტი კაბალერო, ნამდვილად ვერ ჩაიდენდით. გთხოვთ გვეწვიოთ სადილად ზეგ, ოთხშაბათს, რათა სათანადო ახსნა-განმარტება მოგცეთ და ბოდიში მოგიხადოთ. ჩემი ცოლი ძალიანა გთხოვთ მობრძანდეთ, მე კი გიბრძანებთ.

თუ დანიშნულ დღეს არ მოხვალთ, რომ ჩვენი ახსნა-განმარტება მიიღოთ, რაც მოხდება, თქვენს თავს დააბრალეთ. თქვენ კი კარგად მოგეხსენებათ, თუ რის შემძლეა

ალეხანდრო გომესი".

დანიშნულ დღეს გრაფი დე ბორდავიელა გამოცხადდა ფერმკრთალი, აცახცახებული და მეტისმეტად შეშინებული. სადილი ძალზე გაჭიანურდა. საუბრობდნენ ყოველგვარ წვრილმანზე, რაც კი გაახსენდებოდათ, თანაც მსახურთა თანდასწრებით. შიგადაშიგ ალეხანდრო უხეშად ხუმრობდა, იულიაც არ ჩამორჩებოდა ქმარს. მსახურს უბრძანა:

— ჩაი მოგვართვით!

— ჩაი? — წამოიძახა გრაფმა.

— დიახ, — უპასუხა ალეხანდრომ, — მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მუცელი მტკივა, არამედ იმიტომ, რომ კარგ ოჯახებში ასეა მიღებული. ჩაი პირდაპირ ზედგამოჭრილია, როცა კეთილშობილ ადამიანებს საუბარი სურთ.

მერე მსახურს მიუბრუნდა და დაუმატა:

— წადით!

ოთახში სამნი დარჩნენ. გრაფი კანკალებდა. მას ველარ გაებედა ჩაისთვის ხელის ხლება.

— ჯერ მე მომართვი, იულია, — უთხრა ქმარმა, — პირველი მე დავლევ, გრაფო, რათა დარწმუნდეთ, რომ ჩემს სახლში უშიშრად შეიძლება ჩაის დალევა.

— მაგრამ მე...

— არა, ბატონო გრაფო. მე, მართალია, კაბალერო არა ვარ, მაგრამ ასეთ რამეს მაინც არ ვიკადრებ. ახლა კი ჩემი ცოლი განგიმარტავთ.

ალეხანდრომ იულიას გადახედა და ქალი ნელა ალაპარაკდა. გულის გამყინავი მშვიდი ხმა ჰქონდა. ის არაჩვეულებრივად ლამაზი იყო. თვალები ვარსკვლავებივით უბრწყინავდა და ყინულივით ცივი სიტყვებიც ნელნელა წყდებოდა ბაგეთაგან, მაგრამ იგრძნობოდა, როგორი მოგიზგიზე ალი ბობოქრობდა ამ სიტყვებში.

— მე ვთხოვე ჩემს ქმარს, სადილად მოეწვიეთ, ბატონო გრაფო, — დაიწყო იულიამ, — რათა ბოდიში მომეხადა იმ შეურაცხყოფის გამო, თქვენ რომ მოგაყენეთ.

— მე, იულია?

— დიახ, თქვენ. იულიას კი ნუღა მიწოდებთ. როცა მე ჭკუა დამაკარგვინა ჩემი ქმრისადმი გახელებულმა სიყვარულმა, მოვინდომე მის გულში ეჭვიანობა აღმეძრა თქვენი დახმარებით. მე მსურდა დავრწმუნებულიყავი, ვუყვარდი თუ არა ქმარს, და იმდენად დავკარგე გონი, რომ ბრალი დაგ-

დეთ, თითქოს თქვენ ჩემი ცთუნება გდომებოდათ. ეს სიცრუე იყო და ჩემის მხრივ სიმდაბლეც იქნებოდა, მე რომ მაშინ შეშლილი არ ვყოფილიყავი. ასე არ არის, ბატონო გრაფო?

— ოლონდაც, ცხადია, დონია იულია.

— სენიორა დე გომეს, — შეუსწორა გრაფს ალეხანდრომ.

— მოგვიტევეთ მე და ჩემს მეუღლეს, რომ ფისუნიას გიწოდებდით.

— დიდი ხანია მოგიტევეთ.

— მე თქვენ გაბრალებდით სულმდაბლურ და საზიზღარ საქციელს, რაც არ შეეფერებოდა ისეთ კაბალეროს, როგორიც თქვენ ხართ.

— დიდებულია, დიდებული ნათქვამია, — შენიშნა ალეხანდრომ, — სულმდაბლური, საზიზღარი და კაბალეროსათვის შეუფერებელი საქციელი.

— მაგრამ გიმეორებთ, გრაფო, მე შეიძლება მეპატიებოდეს და უნდა მეპატიოს კიდეც ეს ამბავი, რაკი იმჟამად ცუდ დღეში ვიყავით ჩავარდნილი, მაგრამ მე მაინც მინდა პატიება გთხოვოთ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ყველაფერი მიპატიებია, სენიორა, უკლებლივ ყველაფერი ორივესათვის, — კი არ სთქვა, ამოიკვნესა თითქმის ცოცხალმკვდარმა გრაფმა და ახლა მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, როგორმე სწრაფად დაეძვრინა თავი ამ სახლიდან.

— ორივესათვის? — შეაწყვეტინა მას ალეხანდრომ, — მე პირადად თქვენი საპატიებელი არა მაქვს რა!

— დიახ, დიახ, ოლონდაც რომ აგრეა.

— დამშვიდდით, ბატონო გრაფო, — განაგრძობდა ალეხანდრო, — ვხედავ, ცოტა არ იყოს, აგაღელვეთ. დალიეთ კიდევ ერთი ფინჯანი ჩაი. იულია, დაუსხი ბატონ გრაფს.

— არ მინდა, არა...

— ამრიგად, რაკი ჩემმა ცოლმა უკვე გითხრათ თავისი სათქმელი და თქვენც მიუტევეთ, მე ისღა დამრჩენია, გთხოვოთ, რომ მომავალშიც პატივი დაგვდოთ თქვენი სტუმრობით. თქვენთვისაც გასაგები უნდა იყოს, რომ ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, არ იქნებოდა კარგი ჩვენი ნაცნობობა ერთბაშად შეგვეწყვიტა. ახლა, რაკი ჩემმა ზრუნვამ ჩემი ცოლი სავსებით გამოაკეთა, თქვენ შეგიძლიათ გვეწვიოთ ხოლმე. მერწმუნეთ, არავითარი ხიფათი არ გელით. ხოლო იმის დასტურად, რომ მე მართლა მჯერა ჩემი ცოლის სრული გამოჯანსაღება, ნება მომეცით, მარტო დაგტოვოთ. შესაძლოა, ჩემს მეუღლეს სურს ისეთი რამ გითხრათ, რასაც ჩემი თანდასწრებით ვერ ამბობს.

ალეხანდრო ოთახიდან გავიდა. ორივე გააკვირვა მისმა საქციელმა. „რა კაცია!“ — ფიქრობდა გრაფი. „აი, ეს ნამდვილი მამაკაცია!“ — ფიქრობდა იულია.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა. გრაფი და იულია ვერ ბედავდნენ შეეხედათ ერთმანეთისთვის. გრაფი კარს შეჰყურებდა.

— ასე ნუ იცქირებით, — წაილაპარაკა იულიამ, — თქვენ არ იცნობთ ჩემს ქმარს. ის კარს უკან არ დადგება მოსაყურებლად.

— რა იცით? მას შეუძლია მოწმეებიც მოიყვანოს.

— ასე რატომ ლაპარაკობთ, ბატონო გრაფო?

— მე არ დამვიწყებია, რომ იმ საშინელ დღეს მან ორი ექიმი მოიწვია, რათა მათი თანდასწრებით მე ყოველნაირად დავემცირებინე, თქვენ კი შეშლილად გამოეცხადებინეთ.

— მაგრამ ეს ხომ მართლაც ასე იყო. მე რომ გონება არ დამეკარგა, განა ვიტყოდი, რომ თქვენ ჩემი საყვარელი იყავით?..

— კი მაგრამ...

— მაგრამ რა, ბატონო გრაფო?

— როგორც ვატყობ, თქვენ გსურთ მე გამომაცხადოთ შეშლილად, ანდა მართლაც გამაგიჟოთ. ნუთუ უარყოფთ, რაც ჩვენ შორის იყო, იულია?

— დონია იულია ან სენიორა დე გომეს!

— ნუთუ შეგიძლიათ უარყოთ, სენიორა დე გომეს, რომ თქვენ, ასე იყო თუ ისე, თანაგრძნობით უპასუხებდით ჩემს არშიყობას, არა, არშიყობას კი არა — სიყვარულს?

— ბატონო გრაფო!

— და ყოველივე იმით დაამთავრეთ, რომ არა მარტო დამეთანხმეთ, არამედ გამომიწვიეთ კიდეც და...

**— მე თქვენ უკვე გითხარით**, ბატონო გრაფო, რომ შეშლილი ვიყავი და, მგონია, აღარაა საჭირო კვლავ გაგიმეოროთ!

— თქვენ შეეცდებით უარყოთ, რომ მე თქვენი საყვარელი ვიყავი?

— კიდევ გიმეორებთ, რომ მე შეშლილი ვიყავი.

— აღარ შემიძლია თუნდაც ერთი წუთი დავყო ამ სახლში. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

გრაფმა ხელი გაუწოდა იულიას და თან შიშობდა, რომ ქალი გააწბილებდა, მაგრამ იულიამ ხელი ჩამოართვა და უთხრა:

— იმედი მაქვს, გახსოვთ, რა გითხრათ ჩემმა ქმარმა. გვეწვიეთ, როცა მოგესურვოთ.

— კი მაგრამ, იულია...

— რა გნებავთ? თქვენ ისევ ძველებურად იწყებთ? მე უკვე გითხარით, რომ მაშინ შეშლილი ვიყავი. ახლა მე, ღვთისა და ჩემი ალეხანდროს წყალობით სრულიად ჯანმრთელი ვარ და თქვენის მხრივ დიდი წინდაუხედობა იქნებოდა, თუ ჩვენთან სიარულს შეწყვეტდით.

— თქვენ და თქვენი ქმარი ბოლოს და ბოლოს იმდენს იზამთ, რომ მე შემშლით ჭკუაზე.

— თქვენ? ჩემი აზრით, თქვენი ჭკუიდან გადაცდენა არცთუ ისე ადვილი საქმეა.

— მართალსა ბრძანებთ... მე ხომ ფისუნია ვარ!..

იულიამ გაიცინა. შერცხვენილი და თავლაფდასხმული გრაფი სასწრაფოდ გავიდა. მან მტკიცედ გადაწყვიტა აღარასოდეს შემოედგა ფეხი ამ სახლში.

* * *

ამგვარმა სულიერმა ტანჯვამ ჯანი შეურყია უბედურ იულიას. ის მართლა მძიმედ დაავადდა სულიერად. თანდათან კარგავდა გონებას. ხშირად აბოდებდა და მაშინ ცხარედ და ვნებიანად მოუწოდებდა თავის ქმარს. ალეხანდრო ამაოდ ცდილობდა მის დამშვიდებას.

— მე შენი ვარ, შენი, სავსებით შენი, — ჩასჩურჩულებდა ქალს ყურში, იულია კი მაგრად ხვევდა მკლავებს კისერზე და ლამის დაეხრჩო ქმარი.

ალეხანდრომ თავის მამულში წაიყვანა ცოლი. იმედი ჰქონდა, რომ სოფლის ჰაერი განკურნავდა საბრალოს, მაგრამ სენი თანდათან უღებდა ბოლოს. თითქოს რაღაც საშინელებამ ჩაიბუდა მის სხეულში.

როცა ეს უჩვეულოდ მდიდარი კაცი მიხვდა, რომ უკურნებელი სენი ცოლს სტაცებდა, იგი გამძვინვარდა. მოიწვია საუკეთესო ექიმები.

— ყველაფერი ამაოა, — დაასკვნეს მათ.

— გადამირჩინეთ როგორმე! — ეუბნებოდა იგი ექიმებს.

— შეუძლებელს გვთხოვთ, დონ ალეხანდრო, მისი გადარჩენა არავის ძალუძს.

— ოღონდ იხსენით და ყველაფერს გავიღებ, რაც მაბადია; მთელ ჩემს ქონებას, ჩემს მილიონებს.

— შეუძლებელია, დონ ალეხანდრო, შეუძლებელი.

— ჩემს სიცოცხლესაც დავთმობ მისთვის! იქნებ სისხლის გადასხმაა საჭირო. აიღეთ მთელი ჩემი სისხლი და მას მიეცით. აჰა, აიღეთ!

— შეუძლებელია, დონ ალეხანდრო, შეუძლებელი.

— როგორ თუ შეუძლებელი? მე მთელ სისხლს გავიღებ უკანასკნელ წვეთამდე — მთელ ჩემს სისხლს მივცემ.

— მხოლოდ ღმერთს შეუძლია მისი ხსნა.

— ღმერთს? სად არის ღმერთი? მე აქამდე არასოდეს მიფიქრია ღმერთზე.

მერე იულიას მიუბრუნდა, თავის ცოლს. იგი ფერმკრთალი იყო, მაგრამ კიდევ უფრო მშვენიერი, ვიდრე ოდესმე. ეს არაამქვეყნიური მშვენება უეჭველი სიკვდილის ნიშანი იყო.

— სადაა ღმერთი, იულია?

ქალმა ზეცისკენ აღაპყრო თავისი დიდრონი თვალები და მიმქრალი ხმით უთხრა:

— იგი იქ არის.

ალეხანდრომ ჯვარცმას მიხედა, ცოლის თავსასთუმალთან რომ იდგა, აიღო, ჩაბღუჯა ხელში და უთხრა: „იხსენი, გადამირჩინე იგი და მთხოვე, რაც გსურდეს, მთელი ჩემი ქონება, მთელი ჩემი სისხლი, მთელი ჩემი სიცოცხლე...“ იულია იღიმებოდა. ქმრის ეს ბრმა ძრწოლა, შიში მისი სიცოცხლისათვის ნათელი შუქით უვსებდა სულს. რა ბედნიერი იყო ახლა! ნუთუ ოდესმე აეჭვებდა ამ კაცის სიყვარული?

წვეთწვეთობით ეცლებოდა სიცოცხლე ხელიდან. ქალი სულ უფრო და უფრო ცივდებოდა, თეთრ მარმარილოს ემსგავსებოდა. ქმარი გვერდით მიუწვა. ვნებიანად კოცნიდა და სურდა მთელი თავისი სიმხურვალე გადაეცა, საკუთარი სული ჩაებერა მომაკვდავი ცოლისათვის. ცოტაც და შეიშლებოდა ალეხანდრო. იულია იღიმებოდა.

— მე ვკვდები, ალეხანდრო, ვკვდები.

— შენ არ მოკვდები, არა! შენ არ შეგიძლია მოკვდე.

— იმიტომ, რომ შენი ცოლი ვარ, არა?

— დიახ, ჩემს ცოლს არ შეუძლია მოკვდეს! უმალ მე მოვკვდები. დე მოვიდეს სიკვდილი. მოვიდეს ჩემთან! დე ჩემთან მოვიდეს სიკვდილი!

— ჩემო საწყალო ალეხანდრო, ახლა მე ბედნიერი ვარ. მთელი ტანჯვა ამინაზღაურდა... რა ბრიყვი ვიყავი, როცა არ მჯეროდა შენი სიყვარულის!..

— ასეცაა, მე არ მიყვარდი! ყველა ეს სასიყვარულო სიტყვები ტყუილია, მხოლოდ წიგნებში დასაწერი სისულელეა. არა, მე შენ არ მიყვარდი. სიყვარული! რა არის სიყვარული? უბადრუკი, საცოდავი კაცუნები დღედაღამ სიყვარულზე ლაპარაკობენ, ის კი არ ძალუძთ, რომ საკუთარი ცოლები სიკვდილისგან იხსნან. განა ეს სიყვარულია? არა, მე შენ არ მყვარებიხარ...

— არ გყვარებივარ? — იკითხა ცოლმა ოდნავ გასაგონი ხმით, მაგრამ ამ ხმაში კვლავ გამოკრთა წინანდელი ეჭვი.

— არა, მე შენ არ მიყვარხარ. მე შენ... ველარ გამომითქვამს... — და ალეხანდრო უცრემლოდ აქვითინდა.

ამ ქვითინში გამოიხატა მთელი მისი ტანჯვა და დაუოკებელი სიყვარული.

— ალეხანდრო! — დაუძახა იულიამ და ამ მიმქრალ ხმაში გაისმა სევდანარევი ზეიმი გამარჯვებისა.

— შენ არ მოკვდები, არ შეგიძლია მოკვდე. მე არ მინდა, რომ მოკვდე. მე მომკალი, ოღონდ შენ იცოცხლე! მომკალი-მეთქი, იულია.

— არა, მე ვკვდები.

— მეც შენთან ერთად.

— კი, მაგრამ ჩვენი შვილი, ალეხანდრო?

— დე ისიც მოკვდეს. განა შევძლებ მის სიყვარულს, თუ შენ აღარ მეყოლები?

— ღვთის გულისათვის, ალეხანდრო, შენ გაგიჟდი.

— სწორედ ეგრეა, მე გავგიჟდი. ეს სიგიჟეა... მე ყოველთვის გიჟი ვიყავი, მაგრამ ეს იყო შენდამი სიყვარულის სიგიჟე. თან წამიყვანე, იულია, მომკალ ახლავე.

— რომ შემეძლოს...

— ოჰ, არა. შენ იცოცხლე, მე კი მომკალი და შენი ვიქნები სამუდამოდ.

— შენ?

— დიახ, მე. თუკი შენი აღარ ვიქნები, ათასგზის მიჯობს სიკვდილმა წამიღოს.

ის უფრო და უფრო მაგრად იხუტებდა ქალს, თითქოს ამგვარად სურდა შეეჩერებინა სიცოცხლის ქროობა.

— მითხარი, ალეხანდრო, სიკვდილის პირას მისულს მაინც მითხარი, ვინა ხარ შენ? — ყურში ჩასჩურჩულა ქმარს იულიამ.

— მე? ჩვეულებრივი ადამიანი, მაგრამ შენი, ისეთი, როგორიც შენ შემქმენი. — ეს ჩურჩული თითქოს საიქიოდან მოესმოდა, როს ნავი პირქუშ ტბაზე სამოგზაუროდ ემზადება.

ალეხანდრომ მალე იგრძნო, რომ მის ძლიერ მკლავებში მხოლოდ გვა-

მი განისვენებდა. ღამე და სიცივე შემოეგრაგნა მის სულს. წამოდგა და მზეთუნახავის უსულო გვამს დააშტერდა. არასოდეს ეხილა ცოლი ასე მშვენიერი. თითქოს იგი ბანაობდა ელვარე სხივებში ნაზად ავარდისფერებულ აისისა, ახლახან რომ შეცვალა ღამე.

და უეცრად ალეხანდროს მთელმა თავისმა ცხოვრებამ გაუელვა თვალწინ, ცხოვრებამ, რასაც ის ყველას უმალავდა და მათ შორის საკუთარ თავსაც. ამ ცხოვრების ავისმაუწყებელი, გამყინავი ჩრდილი დაეცა იმ არსებას, მის წინ რომ ესვენა. ესვენა, როგორც ხორცშესხმული მოგონება, უსულო ნეშტად რომ ქცეულიყო უკვე. მოაგონდა თავისი შემზარავი ბავშვობა, მოაგონდა, როგორ უმოწყალოდ ურტყამდა კაცი, ვინც მის მამად ითვლებოდა. როგორ წყევლიდა მამას და, სასოწარკვეთილი, ერთ საღამოს როგორ დაემუქრა პატარა მუშტით ქრისტეს სოფლის ეკლესიაში.

ბოლოს ოთახიდან გავიდა, კარი გაიხურა და თავის ბავშვს დაუწყო ძებნა. პაწიას ახლახან შეუსრულდა სამი წელიწადი. მამამ ხელში აიყვანა ბავშვი და მასთან ერთად ჩაიკეტა ოთახში.

გაშმაგებული კოცნიდა თავის შვილს. ბავშვი შეჩვეული არ იყო მამის ალერსს (ალეხანდროს აქამდე ერთხელაც არ ეკოცნა მისთვის). პატარამ თითქოს იგრძნო მამის დაუოკებელი სიყვარული და ატირდა.

— იყუჩე, ჩემო შვილო! მითხარი, მაპატიებ თუ არა იმას, რაც ახლა უნდა მოვიმოქმედო, მაპატიებ თუ არა?

ბავშვი მდუმარედ, შიშით შესცქეროდა მამას, ის კი მის თვალებში, ტუჩებში და თმაში იულიას თვალებს, ტუჩებს და თმას ეძებდა.

— მაპატიე, ჩემო ბიჭო, ნუ გამიწყრები.

შემდეგ ცოტა ხნით კაბინეტში ჩაიკეტა, რათა თავისი უკანასკნელი სურვილი ქაღალდზე გადაეტანა, მერე კვლავ ცოლს დაუბრუნდა, უფრო სწორედ იმას, რაც ერთ დროს მისი ცოლი იყო.

— შენთვის მთელ ჩემს სისხლს გავიღებ, — უთხრა ალეხანდრომ, თითქოს ქალს მისი ხმის გაგონება შეეძლო. — შენ სიკვდილმა წაგიყვანა, მე შენს საძებრად წამოვალ.

უეცრად მოეჩვენა, რომ ცოლმა გაიღიმა და თვალებიც აახამხამა. გაშმაგებით დაუწყო კოცნა. თითქოს ამით შეეძლო მისი გაცოცხლება. ყურში ჩასჩურჩულებდა საალერსო სიტყვებს. მაგრამ ქალი კვლავ ცივი იყო.

როცა შეამტვრიეს იმ ოთახის კარი, სადაც მიცვალებული ესვენა, იქ ალეხანდრო იპოვეს. იგი თავის ცოლს ჩაჰკვროდა, გაფითრებული, სისხლისაგან დაცლილი და ერთიანად სისხლით მოსვრილი.

□

# ლექსები

თარგმნა

ირინა ძიმერტელიძემ

* * *

იმის შეძლება რომ მომცეს ღმერთმა
და ისე მოვკვდე, როგორც მე მინდა —
შემოდგომის დღეს ვინატრებდი — ყვითელს და ფერმკრთალს, —
ნაყანევების მწუხრით შებინდვას.

ყვითელ ფოთლებში ჭიატებდეს მზე მილეული
და გულყვითელა პატარა ჩიტის
სტვენა-გალობით მევსებოდეს ნელა სხეული,
ენთოს ოქროსფრად შემოდგომა, — წყნარი და მშვიდი.

და შემოდგომის დღეებივით, მშვიდად და ჩუმად,
უჩინრად, ჩემდა შეუმჩნევლად დადგეს სიკვდილი;
და მხოლოდ მაშინ მივუხვდე გუმანს —
ჩამომიჯდება ოდეს გვერდით მთლად ფერმიხდილი.

და როგორც ჩიტი—გულყვითელა თავგადაკლული—
ჩამორჩენილი გაზაფხულს და მწვანე სიმღერებს —
უკანასკნელად ავმღერდები, რომ გაზაფხულის
ზღაპრულ ჰანგებით შევძრა მიწა გულის სიღრმემდე.

და როს მიწყდება ჯადოსნური ბგერების ჰანგი —
თუკი განგებამ ესეც ინება —
შენმა ამბორმა დამიხუროს, ძვირფასო, ბაგე,
პირმშვენიერო, მიწიერო დიდო ქმნილებავ!

თუ ამის ნება არ მომცა ღმერთმა, —
გამოზაფხულზე ვინატრებ სიკვდილს; —
გულის მაგიერ საგულეში ვარდების ფეთქვას,
ალისფერ ვარდებს — გაჟღენთილებს მდუღარე სისხლით.

დაჰკრან ნაღარა ვაჟკაცებმა გულგასახარად,
ამოიზარდონ მკერდებიდან დროშად ვარდები

და ათასობით ალისფერი ვარდის ღაღანმა
გადააწითლოს ველი ბრძოლის და თავდადების.

და თუ ცხენიდან განგმირული დავეცი თავქვე,
გახევებულმა არ ამიშვა თუკი სახსრებმა —
შენი ამბორი დამიხურავს ძილის წინ ბაგეს,
თავისუფლებავ! — ზეციერო დიდო არსებავ!

* * *

ძვირფასო, გული შენს ფიქრს გადაჰყვა,
და რას მემდური, სულ რომ მემდური!
იმასაც ვფიქრობ ხოლმე ხანდახან —
სჯობს, არ გიყვარდე მე უბედური.

ან რას მოგკივი მიკიოტივით,
გზაზე ნარ-ეკლად რას გებლანდები;
რაც თავი მახსოვს, მოვალ — მოვტირი,
შენ კი ლაღი ხარ და უდარდელი.

და რად მივუგდო მტაცებელ ნადირთ
ღულუნა მტრედი — სხვის გასახარად?
ბობოქარ ზღვათა რისხვას და ქადილს
რად მივანებო ნავი პატარა?

რა ვქნა, არ ვიცი, ჩემო საუნჯევ,
ჩემო ნამდვილო მტრედო პაწიავ:
ჩემს დარდს და წუხილს როგორ გაუძლებ,
ამ გაჭირვება-გაწამაწიას!

მაგრამ გიყვარდე! ოღონდ გიყვარდე!
ოღონდ შენ ჩემი გერქვას სახელი,
უწინამც მოვკვდე და დამიღამდეს,
თუ გაგრძნობინო ჩემი ნაღველი.

ცეკვავს, მთელი დღე შეჰხარის სატრფოს,
დარდს არ უჩვენებს მზეს დედამიწა
და მხოლოდ მაშინ მოიწყენს მარტო,
როს ეთხოვება გულით საფიცარს.

* * *

უკან დავტოვე ტყე ცისფერი, ლურჯი ცაცხვნარი,
წინ ჯევჯილია მობიბინე, მწვანე კორდები;
ვშორდები წარსულს, რაც დრო გადის, და ვერც ვშორდები,
ჰა, მომავალიც აგერ არის, მაგრამ არც არის.

და დავრჩი იმედგადამწყდარი და სევდიანი,
და ბედი ჩემი, როგორც ცხენი, ნებას მივუშვი...
გაოგნებული უვალ გზებით დავბორიალებ
სინამდვილეში მარადიულში.

* * *

უნდა ავიკრა ამ ქვეყნიდან გუდა-ნაბადი,
დღეო ნათელო, ბნელით სავსევ, აბა, ნახვამდის!
შორს, ცხრა მთას იქით უნდა დავდგა სადმე კარავი,
რომ არა ვნახო კაციშვილი მეტად არავინ.
მწვანე ბალახზე წამოვწვები ჩემთვის გულალმა
და თვალს მივაყოლ-მოვაყოლებ ღრუბლის ხეტიალს,
ჩიტების ჭიკჭიკს და გალობას მივაყურადებ,
წყაროთა ლიკლიკს, სიმღერით რომ ერთურთს ერთვიან.
დავტკბები ხოლმე მზის ამოსვლის და ჩასვლის ცქერით,
ვიდრე ჩემი მზის ჩასვენების დადგება ჯერიც...

□

# თომას მანი

## დაბადების 100 წლისთავის გამო

არიან მწერლები, ძალიან დიდი მწერლებიც, რომლებიც თავს არ გრძნობენ მთელი ერის, ამ ერის კულტურის წარმომადგენლებად, ესენი თითქოს განზე დგანან საკუთარი ქვეყნის კულტურულ-ლიტერატურული მაგისტრალისაგან.

თომას მანი, ვისაც არასოდეს არ მოჰკლებია ურა-პატრიოტებისა და ნაციონალისტების შეჩვენება და ქოქოლა, ასეთი მწერლების სრული ანტიპოდი იყო. მისი შემოქმედება და პიროვნება ყოველთვის გერმანიის ლიტერატურული ცხოვრების ცენტრში იდგა, „ბუდენბროკების“ ავტორი მუდამ მგზნებარე აღიარებისა ანდა ღვარძლიანი უარყოფის საგანი იყო — გულგრილობას, შეუმჩნევლობას ვერ უსაყვედურებდა ვერც ოფიციალურ წრეებს, ვერც კრიტიკას და ვერც ხალხს საერთოდ.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცოტას გაუკრიტიკებია ასე მწარედ და დაუნდობლად გერმანელები და გერმანია, როგორც თომას მანს, იგი მაინც საკუთარ თავს ყოველთვის თავისი ერის, გერმანული კულტურისა და ლიტერატურის წარმომადგენლად გრძნობდა. ანტიფაშისტურ ემიგრაციაში მყოფს ამერიკაში, მისივე ძმის ჰაინრიჰ მანის გადმოცემით, განუცხადებია: სადაც მე ვარ, გერმანული კულტურაც იქ არისო. მისი ფართო და ღრმა ინტერნაციონალურ რეზონანსის მიუხედავად, საკუთარ შემოქმედებას გერმანულ ტრადიციებში ფესვგადგმულად მიიჩნევდა, ყოველთვის ხაზს უსვამდა, ჩემი წიგნები უპირატესად გერმანელ მკითხველს გულისხმობსო. როდესაც ნაცისტებმა თომას მანს ერთ დროს ბონის უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული საპატიო დოქტორობა წაართვეს, მან ბონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანს წერილი მისწერა, სადაც სხვათა შორის წერდა: „ჩემი წიგნები გერმანელებისთვისაა დაწერილი, უწინარეს ყოვლისა მათთვის. მსოფლიო და მისი დაინტერესება ჩემი შემოქმედებით ჩემთვის ყოველთვის მხოლოდ სასიამოვნო დანამატი იყო“. 50-იან წლების დასაწყისში, როდესაც ამერიკასა და ევროპაში თომას მანი, მისი პიროვნება და შემოქმედება ლიტერატურული და, ასე გასინჯეთ, პოლიტიკური ყურადღების ცენტრშიაც კი იდგა, ფილიპ ტოინბიმ მას „მარტოხელა მსოფლიო მოქალაქე“ უწოდა. თომას მანმა მადლიერების გრძნობით აღნიშნა ტოინბის კეთილი წერილი, მაგრამ დასძინა, ცოტა საეჭვოა ჩემი მსოფლიო მოქალაქეობა, რადგან ჩემი წიგნები უსაშველოდ გერმანული წიგნებია.

თომას მანი ალბათ აჭარბებს: ეს ნაცისტებისა და ნაციონალისტების ციხისწამების საწინააღმდეგო რეაქცია უნდა იყოს, თომას მანის ანტიგერმანელობასა და რენეგეტობაზე რომ ჩხაოდნენ. ნამდვილად კი მისი შემოქმედების, მისი რომანების მსოფლიო რეზონანსის მხრივ თომას მანს გერმანულენოვან მწერალთა შორის ალბათ მხოლოდ ფრანც კაფკა, ბერტოლტ ბრეჰტი და რაინერ მარია რილკე თუ შეედრებიან. მაგრამ თომას მანის პიროვნების ზეგავლენა და ავტორიტეტი უნიკალურია გერმანელ და არა მარტო გერმანელ მწერალთა შორის.

ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა ფრანკლინ დელანო რუზველტმა ორჯერ მიიწვია ემიგრაციაში მყოფი მწერალი თეთრ სახლში. 1952 წლის იანვარს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რობერ შუმანი პირადად ეახლა პარიზიდან შვეიცარიაში თომას მანს, რათა საფრანგეთის უმაღლესი ორდენი, საპატიო ლეგიონის ოფიცრის ჯვარი გადაეცა მისთვის. ჰოლანდიაში ყოფნისას თომას მანს ყველაზე საპატიო ჰოლანდიური ორდენი, ნასაუ-ორანელის ორდენი უბოძა ჰოლანდიის დედოფალმა. 1953 წელს რომის პაპმა პიუს XII პირადი აუდიენცია გაუმართა მანს.

რუზველტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სამგლოვიარო მიტინგზე სანტა მონიკაში მთავრობის თხოვნით თომას მანმა სიტყვა წარმოთქვა. ნაცისტებს მწერალთა შორის ყველაზე მეტად თომას მანი აშინებდათ და ყველაზე მეტად თომას მანის გადაბირებას ცდილობდნენ სწორედ მწერლის მსოფლიო ავტორიტეტის გამო. გებელსმა ერთხელ რადიოთი გამოაცხადებინა თომას მანის გარდაცვალება, ალბათ ანტიფაშისტური, ჰუმანისტური ძალების დასაშინებლად და დასათრგუნავად. გერინგს განუცხადებია, თომას მანის საქმე „მცდარად იქნა დამუშავებულიო, მე სხვაგვარად მოვიქცეოდიო. თომას მანი როგორმე უნდა შეგვენარჩუნებინა, გარეთ არ უნდა გაგვეშვაო“. თვითონ თომას მანმა ირონიული კომენტარი დაურთო გერინგის ამ განცხადებას: „რასაკვირველია, გერინგი ჩვენ კოშკს, მილიონს და თვითეულ ჩვენგანს ბრილიანტის ბეჭედს შემოგვთავაზებდა და ჩვენც III რაიხის მომხრეები გავხდებოდით“.

ნიურნბერგის პროცესზე ერთი კურიოზული შემთხვევა მოხდა: ბრიტანელმა ბრალმდებელ-

მა სერ ჰერლი შოკროსმა თავის გამოსვლაში გამოიყენა გოეთეს ციტატები, რომლებიც მას საოცრად თანადროული და საჭირბოროტო მოეჩვენა. მაგრამ მალე ლონდონის „ტაიმსის“ ლიტერატურულ დამატებაში დაუწერეს, რომ ეს იყო არა გოეთეს აუტენტური სიტყვები, არამედ თომას მანის რომანის „ლოტე ვაიმარში“ გოეთეს გამონათქვამი. საქმე ის იყო, რომ ნაცისტურ გერმანიაში მეორე მსოფლიო ომის დროს კონტრაბანდად შეიტანეს „ლოტე ვაიმარში“, შესანიშნავი ყდა გადააკრეს: „გოეთეს საუბრები რიმერთან“ და მას პროკლამაციასავით ავრცელებდნენ ხალხში. პროცესის დროს ბრიტანელი იურისტისათვის გადაუციათ ეს წიგნი და მას ეგონა, რომ საკუთრივ გოეთეს სიტყვებს იმოწმებდა. ამან ლონდონის ოფიციალურ წრეებში უხერხულობა გამოიწვია. ვაშინგტონის ბრიტანელმა ელჩმა ლორდ ინვერჩეპელმა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დავალებით წერილით მიმართა თომას მანს და სთხოვა, ნათელი მოეფინა ამ ამბისათვის. თომას მანმა უპასუხა, რომ „ტაიმსი“ მართალია, ეს ჩემი გოეთეს სიტყვებია და არა თავად გოეთესიო. მაგრამ გოეთეს შეეძლო ეთქვა სიტყვები, რომლებიც მას ბრიტანელმა ბრალმდებელმა მიაწერა, და ამდენად სერ ჰერტლი შოკროსმა არსებითად სწორად დაიმოწმაო გოეთე.

ყოველივე ეს თომას მანის ღრმა და ფართო ინტერნაციონალური რეზონანსის დამადასტურებელია. ალბათ ნაწილობრივ ამითაც აიხსნება თომას მანის ბადალი გერმანულენოვანი მწერლების რობერტ მუზილის, ალფრედ დიობლინის, ბერტოლტ ბრეჰტის და სხვათა „გაწიწმატება“ და ღვარძლი თომას მანის მიმართ (გერმანისტიკაში ლაპარაკობენ ამ მწერლების „თომას მანის კომპლექსზეც“ კი)... როცა ისინი უკიდურეს მატერიალურ გასაჭირს განიცდიდნენ და მათ არავინ ყურადღებას არ აქცევდა, იმ დროს უცხოელი გამომცემლები დიდ პატივად თვლიდნენ თომას მანთან ხელშეკრულების დადებას. თ. მანს გუნდრუკს უკმევდნენ ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში, მას საპატიო წოდებებს და „რეგალიებს“ უხვად ანიჭებდნენ.

მაგრამ თომას მანს არასოდეს კოლეგების სიძულვილზე სიძულვილით არ უპასუხნია, პირიქით, ის მატერიალურად ეხმარებოდა მუზილს, დიობლინს და სხვებს და მათ მიმართ საქებარ სიტყვებს არ იშურებდა. ალბათ მის მდგომარეობაში სულგრძელობაც უფრო ადვილი იყო, მაგრამ ჩვენ საწინააღმდეგო ფაქტებიც ვიცით.

... თომას მანმა საქართველოშიც შემოდგა ფეხი. პირველად იგი ჩვენში კონსტანტინე გამსახურდიამ შემოიყვანა. 50-იან, 60-იან წლებში, ხანგრძლივი შუალედის შემდეგ, ქართული გერმანისტიკაც დაინტერესდა თომას მანის შემოქმედებით. დაიწერა წიგნები, ნაშრომები, წერილები „გრძნეული მთის“ ავტორზე. ითარგმნა თომას მანის თითქმის ყველა ნოველა და მოთხრობა. დალი კოკაია-ფანჯიკიძემ ჩინებულად გადმოიტანა ქართულ ენაზე თომას მანის პირველი რომანი „ბუდენბროკები“. იგივე მთარგმნელი ამჟამად მუშაობს „გრძნეული მთის“ გადმოქართულებაზე (პირველი ნაწილის თარგმნა მან უკვე დაასრულა). კარლო ჯორჯანელი შეუდგა „დოქტორ ფაუსტუსის“ თარგმნას.

შალვა პაპუაშვილს კარგა ხანია თარგმნილი აქვს „ლოტე ვაიმარში“. ჯერჯერობით ალბათ ადრეა, მაგრამ მალე დღის წესრიგში დადგება, ისევე როგორც უნგრეთსა და პოლონეთში, იუგოსლავიასა და ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთსა და ბულგარეთში, რომ არაფერი ვთქვათ ევროპის დიდ სახელმწიფოებსა და ამერიკაზე, „თომას მანის რეცეფცია საქართველოში“ — ასეთი თემის დამუშავება.

მეორე მხრივ, თომას მანს, რომლის „ბუდენბროკების“ წაკითხვა ახლა საქართველოს მიყრუებულ სოფლებშიც კი შეუძლიათ ჩვენს მოწაფეებს, სამწუხაროდ, ისევე, როგორც რაინერ მარია რილკეს, ანდერსენსა და ბევრ სხვა გამოჩენილ უცხოელ მწერალს, ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია ჩვენს ქვეყანაზე. რაინერ მარია რილკე ერთ-ერთ ლექსში ერთმანეთისაგან ვერ არჩევს ტაშკენტელ და თბილისელ შავგვრემან ქალებს; ანდერსენს საქართველოს დედაქალაქი მხოლოდ ლამაზი ჩერქეზი ქალების საცხოვრისი ჰგონია, ხოლო თომას მანის რომანის „გრძნეული მთის“ ერთ-ერთი პერსონაჟი რომანის მთავარ გმირს ჰანს კასტორპს მოუთხრობს ხოლმე რუსეთის იმპერიის განაპირა მოსაზღვრე მხარეებზე — სამარასა და საქართველოზე.

ჩვენ, რასაკვირველია, არც თომას მანსა და არც რილკეს არაფერს არ ვუსაყვედურებთ, ახლა არც ერთ უცხოელ მწერალს ასეთი შეცდომა ალბათ აღარ მოუვა. ევროპელების გეოგრაფიული ცოდნა სამიმოსვლო საშუალებებისა და ინფორმაციის წყაროების საარაკო განვითარების გამო შეუდარებლად გაიზარდა.

ჩვენ უბრალოდ იმ ფაქტს აღვნიშნავთ, რომ ზოგჯერ მცირერიცხოვანმა ერმა გაცილებით უკეთ იცის მრავალრიცხოვანი ერის ცხოვრების ამბავი, ვიდრე პირუკუ.

... თომას მანი უკვე აღარაა თანამედროვე მწერალი. ის კლასიკის, კლასიკური მემკვიდრეობის კუთვნილებაა.

ნოდარ კაკაბაძე